აკოცა გოგონებს და ყველანი აატირა

რატომ მარცხდებიან ქალები დანებებისას

ლიზა ბევირი

ძვირფასო მეგობარო,

ცოდვა და სირცხვილი მხარდამხარ მიაბიჯებენ: ეს ორი ტყუპისცალი დამადამბლავებელი გვაბრმავებს, რომ ღვთის სიყვარული ვერ დავინახოთ და ჩვენი თავისუფლება დაბრკოლდეს. მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლია ჩვენი გათავისუფლება და იესო ქრისტე შეგვპირდა, რომ მის ჭეშმარიტება „ნამდვილად გაგვათავისუფლებდა“ (იოანე 8:36). ქალები მტრის მასიური შეტევისგან იტანჯებიან, რადგან ის მათთვის ღირსების შემოძარცვას და მსჯავრდადების ჭაობში ჩაფლობას ცდილობს.

„აკოცა გოგონებს და ყველანი აატირა“ გახლავთ ღვთის გულის სათქმელი მისი საყვარელი ასულებისადმი. მან თქვენ ინტიმურობის, რომანტიკისა და შინაგანი მგზნებარების სურვილით შეგქმნათ. თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე სექსუალური გამოხატულება ან სექსუალური შვების ობიექტი. ღვთის ძალა და სიტყვა აქ არის, რომ მიაძინოს თქვენში ნაადრევად გაღვიძებული სურვილები. იგი აღადგენს პატივს, ძლიერებას და ძალაუფლებას თქვენს ცხოვრებაში, რაოდენ საოცრადაც ჩემთან გააკეთა.

ამ წიგნს თქვენ და თანამოძმე წინამძღოლებს გიგზავნით, როგორც ჩემი სიყვარულისა და მხარდაჭერის პატარა ნიშანს. <u>გთხოვთ, ყველა ნაცნობს გაუზიარეთ ის და სხვა ონლაინ-რესურსები, რომლებსაც CloudLibrary.org-ზე იხილავთ</u>. როცა ჩაუღრმავდებით ამ წიგნის ფურცლებზე აღწერილ სხვადასხვა ჭეშმარიტებას, ჩაეჭიდეთ ყველა იმ სილამაზესა და სიუხვეს, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული!

საყვარელნო, სიყვარულისა და მადლის ამ გამოცხადებამ სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრების მიმართულება. როცა აღმოაჩენთ ღვთის გულისნადებს თქვენს, მისი მშვენიერი შვილის მიმართ, ვლოცულობ, რომ სამუდამოდ გარდაიქმნათ. ვისურვებდი, გამეგო, რა გავლენა მოახდინა ამ წიგნის სათქმელმა თქვენზე და თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ადამიანებზე.

პატივისცემით,

ლიზა ბევირი
LisaBevere@ymail.com

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

CloudLibrary.org

მოწონების სიტყვები წიგნისთვის – აკოცა გოგონებს და ყველანი აატირა

ლიზა ბევირი ერთ-ერთი ყველაზე ხალასი, პირდაპირი და მიზანდასახულია იმ ღვთისნიერ ქალთაგან, რომლებსაც ვიცნობ. შეგიძლიათ, თამამად ენდოთ მის წიგნში გადმოცემულს, რადგან ეს ყველაფერი მრავალი ლოცვის, მოწესრიგებული ცხოვრების, ღვთის ძალზე ახლოს გაცნობის ისტორიისა და ადამიანთა დახმარებისთვის მიძღვნილი გულის გამოძახილია. როცა ქალებს უფლის მიერ მათთვის გამზადებულის თანახმად მოქმედების სურვილი უჩნდებათ, ადამიანთა სულების მტერი მათ სიცრუეში ხვევს და იპარავს. ლიზა ამ პრობლემაზე ჭეშმარიტებით, მთელი სიცხადით და წერის ისეთი სტილით საუბრობს, რომელიც მკითხველს იზიდავს და ბოლო გვერდამდე ინტერესით იპყრობს. ეს კარგად ვიცი, რადგან მეც დავიწყე მისი კითხვა და თავი ვეღარ გავანებე. ეს მეტად საჭირო წიგნია და ყველა ქალმა უნდა წაიკითხოს ასაკის მიუხედავად. ვინატრებდი, რომ ამგვარი ინფორმაცია ჩემი მოზარდობის დროს მქონოდა.

– სტორმი ომარტიანი
The Power of a Praying Wife — ბესტსელერის ავტორი

ლიზა ღვთის სიტყვის მეშვეობით ნათელს ჰფენს შემოქმედის თავდაპირველ განზრახვას იმ საგნებზე, რომლებიც ახლა დამახინჯებული სახით წარმოგვიდგება. ეს გახლავთ დიდებული წიგნი ჩემი და თქვენი გოგონებისა და ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც ღვთის გეგმებში მამაკაცებისა და ქალებისთვის არსებული თავისუფლების მოძიება სურს.

– სტივ არტერბერნი
ავტორი ბესტსელერებისა – *Every Man's Battle, Avoiding Mr. Wrong, and Finding Mr. Right; Founder of Women of Faith*

ლიზა ქალების სექსუალურობის უმთავრეს საკითხებს მშვენიერებით, მადლითა და ძალით განიხილავს. უფალი ყველა ქალს მოუწოდებს, რომ დაიბრუნოს თავისი ხვედრი ამ სფეროში.

დარწმუნებული ვარ, რომ ლიზა ღვთის გულს შეეხო და ქალებს სექსუალური ღირსების სამოსელი დაუბრუნა.

აღდგენა ჩვენი უფლის გულიდან მომდინარეობს და ლიზა ბევირის წიგნის მთავარი თემა გახლავთ.

მან მადლით და დარწმუნებით გადმოგვცა ღვთის ზრახვა ქალთა სქესობრივი სიწმინდის თაობაზე.

მთელი გულით ვურჩევ ამ წიგნის წაკითხვას ღვთის ნებისმიერ ასულს მისი ასაკის მიუხედავად. ასევე რეკომენდაციას ვუწევ მას, როგორც შესანიშნავ რესურსს ახალგაზრდების ლიდერების, მრჩევლებისა და მშობლებისთვის, რომელთაც ასევე უყვართ თავიანთი ასულები.

– დუგლას უაისი, ფილოსოფიის დოქტორი
Heart to Heart Counseling Center-უს აღმასრულებელი დირექტორი

ლიზა ბევირი ამ თვალის ამხელ წიგნში გაბედულად განიხილავს სქესობრივი სფეროს საკითხებს, რომლის გარშემო ქალები კითხვებს სვამენ, ხოლო ეკლესიის წინამძღოლთა უმრავლესობა მათ თავს არიდებს. ლიზას მტკიცე და უკომპრომისო პოზიცია წინამდებარე წიგნს მშობლებისა და ახალგაზრდების წინამძღოლთა უცილობელ საკითხავად აქცევს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ წიგნი ყველა ქალმა უნდა წაიკითხოს, ვისაც ამ გახრწნილ წუთისოფელში წმიდად ცხოვრებისთვის ღვთიური სიბრძნის მიღება სურს.

– ნენსი ალკორნი
Mercy Ministries of America-ს პრეზიდენტი და დამფუძნებელი

ღმერთმა ლიზა ბევირს მისი ასაკისთვის აღმატებული სიბრძნე და ცოდნა მისცა. აღფრთოვანებული ვარ, რომ მან ეს წიგნი დაწერა. ის სულიერად ჯანსაღ რჩევებს მოიცავს, რომლებიც ახალგაზრდა ქალებს კურთხევას მოუტანს და მათზე არსებული საზოგადოებრივი წნეხისგან გაათავისუფლებს. წიგნი ასევე სასარგებლო სახელმძღვანელოა დედების, ახალგაზრდების წინამძღოლებისა და დაუოჯახებელთა მწყემსებისთვის.

– ბეთი როგისონი
Life Today-ს თანაწამყვანი

ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა ლიზამ ეს ისევ მოახერხა! იგი ქალების გულებს ეხება და ასწავლის ამ ძალმოსილი ახალი წიგნის მეშვეობით.

– შერი როუზ შეფერდი
Fit for Excellence and Life Is Not a Dress Rehearsal-ის ავტორი და მქადაგებელი

ლიზა აზრიანი თანაგრძნობითა და მიხვედრილობით ესაუბრება ქალის გულის ყველაზე იდუმალ სურვილებს და მას ერთადერთი ნამდვილი სიყვარულისკენ მიმართავს, რომელსაც მისი ავსება შეუძლია. იგი ფარდას ხდის ქვეყნიერების სისტემის ცდუნებასა და ტყუილს და ჭეშმარიტ ქალობას ფასეულობასა და ღირსებას უბრუნებს.

– ქეთი ლუსი
Teen Mania-ს თანადამფუძნებელი

ხშირად მისვამენ კითხვებს, როგორც მამაკაცების სქესობრივ სიწმინდეზე არაერთი წიგნის ავტორს: „ჩვენი, ქალების საქმე როგორაა? ჩვენც ვიტანჯებით ასეთი ცოდვებით!" ქალებმა ქალისგან უნდა მოისმინონ ამ საკითხზე და ლიზა სწორედ ასეთი ქალი აღმოჩნდა. ღმერთმა, პირდაპირი მნიშვნელობით, არაერთხელ გარდაქმნა ჩემი ცხოვრება ბევირების წიგნების მეშვეობით. აშკარაა, რომ ლიზამ დრო გამოყო ლოცვის, მარხვისა და ამ საკითხში ღვთის ზრახვის გაგებისთვის, ამიტომ დარწმუნებული ვარ შემდეგში: ეს წიგნი თქვენს ცხოვრებასაც გარდაქმნის.

– ფრედ სტოიკერი
Every Man's Battle, Every Woman's Desire-ის თანაავტორი

Kissed the Girls and Made Them Cry by Lisa Bevere, Georgian
© 2020 Messenger International
www.MessengerInternational.org
Originally published in English as Kissed the Girls and Made Them Cry
Additional resources in Georgian by Lisa Bevere are available for
free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: LisaBevere@ymail.com

„აკოცა გოგოებს და ყველანი აატირა“ ლიზა ბევირი ქართულად
© 2020 Messenger International
www.MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე Kissed the Girls and Made Them Cry
ლიზა ბევირისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე
ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელფოსტის მისამართია: LisaBevere@ymail.com

აკოცა გოგონებს და ყველანი აატირა

რატომ მარცხდებიან ქალები დანებებისას

ლიზა ბევირი

ეს წიგნი ყველა ახალგაზრდა თუ ასაკოვან
ქალბატონს ეძღვნება, რომელიც დიდი ხანია
ოცნებობს, მაგრამ გადაავიწყდა, ეს როგორ უნდა.
კოცნა არ უნდა ყოფილიყო ტირილის მიზეზი.
მას მხოლოდ სიხარული უნდა მოეტანა. დაე,
ამ წიგნის სიტყვებმა გააღვიძოს და გააძლიეროს
თქვენი გულის ოცნება! ვლოცულობ, რომ
აქ გადმოცემული ჭეშმარიტება გაითავისოთ და
განდევნოთ ყოველი ბნელი მოგონება, შიში თუ
კოშმარი, რომელიც თქვენსა და ენით გამოუთქმელ
სიხარულს შორის დგას. შეეგებეთ თქვენს
პრინცს და აისრულეთ ოცნება!

– ლიზა ბევირი

შინაარსი

მიძღვნა *XI*

თავი 1 ძილისპირული ღვთისგან 1

თავი 2 სად ვართ ჩვენ? 14

თავი 3 წადი და აღარ შესცოდო! 24

თავი 4 სიყვარულის გაღვიძება 37

თავი 5 მძინარე მზეთუნახავი 58

თავი 6 თავდაპირველი კონკია 71

თავი 7 რა უნდა გავაკეთოთ, როცა სქესობრივი სიყვარული იღვიძებს? 83

თავი 8 პატივი მიაგე ზეციერ მამას! 99

თავი 9 ცოცხალი მსხვერპლები 111

თავი 10 წყევლის გაუქმება 124

თავი 11 გულმხურვალე, წმიდა ღვთის მიერ არჩეული 144

თავი 12 სიწმიდის ძალა 158

თავი 13 მოსაკლავად აღკაზმული	176
თავი 14 სინანულისგან თავისუფალი ცხოვრება	192
თავი 15 რატომ ვმარცხდებით, როცა ვნებდებით?	211
დასკვნა: სიყვარულის ძალა	220
შენიშვნები	224
ავტორის შესახებ	225
მადლიერება	226

1 ძილისპირული ღვთისგან

ტელეფონის ზარმა ზაფხულის არდადეგებისთვის სკოლიდან დათხოვილი ოთხი ბიჭის მიერ სახლში ატეხილი ჩვეული ჟრიამული შეწყვიტა.

– გისმენთ!

ეს პასტორი გახლდათ.

– ლიზა, მაინტერესებს, შეძლებ თუ არა ამ საღამოს უფროსკლასელი გოგონებისთვის სქესობრივი ცხოვრების თემაზე დალაპარაკებას?

უცებ გავშეშდი და ჩემი გონება მეყსეულად გადაწვდა ამასწინანდელი სატელევიზიო თოქშოუს ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელსაც თეთრეულის უზარმაზარი გროვის დაკეცვისას ვუყურე. თუ ეს შოუ სიმართლეს ამბობდა, ბევრი რამ შეცვლილა ჩემი უფროსკლასელობის დროიდან მოყოლებული. სატელევიზიო შოუს თანახმად, უფრო დაბალკლასელებიც კი იყვნენ ჩართული სქესობრივ ცხოვრებაში, რომლის არსებობაზე ჩვენი მოზარდობისას წარმოდგენა არ გვქონდა.

– საღამოს?! – ენა დამება, როცა ჩემდა გასაოცრად ამ საკითხმა ამაღელვა.

– დიახ, – განაგრძო მან, – გეგმა ასეთია. ბიჭებსა და გოგონებს ორ ჯგუფად გავყოფთ. მე ბიჭებს გავესაუბრები, შენ კი გოგონებს წაიყვან ახალგაზრდების ოთახში.

– ჯონი ამ საღამოს ჩამოფრინდება. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ეს საკითხი ჯერ მასთან შევათანხმო? – შევევედრე მე, რომ დრო მომეგო.

– რა თქმა უნდა, არა. როცა

> *~ დაბალკლასელებიც კი იყვნენ ჩართული სქესობრივ ცხოვრებაში, რომლის არსებობაზე ჩვენი მოზარდობისას წარმოდგენა არ გვქონდა.*

გადაწყვეტილებას მიიღებ, ახალგაზრდების პასტორს ან მე შემატყობინე.

ყურმილი დავკიდე ... ცოტა არ იყოს, შეძრულმა. რა ხდება? მთელი ქვეყანა შემოვიარე სხვადასხვა ასაკის ქალების დიდი ჯგუფების წინაშე ქადაგებით და ახლა რატომ მიცემს გული ასე გამალებით ადგილობრივ უფროსკლასელ გოგონებთან საუბრის გამო? თავი ხელში უნდა ამეყვანა. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდების ყოფილი პასტორის მეუღლე ვიყავი. იმ ორ წელს, ასე თუ ისე, უვნებლად გადავურჩი. შემდეგ გავაცნობიერე, რომ ეს ასაკობრივი ჯგუფი მაფიქრებდა ... და ეს იყო მთავარი.

ჯონის ნომერი ავკრიფე. მან რომელიღაც აეროპორტიდან მიპასუხა სახლისკენ მომავალ გზაზე.

– ძვირფასო, ჩვენს პასტორს აინტერესებს, შევძლებ თუ არა უფროსკლასელი გოგონების ჯგუფთან სექსის თემაზე საუბარს. არ ვიცი, რა გავაკეთო? ... იცი, დღეს კი ჩამოდიხარ და ცოტათი დაგვიანებულიც კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ არ ვიცი, რა ვუთხრა მათ. წარმოდგენა გაქვს, თუ რამდენი მოზარდი გოგონა არის დაკავებული ორალური სექსით?

ბოლო წინადადების მიზანი ჯონის შოკურ მდგომარეობაში ჩაგდება გახლდათ, მაგრამ იგი სრულიად არ აღელვებულა:

– მე წინააღმდეგი არ ვარ. ვფიქრობ, უნდა დათანხმდე.

– რა უნდა ვუთხრა უფროსკლასელ გოგონებს? საკუთარი ქალიშვილიც კი არ მყავს და მოსამზადებელი დრო საერთოდ არ მრჩება, – ვუმტკიცებდი მე.

– სამი საათი გაქვს, ლიზა. ვფიქრობ, უნდა წახვიდე, – შემეწინააღმდეგა ჯონი.

დიდებულია! დასამალი ადგილიც კი არ დამიტოვა. გავიგონე, როგორ კამათობდნენ ჩემი ბიჭები. კიბის დასაწყისში უკვე ისმოდა მათი მზარდი ხმაური.

– არა, ბიჭების სახლში ყოფნა მეტისმეტია იმისთვის, რომ რაღაც მოვასწრო ... და მაინც, რა უნდა ვთქვა სექსზე?

– ღმერთი დაგანახებს. ახლა თვითმფრინავში უნდა ჩავჯდე. დაურეკე მას და უთხარი, რომ თანახმა ვარ.

– იცი, დარწმუნებული არ ვარ, ... მაგრამ გაგიშვებ. დამირეკე, როცა ჩამოფრინდები! – ჩავიბუტბუტე მე.

რასაკვირველია, ჯონი თანახმა იქნებოდა – მას ხომ არ უწევდა გოგონებთან საუბარი. ვერ ვიტანდი, როცა რაღაცის გაკეთება არ მინდოდა, ის კი ამის საშუალებას არ მაძლევდა. მის კაბინეტში

მიმოვიხედე და თაროები შევათვალიერე შესაფერისი წიგნის მოსაძებნად. თან პასტორის ნომერს ვკრეფდი, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მომეფიქრებინა, რა უნდა მეთქვა გოგონებისთვის.

– ალო, ჯონი თანახმაა. – იქამდე დავთანხმდი, სანამ რაიმეს გაცნობიერებას მოვასწრებდი.

– ფანტასტიურია! მისმინე, სულაც არ მინდა, ზედმეტად მომზადებული მოხვიდე! ფორმატი ასეთია: ერთობლივი ქება და თაყვანისცემა გვექნება. შემდეგ გოგონებს დაგიტოვებ. მათ სამი-ხუთზე ბარათების შევსების შესაძლებლობა მიეცემათ, სადაც ნებისმიერ კითხვას დასვამენ. ამ კითხვებს უპასუხებ ნახევარი საათის განმავლობაში, ხოლო მომდევნო ნახევარ საათს ასწავლი და სახლში გაუშვებ.

– კითხვების წინასწარ ნახვა შეიძლება? პასუხად „არა” მივიღე. თავი კიდევ უფრო უხერხულად ვიგრძენი.

– იცით, რომ *საკმაოდ* კარგი წარმართი ვიყავი, სანამ ქრისტიანი გავხდებოდი? სიწმიდის ან რაიმე ამდაგვარის თვალსაჩინო მოწმობად ვერ გამოვდგები. იქნებ ამ ლექციისთვის ვინმე უფრო შესაფერისი დაგენიშნათ.

– არ მგონია, რომ შენი დამოწმება გამოგვადგეს (უკვე ცხადიც იყო, რომ არავითარი დამოწმება არ მქონდა). მინდა, რომ სიწმიდეზე ელაპარაკო მათ და პირდაპირი პასუხები გასცე. თავს კარგად გაართმევ!

ეს თქვა და გათიშა. ყურმილი დავკიდე და ჩავფიქრდი, როგორ მოვახერხე ამ საქმეში ჩართვა, როცა უამრავი სხვა საქმე მქონდა გასაკეთებელი. ბავშვები კიდევ ერთ საღამოს უმეთვალყუროდ უნდა დამეტოვებინა და საერთოდ არ მქონდა შეგრძნება, რომ გოგონებთან საუბრისთვის გამოვდგებოდი. ჯონის კაბინეტიდან გამოვედი თუ არა, ოთხივე ბიჭი შევკრიბე განცხადების გასაკეთებლად და შექმნილი ვითარების განსახილველად.

– ბიჭებო, ახლა ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. დედას სთხოვეს, რომ უფროსკლასელი გოგონების ჯგუფს შეხვდეს. მხოლოდ სამი საათი მაქვს და მომზადება აუცილებლად მჭირდება. მამას კაბინეტში ვიქნები. გთხოვთ, გთხოვთ და კიდევ ერთხელ გთხოვთ, მომცეთ ეს დრო! არ შემაწუხოთ, თუ სისხლისგან არ იცლებით. ერთმანეთს თავაზიანად მოეპყარით! შეგიძლიათ, სუფთა ჰაერზე გახვიდეთ, ზემოთ ახვიდეთ ან სარდაფში ჩახვიდეთ, მაგრამ სახლის ამ მონაკვეთში არ დაგინახოთ. არანაირი კამათის გაგონება არ მსურს! გასაგებია?!

მათ რამდენჯერმე გადახედეს ერთმანეთს და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნიეს. ჩემმა ბიჭებმა ამოიცნეს სასოწარკვეთილი ქალის მზერა.

ისევ ჯონის კაბინეტში შევვარდი და საჭირო მასალებისა და ლექსიკონების ძიებას შევუდექი. უცებ თვალის კუთხემ ჩემი ცხრა წლის შვილი, ალეკი დააფიქსირა, რომელიც კაბინეტის გარეთ იდგა და მინის კარიდან იჭყიტებოდა. კარი ფართოდ გამოვაღე.

– რა ხდება, ალეკ? – მოუთმენლად ვიკითხე მე.

– არაფერი. უბრალოდ გიყურებ, – უდარდელად მიპასუხა მან.

– ეს შეუძლებელია. გახსოვდეს, რომ მხოლოდ მაღლა, სარდაფში და გარეთ ყოფნის უფლება გაქვს! წადი! – ვუბრძანე მას.

– კარგი, – მხრები აიჩეჩა და ოდნავ განზე გაიწია.

ოჰ, ეს ბავშვები! ისევ მივეცი თავი ნახევრად განმარტოებას და მეთიუ ჰენრის კომენტარები გადავშალე, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, საიდან უნდა დამეწყო. შემდეგ *ბიბლიის თავისუფალი თარგმანი* გადმოვიღე და ყველა ნაცნობი მუხლი გადავსინჯე, რომლებიც სიწმიდეს, გახრწნილებას და მეძაობას შეეხებოდა. უცებ ზარის ხმა გაისმა. უკვე დავიძაბე. სასწრაფოდ გადავწვდი ყურმილს.

– ალო!

ისევ პასტორი რეკავდა.

– ალო, ლიზა, მომისმინე. დღევანდელი შეხვედრა გადაიდო. ასე ჩქარა მისი ორგანიზება ვერ მოხერხდა, მაგრამ საღამოს გამოვაცხადებთ, რომ მომდევნო კვირას ჩატარდება. სახლში იქნები?

ეს ჩემი შანსი იყო! იქნებ, ქალაქიდან გასვლა მქონდა დაგეგმილი. გრაფიკს დავწვდი და მომდევნო კვირაზე გადავშალე.

– სახლში ვიქნები.

– შესანიშნავია, – მითხრა მან და ისევ გათიშა.

გულზე მომეშვა. ახლა სამი საათის ნაცვლად (ეს დრო არც კი ითვლებოდა, რადგან შხაპის მიღება და სადილის მომზადება უნდა მომესწრო), მთელი კვირა მქონდა მოსამზადებლად. თავისუფლად ამოვისუნთქე და ბიჭებს ვაცნობე, რომ ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ისევ გავაგრძელე ყოველდღიური საქმიანობა, რადგან თავს გაცილებით მსუბუქად ვგრძნობდი.

მომდევნო კვირის მოლოდინში მსახურების წარმართვა და მისი შინაარსი ჩემი საფიქრალი გახდა. ღმერთს ვეძებდი, წმიდა წერილს ვკითხულობდი და გულს ვამოწმებდი იმ კითხვებზე პასუხების გასაცემად, რომელთაც გოგონები დამისვამდნენ. გავაცნობიერე, რომ წამოიჭრებოდა საკითხი, რამდენად შორს შეიძლებოდა „შეეტოპათ“ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი საკუთარი სექსუალობა ნორმალურ ფარგლებში ჯდებოდა ან ველორბოლას წააგავდა. წერილები მოვიძიე მკაფიო და ამომწურავი პასუხებისთვის. ცხადი იყო, რომ ჩემი ბიჭებისთვის ბავშვობისას მიცემული რჩევები არ გამომადგებოდა. მე ხომ ის დედა ვიყავი, რომელმაც შვილებს მეჯიკ ჯონსონის შიდსით დაავადების მიზეზი ამცნო, მეტისმეტად ბევრი გოგონას კოცნა – და შემდეგ გაკვირვებული მისჩერებოდა მათ, როცა ბიჭები ნათესავების დასამშვიდობებელ კოცნაზეც კი უარს ამბობდნენ. არ მინდოდა მათი შეწუხება ზედმეტი დეტალებით, სანამ ჯერ კიდევ „პატარები“ იყვნენ.

ჩემი უფროსი ვაჟი თორმეტი წლის ასაკში გოგონებთან სწორი ურთიერთობის შემსწავლელ სემინარზეც კი მივიყვანე და მისი ქორწინების საკითხის მოგვარებას შევპირდი. უკანა გზაზე მომავალი შეყვარებულის შესარჩევად განაცხადებების მიღება შევთავაზე. ამაში თითქმის დავარწმუნე, როცა ავუხსენი, რა რაოდენობის თანხის დაზოგვას შეძლებდა პაემნებისგან თავის დაღწევის მეშვეობით და მშვენიერ მანქანას შეიძენდა.

ახლა მეტი სერიოზულობა მმართებდა. რამდენიმე ასეულ გოგონასთან მოწყობილი ქორწინების თეორიით იოლას ვერ გავიდოდი. მთელი გულით ვილოცე:

ზეციერო მამა, აუცილებლად მჭირდება ამ გოგონების კითხვებზე პასუხების გაცემა! შენი სიბრძნე მიწილადე, რომ არ ვიყო დაყრდნობილი საკუთარ ან სხვათა მოსაზრებებზე. უნდა ვუთხრა თუ არა მათ, რომ იმაზე შორს აღარ წავიდნენ, სადაც ახლა არიან? ან იქნებ მხოლოდ კოცნას არა უშავს? მინდა მალე გავიგო შენი აზრი ამის შესახებ!

ველოდე, მაგრამ ლოცვაზე პასუხი ვერ მივიღე, ამიტომ ავდექი და საშხაპისკენ გავემართე. ხვალ დიდი დღე დგებოდა. შხაპს ვიღებდი და ამ დროს ჩემი გონება სხვადასხვა მხარეს დაეხეტებოდა დაგეგმილ საღამოს გადასადგმელი ნაბიჯების მოსაფიქრებლად. უცებ სულიწმიდის ხმა გავიგე, რამაც ჩემი ფიქრების ერთი მიმართულებით კონცენტრაცია მოახდინა.

მან ასე მითხრა: „შენ მათი ქცევის შესაზღუდად წესებს ეძებ. წესები მათ ვერ დაიცავს. მათთვის საჭირო ძალა ურთიერთობიდან უნდა მოდიოდეს. ყურადღება გაამახვილე არა იმ წესებზე, რომლებიც *არ უნდა დაარღვიონ*, არამედ იმაზე, რისი *გაკეთებაც შეუძლიათ*. უთხარი მათ, რომ შეყვარებულთან იმაზე შორს არ შეტოპონ, რის უფლებასაც თავს საკუთარი მამების თანდასწრებით მისცემდნენ. რადგან მამები არიან ასულების სათნოების მცველები“.

> *შეყვარებულთან იმაზე შორს არ შეტოპონ, რის უფლებასაც თავს საკუთარი მამების თანდასწრებით მისცემდნენ.*

აღფრთოვანებამ მომიცვა! წესები არაფერ შუაშია და თავს ვერ მივცემდი ამ მიმართულების განხილვის უფლებას. თუ ასე არ მოვიქცეოდი, დისკუსია რჯულის შესახებ ლექციის დონეზე დავიდოდა, ხოლო მოზარდები – უძალონი, მე კი იმედგაცრუებული დავრჩებოდი. ამის ნაცვლად, გოგონებს ჰქონდათ ზეციერ მამასთან ურთიერთობის და ხორციელი მამებისთვის პატივის მიგების პერსპექტივა. აქ საერთოდ არ იგულისხმებოდა შეზღუდვები, ზნეობა და ეთიკის კოდექსი, რომელიც ცივ ქვაზე იყო ამოტვიფრული, არამედ მათ გულებზე დაწერილი ცოცხალი რჯული. საშხაპიდან გამოვვარდი, სასწრაფოდ გავიმშრალე და ჩემთვის გამოსადეგი შენიშვნების ექვსი ფურცელი გავავსე.

ქებისა და თაყვანისცემის საღამოს შემდეგ შეხვედრა იწყებოდა, თუმცა ჩემი იქ ყოფნა თვალშისაცემი და უადგილო ჩანდა. ამდენი მოზარდის ფონზე ორმოცს გადაცილებული ქალი მეტისმეტად გამოვირჩეოდი. იმის შესაძლებლობაც არ იყო, რომ შეუმჩნევლად გავპარულიყავი. წარმოვიდგინე, რომ გოგონები კიდევ ერთ „შემოჭრილ დედიკოდ“ აღმიქვამდნენ, რომელსაც მათი თავისუფლებისთვის უნდა ეთვალთვალა. თაყვანისცემის დასრულების შემდეგ სამი-ხუთზე ბარათები მთელ აუდიტორიაში დარიგდა, რომ გოგონებს კითხვები ჩამოეწერათ. ჩემთან ახლოს მჯდომ რამდენიმე გოგონას გავუღიმე კიდეც, მათკენ გადავიხარე და წავახალისე, რომ ნებისმიერი კითხვა დაეწერათ, რაც მოესურვებოდათ. ვიმედოვნებიდი, რომ მათი ხელნაწერის ამოცნობის შიშით ჩემს მიმართ უფრო თავაზიანები იქნებოდნენ.

– ოჰ, მე უბრალოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული კითხვა მაქვს, – გულწრფელად წამოიძახა ერთ-ერთმა მათგანმა.

თამამად დავუქნიე თავი და გავუღიმე. თან ჩემთვის ვფიქრობდი: *დიდებულია! ტანსაცმლის საკითხს როგორმე მოვაგვარებ. საქმე იმაზე უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. არ უნდა მეღელვა.*

როცა ბარათები შეავსეს, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ახალგაზრდების დარბაზისკენ გაემართნენ, რომელიც დერეფნის ბოლოს იყო. შემოსასვლელ კარში ბარათებს ტოვებდნენ. შეუძლებელი იყო არ შემენიშნა, რომ გოგონები დარბაზის შეცვლის პროცესში მეტისმეტად ხმაურობდნენ და გამაღიზიანებელად იქცეოდნენ. უხერხულად ვიდექი გვერდზე, სანამ ახალგაზრდების ლიდერები, დაახლოებით, ოთხასი გოგონას ბარათებს შეაგროვებდნენ. როცა ადგილები შეივსო, დანარჩენები იატაკზე მოკალათდნენ. ყველა ბარათი შეგროვდა, მთლიანი დასტა და მიკროფონი გადმომცეს და კათედრასთან დავდექი კითხვა-პასუხის განყოფილების დასაწყებად.

იმ საღამოს მიღებული კითხვებისთვის დამატებითი კვირის ბონუსიც კი არ იყო საკმარისი. პირველი კითხვა ასეთი გახლდათ: ვეთანხმებოდი თუ არა, რომ ეკლესიის ერთი სტაჟიორი (ბარათში სახელდებით მოხსენიებული) ყველაზე მომხიბლავი კაცი იყო. ვუპასუხე, რომ არ ვეთანხმებოდი. გოგონებს ვუთხარი, რომ ჩემი აზრით, ჩემი ქმარი იყო ყველაზე მომხიბლავი კაცი.

მეორე შეკითხვა შესაფერის სამოსელს ეხებოდა: *გამომწვევად ჩაცმა მისაღებია თუ არა? რამდენად შეიძლება შიშველი სხეულის გამოჩენა?*

გოგონებს გადავხედე. უმეტესობას ისეთი მოკლე ქვედაკაბა ეცვა, რომ შეშფოთებული ვფიქრობდი, რა მოჰყვებოდა მათ სკამებზე დასხდომას. სხვებს მოტმასნილი ტოპებიდან პირსინგიანი ჭიპები მოუჩანდათ ჯინსებისა და ქვედაკაბების ზემოთ, რომლებიც თითქოს წინასწარი განზრახვით დაბლა ჩამოეწიათ, რომ თეძოები მიმზიდველად წარმოჩენილიყო.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიკითხე:

– გაინტერესებთ, შეიძლება თუ არა გამომწვევად ჩაცმა?

უმრავლესობამ თავი დამიქნია. აშკარად ესიამოვნათ, რომ კითხვის არსი გავიგე.

– დარწმუნებული ვარ, ეს დიდებული იდეაა. ჩაიცვით მეძავივით, თუ გარყვნილი მამაკაცების მოზიდვა გსურთ. ეს თევზაობას ჰგავს: თქვენს მიერ არჩეული სატყუარა განსაზღვრავს, რას დაიჭერთ. თუ გოგოებზე მონადირე დამპალი

ბიჭის გამოჭერა გსურთ, ყველა საშუალება უნდა იხმაროთ, რომ მაცდუნებლად ჩაიცვათ.

ეს თევზაობას ჰგავს: თქვენს მიერ არჩეული სატყუარა განსაზღვრავს, რას დაიჭერთ.

ისინი, ცოტა არ იყოს, გაოგნებულები მიყურებდნენ, ამიტომ გავაგრძელე:

– არ ვამბობ, რომ მომხიბლავად ან მოდურად ჩაცმა არასწორია, მაგრამ გამომწვევად ჩაცმა მისაღებია მხოლოდ ცოლ-ქმრის საწოლი ოთახის დაკეტილ კარს მიღმა.

მათ გავუზიარე, რომ ჩემს ქმართან საწოლ ოთახში მარტო ყოფნისას შესაფერისი ჩაცმულობა სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა, თუ დილით ძაღლის გასერინებას ან ჩემი ოთხი ვაჟისთვის ერბოკვერცხის მომზადებას დავაპირებდი. ხშირად, როცა ბიჭები თეთრეულის დაკეცვაში მეხმარებოდნენ და ხელთ მკვეთრი ფერის ან უცნაური ფორმის საცვალი მოხვდებოდათ, საჭირო იყო მითითება, ვის ეკუთვნოდა ის. მეც ბავშვებს ვეუბნებოდი, რომ ეს „დედ-მამის“ ტანსაცმელია. ისინი მხრებს იჩეჩავდნენ და გადმომაწოდებდნენ: „აი, თვითონ დაკეცე! ჩვენ არ ვიცით, როგორ უნდა.“

გოგონების კიდევ ერთი კითხვა სხეულზე პირსინგის გაკეთებას შეეხებოდა. მათ აინტერესებდათ, სხეულის რომელი ნაწილები გამოდგებოდა საამისოდ. მე მოვიყვანე ბიბლიური მაგალითი: ყურები და ცხვირი (ეზეკ. 16:12). მათ ვურჩიე, რომ მორიდებოდნენ ყველა იმ ნაწილის გახვრეტას, რომელიც ხრტილისგან არ შედგებოდა.

რა ითვლება გადაჭარბებად?

რამდენიმე კითხვა ჰომოსექსუალობაზე ბიბლიურ შეხედულებას შეეხებოდა. ამაზე რაიმე არის ნათქვამი? ეს ცუდია? როგორ შეიძლება ორი ადამიანის სიყვარული არასწორი იყოს, იქნება ეს ჰომოსექსუალური თუ სხვაგვარი? პასუხად მათ რამდენიმე მუხლი მივაწოდე, რომლებიც თავად უნდა შეესწავლათ და განვუმარტე, რომ სწორი რამ (სიყვარული) არასწორ ვითარებაში (ერთი და იმავე სქესის ორ ადამიანს შორის სექსუალური სახით გამოვლინებული) მაინც არასწორი იქნება. ეს არის მართებული საჭიროების დაკმაყოფილება არასწორი გზით, სქესობრივი სიყვარულის ღვთისგან დადგენილი ფორმის გახრწნა.

სხვა კითხვები ორალურ სქესობრივ კავშირსა და რამდენიმე

საკითხს შეეხებოდა, რომელთა ხსენებაც კი უხეშობა, უწმინ-დურება და უპატივცემულობა იქნებოდა. ამის შემდეგ დადგა მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემის დრო. არასწორად არ გამიგოთ. ეს კითხვა რამდენჯერმე მომხვდა ხელში, მაგრამ ბარათს ისევ დასტის ბოლოში ვაბრუნებდი. მას ყველაზე ხშირად სვამდნენ ამა თუ იმ ვერსიით – გამომწვევად ჩაცმა ნებადართულია? მეტად დაყოვნება აღარ შეიძლებოდა – ეს ის მომენტი იყო, რომელსაც დიდხანს ელოდებოდნენ: ყველაზე საინტერესო კითხვა – რა ითვლება გადაჭარბებად?

როცა გოგონებს სულიწმიდის პასუხი გავუზიარე, ჩურჩული და ხითხითი მაშინვე შეწყდა. ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ახლა ყველა მათგანის გონებაში ეს სურათი იხატებოდა. *მამის თვალწინ? ეს როგორ იქნება? კარგი რა, ამას მამების თვალწინ ვერ გავაკეთებთ!*

ეს მართალია. იმას, რაც სქესობრივ ცხოვრებას უკავშირდება, დაკეტილი კარების მიღმა, ბნელ კუთხეში, ღამის საფარველქვეშ, ავტომობილში ან წამლისა თუ ალკოჰოლის ზემოქმედებით დაბინდული გონებით ჩავდივართ. თუ საკმარისად თავხედები ვართ, საკუთარი სახლის რომელიმე ბნელ კუთხეშიც ვახერხებთ მაშინ, როცა მშობლებს სხვა ოთახში სძინავთ, მაგრამ არასოდეს – სინათლეში, ფხიზელ გონებაზე, მამების თვალწინ!

ვიცოდი, რომ დარბაზში დასადგურებული სიჩუმე სწორი რეაქცია იყო არასწორ კითხვაზე დაბნეული და მოწყვლადი გოგონების თაობისგან. ჩემთვის ყველაზე საგანგაშო გამოცხადება ის გახლდათ, რომ ეკლესიაში მოსიარულე უფროსკლასელი გოგონების წინაშე ვიდექი, რომელთაც დინამიური, დაშურებული და გულანთებული პასტორი და წინმძღოლები ჰყავდათ. ვიცნობდი ამ ახალგაზრდული ჯგუფის პასტორს, რომელსაც გულით ეწადა, რომ ახალგაზრდობას სიწმიდე და ღვთიური ცეცხლი მოდებოდა და მათში გამოღვიძება და აღდგენა მოეტანა. ვიცოდი, რომ თავად წინამძღოლებიც წმინდად ცხოვრებას ესწრაფოდნენ. სად იმალებოდა პრობლემა? მალე რაღაცას მივაგენი.

ჩემი სიტყვა წარმოვთქვი და მსახურება საღამოს 9 საათზე დავასრულე. გოგონებს, რომლებსაც ლოცვა ან უბრალოდ სა-უბარი და მეტი კითხვის დასმა სურდათ, დარჩენა შევთავაზეთ ახალფაზრდების წინამძღოლებთან ან ჩემთან სალაპარაკოდ. გამაოგნა გოგონების რაოდენობამ, რომლებმაც წასვლა აღარ

მოინდომეს. მათი გამომეტყველება ახლა სრულიად განსხვავდებოდა თავდაპირველად მათ სახეებზე აღბეჭდილი თავხედური იერისგან. მომდევნო ორი საათის მანძილზე მოსმენილმა ჩემი გული შეძრა.

ახალგაზრდა გოგონები ტკივილის, სექსუალური ძალადობისა და ზეწოლისგან კანკალებდნენ იმ ადამიანების მხრიდან, რომელთაც ყველაზე მეტად ენდობოდნენ: მეგობრები, შეყვარებულები, ბიძები, ძმები, მამინაცვლები და ზოგჯერ მამებიც კი. გოგონები იტანჯებოდნენ გონებაში გაელვებული სექსუალური ხასიათის სურათების, გარყვნილი ფილმების, მუსიკის, ვიდეოს, ფოტოებისა თუ ინტერნეტ-გვერდების უწყვეტი კადრებით. ისინი შინაგან სიბინძურეს გრძნობდნენ იმ საუბრებისა და უწმაწური ხუმრობების გამო, რომელთა მონაწილენიც იყვნენ, მეტისმეტად ხშირად ესმოდათ ან მეტსახელების გამო, რასაც მათ უწოდებდნენ. სხვები მასტურბაციას ეწეოდნენ.

— რაინდთან შეხვედრა სწყუროდათ, რომელიც მათ დაიხსნიდა ... მათი დამატყვევებელი ჩრდილების ბნელი კოშკიდან თავის დაღწევა ადვილი არ იყო, რადგან რაინდების დრო წარსულს ჩაბარდა.

ყველა ეს საიდუმლო მათ ნორჩ ცხოვრებას ნაცრისფერი კადრივით ან წებოვანი ნალექივით მიკვროდა და ჩამორეცხვაზე უარს ამბობდა. ის უკანა პლანზე რჩებოდა კვამლის სუნის მსგავსად, რომ ყველას სცოდნოდა გოგონების სიარული ბინძური ცეცხლის შუაგულში.

ამ ასულებს არ გააჩნდათ საიმედო თავშესაფარი, სადაც უბრალოდ მოისვენებდნენ და წარსულის ბინძურ სახეებთან, წარმოსახვასთან, ხმებთან თუ ჩრდილებთან ჭიდილის გარეშე დაიძინებდნენ. მათ მშვიდობისგან შიში და სირცხვილი ჰყოფდათ. ზოგიერთი მათგანი გარკვეული წესების ერთობლიობითაც იყო შეიარაღებული, მაგრამ ხვდებოდა, რომ გონების წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ შეტევას მისი ყალბი დაცვა ვერ შველოდა. ხშირად, სხეული კი უსხლტება ფიზიკურ ძალადობას, მაგრამ არა გონება. გოგონებს მოელვარე აბჯრით შემოსილ რაინდთან შეხვედრა სწყუროდათ, რომელიც მათ დაიხსნიდა. მათი დამატყვევებელი ჩრდილების ბნელი კოშკიდან თავის დაღწევა ადვილი არ იყო, რადგან რაინდების დრო წარსულს ჩაბარდა. მათი ადგილი გოგონების ცხოვრებაში იმედის გამაცრუებელმა, მოძალადე და მიმტოვებელმა კაცებმა

დაიჭირეს, რომლებიც მხოლოდ ტკივილსა და უნდობლობას უძლიერებდნენ.

მოვისმინე ძალადობის ამბები იმდენად შემზარავი, რომ შეცდომით, სრულიად უვნებლად ჩათვლიდით: მშობლები, რომლებიც სქესობრივ აღვირახსნილობას, უხამს მინიშნებებს და ხშირად ნაწილობრივ სიშიშვლეს ბავშვების თანდასწრებით უყურებდნენ საკუთარ სახლში ან ბნელ კინოთეატრში. გოგონები მიამბობდნენ, როგორ უხერხულად გრძნობდნენ თავს, როცა ამგვარ სცენებს მშობლებთან, განსაკუთრებით კი, *მამებთან* ერთად უცქერდნენ. მათ მოუსვენრობა იპყრობდა და რცხვენოდათ. შემდეგ მშობლებს გადახედავდნენ, მაგრამ შეკრთომის კვალსაც ვერ ამჩნევდნენ. რამდენიმე ასეთი ფილმისა და სატელევიზიო შოუს შემდეგ უხერხულ განცდებს ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ვერ ხედავდნენ, რომ მშობლებიც მათსავით წუხდნენ. როცა მამა მათი თანდასწრებით სხვა ქალის მაცდუნებლად წარმოჩენილ შიშველ მკერდს უმზერდა, თითქოს მათი უბიწო მკერდიც შიშვლდებოდა. ეს ყველაფერი მათ გულში უსიამო დაუცველობისა და ძალადობის განცდას ბადებდა ისე, რომ მიზეზიც არ იცოდნენ.

> *ნუთუ შესაძლებელია, ასულმა თავი დაცულად იგრძნოს, როცა ხედავს, რომ საკუთარი მამა სექსუალური სცენებით ერთობა?*

ნუთუ შესაძლებელია, ასულმა თავი დაცულად იგრძნოს, როცა ხედავს, რომ საკუთარი მამა სექსუალური სცენებით ერთობა? იგრძნობს იგი მშობლის მფარველობას, არასწორი საქციელის გაკიცხვას ან უკმაყოფილებას მაშინ, როცა მარტოა, თუ მის დაცვას არც მაშინ გრძნობდა, როცა მშობელი გვერდით ჰყავდა? რა ხდება, როცა პატარა გოგონები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ?

შესაძლოა, შენს ცხოვრებაში ასე არ მომხდარა, მაგრამ სექსუალური სურვილებისთვის ჩაიკეტე ან დათრგუნე საზოგადოების მიერ წარმოჩენილი მახინჯი და უღვთო სახეების გამო. ჩანს, ბოროტმა ჯანსაღ სურვილსა და სიყვარულს ჩირქი მოსცხო და გულისთქმის იაფფასიან კადრად აქცია. ამის გამო ნებისმიერი სახის ვნების სურვილი და მისი გაღვიძება საშიშ პერსპექტივად აღიქმება. გაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა დაცულობა და რჯულისმიერი აკრძალვები ნატვრასა და მიტოვებულობაში გაცვალო.

ან რატომ, რატომ, რატომ ვწერ ამ წიგნს სქესობრივი სიწმინდის სათნოებაზე, როცა ეს მაინცდამაინც არავის აღელვებს და არც მოსმენა სურს? ან ვინ იქნება ჩემი მკითხველი? ამის პასუხად გეუბნებით, რომ წინამდებარე წიგნი განკუთვნილია მომლოდინე ასულებისთვის, დედების სამახსოვროდ, ყველა დაცემულისთვის, რომელიც წამოდგომას ლამობს და ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც თავს იცავს, იცის და აცნობიერებს სრულ საზღაურს, რათა გამხნევდნენ და სიმტკიცე შეინარჩუნონ.

ეს წიგნი გახლავთ დედებისა და დამრიგებლების თაობის წერილი, რომლებმაც იციან, რა არის სინანული. ის მიმართულია ასულების თაობისკენ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომებისგან მათ დასაცავად, რათა დაიმკვიდრონ აღთქმები და ტკივილებს თავი აარიდონ. ეს გახლავთ იარაღი დედების ხელში, რომლებიც თავიანთ ქალიშვილებს არას ვერ ეუბნებინ იმაზე, რასაც წლების წინ თავად დათანხმდნენ.

წიგნი არ მოიცავს წესებს: რა შეიძლება და რა არ შეიძლება ... ეს აღდგენის წიგნია. ეს არის სურათი, თუ როგორ ხედავს საგნებს ღმერთი, მისი თავდაპირველი განზრახვის გამოცხადება. ზოგიერთი მას, ალბათ, აუსრულებელ ზღაპრად მიიჩნევს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ახდება. წესები ვერასოდეს გაგვათავისუფლებს, ისევე როგორც შიშსა და კონტროლს არ შეუძლია ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს გახლავთ ჭეშმარიტება, რომელიც გვათავისუფლებს და გაცილებით დიდია, ვიდრე ყველა ტყუილი, რომლებითაც გარშემორტყმული ვართ. ჭეშმარიტება საშინელი იმედგაცრუებისა და სასწორაკვეთის მძიმე და ხანგრძლივი ღამის წყვდიადის შემდეგ დამდგარ აისს ჰგავს.

გამიგონია, რომ თუ გინდა ვინმეს რამე გააგებინო, ამბის სახით უნდა მოუყვე. ეს ჭეშმარიტება მრავალი წლის წინ აღმოვაჩინე, როცა ჯერ კიდევ ჩემს ოთახში მძინარე შვილებს მოთხრობებს ვუყვებოდი. ეს გახლდათ თითქოს სულელური, ვითომდა რეალური ამბების კრებული ოჯახზე, რომელიც ოდესღაც ველური დასავლეთისკენ გაემართა და თავს უამრავი რამ გადახდა. ამ ამბებს მაშინ ვყვებოდი, როცა ყველა დასაძინებლად მივდიოდით. ხშირად ჩემი ბიჭები ამბავში ჩაერთვებოდნენ ან ტოვებდნენ მას იმისდა მიხედვით, ძილი უფრთხებოდათ თუ პირიქით, თვალები ეხუჭებოდათ. მეც ბავშვებთან ერთად ვმოგზაურობდი, სანამ ძილი თავს არ წამართმევდა. მა-

შინ რომელიმე ფხიზლად დარჩენილი მეძახდა და მისწორებდა, თუ რაიმეს ავურევდი ან რომელიღაც დეტალი გამომრჩებოდა. ყოველთვის მაოცებდა ფაქტი, რომ ბიჭებს დღემდე წარმოუდგენელი სიცხადით ახსოვთ ყველაფერი, რითაც მე ვერ დავიკვეხნი.

> *~ ღმერთს სურს ძილისპირულით ისევ დააძინოს ის, რაც ერთხელ ასე უხეშად გამოაღვიძეს.*

ამას რატომ გიყვებით? დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს სურს ძილისპირულით ისევ დააძინოს ის, რაც ერთხელ ასე უხეშად გამოაღვიძეს. მას ძალუძს ვნებების მიძინება მოლოდინისა და მოსვენების ადგილას. ეს ამბავი ძილბურანის მდგომარეობას აღადგენს იმისთვის, რაც დროზე ადრე გამოაღვიძეს. იქ შიშები ჩუმდებიან და იმედი კვლავ წამოიმართება. ამ თავშესაფარში სირცხვილი არ დაიშვება. აქ ყველაფერი ცოცხალი, ახალი და სუფთაა გაზაფხულის წვიმაგადავლილი ყვავილივით.

სანამ იქამდე მივიდოდეთ, ერთად ვილოცოთ.

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

შენ ხარ ცისა და მიწის შემოქმედი. შენ ხარ ინტიმური დამოკიდებულების ავტორი. ჩემს ცხოვრებაში არსებობს სფეროები, რომლებიც საჭიროზე ადრე იქნა გამოღვიძებული ... სფეროები, სადაც ჩემს სექსუალობას მოსვენება და ძილი არ დაუსრულებია იქამდე, სანამ გაიღვიძებდა და აენთებოდა. გთხოვ, შეეხო ამ სფეროებს შენი განმკურნებელი მოსვენებით. კითხვისას გთხოვ, რომ გამინათო შენი ჭეშმარიტებით და ჩემი ცხოვრების ამ სფეროში არსებული ჩრდილები განდევნო.

დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ამის გაკეთება, რადგან შენ ხარ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე. ამიხილე გონების თვალები, რომ გიცნობდე და შენი გზებით დავდიოდე! დაე, ის საკითხები, რომელთაც მიძინება სჭირდება, იყოს მიძინებული! გაფანტე ჩემი შიშები და შენი ფრთების ქვეშ მომეცი უსაფრთხო ნავსაყუდელი! გახსენი ჩემი გული და შენი ამბები მიამბე, რომ გავიგო და ჩავწვდე შენს მიზანს!

სიყვარულით,
შენი ასული

2 სად ვართ ჩვენ?

ბინა თავში გაგიზიარეთ უხეშად გამოღვიძების ამბავი რეალობაში, თუ სად ვდგავართ უზენაესი ღვთის ქალები და ასულები ჩვენს სექსუალობასთან დაკავშირებით. როგორ აღმოვჩნდით ამ უიმედო და დაუცველ მდგომარეობაში? ერთმა თუ რამდენიმე მცდარმა ნაბიჯმა დაგვაყენა ძალადობის გზაზე? ისეთ ადამიანთან ხომ არ გავაბით ფლირტი, რომელმაც ღირსება შემოგვაძარცვა და შიშველი და ძალაგამოცლილი დაგვტოვა? რატომ გაუფასურდა ჩვენი ქალური ფორმების სილამაზე და სექსუალობის საიდუმლო? ასე ძალიან რატომ დავშორდით ბავშვობის ზღაპრულ იმედებსა და დაპირებებს? რატომ გადავინაცვლეთ დამღლელი და ცინიკური სიზმრების ჩრდილსა და უიმედობაში?

> *~ რატომ გაუფასურდა ჩვენი ქალური ფორმების სილამაზე და სექსუალობის საიდუმლო?*

ოცნებები ყოველთვის კოშმარებს უთმობენ გზას, როცა ყურს ბოროტის ჩურჩულსა და ბნელ ტყუილებს ვაპყრობთ, ხოლო გულს ვკეტავთ სიბრძნისთვის, რომელიც ქუჩებში ხმამაღლა ღაღადებს (იგ. 1:20). ოცნებები ადგილს აძლევენ კოშმარებს, როცა ფასეული საჭიროებების დაკმაყოფილებას უვარგისი და შეუფერებელი მეთოდებით ვცდილობთ. ოცნებები კოშმარებით იცვლება, როცა მძიმე უღელი, ტვირთი და საზრუნავი წელში გვტეხს და გვსრესს. ოცნებები კოშმარებად იქცევა, როცა შიშს ჩვენი იმედებისა და ოცნებების გაგდების და შემდეგ სავალ გზებზე ჩვენი პარალიზების უფლებას ვაძლევთ (ი.ნ.1:9).

აქ არ მოვიყვან უახლეს ფაქტებსა და შედარებებს ჩვენი უშუალო *სტატისტიკური* მდგომარეობის წარმოსაჩენად (როგორიცაა გაყრილი ოჯახებისა და მარტოხელა დედების

პროცენტული მაჩვენებლები ან ქორწინებამდელ სქესობრივ ცხოვრებაში ჩართული მოზარდების რიცხვი). ამ მონაცემებს თავადაც მოიძიებთ. არ შევეცდები თქვენს ინტელექტთან ან გონებასთან დალაპარაკებას ... მინდა პირდაპირ თქვენს გულს ვესაუბრო. მინდა ყურადღება გავამახვილო ჩვენს, ქალების სულიერ პოზიციაზე: დარწმუნებული ვარ, რომ გაშიშვლებული და კოშმარში მომწყვდეულები ვართ.

> *~ მინდა ყურადღება გავამახვილო ჩვენს, ქალების სულიერ პოზიციაზე: დარწმუნებული ვარ, რომ გაშიშვლებული და კოშმარში მომწყვდეულები ვართ.*

მთელი მსოფლიოს ქალები ტირიან: „არ მომწონს, რასაც ვხედავ. ჩემი სამოსლის დაბრუნება მინდა! ჩემი ღირსების, პატივისა და იდუმალების აღდგენა მსურს. შიშის განდევნა მინდა. ძალით შემოსვა და თავისუფლება მჭირდება!"

ჩვენ ამ კოშმარში იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ურჩი შვილების მსგავსად დარწმუნებული ვართ შემდეგში: ამბოხება გაგვათავისუფლებს. სინამდვილეში კი, ყველაზე მეტად ქალები ზარალდებიან, როცა სიყვარულის კანონები იბილწება. ეს ახალი სატანჯველი როდია ... ის ედემის ბაღში დაიწყო დიდი ხნის წინ, როცა გველმა დაიჩურჩულა – *აჯანყდი ღვთის წინააღმდეგ და ბრძენი და თავისუფალი გახდები*! ამრიგად, ავიღეთ ნაყოფი, ვიგემეთ და თვალები დავხუჭეთ, რადგან მყისიერად გაგვეცხადა მისი მომწამლავი სურნელი. როცა თვალები გავახილეთ, რაღაც საწყენი აღმოვაჩინეთ. შიშვლები ვიყავით და სირცხვილმა მოგვიცვა. ადამს მივუბრუნდით, მაგრამ ისიც შიშველი გახლდათ და საკუთარი თავი გასჭირვებოდა, ჩვენს დასახმარებლად ან აღსადგენად არ ეცალა. ბოლოს და ბოლოს, მასაც წვავდა სირცხვილისა და უღონობის გრძნობა და ამაში ჩვენ გვადანაშაულებდა!

> *~ სინამდვილეში კი, ყველაზე მეტად ქალები ზარალდებიან, როცა სიყვარულის კანონები იბილწება.*

ამრიგად, მამაკაცი და ქალი გაიქცნენ და დაიმალნენ. ისინი სიშიშვლის დაფარვას შეეცადნენ, სანამ ბაღში ღმერთი ჩამოვიდოდა. მისი გამოჩენისთანავე დაიწყო ბრალდებები.

ადამი: „შენ რომ დედაკაცი მომეცი, იმან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე". (დაბ. 3:12)

ევა: „გველმა მაცდუნა და მეც შევჭამე“. (დაბ. 3:13)
ღმერთი: „ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და დედაკაცს შორის ... ქმრისკენ გექნება სწრაფვა, ის კი იბატონებს შენზე“ (დაბ. 3:15-16)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ადამი ქალსაც და ღმერთსაც ადანაშაულებს ... „შენ რომ დედაკაცი მომეცი“. მაინც რას ნიშნავს ეს შენიშვნა? რა დაემართა სიხარულით სავსე შეძახილს: „ეს არის ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი“ (დაბ. 2:23)? მისი დამოკიდებულება სრულიად შეიცვალა! რაღაც მოხდა ... ორნი ერთი აღარ იყვნენ უკან დარჩა დრო, როცა შიშვლებს არ რცხვენოდათ. სირცხვილმა უკვე იმოქმედა და ისინი ერთმანეთს დააშორა.

— რჯული მოითხოვს და ბატონობს, ხოლო სიყვარული მიუძღვის და გასცემს.

ამის შემდეგ კითხვა ქალს დაუსვეს და მან გულწრფელად უპასუხა: „გველმა მაცდუნა და მეც ვჭამე“. მის სიტყვებში ბრალდებას ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, მესმის სინდისის ქენჯნა და სინანული. მან გარკვეულ დონეზე გააცნობიერა კიდეც საკუთარი დანაკლისი. იგი მარადიულად წინააღმდეგობაში იქნება გველთან. ქალი ქმარს ისურვებს, მაგრამ ქმარი მასზე იბატონებს. აი, პირველი მინიშნება, რომ რჯული (კეთილისა და ბოროტის შემეცნება) უფრო მოქმედებს აქ, ვიდრე სიყვარული, რადგან რჯული მოითხოვს და ბატონობს, ხოლო სიყვარული მიუძღვის და გასცემს.

ადამის მსგავსად მამამაკაცები ქალებს ხშირად კონტროლის ობიექტებად მიიჩნევენ თავიანთი უძალობის გრძნობის გამო. ისინი ზოგიერთ ერში კონტროლს რჯულის მეშვეობით აძლიერებენ, ხოლო სხვებში – ურჯულო ქცევით. ქალები საკუთრების ან სქესობრივი სურვილების დაკმაყოფილების ობიექტებად დააკნინეს, რომლებიც უნდა დაიპყრონ, მართონ და გამოიყენონ.

აი, ასე დაიწყო ჭიდილი. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში იკარგება ქალის როგორც მამაკაცის სრულყოფისა და დამხმარის კეთილშობილური წარმოშობა. ასევე დაიკარგა ძლიერი და დამცველი მამაკაცის სახე, რომელიც ქალის უზრუნველმყოფელია. აღდგენისა და კვლავ გაერთიანების მცდელობაში დამტვრეული და დაჭრილი ადამები და ევები ერთმანეთს ზუ-

რგს აქცევენ და სხვაგან ეძებენ დაკმაყოფილებას და სისრულეს. მამათმავლობამ გულგატეხილი მამაკაცების მზერა სხვა მხარეს მიაპყრო და ცნობადობა სხვა მამრებთან ერთობის მიღწევის დაპირებით მოიპოვა. თუმცა ეს არასოდეს გაამართლებს. სისრულე სიცოცხლეს შობს; კაცი კაცს ვერასოდეს შეავსებს, ისევე როგორც ქალი ვერ ჰპოვებს სისრულეს სხვა ქალთან ერთობაში.

დაცემამდე ადამმა მთელი ქმნილება აღრიცხა მის დიდებულ სრულყოფილებაში და ერთიც კი ვერ ჰპოვა ისეთი, რომელიც მას შეავსებდა, სანამ ევას არ შეხვდა. თავისუფალი ადამი და მისი მშვენიერი მეორე ნახევარი ევა ერთად დაუმარცხებელი იქნებოდნენ და სატანას, უბრალოდ, არ შეუძლია უკან დაიხიოს და უყუროს, ეს როდის მოხდება. ამრიგად, მან წმიდა და სრულყოფილი ჭეშმარიტება დაამახინჯა ღვთის სიკეთისა და სიბრძნის ეჭვქვეშ დაყენებით. მან დედაკაცი აცდუნა აკრძალული ნაყოფის შეთავაზებით და ევამაც, თავის მხრივ, მეტისმეტად გაჩუმებულ ადამს აჭამა. ბოროტმა და სიცრუის მამამ ისინი ღვთის თანდასწრებიდან გამოიყვანა და ამ პროცესში ძალისა და ძალაუფლების პოზიციებიც მოპარა.

ამის შემდეგ მიყენებულ ზიანს ის შეურაცხყოფაც დაამატა, რომ თითოეულ მათგანს მტრად მეორე დაუსახა. და ასე გრძელდება ბრძოლა გამოფიტულ, ბრაზიან მამაკაცსა და დაჭრილ, ბრაზიან ქალს შორის, რადგან თითოეული მხარე მეორეს თვლის საკუთარი ტკივილის მიზეზად და გამოსწორებასაც სთხოვს. არც ქალს და არც მამაკაცს არ შეუძლიათ ამ ადგილების განკურნება ... მხოლოდ ღმერთს ძალუძს ჩვენი აღდგენა ოცნებებისა და მიზნების ბაღში დასაბრუნებლად.

— ღვთის ასულებო, ადამის ხორციელ ძეებს არ შეუძლიათ გველისგან თქვენი დახსნა ... ამ საქმეს ზეციური პრინცი სჭირდება.

ნაწინასწარმეტყველები ბრძოლა დედაკაცსა და გველს შორის კვლავ მძვინვარებს (დაბ. 3:15). ღვთის ასულებო, ადამის ხორციელ ძეებს არ შეუძლიათ გველისგან თქვენი დახსნა ... ამ საქმეს ზეციური პრინცი სჭირდება. გველის მიზანი ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა: ევას ასულებისთვის ღირსება, ძლიერება და პატივი შემოეძარცვა და ამის კეთებით ძალაგამოცლილები დაეტოვებინა. ზოგიერთ კულტურაში ეს ურჯულოების მეშვეობით ხერხდება, სადაც ბოროტი სამოსელს

აცლის ასულებს და მათ მშვენიერებას გაშიშვლებულს ტოვებს ყველას სამზერად. სხვა ქვეყნებში გველი რჯულსა და კანონს მიმართავს ყველას თვალთაგან მათ დასამალად და ჩრდილების სამოსით ფარავს თმის წვერიდან ფეხის ფრჩხილამდე. ორივე შემთხვევაში, ქალი შეფუთული იქნება თუ გაშიშვლებული, მაინც სირცხვილი მოსავს, რადგან მისი სილამაზე გულისთქმის ბოროტ ფესვად და კაცთა სატანჯველად აღიქმება.

> *— თუმცა ქალების ღირსებისგან გაძარცვა და დეგრადირება მამაკაცებსაც სირცხვილით ფარავს...*

თუმცა ქალების ღირსებისგან გაძარცვა და დეგრადირება მამაკაცებსაც სირცხვილით ფარავს, რადგან ქალი მამაკაცის დიდებაა (1 კორ. 11:7). როცა კაცი ქალს აშიშვლებს, საკუთარ თავს უპატიოჰყოფს. მას უქრება ქალის დაცვის ღვთისგან ჩადებული სურვილი და ამით ნამდვილი ძალაუფლების მოპოვების მიზანსაც კარგავს. როგორც ჩვენ შემოგვაცალეს ქალური ძლიერებისა და პატივის სამოსელი, ისევე არიან მამაკაცებიც გაძარცვული ნამდვილი მამაკაცური ძალაუფლებისგან.

როცა ქალურობას და სათნოებას კეთილშობილების პატივი აღარ მიეგება, ქალები ცდუნების უფრო ნაკლებ ძალას მიმართავენ და შეგრძნებების გამამძაფრებელ სამოსს იცვამენ. თუ ქალები ქალური სილამაზის, პატივისა და ღირსების მიზანს ვერ დაუკავშირდებიან, მეტად დაუცველი ხდებიან სექსუალური ექსპლუატაციისთვის.

სამწუხაროდ, ჩვენს გოგონებს სიწმიდის, სილამაზისა და ძლიერების სამოსლის ტარების მაგალითს არ ვაძლევთ. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ქალების უმეტესობამ ვიცით, როგორ გამოიყურება ეს სამოსელი. ირგვლივ მიმოიხედეთ და დაინახავთ, ვის სახებას ბაძავენ ახალგაზრდა გოგონები. მათზე სექსუალური სახის მინიშნებების შეტევა ხორციელდება ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მკერდი წამოეზრდებათ. პატარა გოგონები სექსუალურად მიმზიდველი ქალების ჩაცმულობას ირგებენ, თუმცა სქესობრივი ცხოვრების რაობაზე წარმოდგენაც არ აქვთ. ჟურნალების გარეკანებზე ძნელად თუ იპოვით სიწმინდის მშვენიერ და ძლიერ სახეებს, რომ გოგონებმა მათგან მაგალითი აიღონ. არც ხანდაზმული ქალბატონების შემთხვევაშია უკეთესი არჩევანი.

მინდა, გამბედაობა მოიკრიბოთ რეალური სატანჯველის დასანახად: გველმა შემოგაძარცვათ ძალა, ღირსება და სამოსე-

ლი! აუცილებელია ამის დანახვა და აღშფოთება. მხოლოდ ასე იქნებით საკმარისად გამბედავი, რომ ნამდვილ მტერს ებრძოლოთ და სრული ერთგულება გამოიჩინოთ სარწმუნო და ჭეშმარიტი მეფის მიმართ. ამის შემდეგ შეძლებთ იმ სამოსის პოვნას, რომელიც თქვენს სიშიშვლეს ბრწყინვალებით ჩაანაცვლებს. თქვენ გამოიღვიძებთ და მიხვდებით, რომ კაცების ან ქმრების წინააღმდეგ კი არ უნდა იბრძოლოთ, არამედ ჩვენი სულების მტრის წინააღმდეგ. უნდა გამოვფხიზლდეთ კოშმარისგან და ოცნების აღდგენისთვის ვედრება დავიწყოთ.

> *მინდა, გამბედაობა მოიკრიბოთ რეალური სატანჯველის დასანახად: გველმა შემოგაძარცვათ ძალა, ღირსება და სამოსელი!*

ღრმა შინაგან ღაღადზე ვლაპარაკობ.... ცარიელ და იდუმალ ადგილზე, რომლის ავსება სექსს არ შეუძლია. დიდი ხანია ნატრობთ იმაზე გაცილებით დიდ სიყვარულს, უფრო ახლო ურთიერთობას და მოზიარეობას, რომლის მოცემაც მამაკაცს თქვენთვის შეუძლია. ნატრობთ გაცილებით უსაფრთხო თავშესაფარს, ვიდრე დედამიწაზე იპოვება. გული ითხოვს ზეციური პრინცის სიყვარულს. თქვენთვის გასამხელი ერთი საიდუმლო მაქვს იმისდა მიუხედავად, მორწმუნე ხართ თუ არა ... პრინცის გულიც თქვენსკენ მოილტვის. სწორედ მან ჩადო ამ სურვილის თესლი თქვენი გულის სიღრმეებში. ამიტომ მას ერთადერთს შეუძლია იმ დიდი ნატვრის დაკმაყოფილება.

იმედგაცრუება კვლავ გაგრძელდება, თუ დაკმაყოფილების მიღებას ყველა არასწორ ადგილას შევეცდებით. მამაკაცები არც თქვენს პრობლემას წარმოადგენენ და არც პასუხს! ჩვენი მზერა ზეცისკენ უნდა მივმართოთ, რადგან შველა უფლისგანაა, რომელმაც შექმნა ცა და მიწა (ფს. 121:1-2). მხოლოდ მაშინ და იქ ვიპოვით წყაროს და აღვიდგენთ ძალასა და პატივს.

> *მამაკაცები არც თქვენს პრობლემას წარმოადგენენ და არც პასუხს!*

რატომ ვართ ქალები ასე დაუცველები? ცხადია, რომ მომრავლებული ურჯულოებისა და უსამართლობის ჟამს ვცხოვრობთ (მათ. 24:12). როცა მეობის ურჯულო წესი ბატონობს, სიყვარული კვდება და უსაფრთხოება ხელიდან გვისხლტება. როცა ერის მოქალაქეებს ციდვის სურვილი მართავს, ოჯახის

ფაქიზი ბალანსი ირყევა და ქალები გულდაჭრილები რჩებიან. სურვილები ერთმანეთს ანაცვლებს და იცვლება, ხოლო სიცრუე თითქოს ჭეშმარიტებად გარდაიქმნება. რომაელთა მიმართ წერილი ამჟამინდელ დაჩქარებულ მდგომარეობას შემდეგ მუხლებში აღწერს:

„ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა მათივე გულისთქმების უწმიდურებას, რათა თვითონვე შეებილწათ თავიანთი სხეულები ერთმანეთში. რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება სიცრუით შეცვალეს, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ!“ (1:24-25)

როცა ჭეშმარიტებას სიცრუით ვანაცვლებთ და ცოცხალი ღვთის ნაცვლად საკუთარ გულისთქმებს ვემსახურებით, გადავგვარდებით და სქესობრივ უწმინდურობამდე ვკნინდებით. როცა ჩვენი გულები სქესობრივი ცხოვრების სურვილით იწვის, ღმერთი ნებაზე გვიშვებს. ისვე როგორც ადამსა და ევას არ დაუშალა თავიანთი სურვილით მოქმედება ედემის ბაღში, იგი არც ჩვენ დაგვაკავებს საკუთარი სურვილების ასრულებისგან. მას სურს, რომ თავად იყოს ჩვენი ჭეშმარიტი სურვილი, მაგრამ თუ მისკენ არ ვისწრაფვით, ნებას გვაძლევს გვქონდეს ის, რაც გვსურს, თუნდაც ეს საზიანო იყოს.

“ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი შეცვალეს ბუნებრივი ურთიერთობის წესი ბუნების საწინააღმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალთან ბუნებრივი ურთიერთობის წესი და ავხორცობით გახურდნენ ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის“. (რომ. 1:26-27)

თუ მოტივაციად არა სიცოცხლის მინიჭებას, არამედ სიამოვნების მიღებას ვამჯობინებთ, დიდი დრო აღარ რჩება, როცა გახრწნილება და სქესობრივი უწმინდურობა ჩვენი სურვილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ აღმოჩნდება და ისინი უფრო სამარცხვინო და გადაგვარებული გულისთქმებისკენ გაგვიძღვება დაღმავალი სპირალის ფსკერისკენ.

„და რაკი არ ეცადნენ, რომ გონებით ჩასწვდომოდნენ ღმერთს, ღმერთმა უკუღმართ გონებას გადასცა ისინი, რათა დაუწესებელი ეკეთებინათ“. (რომ. 1:28)

ღვთის შემეცნების უკუგდებით უგუნურებისა და გახრწნილების მდგომარეობას ვიმკვიდრებთ, რომელიც ზნეობრიობისა და სიწმინდისგან სრულიად დაცლილია. აქ კარგი დაკარგულია და წყვდიადში ბორძიკით მავალნი ცუდიდან უარესისკენ მივემართებით. ღმერთმა მიგვიყვანა გარყვნილების მდგომარეობამდე? რასაკვირველია, არა! მისი საბოლოო მიზანი ჩვენი აღდგენაა ანუ მისი მთავარი სურვილია, რომ ჩვენი გულები მას ეკუთვნოდეს. როცა ფეხებს ვაბაკუნებთ და ვამბობთ – „არა! მე საკუთარი სურვილების ასრულება მინდა!“ – ღმერთი უკან იხევს და ნებს გვაძლევს მივიღოთ ის, რასაც ჩვენი ბრიყვული თავკერძობა მოითხოვს.

როცა კაცებს ძალა აღარ შერჩათ, სქესობრივ განცდებს ეძებენ, რომ თავი ისევ მამაკაცებად იგრძნონ. როცა კაცი დამდაბლებულია, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავი ისევ ძალმოსილად იგრძნოს. ასეთ ატმოსფეროში მათ მამები და ჭეშმარიტი ხელმძღვანელობა სჭირდებათ, მაგრამ ხშირად ვერც ერთს ვერ იღებენ. ისინი იმედგაცრუებით ტოვებენ ლიდერობის პოზიციებს ღვთიური მაგალითის გარეშე და ცოლებსა და ბავშვებს ემოციურად და ზოგჯერ ფიზიკურადაც ტოვებენ. ქალები ხედავენ ამ სიცარიელეს და ცდილობენ მამაკაცთა ვაკანტური ადგილები შეავსონ, მაგრამ არ შეუძლიათ და ტყვეობაში ვარდებიან. მთელ მსოფლიოში ძალაგამოცლილი და ბრაზიანი მამაკაცები ქალებსა და ბავშვებზე ძალადობენ, რომ კვლავ ძალაუფლების სათავეში აღმოჩდნენ. თუმცა ეს არასოდეს ამართლებს.

— დასჯა არასოდეს ყოფილა ღვთის განზრახვა. მას თავისუფლების გამოცხადება სურს!

დაუმორჩილებლობას ტყვეობა და მახვილი მოსდევს. თუმცა ჩვენი დასჯა არასოდეს ყოფილა ღვთის განზრახვა. მას თავისუფლების გამოცხადება სურს! უსმინეთ მის მოწვევას:

„მოდით და ვიდავოთ, ამბობს უფალი, მეწამულივით რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება და ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლივით გათეთრდება. თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ”. (ეს. 1:18-19)

იგი მოგვიწოდებს, რომ გონიერება გამოვიჩინოთ და ჩვენს მდგომარეობას ვაჟკაცურად და სიმართლით შევხედოთ და გავაცნობიეროთ, რომ სახარბიელოდ არ გვაქვს საქმე! ჩვენი ცოდვები მოვარდისფრო კი არა ... თვალშისაცემად წითელია და მათ მოსაშორებლად სამსხვერპლო სისხლია საჭირო. თუმცა ღმერთს არ სურს ჩვენი სისხლიანი მსხვერპლი, რადგან პრინცმა საფასური უკვე გადაიხადა. ღვთის დიდი ხნის ზრახვაა, რომ გაგვწმიდოს. იგი მიწის დოვლათს გვპირდება ცარიელი „საკვების“ ნაცვლად, რომელიც ვერ გვანაყრებს (სექსი შინაგანი სიახლოვის გარეშე, ქორწინება აღთქმის გარეშე) ... თუ თავდაპირველად მოვისურვებთ და შემდეგ დავემორჩილებით. მოვისურვებთ მონანიებას და ვაღიარებთ, რომ გზას ავცდით. მოვისურვებთ მის მსახურებას სიხარულით, რადგან უფალი კეთილი, ერთგული და ჭეშმარიტია. მოვისურვებთ მორჩილებას მისი სიტყვის დაცვით, რომელიც სიყვარულის, სიცოცხლისა და თავისუფლების რჯულია. მოვისურვებთ ჩვენი ჯვრის აღებას და ცხოვრების ქრისტეში, ხორშესხმულ სიტყვაში ჩაფლობას და მისი მაგალითისამებრ სიარულს. იოელის სიტყვები დღევანდელობასაც ეხება. უფალი მოგვიწოდებს:

> „თუმცა, ახლაც“ – ამბობს უფალი, – „დამიბრუნდით მთელი თქვენი გულით, მარხვით, ტირილითა და გლოვით; გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი! მოუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს! ვინაიდან შემწყნარებელი და მწყალობელია იგი, სულგრძელი და დიდადმოწყალე და წუხს ბოროტებაზე“. (იოელ. 2:12-13)

ქალების გულებისთვის ბრძოლა ყოველთვის წარმოებდა და ღმერთი თქვენს გატეხილ, გათელილ და დაჭრილ გულებს გთხოვთ.

ღმერთი ამ თაობას „ახლაც” შესძახის! *როცა ირგვლივ უიმედობა სუფევს და თავს ბინძურად და სასოწარკვეთილად გრძნობთ. ახლაც! როცა ყველა სხვა დამარცხდა და თქვენი მცდელობები უნაყოფო გამოდგა ... მე არ ვმარცხდები. ახლაც! როცა გეჩვენებათ, რომ ყველაფერი დაგვიანებულია ... ასე არ არის! დამიბრუნდით მთელი გულით*! ქალების გულებისთვის ბრძოლა ყოველთვის წარმოებდა და ღმერთი თქვენს გატეხილ, გათელილ და დაჭრილ გულებს გთხოვთ. იგი გეპატიჟებათ, რომ ზურგი იბრუნოთ ამჟამინდელი

კოშმარისგან და მის ოცნებაში შეაბიჯოთ, რადგან იგი დასაბამიდანვე ეძებდა თავის საპატარძლოს .. თქვენნაირს.

იგი ყველგან მოუხმობს დატყვევებულ ქალებს: შენ დაატყვევე ჩემი გული, საპატარძლოვ, დაო ჩემო! ერთი შეხედვით, შენი ყელსაბამის ერთი მძივით (ქებ. 4:9).

თქვენ მისი გული დაატყვევეთ ... ახლა გაიქეცით მასთან და მიეცით მას თქვენი გულის დატყვევების საშუალება. გახსენით გული სიყვარულისა და ჭეშმარიტებისთვის, რომელსაც ამ წიგნის ფურცლებზე იპოვით. დაე, გაცოცხლდეს ის თქვენთვის. ქვეყნიერებამ გვაკოცა და ცრემლებმდინარი დაგვტოვა ... თუმცა პრინცი ახლაც გვეძახის და უკეთესს ჰპირდება ყველას, ვინც მის სიყვარულს გამოეხმაურება.

„მომიგო ჩემმა მიჯნურმა და მითხრა: ადექი, სატრფოვ ჩემო, ჩემო მშვენიერო, და წამომყევი! რადგან, აჰა, მიიწურა ზამთარი, გადაიარეს წვიმებმა და წავიდნენ. ყვავილები გამოჩნდნენ მიწაზე, გალობის ჟამმა მოაღწია“. (ქებ. 2:10-12)

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

გავიგონე შენი ძახილის ხმა ... „ახლაც“! წარიტაცე ჩემი გული და უსაფრთხოდ შეინახე! მაპატიე სიცრუის მიღებისა და შენთვის ზურგის შექცევისთვის. ვაცნობიერებ, რომ ჩემი ცოდვები სისხლივით წითელი იყო და მადლობას გიხდი, შენი ძის სიცოცხლის გაღებისთვის, რამაც თოვლივით გამათეთრა. ძვირფასად მივიჩნევ მის მიერ დაღვრილ სისხლს. მადლობა, რომ ჩემი ნამდვილი მდგომარეობისთვის გამომაღვიძე. დავიღალე სიშიშვლით, სირცხვილით და შიშით ... მინდა უკან დავიბრუნო ჩემი სამოსელი! ზურგს ვაქცევ გრძნობისმიერ და ურჯულო სახეებს და კვლავ ვიღებ პატივს, ძლიერებას, იდუმალებას და კეთილშობილებას, რომელიც ქალურ ფორმებში დამალე. შენი ჭეშმარიტება უფრო რეალური გახადე, ვიდრე სიცრუის ან ბორკილების ნებისმიერი სფეროა ჩემს ცხოვრებაში, რომ სრულად გავთავისუფლდე და მთლიანად შენ გეკუთვნოდე.

სიყვარულით,
შენი ასული

3 წადი და აღარ შეცოდო!

წინა თავში ჩვენი სულების მტერ სატანასა და ევას ასულებს შორის გაჩაღებულ ძველისძველ და მძვინვარე ბრძოლაზე ვილაპარაკეთ. ეშმაკი თანმიმდევრული და მტკიცეა თავის მცდელობებში, რომ ქალები სირცხვილით, სიშიშვლით და უპატიობით შემოსოს ედემის ბაღიდან მოყოლებული დღევანდელობამდე. სამწუხაროდ, მისი ყველაზე სასტიკი შეურაცხყოფა რელიგიის საფარველით ხორციელდება. ბიბლიაში არსად ისე ცხადად არ ჩანს ეს დაპირისპირება, როგორც ქალების მრუშობაში ჩაბმით. ეს ერთი მხრივ, რჯულისა და რელიგიის სისასტიკის და მეორე მხრივ, ღვთიური მოწყალებისა და სიყვარულის საოცარი და მრავლისმთქმელი მაგალითია. მინდა, ეს სურათი თქვენთან ერთად განვიხილო და შესაძლოა, ამას სრულიად სხვა კუთხით შევხედოთ.

ადრიანი დილის ბინდბუნდში ტაძრის ეზოში შეკრებილი ხალხის დიდ ჯგუფს შევუერთდეთ. ისინი ახალგაზრდა რაბინის მოსასმენად მოვიდნენ, რომელსაც იესოს ეძახიან. ქალებისთვის გონივრული იქნება ჩუმად დავაკვირდეთ ამ ვითარებას, სანამ მზის ბრწყინვალება საცნაურს გახდის ჩვენს იქ ყოფნას. რაოდენ განსხვავდება იესო რჯულის სხვა მოძღვრებისგან და ადამიანთა შორის ჩამოჯდომასაც არ უკადრისობს, როცა მათ ესაუბრება. მასში ფარული ძალა და დიდი სიბრძნე ჩანს, რაც სხვებში არც შეუნიშნავთ და არც მოუსმენიათ. როცა ის ლაპარაკობს, მეორე უხილავის ხმა გესმის ... მისი სიტყვების მიღმა მამა ღმერთი საუბრობს.

და მაინც, სადაც არ უნდა წავიდეს, მას თან სდევს წინააღმდეგობა, იგი ისე თავისუფლად ლაპარაკობს ღვთის სიყვარულზე, რომ განკურნება იღვრება სნეულებსა და შეჭირვებულებზე. რე-

ლიგიურ წინამძღოლებს სძულთ იგი, მაგრამ უბრალო ხალხს ... უყვარს. ქალები რაიმე სახის დაპირისპირებაში არ უნდა ჩაერიონ. თქვენ გაფრთხილებენ, რომ თავი შორს დაიჭიროთ, მაგრამ არ შეგიძლიათ. ამ დილით მის სიახლოვეს ყოფნის დაუძლეველი სურვილი გაგიჩნდათ. მისი სიტყვების მოსმენა გწყურიათ ... ეს სიტყვები თქვენს გულში მოღიღინე ჰანგიდან მოდის, რომლის ხმამაღლა ამოთქმა გწადიათ. თქვენც ელოდებით მას უჩვეულოდ მდუმარე, მაგრამ მომლოდინე ხალხთან ერთად ... მან თქვა, რომ ამ დილით დაბრუნდებოდა და ასწავლიდა მათ.

„დილით კვლავ ტაძარში დაბრუნდა. მთელი ხალხი მასთან მივიდა. დაჯდა და ასწავლიდა მათ“. (იოან. 8:2)

იგი მოწაფეებთან ერთად გამოჩნდა ცისკრის ჟამს. ცა ცეცხლის დიდებულ ჩრდილებს მოეცვა. მისი სახის გარჩევა ძნელია მის უკან გარდამავალი აისის და პირდაპირ მოციგლიგე დილის ათინათების ფონზე. ხალხიდან რამდენიმე ადამიანისს გულითადად მისალმების შემდეგ იგი ჯდება და სწავლებას იწყებს. თქვენ მთელი გულით უსმენთ და ყოველ სიტყვას იჭერთ. ამ დროს თვალსაწიერზე მღელვარება იწყება.

იესოსა და მისი მოწაფეების მიღმა კიდევ ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ბრაზიანი ხმები და ჩაბნელებული სილუეტები ვიღაც უხილავს ებრძვიან. ტაძრის ეზოში უკვე ამოიცანით მათი მოსასხამები და მიხვდით, რომ ისინი იუდეველთა სულიერი წინამძღოლები არიან. მათ შუაგულში უცნობია და მას მანამ ვერ ხედავთ, სანამ ეს ჯგუფი იესოსა და ხალხს შორის არ აღმოჩნდება. ამის შემდეგ ქალი იესოს ფეხებთან ეცემა. ნათრევი ქალი ზედ შემორჩენილი სამოსის ნაჭერს ბღუჯავს სიშიშვლის დასაფარად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ნათელია, რომ იგი ნაჩქარევად გადმოათრიეს სირცხვილის სარეცლიდან. ალბათ, იკითხავთ, კაცი სადღაა. წინამძღოლები არ კმაყოფილდებიან იმით, რომ ქალი მიწაზე აგდია და ფეხზე აყენებენ ყველას დასანახად.

„მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოიყვანეს ქალი, რომლისთვისაც მრუშობაზე წაესწროთ, და შუაში ჩააყენეს. უთხრეს იესოს: „მოძღვარო, ეს ქალი მრუშობაზეა წასწრებული; მოსემ კი ასეთების ჩაქოლვა მცნებად დაგვიდო რჯულში. შენ რას იტყვი?“ (იოან. 8:3-5)

რას ეტყვის იესო ასეთ ქალს? როგორი იქნება მისი ხვედრი? რასაკვირველია, წინამძღოლებს მისი მდგომარეობა საერთოდ არ აღელვებთ. მათ იესოს პასუხი აინტერესებთ, რადგან:

„ამას გამოსაცდელად ეუბნებოდნენ, რათა ბრალი წაეყენებინათ მისთვის“. (იოან. 8:6ა)

ოჰ, თქვენ ხომ მისი პასუხის მოსმენა გსურთ? იმ დღეს იქ მყოფი სხვა ქალების მსგავსად ელოდებით იესოს სათქმელს. საინტერესოა, რას ეტყვის იესო აშკარად დამნაშავე ქალს? რა განაჩენს გამოუტანს მათ, ვისაც რჯული სიკვდილს უსჯის? რა თქმა უნდა, ეს ქალი ერთი პატარა რგოლია გაცილებით დიდ შეთქმულებაში. ეს გახლავთ ღვთის ავტორიტეტის ძირგამოთხრის ოდინდელი მცდელობა და ამ ქალის შემთხვევა რელიგიურ წინამძღოლებს იესოს გამტყუნებაში უნდა დახმარებოდა. დავაკვირდეთ მათ.

— რას ეტყვის იესო აშკარად დამნაშავე ქალს? რა განაჩენს გამოუტანს მათ, ვისაც რჯული სიკვდილს უსჯის?

„იესო დაიხარა და მიწაზე თითით წერდა“. (იოან. 8:6ბ)

თავდაპირველად, იესომ არც ქალს შეხედა და არც მათ უპასუხა. იგი დაიხარა და მტვერში თითით წერას შეუდგა. ღვთის თითი რაღაცას წერს, რაც არ არის სახარებაში მოყვანილი ჩვენს საცოდნელად. იგი ქალს არ უყურებს, რომელიც უამისოდაც საკმაოდ დამცირებული და შეშეინებულია. ამ უკანასკნელს ვერ წარმოუდგენია, რომ იესოს მზერაში ზიზღის გარდა რამეს ამოიკითხავს. ქალი ვერ გაბედავს, თვალი გაუსწოროს მათ, ვინც ახლა მის მსჯავრდადებას უყურებს. შესაძლოა, გონებაში უკრთის ფიქრები სხვა ქალზე, რომელიც დიდი ხნის წინ ედემის ბაღში თავისი სიშიშვლის დაფარვას ცდილობდა.

„რაკი დაჟინებით ეკითხებოდნენ, ადგა და უთხრა მათ: „ვინც უცოდველია თქვენ შორის, პირველმა მან ესროლოს ქვა!“ მერე კვლავ დაიხარა და განაგრძო მიწაზე წერა.“ (იოან. 8:7-8)

კეთილისა და ბოროტის შემეცნების ბრალმდებელი ხმა

ღაღადებს და დაკმაყოფილებას ითხოვს, სანამ დიდების მეფე მტვერში წერს. შესაძლოა, მას გველის ბრალდების ხმა ესმის: *თუ მას ახლა შემოსავ, მე საბოლოოდ მაინც შემოვაძარცვავ და შევარცხვენ! იგი ვერასოდეს ისწავლის ჭკუას. იგი შენი ხელიდან მოკვდება ... ასეთია რჯული!* მას გველის ბრალდებისთვის არ უპასუხია. ყველაფერი მალე დალაგდება. იგი მხოლოდ იმ ბრალმდებლებს დაელაპარაკება, რომლებიც მის წინ დგანან. იგი პირველი ქვის სროლას მათ შორის უცოდველს სთხოვს და კვლავ განაგრძობს თითით წერას. სუნთქვაშეკრული ელოდები.

> „ეს რომ მოისმინეს, უხუცესებიდან დაწყებული, სათითაოდ გაიკრიფნენ სინდისმხილებულნი. დარჩა მარტო იესო და შუაში მდგომი ქალი“. (იოან. 8:9)

მხოლოდ ერთი ადამიანი იყო საჭირო, რომელიც პირველ ქვას ისროდა და დანარჩენებიც უბრალოდ მიჰყვებოდნენ მის მაგალითს. თუმცა ქვის მსროლელი აღარავინ დარჩა ... თუ მაინც არის ვინმე? დიახ, არის ერთი. უცოდველი იესოა, მაგრამ იგი უარს ამბობს ქალის ჩაქოლვაზე. იგი ერთადერთი მართალი მსაჯულია, მაგრამ მის მსჯავრდასადებად კი არა, გადასარჩენად მოვიდა.

> *— უცოდველი იესოა, მაგრამ იგი უარს ამბობს ქალის ჩაქოლვაზე.*

იესო ხმას არ იღებს, სანამ ყველა ბრალმდებელი არ წავა. ისინიც ჩუმად მიდიან და ალბათ, რცხვენიათ კიდეც, რადგან ახლახანს აღიარეს ხალხის წინაშე, თუ როგორ უნდოდათ მისი მახეში გაბმა საკუთარი ცოდვილიანობის მიუხედავად. იესო იცდის, სანამ ყველა არ წავა და მის წინ მდგომ ქალს მიმართავს:

> „წამოიმართა იესო და იმ დედაკაცის გარდა რომ ველარავინ დაინახა, ჰკითხა მას: „დედაკაცო, რა იქნენ შენი ბრალმდებელნი? არავინ დაგდო მსჯავრი?“ ქალმა უპასუხა:
>
> „არავინ, უფალო!“
>
> იესომ უთხრა: „არც მე გდებ მსჯავრს. წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ“. (იოან. 8:10-11)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ქალი იქამდე რჩება, სანამ იესო არ ადგება და დაელაპარაკება. იგი არ კმაყოფილდება მოძღვრის ნათქვამით *მის შესახებ*. მას სურს, რომ იესო *პირადად გამოელაპარაკოს*. ქალს შეეძლო სიბნელისთვის შეეფარებინა თავი, როცა ეზო უკანასკნელმა ბრალმდებელმა დატოვა, მაგრამ იგი იცდიდა ... შიშველი და შერცხვენილი იდგა იესოს წინაშე. ქალი სიბნელეში ცხოვრებამ დაღალა. იგი რჩება, რადგან პატიება და განთავისუფლება სურს. მოძღვრის სიტყვების შემდეგ წასვლა შეუძლია ... სიკვდილს გადაურჩა და ყველას თვალწინ ეპატია. მსჯავრდადების ყოველი კითხვა მოშორდა. ამ უნარებით ქალს ცოდვილი ცხოვრების მიტოვების ძალა მიეცა.

იგი თავს მაღლა წევს და იესოს თვალს უსწორებს. ქალი მის თვალებში პატიებას, წყალობას და სიყვარულს ხედავს, მაგრამ იქ კიდევ არის რაღაც ... ნუთუ ეს ტკივილია? ალბათ, მომხდარის გააზრების შემდეგ რომელიღაც იქ მყოფმა ქალმა მხრებზე საკუთარი მოსასხამი მოახვია და მისი სიშიშვლე დაფარა. იქნებ შენ ხარ ქალი, რომელმაც ის შემოსა. სიჩუმემ დაისადგურა, რადგან ქალი წყნარად მიაბიჯებს იგივე ქუჩაზე, რომლითაც ახლახან თრევით მოიყვანეს. მზე კაშკაშებს. მისთვის ახალი დღე გათენდა, რომელმაც განახლებული იმედი და დაპირება მოუტანა. იესო ჩერდება, როცა ქალი მიდის.

> *ქალი მის თვალებში პატიებას, წყალობას და სიყვარულს ხედავს, მაგრამ იქ კიდევ არის რაღაც ... ნუთუ ეს ტკივილია?*

„კვლავ ელაპარაკა ხალხს იესო; უთხრა: „მე ვარ სინათლე ქვეყ-ნისა, ვინც მე მომყვება, ბნელში არ ივლის, არამედ სიცოცხლის სინათლე ექნება“. (იოან. 8:12)

იგი აღარ არის სიკვდილისა და სიბნელის ასული, არამედ სიცოცხლისა და სინათლისა. ქალი ისრაელიანი იყო. სხვა შემთხვევაში რელიგიური წინამძღოლების იურისდიქციას არ დაექვემდებარებოდა. მან აღთქმა დაარღვია და ცოდვის ტყვეობაში ჩავარდა. და მაინც, ეს მოღალატე ასული მოწყალე პრინცს შეხვდა და მისი ცხოვრება შეიცვალა.

ვერაგმა მტერმა ახლანდელი თაობის ქალები შიშვლები და

დამნაშავეები წაათრია წმიდა ღვთის წინაშე. გველი ახლაც დასცინის პრინცს ჩვენი სირცხვილით. რა უნდა მოუხერხო მეძაობის და მრუშობის ასულებს? განა მათ აღთქმა არ დადეს შენთან? რატომ აღმოჩნდებიან ასე ხშირად ქვეყნიერებასთან საწოლში? რამდენჯერ აპატიებ და გაათავისუფლებ სიკვდილის სასჯელისგან? ეს გახლავთ სულისშემძვრელი კითხვები დარდიანი პრინცისთვის. მას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს – *არც მე გდებ მსჯავრს. წადი .... და ნუღარ შესცოდავ.* დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ჩვენს ცოდვასა და სირცხვილს ხედავს და მაინც ასე გვპასუხობს, რადგან მასთან აღთქმაში ვართ ებრ. 13:8-ის თანახმად: *იესო ქრისტე იგივეა გუშინ, დღეს და უკუნითი უკუნისამდე.*

დადგა დრო, როცა მისი სიტყვისა და აღთქმის გამო უნდა წამოვდგეთ ქალები და დავფაროთ საკუთარი და სხვათა სიშიშვლე წინსვლისა და ცოდვისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის. დროა, გამოვაცხადოთ მისი აღთქმა და ძალა ასულებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ სირცხვილით არიან დატყვევებული.

> „ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში. ნეტარების იმედით მოველოდეთ, ჩვენი დიადი ღვთისა და ჩვენი მაცხოვრის, ქრისტე იესოს დიდების გამოჩენას, ვინც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისგან და თავისთვის განეწმიდა რჩეული ხალხი, კეთილ საქმეებს მოწყურებული“. (ტიტ. 2:11-14)

ეს დიდებული ახალი ამბავია! ცოდვა აღარ უფლობს ჩვენზე. შეგვიძლია ზურგი ვაქციოთ მას და „არა” ვუთხრათ! იესომ წყალობა მოიღო და ღვთის მადლით გაგვაძლიერა. აღარ მივიღეთ დამსახურებული სასჯელი. გვეპატია და ხელახლა ვიშვით სასიცოცხლოდ სიკვდილისგან თავდაღწეულები. საყვარელო ასულებო, თქვენი სულების მტერს არ უნდა, რომ ეს იცოდეთ! მას სურს, სირცხვილში დაგტოვოთ და ამით ცოდვას მიგაჯაჭვოთ. იგი გაიძულებთ, იფიქროთ, რომ ცოდვაზე ბატონობა არ შეგიძლიათ, მაგრამ ეს სიმართლე არ გახლავთ. რასაკვირველია, საკუთარი ძალით ვიმოქმედებთ და დავმარცხდებით, მაგრამ ამ

ბრძოლებში მარტო აღარ ვართ. ჩვენ მასში ვართ და ეს საჭურველი ძალმოსილია!

ახლა თავისუფლება და დიდებული იმედი მივიღეთ სამომავლოდ. აღარ გვაქვს უფლისა და მხსნელის დაბრუნების შიშის მიზეზი, რადგან მან ბოროტებისგან გამოგვისყიდა და თავის საკუთრებად გვაქცია. აქამდე ხალისით ჩავდიოდით ბოროტს ... ახლა კი სიკეთის კეთება გვახარებს! როცა ნამდვილად ვიშვებით ზეციდან, ჩვენი ბუნებრივი სურვილები იცვლება. იგი გვპატიებს და ჩვენს ბუნებას მისი სიტყვებით ცვლის: *წადი და აღარ შესცოდო*! ეს პატიების წინაპირობა როდია ... უკვე ნაპატიები ვართ?! ეს დამაჯერებლობისა და უკეთესი ცხოვრების რწმენის ხმაა. სანამ ხელახლა ვიშვებოდი, მრუშობა და სმა ძალიან მომწონდა. ეს სწორედ ის საქმიანობა იყო, რასაც თავისუფალ დროს ვეწეოდი. ამგვარი გართობა მწყუროდა, მაგრამ ზეციდან შობის შემდეგ ცოდვის მამოძრავებელი ძალა ჩემგან წავიდა.

ჩემნაირი დამნაშავე ქალის მიმართ იესოს სიტყვები, შეიძლებოდა, ასეთი სახის ყოფილიყო: „მსჯავრს არ გდებ ... გპატიებ და ცოდვის განაჩენისა და სასჯელისგან გათავისუფლებ!“ ვერასოდეს დავიმსახურებთ ჩვენს მიმართ გამოვლენილ წყალობას. ასევე შეუძლებელია ღვთისმოსაობაში სიარული და ცოდვასა და ქვეყნიერებისადმი ლტოლვაზე უარის თქმა ღვთიური მადლის გარეშე. ცოდვას აღარ აქვს კანონიერი უფლება ჩვენს ცხოვრებაზე, რადგან...

> „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს!“ (გალ. 5:1)

მტკიცედ იდექით! მყარად დადექით და არ მისცეთ მსჯავრდადებას ცოდვილი ცხოვრების წესში თქვენი ხელახლა ჩართვის უფლება! შეეწინააღმდეგეთ წარსული სირცხვილის ყოველ აჩრდილს, რომელიც ურჯულოებაზე უარის თქმის უფლების საშუალებას არ გაძლევთ. შესაძლოა, ადრე ძალიან გიჭირდათ „არა“-ს თქმა დანაშაულის გრძნობისა და სირცხვილის გამო, მაგრამ წარსულისგან გათავისუფლდით და *წარსული თქვნი მომავალი არ არის!* თქვენი მომავალი ნათელი და თავისუფალია!

> „აღსდექ, განათდი, რადგან მოვიდა შენი სინათლე და უფლის დიდება გაბრწყინდა შენზე. რადგან, აჰა, სიბნელე დაფარავს

> დედამიწას და წყვდიადი – ხალხებს, შენზე კი უფალი გაბრწყინდება“. (ეს. 60:1-2)

დროა, ცოდვის ჩრდილიდან გამოხვიდეთ და ღვთის სინათლეში შეხვიდეთ. ჩვენი ბრალმდებლები ჩუმად იდგებიან უფლის წინაშე. იგი ახლაც იტყვის: „არც მე გდებ მსჯავრს. ახლა ადექი და დატოვე ეს სიბნელე! მე ვარ ნათელი, რომელსაც ეძებდი, ამრიგად, ნუღარ შესცოდავ! “ ჩვენს ირგვლივ არსებული მეტისმეტი სიბნელის გამო, ცოტა რა იყოს, ვშიშობთ, რომ ეს შესაძლებელია. ამაზე იესო გვპასუხობს: „ვიცი, რომ სიბნელეს ხედავ დედამიწაზე და მის მკვიდრებში, მაგრამ მე თქვენი მფარველი სინათლე ვარ.“ იესომ აღადგინა დიდების მოსასხამი, რომელიც ბაღში დავკარგეთ.

~ რელიგიას არ შეუძლია ჩვენი სიშიშვლის დაფარვა. ადამიანს არ შეუძლია ჩვენი სიშიშვლის დაფარვა. მხოლოდ იესოს შეუძლია.

რელიგიას არ შეუძლია ჩვენი სიშიშვლის დაფარვა. ადამიანს არ შეუძლია ჩვენი სიშიშვლის დაფარვა. მხოლოდ იესოს შეუძლია ჩვენი სიშიშვლის დაფარვა სელის ბრწყინვალე და ქათქათა სამოსით.

> „მაშინ დაინახავ და გაბრწყინდები, გაოცდები და გაიხარებს შენი გული, რადგან შენკენ მოიქცევა ზღვასავით სიმდიდრე და ერების დოვლათს შენთან მოიტანენ“. (ეს. 60:5)

მოდით, ისევ იმ უცნობ ქალს დავუბრუნდეთ, რომელსაც მრუშობისთვის ასამართლებდნენ! მას სახელი არ აქვს, რადგან მის ადგილას შეიძლებოდა ნებისმიერი ჩვენგანი ყოფილიყო, ვინაიდან უცოდველები არ ვართ და ხშირად აღმოვჩნდებით ხოლმე სხვა კაცის, რელიგიის ან ქვეყნიერების საწოლში საკუთარი თავისთვის რაღაცის დასამტკიცებლად. ეს ყოველთვის იმედგაცრუებას მოგვიტანს. საბოლოოდ, ცოდვა და რელიგია გიღალატებთ. იესო ხილულის მიღმა ხედავდა და ქალის ახლანდელი მდგომარეობის სამუდამოდ ქცევაზე უარი თქვა. არსებითად, იესომ ასე უთხრა მას: „შენი წარსული შენი მომავალი არ არის! წადი და აღარ შესცოდო! ცოდვა შენი წარსული იყო, მაგრამ ღვთისმოსაობა შენი მომავალია. ბორკილები შენი წარსული იყო,

~ საბოლოოდ, ცოდვა და რელიგია გიღალატებთ.

მაგრამ თავისუფლება შენი მომავალია. სირცხვილი შენი წარსული იყო, მაგრამ ღირსება შენი მომავალია. სიშიშვლე შენი წარსული იყო, მაგრამ ბრწყინვალე სამოსი შენი მომავალია.“

იესომ გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ქალის პატიებაა. ... მან იგი თავისუფალი გაუშვა. პატიება ჩვენი თავისუფლების დასაწყისია, მაგრამ ძალით შემოსვის გარეშე წინსვლისა და ცოდვის ბორკილებისგან გათავისუფლებულები ისევ მახეში აღმოვჩნდებოდით. თავდაპირველად, ჩვენზე წყალობა მოიღეს და შემდეგ მადლით გაგვაძლიერეს.

„ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ“. (რომ. 6:14)

ვშიშობ, დიდი ხნის განმავლობაში არ უსწავლებიათ, რომ მადლი ცოდვის დაძლევის ძალაა. საკმარისი გამბედაობა ვერ გამოვიჩინეთ იმის სარწმუნებლად, რომ ოდესმე შევძლებდით იესოს მცნების აღსრულებას უცოდველად ცხოვრების თაობაზე. დაგვავიწყდა, რომ მასში ვართ და მასთან ერთად შეუძლებელი არაფერია. შევარცხვინეთ მისი მადლი ქადაგებით, რომ ეს შეცოდების ლიცენზიაა და არა სულიერი აღჭურვილობა ცოდვისგან თავის დასაცავად.

წმიდად წოდებული ცოცხალი ღვთის სული ახლაც კი შეჰღაღადებს დედამიწის ასულებს:

„გაიღვიძე, გაიღვიძე, შენი ძალით შეიმოსე, სიონო! შეიმოსე შენი დიდების სამოსელით, იერუსალიმო, წმიდა ქალაქო, რადგან ვეღარ შემოვა შენში წინადაუცვეთელი და უწმიდური“. (ეს. 52:1)

ასულებო, გაიღვიძეთ, რადგან იმაზე ცოტა დროა დარჩენილი, ვიდრე თქვენ გგონიათ. შეიმოსეთ ღვთის მადლით და უფლისმიერი სიხარულით, რადგან ეს თქვენი გაძლიერებაა. ამ ძალის გარდა შეიმოსეთ დიდების იმედით, ბრწყინვალე სამოსლით. იოცნებეთ ზეცაზე და აქ, დედამიწაზე სამეფო ოჯახის წარმომადგენლის მსგავსად იარეთ. გაბედეთ ამაზე ფიქრი, რადგან აღთქმაში ხართ და აღთქმის გარეთ დარჩენილი წინადაუცვეთლები და უწმიდურები თქვენში ვეღარ შემოვლენ!

წარსულის სექსუალური ცოდვები და სირცხვილი ვერ შეძლებენ თქვენს მართვას ... უკვე თავისუფალი ხართ! ცოდვა და სირცხვილი ვეღარ იძალადებენ თქვენზე მოფარებულ ადგილებში.

„ჩამოიფერთხე მტვერი, აღსდექ, ტყვე იერუსალიმო, ქედის საკვრელები მოიხსენი, დატყვევებულო სიონის ასულო!“ (ეს. 52:2)

უფალი ამბობს, „ჩამოიფერთხე მტვერი. იდექი შეურცხვენელად და დაიკავე შენი ძალაუფლების პოზიცია. მე გავტეხე ცოდვის საკვრელი. ეს ჯაჭვები აღარ გიჭერს .. მე მიჭერიხარ. გადაიგდე კისრიდან და გათავისუფლდი ჩემო მშვენიერო პატარძალო!“

ჩვენ მისი მადლი გვაქვს. იგი ძალას გვაძლევს, რომ გადავიგდოთ ქედზე შემოხვეული ჯაჭვები! უღელი დამტვრეულია. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ *ჩვენი განმათავისუფლებლის სიტყვებზე მეტად ჯაჭვების ძალის გვჯეროდა.* მოგიწოდებთ, რომ უყუროთ არა ხილულ ჯაჭვებს, არამედ უხილავ საგნებს, რადგან იგი ახლაც ჩაგჩურჩულებთ ამ მოწვევას და აღთქმას: *განთავისუფლდით წარსულის ჯაჭვებისგან! მათი ჩაჭერის ძალა იმაზე დიდი არ არის, ვიდრე ჩემი უფლება თქვენზე. გაბედეთ ამის დაჯერება და მოიშორეთ!*

ესაიას 52-ე თავი სიცოცხლის წერილია ჩემთვის. თითქმის ათი წლის წინ იყო, როცა ვთრთოდი მისი აღთქმის წინაშე, რომელიც რწმენას ერწყმოდა და ამით შიშისგან წარმოუდგენელი თავისუფლება მოვიპოვე. ამის შესახებ დავწერე ჩემს წიგნში *Out of Control and Loving It*! ეს გადმოგეცით უზენაესის ასულებისთვის განკუთვნილი ძვირფასი აღთქმისა და ნიჭის სახით სექსუალური თავისუფლების სფეროში.

> *ჩვენი განმათავისუფლებლის სიტყვებზე მეტად ჯაჭვების ძალის გვჯერა.*

დროა, რომ ჭეშმარიტება შევიმეცნოთ და მას ჩვენი გათავისუფლების ნება მივცეთ! ჭეშმარიტებას ტყუილზე გაცილებით კარგად უნდა ვიცნობდეთ. ტყუილის ძალაუფლების დასამსხვრევად მინდა ერთ-ერთი მათგანი გამოვავლინო, რომელიც

~ ჭეშმარიტებას ტყუილზე გაცილებით კარგად უნდა ვიცნობდეთ.

მძლავრად ფესვგადგმულია გულგატეხილი ქალების ცხოვრებაში.

ამ ტყუილმა ქალები ტყვეობაში ამყოფა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სწორედ ის არის მიზეზი, რომ ახალგაზრდა გოგონებს ერთხელ ნათქვამი თანხმობის შემდეგ უჩნდებათ გრძნობა, თითქოს „არა“-ს თქმის უფლება აღარ აქვთ. ამ ტყუილის გამო ბლუზის ზემოდან მკერდზე შეხება გზას უთავისუფლებს უფრო შიშველ მდგომარეობაში ალერსს: „თავიდანვე არ უნდა მიმეცა ჩემი შეხების უფლება. ახლა როგორ ვუთხრა უარი?“ რასაკვირველია, ამაზე ფიქრი კი არ მთავრდება, არამედ გრძელდება. ეს იგივე ტყუილია, რომელიც გოგონებზე (განსაკუთრებით, ქალწულებზე) შეტევას ახორციელებს ისეთი ქმედებების წაქეზებით, რაც მომავალში მათზე ძალადობას განაპირობებს. ისინი სახლში ბრუნდებიან, სარკეში იხედებიან და ხედავენ გათხაპნილ მაკიაჟს, რამდენიმე საათის სიქორფე და მშვენიერება გაქრა.

ტირის თუ არა ზოგიერთი თქვენგანი? გახსოვთ, თავდაპირველი შერცხვენა და უღონობის განცდა? თქვენ მარტო იყავით და ქომაგი არ გყავდათ. არავინ შესძახა: „საკმარისია. თავი გაანებე!“ არავინ დაიცვა თქვენი ღირსება.

მინახავს ქრისტიანი ქალები, ახალგაზრდები და ხანშიშესულები, რომლებსაც უჭირდათ „არა“-ს თქმა, რადგან ადრინდელი შეხვედრების სირცხვილსა და დანაშაულის ტვირთს სხვა ქალებზე მეტად გრძნობდნენ. მათ სჯეროდათ ტყუილის: ცუდ გოგოებს „არა“-ს თქმა არ შეუძლიათ. სხვა ყველაფრისთვის თავი რომ დაენებებინათ, მათი აზრით, უკვე გათელეს თავიანთი უფლება სიწმიდეზე, ღირსებასა და პატივზე და ახლა მხოლოდ სირცხვილს იმსახურებდნენ. შინაგანი სიახლოვე დაკარგული ოცნებაა და ყველაზე კარგი, რაზეც ისინი იმედოვნებდნენ, სიბნელეში ქვითინი იყო.

რა თქმა უნდა, ეს ტყუილია. მოდით, მივყვეთ მრუშობაში დაჭერილ ქალს. ის დამნაშავე იყო? დიახ! სასჯელს იმსახურებდა? დიახ! იყო იგი წარსულის ცოდვის მიერ დატყვევებული სიონის ასული? დიახ! თუმცა იესო ტყვეების გასათავისუფლებლად

მოვდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ სირცხვილი წილად ხვდა მთელი ცხოვრების მანძილზე, სანამ არ მოისმინა სიტყვები: „წადი და აღარ შესცოდო!“

იგი შეცვლილი ბრუნდება ... იგი აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. მის სახეზე შვება იხატება, წელგამართული მიდის, თუმცა სირცხვილის ქუჩის გზაზე მიაბიჯებს. შემხვედრები მას გაოცებით უყურებენ. არ ეგონათ, თუ კიდევ ნახავდნენ ... ქვების გროვის ქვეშ ჩამარხული ეგულებოდათ. ასეთი იყო რჯული! რაღაც საოცარი მოხდა ... მოწყალებამ სასჯელზე იზეიმა. მას ეპატია დანაშაული და გათავისუფლდა ახალი ცხოვრების დასაწყებად. ფაქტობრივად, მან თავისი ცხოვრება იესო ქრისტეს თანდასწრებაში დაკარგა. უფალმა ქალს ქვის გული ამოაცალა სხეულის ჩაქოლვის ნაცვლად. ეს არ გახლდათ შეცვლის კიდევ ერთი უშედეგო მცდელობა. იგი სახლში დაბრუნდა დასაბანად და გამოსაცვლელად. ცოდვა და სირცხვილი აღარ იყო მისი ხვედრი. ქალი მოწყალებამ და მადლმა დაიპყრო.

გიწვევთ, უზენაესის ასულებო, რომ ზურგი აქციოთ სიცრუეს და გულში ჩაიკრათ უფლისმიერი ჭეშმარიტება. თქვენ მსჯავ-რდებულები არ ხართ; თქვენ გეპატიათ. თავისუფლები ხართ, რომ უკან ჩამოიტოვოთ ცოდვა და სირცხვილი, იაროთ წინ და აღარ შესცოდოთ. მოდით, ვილოცოთ:

— ძვირფასო ზეციერო მამა,

გული მიფანცქალებს ჩემს მიმართ შენი აღთქმისა და შენი სიტყვის მშვენიერებისა და ძალის გამო. მწამს, რომ იგივე ხარ გუშინ, დღეს და უკუნითი უკუნისამდე. ეს ნიშნავს, რომ ჩემს ცოდვასა და სირცხვილს მთელი მათი სიმახინჯით ხედავ, მაგრამ მაინც აცხადებ: „არც მე გდებ მსჯავრს!“ ვიცი, რომ სასჯელს ვიმსახურებ, მაგრამ წყალობა მიბოძე. ვიღებ შენს პატიებას და ცოდვისა და სირცხვილის სამოსლის შემოცლას. ვინანიებ წარსულს, შენი სიმართლის სამოსელს ვიცვამ და ისევ ვდგები შენს წინაშე შიშველი, მაგრამ შეურცხვენელი. ვიღებ ღვთის მადლს და მქუხარე „არა“-ს ვეუბნები ურჯულოებასა და ქვეყნიურ ვნებებს. ვიცხოვრებ თავშეკავებით, სიმართლით და ღვთისნიერად ამ წუთისოფელში. შენი თანდასწრების ან დაბრუნების აღარ შემეშინდება. იესო, სიცოცხლე გაიღე ჩემს გამოსასყიდად ყოველგვარი ბოროტებისგან და განმწმიდე, რომ შენი საკუთრება ვყოფილიყავი. კეთილის ქმნის მოშურნე ვარ, რადგან ცოდვა აღარ ბატონობს ჩემზე. შენ ხარ ჩემი მხსნელი და უფალი. როცა დროს გამოვყოფ კითხვისა და სწავლისთვის, დაელაპარაკე ჩემს გულს ისე, როგორც მხოლოდ შენ შეგიძლია. ყოველგვარ ბორკილს ვიშორებდა შენ განდობ ჩემს მომავალს.

სიყვარულით,
შენი ასული

4 სიყვარულის გალვიძება

ივლისის მშვენიერი და სურნელოვანი საღამო იდგა. მეგობრის სახლში სადილის დასრულებისა და მოზიარეობის შემდეგ მანქანით მოვდიოდი. ჩვენი ქმრები ქალაქში არ იმყოფებოდნენ და ჩვეულებრივი, შემთხვევითი სადილით ვისიამოვნეთ ერთობლივად, ჩვენს ექვს ბავშვთან ერთად. მათ რამდენიმე საათი ითამაშეს გარე ეზოში, სანამ დედები შიდა ეზოში ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ ვისხედით. დიდხანს ვისაუბრეთ და ყველაზე პატარებს რული მოერიათ. ჩემი ოთხი ბიჭი წყნარად იჯდა, როცა ჩრდილოეთის მიმართულებით სახლისკენ მივემგზავრებოდით. უცებ ერთ-ერთმა მათგანმა სიჩუმე დააღვია. მან ჯიბიდან აუდიოკასეტა ამოიღო და მითხრა:

– დედა, გთხოვ ეს სიმღერა ჩართო.

უკანა სავარძლებიდან მაშინვე გაისმა ერთობლივი გმინვა და პროტესტი.

– ეს სიმღერა აღარ გვინდა!

– მან უკვე ოცჯერ მოუსმინა!

– აღარ მინდა ამ წყნარი სიმღერის მოსმენა!

მასიამოვნა იმ ფაქტმა, რომ ბასების მძიმე ტემბრს ან რომელიმე ქრისტიანული რეპ-ჯგუფის ხმამაღალ ყვირილს გადავურჩი, რასაც ბიჭები თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში მასმენინებდნენ. ამ გვიან საღამოს ძალიან მეამებოდა წყნარი და დამამშვიდებელი მელოდიის გაგონება.

– ბიჭებო, დაწყნარდით! მე ჯერ არ მომისმენია და მაინტერესებს. მიდი, ჩართე! – განვაცხადე მე.

პასუხად რამდენიმე მიყუჩებული გმინვა მოისმა დანარჩენებისგან, მაგრამ იმდენად დაღლილები იყვნენ, რომ ბრძოლის თავი აღარ ჰქონდათ. კასეტა ჩავდეთ და თანამედროვე

ქრისტიანული ჯგუფის ამაღელვებელი და სენტიმენტური სასიყვარულო სიმღერა გაისმა.

თვალის კუთხეში ჩემი ვაჟის სახე დავაფიქსირე, რომელსაც ეტყობოდა, რომ სიმღერის ყველა სიტყვა, ინტონაცია და გადასვლა ზეპირად იცოდა. აშკარაა, რომ კარგად შეესწავლა და მელოდიას ისეთი გულითადი გრძნობებით ყვებოდა, რომ თავი, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი. სიმღერა გვიყვებოდა შემსრულებლის უკვდავ სიყვარულსა და დაპირებაზე, რომ შეყვარებულისთვის სიცოცხლეს გაწირავდა. ეს იყო ჭაბუკის სულის საწინდარი ახალგაზრდა ასულის სიყვარულში. და მაინც, რაღაც კარგად არ ჟღერდა ჩემთვის. საკმაო ხანი ვიცხოვრე იმისთვის, რომ არ მცოდნოდა, რაოდენ კეთილშობილურ გრძნობებს აღძრავს მსგავსი სიმღერა, თუმცა ამ ამბავს ბოლოს ნაკლებად მოადევნებენ ხოლმე. ამ ყველაფერმა გონებაში ელვასავით გამირბინა. გავაცნობიერე, რომ ჩემს შვილს ძალიან მოსწონდა სიმღერა და მისთვის სათქმელი ბრძნულად და სიფრთხილით უნდა შემერჩია.

– განა საოცარი სიმღერა არ არის? – იკითხა მან შორეული ხმით.

– კი, ძალიან კარგია...მაგრამ შენი აზრით, რის პირობას იძლევა? რას გულისხმობს? – ვამოწმებდი მე.

– ის პირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს მისთვის. თუ საჭიროა, თავსაც გაწირავს, – მიპასუხა ჩემმა ვაჟმა.

– შენი აზრით, დაპირებას შეასრულებს? სიმღერა მართლაც მშვენიერია, მაგრამ რა ადგილს უჩენს თავის გულში ამ გოგონას? შეყვარებული გადაწყვეტს ცხოვრებაში აღებულ მიმართულებას თუ ღმერთი?

ვიცი, რომ ახლა ზუსტად იმას გაიფიქრებდით, რასაც მაშინ ჩემი შვილი ფიქრობდა ... ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ სასიყვარულო სიმღერაზე! ეს იმ დროს შეეხება, როცა ბიჭები დაპირებებს იძლევიან. მეც ვეთანხმებოდი, მაგრამ ამ შემთხვევამ შემაშფოთა. აი, ჩემი ვაჟი, რომელიც მთელი გრძნობით მღერის. მისი სულის სიღრმეში ასეთი მოწადინებით, მიძღვნითა და თავგანწირვით შეყვარების სურვილი წარმოიშვა. სიმღერამ მიძინებული გრძნობები გააღვიძა, რომლებიც აქამდე უმოქმედო იყო და მე ეს ვიცოდი.

განვლილ საღამოს თვალი გადავავლე. იმ დროს, როცა სხვა ბავშვები გარეთ თამაშობდნენ, ჩემი ვაჟი სახლში დარჩა

ამ სასიყვარულო სიმღერის არაერთხელ მოსასმენად. მას ბევრჯერ სთხოვეს თამაშში ჩაბმა, მაგრამ უარზე იყო. იგი სიყვარულის იდეოლოგიამ და სილამაზემ ისე დაატყვევა, რომ მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდა, რახან ერთხელ მოექცა მისი გავლენის ქვეშ.

~ მე დავინახე გამოღვიძება ... და შესაძლებლობა.

მე დავინახე გამოღვიძება ... და შესაძლებლობა.

„შენ იმ ასაკში ხარ, როცა სიყვარული გაღვიძებას იწყებს. არჩევანის წინაშე დგახარ. შეგიძლია რომანტიკულ სიყვარულს გაღვიძების საშუალება მისცე და იმედგაცრუებული დარჩე მომდევნო ხუთიდან რვა წლამდე, სანამ შესაფერის საცოლეს არ იპოვი. გაქვს სხვა არჩევანიც – გააღვიძო სხვა სახის სიყვარული, უფლისადმი შენი სწრაფვა. უნდა აირჩიო ამ ორის სახის სიყვარულს შორის, რადგან ერთ-ერთის გამოღვიძების დრო დადგა.“

~ გაქვს სხვა არჩევანიც – გააღვიძო სხვა სახის სიყვარული, უფლისადმი შენი სწრაფვა.

სოლომონმა იცოდა და კარგად ესმოდა ეს საკითხი, ამიტომ ახალგაზრდებს პასუხისმგებლობა დააკისრა, რომელიც ყველა დროში გამოსადეგია:

> „გახსოვდეს შენი შემოქმედი შენი სიჭაბუკის დღეებში, ვიდრე დაგიდგება ავი დღეები და გეწევა წლები, რომლებზეც იტყვი: „აღარ მახარებს ისინი!“ (ეკლ. 12:1)

იმ საღამოს ჩემს ვაჟს უბრალო ფორმით გავუზიარე ის, რასაც ახლა თქვენ გიყვებით. სწორედ ახალგაზრდობაში იღვიძებს სიყვარული და გულები გვიძგერს. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ აქტიურად უნდა გავაკონტროლოთ და განვსაზღვროთ, რა სახის სიყვარული წამოიწევს და გვიკარნახებს მისთვის სასურველ ქმედებებს. რომანტიკულ სიყვარულს დასვენებისა და თვლემის საშუალება უნდა მივცეთ მისი გამოღვიძების დრომდე, რომ ბუნებრივი ვნება მძინარე მდგომარეობაში იყოს. ამ დროს კი ღვთისადმი მგზნებარე სიყვარულში უნდა გავიზარდოთ. შეგვიძლია მძაფრად გვიყვარდეს ერთ სფეროში და გაცნობიერებულად პასიური ვრჩებოდეთ მეორეში?

დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია. ეს ისევე ხდება, თითქოს რომანტიკული სიყვარული გაგვეღვიძებინოს, მაგრამ განსხვავებული მიმართულებით.

ამის ალბათობაში რომ დაგარწმუნოთ, უკან დავიხევ და მაგალითად ჩემს სკოლისდროინდელი ბავშვობის სიყვარულის პირველ შეხვედრებს მოვიყვან. ეს ჩემი უფროსკლასელობის პრელუდია გახლდათ, მაგრამ მეხუთე კლასამდე ბიჭებისადმი არანაირი ინტერესი არ მქონდა. ისინი უბრალოდ, ქმნილებები იყვნენ, რომლებიც მე და ჩემს საუკეთესო მეგობარს, მერსის, თავს გვაბეზრებდნენ მოედანზე თამაშის დროს ან სკოლისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ხშირად ხელჩაკიდებულები მივდიოდით და ერთმანეთს გულის დაფარულ საიდუმლოებებს ვუზიარებდით, სანამ რომელიმე გადარეული ბიჭი არ გამოქანდებოდა ჩვენი ხელების მტკიცე კავშირის გასაწყვეტად და გზად ერთ-ერთის ქუდს არ წარიტაცებდა (როგორც წესი, ქუდი მერსის იყო, რადგან ის უფრო ლამაზი გახლდათ). ეს, რასაკვირველია, ომს ნიშნავდა! მყისვე გავედევნებოდით მას და ჩვენი ქონების დაბრუნებას მოვითხოვდით. თან გზა და გზა ყოველგვარის სახის მუქარას ვუგზავნიდით, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოთ და მეტად ვრცელი და შთამბეჭდავი სახელებით ვამკობდით. ჩვენ თავგამოდებული ქალბიჭები ვიყავით და არ ვაპირებდით ზოგიერთი გამაღიზიანებელი არსების თავხედობის ატანას!

— სწორედ ახალგაზრდობაში იღვიძებს სიყვარული და გულები გვიძგერს.

ამ პროცესში ბიჭები ჩერდებოდნენ და ხვდებოდნენ, რომ მართლა მაგრები ვიყავით, ამიტომ ქუდებს გვიბრუნებდნენ და ჩვენც სახლამდე დარჩენილ გზას სიცილითა და შეძახილებით მივუყვებოდით ტრიუმფის ნიშნად ხელებაპყრობილები. თუმცა მეოთხე კლასის შემდეგ მერსი ჩამომშორდა და ბიჭებთან ბრძოლა მარტო მიწევდა.

მეხუთე კლასში ბევრი რამ შეიცვალა. ბიჭებისგან ფურცლები მომდიოდა და ისინი ჩემი „სიით“ ინტერესდებოდნენ. თუ არ იცით, რაზეა საუბარი, გეტყვით, რომ „სია“ გახლავთ ბიჭების რეიტინგი დაღმავალი თანმიმდევრობით. თავდაპირველად ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და რეიტინგობანას თამაშში არ ვმონაწილეობდი. მოგვიანებით ისეთი რაღაც მოვისმინე, რომ ძალიან დავინტერესდი:

– ლიზა, შენ მესამე ხარ სტიუარტის სიაში და მეორე – რიკის რეიტინგში.

მე ყოველთვის ასე ვპასუხობდი:

– არ მინდა ჩემი სახელი ამ სულელურ სიებში ეწეროს!

თავში ერთი აზრი მომივიდა ... თუ მე ვიყავი მეორე და მესამე, ვინ იყო ნომერი პირველი? ბიჭები რომ არ მომწონდა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ არ მინდოდა მათ სიებში პირველ ნომრად ყოფნა! განა კლასში ყველაზე სწრაფად არ დავრბოდი? ჩანს, რომ ეს არაფერში ითვლებოდა! მომინდა, რომ პირველი ვყოფილიყავი ვიღაცის სიაში ... მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ბიჭი?

მოგვიანებით შევნიშნე, რომ სიას თავისთავად რაღაც ძალა ჰქონდა. ჩემთვის მოსაწყენი, თოჯინა ბარბის მსგავსი გოგონები ბევრად მისწრებდნენ ბიჭების რეიტინგებში, რომლებთანაც თუნუქის ქილით ვთამაშობდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ქუდების გამტაცებელები მათ სიებში პირველ ადგილებზე იყვნენ. ალბათ ჩემი საკუთარი სია უნდა შემედგინა ან გამერისკა და სიაში მხოლოდ ერთი ბიჭი ჩამეწერა. ერთი მათგანი მართლაც მომწონდა. მხოლოდ მისი სახელი მომივიდა თავში, როცა ერთ-ერთ ღამისთევაზე პასუხის გაცემა მომიხდა. იცით კითხვა როგორი იყო? „ვიცი, რომ არავინ მოგწონს, მაგრამ ვინმეზე დაქორწინება რომ მოგიხდეს (ასე ვთქვათ, იარაღის მუქარით), ვის აირჩევდი?“

ის ბიჭი ჭკვიანი, პოპულარული და მოხდენილი იყო ... ყველა გოგოს მოსწონდა, ამიტომ მის სახელს ხმამაღლა არასოდეს ვიტყოდი, რადგან ყველანი დამცინებდნენ (მე ხომ საყოველთაოდ აღიარებული ქალბიჭა ვიყავი). ამიტომ ყოველთვის ასე ვპასუხობდი: „არავის! გათხოვებას არ ვაპირებ!“

როცა ამგვარ საღამოებზე საძილე ტომარაში ჩავძვრებოდი დასაძინებლად, თავში ყოველთვის ის მიტრიალებდა და ჩვენს შორის რაღაც იცვლებოდა. იგი ხშირად მაბრაზებდა სათამაშო მოედანსა და კლასში, მაგრამ როცა სოციალური კვლევის საათებზე გვერდიგვერდ ვისხედით, ყოველთვის მე მელაპარაკებოდა. ერთმანეთს მეტად შინაარსიან და მგრძნობიარე ტექსტებსაც ვწერდით: „შენი აზრით ეს გაკვეთილი მაგარია თუ დებილობაა? (მონიშნე მხოლოდ ერთი პასუხი). რაღაც დროის შემდეგ ჩემამდე ხმები მოვიდა, რომ იმ ბიჭის სიაში ზემოთ ავინაცვლე, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი.

ერთ დღეს მან კლასში ფურცელი გამომიგზავნა, რომელშიც სერიოზულად მეკითხებოდა, ვინ იყო პირველი ჩემს სიაში. (ჩემი სია ჯერ კიდევ არ არსებობდა!) არ მიპასუხია, ისე დავუბრუნე ფურცელი და ვკითხე, ვინ იყო პირველი მის სიაში. მან ფურცელი დაჭმუჭნა და ახალი გამომიგზავნა:

– მე პირველმა გკითხე.

ისევ უკან გავუგზავნე გამომწვევად:

– მერე რა! მე მეორემ გკითხე!

არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა აღიარება, რომ ჩემს სიაში პირველი იყო და ამის გამხელით თავის სიაში მეორე ადგილზე განმათავსებდა! ვიფიქრე, რომ პირველ ნომრად იმ შემთხვევაში ჩავსვამდი, თუ მის სიაში პირველ ადგილზე ვიქნებოდი, ხოლო თუ მეორე ადგილს მიმიჩენდა, მეც მეორე ნომრამდე დავაქვეითებდი. მოულოდნელად ფიქრი მასწავლებელმა შემაწყვეტინა. მან ორივე გამოგვიძახა და ფურცლების გადაცემა აგვიკრძალა. თუ არ დავემორჩილებოდით, ჩვენს მინაწერს კლასში ხმამაღლა წაიკითხავდა. ორივენი გავწითლდით და კარგა ხანს იატაკს მივჩერებოდით.

შემდეგ მან ჩამჩურჩულა:

– პირველი ნომრის სახელი ფეხსაცმლის ძირზე დაწერე და მეც დავწერ. ერთმანეთს ერთდროულად ვაჩვენოთ.

– კარგი, – დავთანხმდი მე, მაგრამ რაღაც ხრიკი მქონდა მოფიქრებული. სახელის ნაცვლად სხვა სიტყვა დავწერე. ძალიან მეშინოდა, რომ მის ფეხსაცმელზე ჩემი სახელი არ აღმოჩნდებოდა.

– სამამდე დავითვლი და მერე ორივე ვაჩვენებთ სახელებს, კარგი? — მითხრა მან.

მე თავი დავუქნიე, გავიღიმე და რაც შეიძლებოდა მაგარი გოგოს იმიჯი მოვირგე, თუმცა ჩემი ათი წლის გული წარმოუდგენელი სისწრაფით ცემდა.

– ერთი, ორი, სამი – დაიჩურჩულა მან და ფეხსაცმლის ძირი მაჩვენა შესამოწმებლად. მასზე ინიციალები ეწერა P. B. ეს მის მიერ შერქმეული მეტსახელი იყო. მე ზოზინით ავწიე ფეხი, რომელზე ეწერა ასოები BURN. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ეს არ გახარებია. მაშინვე დავკარგე მისი კეთილგანწყობა და საერთოდ ამოვვარდი მისი სიიდან. ორივენი გავწითლდით და მას არა თუ ხმა არ ამოუღია გაკვეთილის ბოლომდე, ჩემსკენ არცკი გამოუხედავს. ახლა, როცა მისი გაბრაზება დავინახე, მივხვდი, რომ ნამდვილად მოვწონდი! თუმცა ის ჩემთან საქმის

დაჭერას აღარ აპირებდა. კიდევ ერთი პრობლემა არსებობდა ... ჩვენს სკოლაში ერთი ახალგადმოსული ბიჭი იყო, სახელად ჯონი (არა ჩემი ქმარი), რომელიც ყველას ეუბნებოდა, რომ მის სიაში პირველი ვიყავი. ყველა გოგოს მოსწონდა ის, რადგან ახალი იყო, მაგრამ მე არ მომწონდა. ის მომწონდა, რომელიც უკვე დავკარგე.

რაც უფრო მეტად მესმოდა, რომ ჯონს მოვწონდი, მით მეტად ვაპროტესტებდი მის ყურადღებას. ბოლოს და ბოლოს, იგი ჩემი კლასელიც კი არ იყო. მე მას მხოლოდ მოედანზე და საკლასო ოთახების შეცვლისას დერეფანში ვხედავდი. მასთან შეხვედრისას გვერდზე ვიხედებოდი და უარს ვამბობდი რაიმე ფურცლის გამორთმევაზე, რომლის გადმოცემასაც ცდილობდა. ერთხელაც მან შორს შეტოპა.

სახლში მივდიოდი რამდენიმე მეგობართან ერთად. ჯონი და მისი მეგობარი ერიკი ველოსიპედებით უკან მოგვყვებოდნენ და ძალიან გამაღიზიანებლად, წამღერებით გაიძახოდნენ: „ჯონს უყვარს ლიზა, ჯონს უყვარს ლიზა“. მთელი ძალით ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ჩემი მეგობრები ხითხითებდნენ და მათ ყვებოდნენ სიმღერაში. სახე უფრო და უფრო მეტად მიხურდა. უცებ შემოვბრუნდი, ბიჭებს მრისხანედ გადავხედე და ხელი ავწიე მუქარის ნიშნად, მაგრამ ჯონი მომვარდა, ქუდი მომტაცა და ველოსიპედით გაიქცა. მთელი ძალით გავეკიდე და ერთ ხესთან დავეწიე. მან ველოსიპედი მიაგდო და ხის შტამბის მეორე მხრიდან დაიწყო ჩემი ქუდის ქნევა და დაცინვა.

– ვინ მოგწონს? მითხარი და ქუდს დაგიბრუნებ! – მოითხოვდა ის.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. როგორ გაბედა ქუდის წართმევა და ჩემთვის ბრძანებითი ტონით ლაპარაკი? დიდ ჯოხს დავწვდი, რომელიც ჩემს ფეხებთან ეგდო (კარგი, არც ისე დიდი ჯოხი იყო), მუქარის ნიშნად ჰაერში გავიქნიე და დავიღრიალე:

– ჩემი ქუდი დამიბრუნე, თორემ შენს ველოსიპედს დავამტვრევ!

მან უდარდელად მიპასუხა:

– მიდი! დაამტვრიე! არ მაღელვებს, რადგან ... მიყვარხარ!

— მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. საკმარისად დავმცირდი ... ავიღე დიდი ჯოხი და თავში დავცხე.

რა?! მან „სიყვარული“ ახსენა? ახლა უკვე ყველა იცინოდა და ამან სულ გამაცოფა. მან ყველაფერი გააფუჭა! სანამ გავაცნობიერებდი,

რა ხდებოდა, ხესთან მივვარდი. მისგან მხოლოდ ხის შტამბი მყოფდა. კიდევ ერთხელ მოვთხოვე ქუდის დაბრუნება, მაგრამ ამის ნაცვლად მან სიყვარულის ახსნა გააგრძელა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. საკმარისად დავმცირდი ... ავიღე დიდი ჯოხი და თავში დავცხე. მან ქუდი დააგდო, მე კი – ჯოხი. ჩემი მეგობრები გაისუსნენ. ერიკი მოვარდა და მისკენ გაიქცა. არც დამიხედავს, ყველაფერი კარგად იყო თუ არა, ქუდს ხელი დავავლე და თავზე ჩამოვიფხატე. შემდეგ მეგობრებს ხელი ჩავჭიდე და სახლისკენ მიმავალ გრძელ გზას გავუყევით.

სახე გაწითლებული მქონდა და მთლად მიხურდა. მეგობრებმა აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ. ჯონი მოსიყვარულე გმირი იყო? მე საძაგლად მოვიქეცი? ჩემს საქციელს ვამართლებდი. ჯონი გავაფრთხილე, ... მაგრამ არ გაიგონა. იქნებ ახლა მაინც დამანებოს თავი! სახლში შევედი და დედას ვუთხარი თუ არა, რომ ქუდი წამართვა ერთმა მომაბეზრებელმა ბიჭმა, რომელსაც ჯონი ერქვა, ჩემი ოთახისკენ გავიქეცი. ჩემთვის აღთქმაც კი დავდე, რომ არასოდეს გავყვებოდი ბიჭს, რომელსაც ჯონი ერქმეოდა მისი საძაგელი საქციელის გამო (არასოდეს თქვა არასოდეს!) ჩემს უსაფრთხო ოთახში ნელ-ნელა დავწყნარდი და საშინაო დავალების შესრულებას შევუდექი. რაღაც დროის შემდეგ შემოსასვლელის ზარის ხმა გაისმა. ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან წინა კარი ჩანდა, სადაც ახლა ჯონის დედა იდგა.

მუცელი ამტკივდა. მივხვდი, რომ საქმე არც ისე კარგად მქონდა. დერეფანს გავუყევი და ისეთ ადგილას გავჩერდი, საიდანაც ქვემოთ მოსაუბრეთა ხმას გავიგონებდი. ნაამბობი ასე გამოიყურებოდა: „ჩვენმა ბიჭმა თქვენს გოგონას უთხრა, რომ უყვარდა და მან თავში ჯოხი ჩასცხო“. კინაღამ ვიყვირე პროტესტის ნიშნად, მაგრამ დედაჩემის ხმა გავიგონე: „როგორც ვიცი, მან ქუდი წაართვა“. მოგუდულმა ხმამ რაღაც წარმოთქვა სისხლსა და ნაკერებზე, ხოლო დედამ მობოდიშება დაიწყო. როგორ შეეძლო?! სხვა დახშული ხმებიც გაისმა დარწმუნების ტონით, რომ მე დამელაპარაკებოდნენ. ამის შემდეგ მტრის დედა წავიდა.

კარი მოიხურა თუ არა, დედაჩემი საერთო ოთახისკენ გაემართა, რომ მამისთვის მოეყოლა მთელი ეს საშინელი ისტორია. გაფაციცებით ვუსმენდი, როდის გაისმებოდა ღრიალი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად სიცილის ხმა გავიგონე. ისინი ჩემს ნამოქმედარს იხსენებდნენ. დროულად მოვასწარი ჩემს ოთახში

დაბრუნება, რადგან ისინი უკვე ჩემკენ მოემართებოდნენ სერიოზული საუბრის დასაწყებად. ისინი ყველანაირად შეეცადნენ, რომ აეხსნათ, რა შეიძლება მოყვეს ჯოხის ჩარტყმას, იქნება ეს წინასწარგანზრახული თუ არა. მათ მითხრეს, რომ ბიჭი შეიძლებოდა მომკვდარიყო, თუმცა მას მხოლოდ კანი გადაუსკდა და რამდენიმე ნაკერი დაადეს. ცოტა არ იყოს, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან ჯონი ალბათ თავშეხვეული მოვიდოდა სკოლაში. ყველას ეცოდინებოდა, რომ ახალ ბიჭს ჩავარტყი.

„ეტყობა, მართლა მოსწონხარ!“ – მითხრა დედამ და კარი გაიხურა.

მე კი ვფიქრობდი, შესაძლებელი იყო თუ არა ისევ ვყვარებოდი მას შემდეგ, რაც ჩემმა ჩარტყმამ ნაკერების დადებამდე მიიყვანა. სხვა ბიჭი, ალბათ, ჩათვლიდა, რომ მომწონდა. ან იქნებ მას ახლა ჩემი შიში გაუჩნდა! საწოლში ჩავწექი, თუმცა ვფიქრობდი, რას მოიტანდა მომდევნო დღე. რაღაც სულელური გრძნობა მქონდა და მოსვენება დავკარგე.

მეორე დილას კლასში ჩუმი ზუზუნი ისმოდა და როცა შევედი, მასწავლებელმა მრავლისმეტყველი მზერით შემომხედა.

– მართალია, რომ ჯონს ჩაარტყი და თავი გაუხეთქე? – შემომეხვია მთელი კლასი.

– კი, – უდარდელად ვუპასუხე მე, თითქოსდა ვეუბნებოდი, რომ ბუზის სპილოდ გადაქცევა არ ღირდა.

მოთამაშე თოჯინა ბარბიმ თავისი მერხიდან დაილაპარაკა:

– არ მჯერა, რომ მის სიაში *ისევ* პირველი ხარ.

ვიცოდი, რომ მის სიაში პირველი ჯონი იყო.

ამ პატარა ქერათმიანს ძალზე ჩაუვარდა გულში ეს ბიჭი. გამიკვირდა, რომ საერთოდ ვიყავი მის სიაში! უჰ! დედაჩემი მართალი იყო ... ეტყობა ნამდვილად ვუყვარდი. ამის შემდეგ გადავწყვიტე ხმა გამევრცელებინა, თითქოს მასზე ვფიქრობდი და სიაში ჩართვასაც ვაპირებდი. (ბოლოს და ბოლოს, ეს ის მცირედი იყო, რაც მისთვის შემეძლო გამეკეთებინა თავის გატეხვის შემდეგ!) ფურცელიც კი გამოვართვი დერეფანში იმ დღეს. სიმართლე რომ ვთქვა, მისმა დაჟინებამ დამაფიქრა. ეს საყვარელი მეხუთეკლასელი ბიჭი, სახელად ჯონი, ჩემი ერთგული დარჩა, სანამ მომდევნო ზაფხულს სხვაგან არ გადაიყვანეს. (წასვლის წინ ტიროდა). არც კი მჯეროდა, რომ როდესმე თავი გავუტეხე, როგორც ყველა თქვენგანმა იცის

... ბოლოს მაინც ჯონით დავასრულე. სხვა რომ არა, როგორ შემეძლო შევწინააღმდეგებოდი ასეთ მყარ, უსაფრთხო სიყვარულს? კარგი კითხვაა. როგორ შეძლებს ამას რომელიმე ჩვენგანი?

„ჩვენ გვიყვარს *იმიტომ, რომ* პირველად მან შეგვიყვარა“. (1 იოან. 4:19)

ჩვენ გვიყვარს, რადგან პირველად მან შეგვიყვარა და თავი უსაფრთხოდ გვაგრძნობინა. იგი ერთგულია და ყველა ჩვენგანი პირველია მის სიაში. ეს არ გახლავთ წუთიერი, დაწყებითი სკოლისდროინდელი შეყვარება, რომელიც ყოველი ახალი სემესტრის დადგომისას ან ახალი გოგოს გამოჩენისას მერყეობს. *მის სიყვარულში დარწმუნებული ვართ, რადგან მანამდე შეგვიყვარა, სანამ საერთოდ მისკენ გავიხედავდით.* იგი ისე შორს წავიდა, რომ ამ სიყვარულის შესახებ ყველასთვის ხელმისაწვდომ წიგნში ჩაწერა და არა ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელსაც ბოლოს ნაგავში მოისვრიან. იგი აცხადებს, რომ მისი სიყვარული სამუდამოა და მას აღთქმით ამაგრებს.

~ მის სიყვარულში დარწმუნებული ვართ, რადგან მანამდე შეგვიყვარა, სანამ საერთოდ მისკენ გავიხედავდით.

„სამუდამო სიყვარულით შეგიყვარე, ისრაელ, ამის გამო მიგიახლოვე წყალობით“. (იერ. 31:3)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთი აქ წარსული დროის ზმნებს იყენებს. იგი ამბობს, “შეგიყვარე“, ასე ვთქვათ, „*დიდი ხნის წინ გადავწყვიტე შენი შეყვარება და ეს არ შეიცვლება. ამიტომ გამოგიწოდე ხელი და ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემსკენ მომეზიდე. შენი ყურადღება მივიპყარი. ჩემი წყალობა არ დამიშურებია, რომ გცოდნოდა, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ჩემთვის.*

ამრიგად, ღვთის სიყვარულის გამოღვიძების პირველი ნაბიჯი ჩვენდამი მისი სიყვარულის გაცნობიერება და აღიარება გახლავთ. გამოცხადება უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი შესაზიზღი და უკუმგდები ქცევის მიუხედავად, იგი მაინც ისწრაფოდა ჩვენი განრისხებული, ჯოხმოღერებული ფორმებისკენ და

ყურში გვიჩურჩულებდა: „მე შენ მიყვარხარ!“. ეს ფურცელი გამოვართვით, წავიკითხეთ და მისი ჭეშმარიტების წონას ჩვენს გულებში ჩაძირვის უფლება მივეცით. მისი ფეხსაცმლის ძირებზე ჩვენს სახელს ვეძებთ, მაგრამ იგი თავს მაღლა გვიწევს და გვაჩვენებს: *არა, იქ არა, ჩემო შვილო; შენი სახელი ხელისგულებზე მაწერია.* შემდეგ უფალი ხელის გულებს გვაჩვენებს, რომელსაც წარუშლელად ატყვია ჩვენი სახელები.

> *— არა, იქ არა, ჩემო შვილო; შენი სახელი ხელისგულებზე მაწერია.*

> „თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, მოთმინებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას მონანიებისკენ მიჰყავხარ?“ (რომ. 2:4)

ერთ დროს ამ მშვენიერ და უდიდეს ჭეშმარიტებას ვეწინააღმდეგებოდით, რადგან სხვა არჩევანს ვაკეთებდით. როგორ უნდა ვუპასუხოთ ამგვარ გაცნობიერებას? მივიღებთ მის გაშლილ მკლავებს და თავადაც შევეგებებით თუ ზურგს შევაქცევთ უხილავს, რომ მასთან გვქონდეს კავშირი, ვისაც ვხედავთ და ვეხებით?

უნდა ვაღიარო, რომ ეს ნამდვილად არ არის ადვილი გზა-გასაყარი, მაგრამ მნიშვნელოვანია მასზე დადგომა და გადაწყვეტილების მიღება ჩვენი ასაკის ან ურთიერთობების მიუხედავად. ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა და ქრისტეს მოწაფეებმა, ვიცით, რა გზა უნდა ავირჩიოთ, მაგრამ მასზე როგორ ვიაროთ, ყოველთვის ნათელი როდია. მეყსეული დაკმაყოფილების დაპირება თავდაპირველად უფრო მიმზიდველი გვეჩვენება, ვიდრე ძვირფასი იმედი, რომელიც იგვიანებს.

ჩვენი მომდევნო ნაბიჯი ღვთისადმი ლტოლვის გაღვიძებაში გახლავთ მისი ნამოქმედარის გამოხმაურება და ჩვენდამი უფლის სიყვარულის აღიარებაზე მეტის გაკეთება იმით, რომ მის კვალზე სიარულს ავირჩევთ. სახეს მისკენ მივაქცევთ და შევიცნობთ, როგორც თავად ვართ შეცნობილნი.

როგორ ვუპასუხოთ მას, ვისაც ვერ ვხედავთ? იგი აღთქმის მთავარია და აქამდე არავის უნახავს ან შეხებია. ეს იმას ჰგავს, რომ ყვავილებით მოჩითულ ველზე მზის სხივებით გამთბარს ჩაგვეძინოს და გაღვიძებისას ხელში წერილი აღმოვაჩინოთ

სამყაროს მთავრის უკვდავი სიყვარულის აღიარებით, რომელიც მის ხელზეა ამოკვეთილი. წერილი არა მარტო უფლის სიყვარულს აღიარებს, არამედ საქორწინო აღთქმასაც მოიცავს. სიხარული გვავსებს, როცა ათრთოლებულ ხელში წერილი გვიჭირავს და მისი სახელის მიღმა სამეფო ემბლემას თითებით ვსინჯავთ. ფეხზე წამოვხტებით, გული აჩქარებით გვიცემს ... სად არის ის დიდებული პრინცი, რომელსაც ასე ვუყვარვარ? უნდა გავიცნო ... მისი სახე უნდა ვიხილო. ირგვლივ ვიხედებით, მაგრამ მისი კვალიც კი არ ჩანს.
რას გააკეთებთ? ვფიქრობ, მის ძებნას შეუდგებით. ალბათ, სხვებისგანაც შეეცდებით მისი ამბის გაგებას.

> „ჩემს სარეცელზე ვეძებდი ღამ-ღამობით ჩემი სულის შეყვარებულს,
> ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე.
> ავდგები! მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მოვძებნი ჩემი სულის შეყვარებულს!“ (ქებ. 3:1-2)

მოულოდნელად, ჩვენი მზერა საკუთარ პატარა სამყაროს მოწყდება და ირგვლივ ახლებურად მიმოვიხედავთ. ყოველ აისსა თუ დაისს დაჟინებით დავაკვირდებით, რომ თვალი მოვკრათ. იქ აღმოვაჩენთ მის სათნოებას და ეს სათნოება ჩვენი გახდება. გაოცებით ავიხედავთ ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ, რომელიც მოშიშებით გვიცხადებს მის დიდებულებას და სამაგიეროდ, მათი ბრწყინვალების ნაწილი თავზე გადმოგვეფრქვევა.
კიდევ უფრო მეტი გაოცება მოგვიცავს ჩვენს ირგვლივ მისი შემოქმედების სიდიადის შემყურეთ, რადგან უკვე აღარ ვიქნებით მიწის პირზე მოარული უბრალო ქმნილებები. მისი სიყვარულის გამოცხადება ყველაფერს შეცვლის. ახლა ეს ჩვენი საკუთარია, რადგან ჩვენს მას ვეკუთვნით და იგი – ჩვენ. ყოველი დღე საჩუქრად იქცევა, ხოლო ყოველი ყვავილი მისგან გამოგზავნილი იქნება. ყველაფერ კარგს ისე მივიღებთ, როგორც მისი ხელით მოწვდილს. ავიღებთ და გულში ჩავიმარხავთ. მას ნებას მივცემთ, რომ ვუყვარდეთ მისი მომხიბვლელობით.

> „ქვეყნიერების დასაბამიდან, ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა – მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა“. (რომ. 1:20)

ახლა ჩვენს გარემოცვას სხვაგვარად ვუყურებთ, რადგან ხილულ მშვენიერებაში მის უხილავ თვისებებსა და ბუნებას ვხედავთ. მისი პიროვნების ყოველ დეტალს ვაკვირდებით, დიდსა თუ მცირეს. მას შევცქერით იმის გამო, რომ შეგვიყვარა,. ეს დიდად არ განსხვავდება ჩემი სულელური, მეხუთე კლასელის დონის სიყვარულისგან ... იმის ნაცვლად რომ გორაკზე მისთვის ზურგი მექცია, პირიქით, ვაკვირდებოდი. აღელვებით ვკითხულობდი მის ყოველ მონაწერს და სახლში, ჩემს საიდუმლო უჯრაში ვინახავდი. მოგვიანებით, ისევ ვკითხულობდი ჩემს ოთახში განმარტოებით. ტექსტის მიღმა ფონად გაისმოდა სიყვარულის სიმღერები. სკოლის შემდეგ ნაბიჯს ვანელებდი, რომ მეგობრებს ჩამოვრჩენოდი და მისთვის დაწევის საშუალება მიმეცა. მინდოდა, სახლში ერთად წავსულიყავით. მე მასთან დროის გატარების შესაძლებლობას ვეძებდი და ასევე ხდება ჩვენს პრინცთან დაკავშირებით.

~ სიყვარულსა და მუსიკას შორის ლამაზი და ღვთაებრივი კავშირი არსებობს. ისინი ერთმანეთს ავრცობენ და ავლენენ.

მუსიკა ახლადგაფურჩქნული სიყვარულის ნავსაყუდელია. სიყვარულსა და მუსიკას შორის ლამაზი და ღვთაებრივი კავშირი არსებობს. ისინი ერთმანეთს ავრცობენ და ავლენენ. მუსიკას ჩვენი გადაადგილების უნარი აქვს. სიყვარული მუსიკის ფრთებით ნავარდობს და ჩვენს გულში სიმღერას აღვიძებს. მუსიკაში ჩაძირულ სიტყვებს ისე შეუძლია ჩვენი გულის სიმების შეხება, როგორც არაფერს. სიმღერის ძალით ყველა ჩვენგანს განუცდია უდიდესი სიხარულის ექსტაზი ან მწუხარების სიღრმე.

მუსიკა ღვთის სიყვარულის გაღვიძების მთავარი გასაღებია, რადგან მას ჩვენი ახლანდელი რეალობიდან გამოყვანისა და ღვთის თანდასწრებაში შეყვანის ძალა აქვს. მას ყველაზე ნამდვილი და ღრმა ემოციები ზედაპირზე ამოაქვს და ღვთის გულთან მიახლოებულ განზომილებაში გადაჰყავს. მუსიკის ზეგავლენა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ზრდასრულობას ვაღწევთ. ის მაშინაც გველაპარაკება, როცა სათქმელის სიტყვებით გამოხატვა ჭირს და გრძნობები გვახრჩობს. ჭაბუკი დავითი მუსიკის ძალას იყენებდა ღმერთთან დასაახლოებლად და ცხვრების მწყემსვისას მარტოობის გასაქარვებლად. სიმღერისას ღვთის თანდასწრებას გრძნობდა უდაბურ ადგილებში. მოგვიანებით, როცა გამეფდა, მუსიკასა და ღმერთს შორის კავშირი ასე აღწერა:

„შენ კი წმიდაო, ისრაელის ხოტბათა შორის მკვიდრობ“. (ფს. 22:3)

ჩვენი ქება ღვთის პოზიციას, ძალასა და ძალაუფლებას ამაღლებს ჩვენს ცხოვრებაში. კვლავ აღნიშვნის ღირსია, რომ უმეტესი ჩვენგანი ზრდსარულობის უფრო მეტად აცნობიერებს მუსიკის ზეგავლენას. თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მივილტვით მისკენ ჩვენი ცხოვრების იმავე პერიოდში, როცა სიყვარული იღვიძებს. ის იმ დროს მოდის, როცა ემოციურად ყველაზე დაუცველები ვართ, რადგან მუსიკას ჩვენი ნუგეშისცემისა და ანთების ძალი შესწევს.

ჩვენი ქება ღვთის პოზიციას, ძალასა და ძალაუფლებას ამაღლებს ჩვენს ცხოვრებაში.

იცით, რომ მუსიკაზე ცხებულებაა? ამიტომ ის გონივრულად უნდა შეარჩიოთ. რას ვგულისხმობ ცხებულებაში? ძველ აღთქმაში ცხებულება ხშირად უკავშირდებოდა მეფის, მღვდლის ან წინასწარმეტყველის თავზე ზეთის გადმოღვრას. ეს ღვთის სულის ხელშესახები ნიშანი იყო. ახალ აღთქმაში ცხებულება სულიწმიდის დამკვიდრებისა და მისი ძალით შემოსვის მანიშნებელია, რომ მან ქრისტე გამოავლინოს. ამრიგად, ღვთიური, ცხებული მუსიკა სულიწმიდის ძალით მოსილია, რომ ღვთის თანდასწრებაში შეგვიყვანოს. იყო შემთხვევები, როცა თაყვანისცემისას მთლიანად დამიპყრო მისმა თანდასწრებამ. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით არ მინახავს, ვხვდებოდი, როგორ მოიცვა მთელი ჩემი არსება. მის თანდასწრებაში თავს სრულიად უსაფრთხოდ და სიყვარულით მიღებულად ვგრძნობ. დრო ჩერდება და მე ზეცას ვხედავ. ასეთ შეხვედრებს ყოველთვის უფრო დიდი სიყვარული და ღვთისადმი მეტი წყურვილი მოაქვს ჩემს ცხოვრებაში. ღვთის სულით სავსე, სიცოცხლის მომტან მუსიკას განკურნების, შთაგონებისა და ჩვენი სულების დაწყნარების ძალა აქვს. როცა იგივე სიმღერას კიდევ ერთხელ ვისმენ დღეების თუ წლების შემდეგ, შეხვედრის მოგონება მაშინდელ წარსულს აწმყოდ აქცევს.

ამრიგად, მუსიკას მოგონებების აგების ძალა აქვს. როცა მე და ჯონი ახალდაქორწინებულები ვიყავით, სენტ მარტინში წამიყვანა. იქ ვისვენებდით და ერთმანეთით ვიყავით გატაცებული გრძელი სადილების განმავლობაში და მთვარით განათებულ აივნებზე. ჩვენი სასტუმროს რესტორანში ერთ ინსტრუმენტულ

მუსიკას ხშირად ვისმენდით და ახლა თვრამეტი წლის შემდეგ, მისი პირველივე ნოტების გაგონებისას, ისევ იმ ადგილსა და დროში ვბრუნდები. დროებით იმ განათებულ რესტორანში გადავინაცვლებ, რომელსაც *ტალღები* ერქვა. ვარსკვლებიანი ცის ქვეშ მოციმციმე ოკეანეს გადავყურებ და ჩემს ქმარს წყნარად ვესაუბრები.

მუსიკას სხვადასხვა ადგილას თქვენი ემოციურად წაყვანის ძალა აქვს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩვენი მიმართულებების გონივრულად არჩევა. არსებობს მუსიკა, რომელიც პატრიოტული სიამაყის ცრემლს გვგვრის. ეს ყევლა ჩვენგანს განგვიცდია ერთხელ ან რამდენჯერმე, როცა ეროვნულ ჰიმნს ვასრულებდით. მისი გავლენა ყველაზე მეტად საგრძნობია ქვეყნის ძნელბედობის ან გამარჯვების ჟამს. ზოგიერთ მელოდიას სიმძიმე და სასოწარკვეთა, წამბიძგებელი უიმედობა, სიკვდილი და ზოგჯერ თვითმკვლელობაც კი მოაქვს. სხვა სიმღერები რისხვის, სიძულვილისა და ამბოხებისკენ აქეზებენ. დარწმუნებული ვარ, რომ არავინ უარყოფს ამ სფეროებში მუსიკის ძალასა და გავლენას.

მუსიკას რომანტიკული გრძნობების წამოწევისა და გაღვიძების ძალაც შესწევს. მას ადამიანის სხეულში გაუცნობიერებელი სექსუალური გამოხმაურების სტიმულაციაც შეუძლია. სხვადასხვა რიტმს ფიზიკური სხეულის აღგზნების მდგომარეობამდე მიჰყავს და თუ მას სექსუალური შინაარსის ლირიკაც ერთვის, ამ კომბინაციის ზეგავლენა უდაო იქნება.

თუ თქვენ სიწმიდეში სიარული გსურთ, ამ ტიპის მუსიკისგან თავი უნდა დაიცვათ, იგი ადვილად გაივლის დაცვის პირველ ხაზს და თქვენს გონებაში ადგილს დაიკავებს ... თუნდაც ამის სურვილი არ გქონდეთ. შესაძლოა, სიმღერის სიტყვები არასოდეს წარმოგითქვამთ, მაგრამ ის თქვენს გონებაში მეორდება. ყველას გაგვიგონია ადამიანთა ნათქვამი: „ეს სულელური სიმღერა ამეკვიატა!“

არასასურველი შინაარსის მქონე სიმღერების თავიდან მოცილების საუკეთესო ხერხი მისი სხვა სიმღერებით ჩანაცვლებაა, თუ თქვენ არ გსურთ რომ მისი სათქმელი კიდევ უფრო გაძლიერდეს. არსებობს მიწიერი სიმღერები და არსებობს ზეციერი სიმღერები. ყველა მიწიერი სიმღერა ცუდი როდია, მაგრამ ისინი ღმერთთან ვერ დაგაახლოვებენ. ზეციურ სიმღერებს კი ამის გაკეთება შეუძლია. როცა ასეთ

სიმღერებს ვგალობთ, ღვთის სიყვარულს და მისდამი სწრაფვას ვაღიარებთ. ეს თაყვანისცემის ფორმაა და თაყვანისცემა ყოველთვის აძლიერებს თაყვანისმცემელს მისი სასურველი ობიექტის შესახებ მეტი გამოცხადებით. ისტორიის მანძილზე არასოდეს არსებულა ამაზე უფრო ღვთივშთაგონებული, გარდამქმნელი მუსიკა. დატკბით ღვთის თანდასწრებით ... იგი მხოლოდ და მხოლოდ დაგაახლოვებთ ღმერთთან, რადგან მუსიკის დანიშნულება ყოველთვის იყო მოსიყვარულე მხარეების დაახლოება.

შესაბამისად, ღვთისადმი თქვენი სიყვარულის გაღვიძების, გაძლიერებისა და გამოკვების ერთ-ერთი გზა იგივე მიდგომაა, რასაც რომანტიკული სიყვარულისას იყენებთ – შექმენით ატმოსფერო სიმღერის საშუალებით. ღმერთთან ახლოს იქნებით მის შესახებ სასიყვარულო სიმღერების მოსმენით და გალობით. პავლე ასე აღწერს ღვთის სულით ავსების მდგომარეობას:

> „ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით. ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“. (ეფეს, 5:18-19)

ამ მუხლში სულიწმიდით ავსების შეგონებას ვხედავთ. ჩვენ ვივსებით, როცა ხმამაღლა ვგალობთ და მელოდიას გულით ვმღერით, თუმცა ამ მუხლში კიდევ ერთ გასაღებს ვხედავთ ... ჩვენს კომუნიკაციას სხვებთან ღვთის შესახებ. ეს არ გახლავთ დამოწმების სტერილური ფორმა, ვინაიდან ხშირად მას საქმეების ფორმით ვიყენებთ. არა, ეს გახლავთ სიყვარულისგან შობილი საუბარი, გულიდან გადმოღვრილი სიტყვები, რომელსაც ველარ ვიტევთ. გახსოვდეთ, საოცარია, იყო მის მიერ შეყვარებული და ეს მშვენიერება სხვებსაც გაუზიარო.

როცა ვინმე გიყვართ, მისი თვისებების შესახებ სხვებს არაერთხელ უყვებით. ტრაბახობთ, რომ მასთან ურთიერთობა გაქვთ. როცა მეგობრები რაიმეს მიმართ საერთო სიყვარულს ერთმანეთს უზიარებენ, მათ შორის ერთობლივი კავშირი იქმნება. ეს საერთო სწრაფვა შეიძლება ბანაკის კოცონის გარშემო მსხდარი მეგობრების წრეს შევადაროთ, რომლებიც მისი სითბოთი და სილამაზით ტკბებიან, სანამ ალი ჯერ კიდევ ფანტავს გარშემო დასადგურებულ სიბნელეს და გარეულ

ცხოველებს აფრთხობს. აქ მყარდება კავშირი, რომელიც თითოეულ თქვენგანს ერთმანეთის აღშენებისა და ჭეშმარიტებით გაძლიერებისკენ უბიძგებს. ღვთისადმი თქვენი სიყვარულის გაღვივებისა და გაძლიერების კიდევ ერთი გზა იმ მეგობრებთან ახლო ურთიერთობა გახლავთ, რომლებიც ღმერთზე კარგს ლაპარაკობენ.

დარწმუნებული იყავით, რომ საწინააღმდეგო სქესის მიმართ სიყვარულის გაღვივების ნაცვლად *ღვთის სიყვარულის გაღვიძება თქვენგან გონივრულ მიდგომას მოითხოვს მეგობრების შერჩევაში.* გაცილებით მეტი უდარდელობის უფლება გაქვთ მიწიერი სიყვარულის შემთხვევაში თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე, მაგრამ თუ პრინცის ოცნების მიყოლას გადაწყვეტთ, ირგვლივ აუცილებლად უნდა შემოიკრიბოთ სხვა მხევლები. ვიცი, რომ ეს სათქმელად ადვილია, ხოლო გასაკეთებლად – ძნელი, მაგრამ ისინი იქ არიან. ქრისტეს ჭეშმარიტი მეგობრები თქვენი მეგობრებიც იქნებიან. ისინი სწორად ილაპარაკებენ, რადგან სწორად ცხოვრობენ.

~ ღვთის სიყვარულის გაღვიძება თქვენგან გონივრულ მიდგომას მოითხოვს მეგობრების შერჩევაში.

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ“. (იოან. 15:14)

იესო ყველაფერს ნათლად ამბობს. იესოს მეგობრები მის მცნებებს იცავენ და სხვებსაც უბიძგებენ იგივეს საკეთებლად. *ნამდვილი მეგობრები ყოველთვის მაღლა წამოგწევენ* და *ჩვენი უფლისთვის საამო ცხოვრებისკენ მოგიწოდებენ.* როცა თქვენი მეგობრები იესოს მიჰყვებიან, ყველანი ერთი მიმართულებით მიდიხართ და საერთო საგზაო რუკას იზიარებთ. ეს პრინციპი ყოველთვის ამართლებს მიუხედავად იმისა, ახალგაზრდა ხართ თუ ხანდაზმული ... ნამდვილი მეგობრები კეთილი საქმეებისკენ გიხმობენ.

~ ნამდვილი მეგობრები ყოველთვის მაღლა წამოგწევენ და ჩვენი უფლისთვის საამო ცხოვრებისკენ მოგიწოდებენ.

„რკინა რკინას ლესავს, კაცი კი - თავისი მოყვასის სახეს“. (იგ. 27:17)

არსებითი მნიშვნელობა აქვს გარშემო იმ ადამიანების შემოკრებას, რომლებიც ერთ სულში არიან და ერთი მიზანი ამოძრავებთ. ეს არ ნიშნავს, რომ მათ ყოველთვის ყველაფერში დაეთანხმებით, მაგრამ სულიწმიდასთან მოზიარეობის პირობებში, ყველამ უნდა შეინარჩუნოთ განსწავლადობის თვისება და ერთმანეთი დაიცვათ.

„ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები“. (იგ. 4:23)

ჩვენი გული უპირატესი მნიშვნელობის უნდა იყოს. თუ თქვენს სახლში ქურდი შემოიპარება და ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობას წაიღებს, რეალურად არაფერი ექნება, რადგან იგი თქვენს გულს არ შეხებია. გულის მოპარვა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ის რამეზე მიჯაჭვულია. მაშინ თქვენი ზარალი მართლაც რომ დიდი იქნება. სწორედ ამიტომ გვეუბნება ღმერთი, რომ მთელი გულით შევიყვაროთ იგი, რადგან მასში ჩვენი გულები დაცულია. გულები კიდევ ერთი მიზეზის გამო უნდა დავიცვათ – მათშია სიცოცხლის წყარო. ბიბლის ერთ-ერთი თარგმანი მუხლის ამგვარ ვერსიას გვთავაზობს:

„ყველა შესანახავზე მეტად თქვენი სიყვარულის განცდა შეინახეთ, რადგან ის ზეგავლენას მოახდენს ყველაფერ დანარჩენზე თქვენს ცხოვრებაში“. (იგ. 4:23)

გულის კიდევ ერთი აღწერილობა „სიყვარულის განცდა“ გახლავთ. *თქვენი სასიყვარულო განცდის მდებარეობა განსაზღვრავს თქვენი გადაწყვეტილებების მიმართულებას.* თქვენი სიყვარულის განცდა, საბოლოო ჯამში, გავლენას მოახდენს თქვენი ცხოვრების ყველა სფეროზე. ამ თავში ღვთის მიმართ ლტოლვისა და სიყვარულის გამოღვიძებაზე ვილაპარაკეთ. და ეს ჩვენი გულის მის მხარეს მომართვასაც მოიცავს. ისმის კითხვა: როგორ მოვმართო ჩემი გული უხილავი ღვთის მხარეს?

> *~ თქვენი სასიყვარულო განცდის მდებარეობა განსაზღვრავს თქვენი გადაწყვეტილებების მიმართულებას.*

თუ რაიმეს გაგება გსურთ, რჩევა გამოცდილების მქონეს უნდა

ჰკითხოთ. დავით მეფემ იცოდა, როგორ მიყოლოდა ღმერთს და შეენარჩუნებინა მის მიმართ სიყვარული. იგი ისე ილტვოდა ღვთისკენ, როგორც არავინ. მან ეს ძიება სიჭაბუკეში დაიწყო და ხანდაზმულობის დროსაც არ მიუტოვებია. დავითს ღვთის სიყვარული ან ერთგულება ეჭვქვეშ არასდროს დაუყენებია და მთელი ცხოვრება მის გამუდმებულ გამოხმაურებასა და მადლიერებაში გალია.

> „დამიფარე, უფალო, რადგან შენზე ვარ მონდობილი! ვუთხარი უფალს, შენ ხარ ჩემი ბატონი; შენ გარეშე არ არსებობს ჩემი სიკეთე. ... მუდამ ჩემს წინ წარმოვიდგენ უფალს; რადგან ჩემს მარჯვნივ არის, არ წავბორძიკდები! ამიტომ გაიხარა ჩემმა გულმა და ილხინა ღირსებამ ჩემმა; ჩემი სხეულიც უსაფრთხოდ მოისვენებს“. (ფს. 16:1-2, 8-9)

რას აკეთებს დავითი? მან უფალი თავის წინ წარმოიდგინა. როგორ გააკეთა ეს? გულში ნადების წარმოთქმის მეშვეობით. თქვენ გულში უხილავს სიტყვებად გამოთქვამთ, რადგან ჩვენი გულის სავსებისგან მეტყველებს ენა. და პირიქით, გული ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვებით გარდაიქმნება. დავითმა არა მარტო აღგვიწერა, რას აკეთებდა, არამედ ნათქვამი სიტყვებიც გადმოგვცა, რომ ჩვენც შეგვძლებოდა მათი აღიარება. ამ ფსალმუნში დავითი რამდენიმე ძალმოსილ ჭეშმარიტებას გვაწვდის, რომლებიც უნდა გავითავისოთ:

1. მეფეებსაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა .... გახადეთ ღმერთი თქვენს თავშესაფრად!
2. უწოდეთ მას თქვენი, თქვენი უფალი ... დაისაკუთრეთ იგი!
3. უთხარით მას, რომ მასზე მეტად არაფერი გსურთ!
4. ყოველთვის თქვენს წინ წარმოიდგინეთ იგი!
5. მიანიჭეთ მას უპირატესობა და პატივი მიაგეთ თქვენი ცხოვრებით!
6. მას მიჰყევით ყველაფერში, რასაც აკეთებთ!
7. იგი უზენაესი მმართველია, ამიტომ თქვენც იდგებით!
8. იმის გამო, რომ თქვენ უკვე აღარ მართავთ, მოდუნდით და გაიხარეთ!
9. მოისვენეთ მასში!

როცა ღვთის სიყვარულს აღიარებთ და მასთან დადებულ აღთქმაზე ლაპარაკობთ, თქვენს შორის არსებულ კავშირს აძლიერებთ.

როცა ღვთის სიყვარულს აღიარებთ და მასთან დადებულ აღთქმაზე ლაპარაკობთ, თქვენს შორის არსებულ კავშირს აძლიერებთ. მან უკვე სრულად მოგიძღვნათ თავი, ხოლო თქვენ მიძღვნის გაძლიერება შეგიძლიათ. ჩვენს ცხოვრებაში ხსნის პროცესი დამოკიდებულია ღვთის მიმართ ჩვენი სიყვარულის გაგრძელებაზე.

> „იმიტომ, რომ თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად. რადგან ამბობს წერილი: „ყოველი მისი მორწმუნე არ შერცხვება!“ (რომ. 10:9-11)

ურთიერთობას ვიწყებთ და ვაღრმავებთ სიტყვებით და შესაბამისი მოქმედებებით. ეს შეიძლება იყოს მიძღვნის სიტყვები, როგორებიცაა აღთქმა, ფიცი, დაპირება. ეს შეიძლება იყოს ნაკლებად ოფიციალური, მაგრამ არანაკლებ ძლიერი სიტყვები, რომლებიც ოჯახსა და მეგობრებს შორის წარმოითქმება. სიტყვები ჩვენი ოცნებებისა და შიშების გაცხადებით მყუდრო და მოსიყვარულე ვითარებასთან გვაახლოებს. სიტყვები ჩვენი ცხოვრების იდუმალ ადგილებს კურნავს და წმენდს ისევე როგორც, ჭრილობებს აყენებს და აბინძურებს ჩვენს შინაგანს.

ღვთისადმი სწრაფვისა და მისი თანდასწრების გულში შესანარჩუნებლად, შეარჩიეთ სწორი სიტყვები, ისევე როგორც არჩევთ მეგობრებისთვის სათქმელ სიტყვებს ... გონივრულად. სიტყვები შეიძლება ბევრი არ იყოს, მაგრამ ძვირფასი კი უნდა იყოს.

ალბათ, ეს აზრი თქვენთვის ახალი არ იქნება, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩვენგან უმეტესობა ეგოისტია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ადამიანობაში კარგად ვერ ვხვდებით, როგორ უნდა გვიყვარდეს. ღმერთი მთლიანად გვთხოვს ამ ნაკლოვან სიყვარულს და სამაგიეროდ თავის სრულყოფილ სიყვარულს გვთავაზობს. იგი ძალასაც კი გვმატებს, რომ გვიყვარდეს. იგი თავისი სიყვარულის ჩვენს გულებში გადმოღვრას გვპირდება

სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა (რომ. 5:5). ჩვენ მხოლოდ უნდა ვთხოვოთ.

— ძვირფასო ზეციერო მამა,

ვღელავ! შემოგღაღადებ, რომ შენდამი ჩემმა სიყვარულმა გაიღვიძოს შენი სიყვარულის პასუხად. მე მაშინ ურწმუნო ვიყავი, როცა შენ მიერთგულებდი. მინდა, გიცნობდე! გამიცხადე თავი! დაჟინებით ვლოცულობ დავითის სიტყვებით, რადგან ჩემი გული შენსკენ მოილტვის. დამიცავი, ღმერთო, რადგან მხოლოდ შენში ვპოვებ თავშესაფარს! ჩემი უფალი ხარ და შენს გარეშე ჩემი სიკეთე არ არსებობს. ჩემს გულს შენს დაცულ საგანძურში ვმალავ. ყოველთვის ჩემს წინ წარმოგიდგენ. ჩემს მარჯვნივ ხარ ყოველთვის, ამიტომ არ წავბორძიკდები. მჯერა ამის და ჩემი გული ხარობს. ხმამაღლა გიმღერი და გაქებ მთელი გულით და სულით. ვწვები თუ ვისვენებ, მხოლოდ შენ მამყოფებ უსაფრთხოდ. შენ შეგაფარებ თავს და შენი ფრთების ჩრდილქვეშ დავიმალები.

სიყვარულით,
შენი ასული

5 მძინარე მზეთუნახავი

ცნება შენი გულის სურვილია, რომელსაც ძილის დროს წარმოშობს.

„კონკიას“ ზღაპრიდან

ბაგეებით ვმღერით და ამბებს ვყვებით, რომლებიც ჩვენი გულის ნანატრი სურვილებს ღალატობენ. შესაძლოა, ამ თავის სათაურმა გაგაკვირვათ, მაგრამ ასე არ უნდა იყოს, რადგან ეს კონცეფცია, თავდაპირველად, ღმერთმა შემოიტანა. ბოლოს და ბოლოს, *იგი სამყაროს ერთადერთი მეფეა, ხოლო მისი ძე იესო მემკვიდრე პრინცია, რომელიც საბოლოოდ ყველა დატყვევებულ სილამაზეს იხსნის.* ეს ერთ-ერთია მისი უამრავი სასიყვარულო ისტორიიდან. ყველა კარგ სასიყვარულო ამბავში უნდა იყოს ბაღები და კოშკები, ეკლები და ნაყოფები, კარიბჭეები და ციხე-სიმაგრეები, ტყეები და მინდვრები, კეთილი და ბოროტი, დიდებული პრინცები და მძინარე მზეთუნახავები.

— იგი სამყაროს ერთადერთი მეფეა, ხოლო მისი ძე იესო მემკვიდრე პრინცია, რომელიც საბოლოოდ ყველა დატყვევებულ სილამაზეს იხსნის.

ეს ამბავი თავისი უმარტივესი ფორმით ეხება დატყვევებულ ასულს, რომელიც გამოღვიძებას ელოდება. თუ ამ ისტორიას ჩემთან ერთად ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ, რომ მასში შინაარსიანი და დიდი დიაპაზონის ემოციები დევს ჩვენი ყველაზე ბნელი შიშებისა და საოცნებო სურვილების ჩათვლით. ეს უძველესი ზღაპარი თანაბრად მოუხმობს მამაკაცებსა და ქალებს, რომ შეზღუდული მიწიერი თვალსაწიერის ფარდა გადასწიონ და თვალი შეავლონ ზეცის ყველაზე ხანგრძლივი დაპირებების საიდუმლოს და ბრწყინვალებას. *ის ბავშვური*

სიტყვების უბრალოებით გამოხატავს ყველა ქალის ღრმა და ძვირფას სურვილს ... საზარელი კოშმარიდან გამოიღვიძოს და სამუდამოდ გადაინაცვლოს ოცნების სამყაროში.

ამგვარი იმედი გულს უჩქროლებს როგორც ახალგაზრდა გოგონებს, ისე ხანდაზმულ ქალებს. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ჩვენს ბორკილებზე გაცილებით აღმატებული და ძლიერი სიყვარულით დახსნა, რომელიც ქალების ცხოვრებაში არსებულ ღრმა ემოციურ თხრილებში მოხერხებულად მიიკვლევს გზას. ასეთი სიყვარული საკმაოდ გამბედავია იმისთვის, რომ ნებისმიერ დრაკონს შეებრძოლოს, რომელიც თქვენს გულს ემუქრება. ხსნაში ჩვენი აგებულების ბნელი ტყეებიდან განთავისუფლებაც შედის, რადგან ხშირად თავად ვართ საკუთარი დაღუპვის არქიტექტორები. ის იზოლაციის კედლებსაც დაამსხვრევს, რომლებიც სხვების ნავსადგურში შესაჩერებლად ავაგეთ. რა საოცარია იმის გაგება, რომ ჩვენი შეუდარებლად კეთილშობილი შეყვარებული ყოველ ბარიერს ლახავს მწველი სურვილით, რომ კოცნით გამოგვაღვიძოს ბნელ ძილში ჩაძირულები. გთხოვთ, შემინდოთ, რომ ასე გამიტაცა შემოქმედებითმა თავისუფლებამ და ამ ამბავში ჩვენი პრინცის დანახვას ვეცადე.

— ის ბავშვური სიტყვების უბრალოებით გამოხატავს ყველა ქალის ღრმა და ძვირფას სურვილს ... საზარელი კოშმარიდან გამოიღვიძოს და სამუდამოდ გადაინაცვლოს ოცნების სამყაროში.

ამ ზღაპრის მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე ცნობილია მეფე-დედოფლის მიერ გამართული ზეიმის ამბავი, რომელიც დიდი ხნის ნანატრი ერთადერთი ასულის დაბადების აღსანიშნავად გაიმართა. მშობლებმა უნებლიეთ გაანაწყენეს ბოროტი ფერია, რადგან მღელვარებასა და სიჩქარეში მისი დაპატიჟება დაავიწყდათ. გაბრაზებული ფერია მაინც მოვიდა ზეიმზე და თუკი სხვები ახალშობილს საჩუქრად კურთხევას უძღვნიდნენ, მან გოგონა დაწყევლა. ამ წყევლის შედეგი მეესეულად არ დამდგარა ... ის იცდიდა და მომავ-

— დაგვიანებული წყევლა ყველაზე საშიშია, რადგან დროთა განმავლობაში მისი საფრთხე ყველას ავიწყდება.

ლის აჩრდილს შეჰყურებდა, როცა მეფის ასულს თავს დაატყდებოდა ქალწულობიდან ქალობაში შესვლის ჟამს. წყევლის თანახმად, იგი მეთხუთმეტე დაბადების დღეზე თითისტარს იჩხვლეტდა და უსულოდ დაეცემოდა. ზეიმზე მყოფი ერთი ფერია გოგონას გამოესარჩლა და სიკვდილი ხანგრძლივი ძილით შეუცვალა. შეძრწუნებულმა მეფემ და დედოფალმა მაშინვე შემოიღეს სხვადასხვა სახის აკრძალვები თავიანთი ასულის დასაცავად. მათ სამეფოში არსებული ყველა სართავი მანქანა დაწვევინეს და ახლების წარმოება კანონგარეშედ გამოაცხადეს.

დაგვიანებული წყევლა ყველაზე საშიშია, რადგან დროთა განმავლობაში მისი საფრთხე ყველას ავიწყდება. ზღაპარში თხუთმეტი წელი გავიდა და მეფე-დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ ყველა სართავი მანქანა განადგურდა და ასულის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრებდა.

მაინტერესებს, რა მოხდებოდა, სართავი მანქანების განადგურებისა და მათი ხელახლა წარმოების აკრძალვის ნაცვლად მეფესა და დედოფალს ასულისთვის თითისტარის სწორად გამოყენების სასწავლი დრო რომ გამოეყოთ. ბოლოს და ბოლოს, რით არის ცუდი სართავი მანქანა? ის კარგია. რა მოხდებოდა, ასული რომ დახელოვნებულიყო დართვაში? მაშინ მშობლებს შიშის მიზეზი აღარ ექნებოდათ, რომ ის სწრაფად სტაცებდა ხელს თითსტარს, რადგან ეცოდინებოდა მისი ფრთხილად მოპყრობა.

შემდეგ რა? რასაკვირველია, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა და აკრძალვა თავის ხიბლსა და ინტრიგას დაკარგავდა. თუმცა ისინი სხვა მშობლების მსგავსად შიშის გრძნობას აყვნენ ... ხოლო შიში ბრძენი და კარგი მრჩეველი როდია. როცა ჩვენს გადაწყვეტილებებს შიში მართავს, სიბრძნისა და ზომიერების ნაცვლად ყოველთვის უკიდურესობამდე მივდივართ. დღესაც ხშირად ვიღებთ მსგავს ზომებს. ახლა კი ჩვენს თხრობას დავუბრუნდეთ.

მეფის ასული ლამაზი, ჭკვიანი და მომხიბლავი ქალიშვილი დადგა და მისი მშობლები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ არყოფნაშიც ისეთივე მორჩილებას გამოიჩენდა, როგორც მათ თვალწინ. ამ ცრუ თავდა-

ჯერებამ მათ უდარდელობა შესძინა და არც უფიქრიათ თავიანთი კოშკის შორეული ოთახების შემოწმება, ხომ არ იყო დარჩენილი რომელიმე სართავი მანქანა. ასულის მეთხუთმეტე დაბადების დღეზე სხვა მეფის მოწვევა მიიღეს, რომ მისი სტუმართმოყვარეობით დამტკბარიყვნენ. მეფე-დედოფალმა ქალიშვილი დაარიგეს, რომ კარგად მოქცეულიყო და კოშკის ფარგლებს არ გაცილებოდა. თან მალე დაბრუნების პირობაც მისცეს.

ასულისთვის აქამდე უცნობი თავისუფლების ჟამი დადგა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაათვალიერებდა სასახლეს და ყოველ კოშკს გამოიკვლევდა, რომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მშობლებს თავში არ მოსვლიათ. როცა მათი ეტლი თვალს მიეფარა, გოგონას გული შეეკუმშა სიხარულისგან. დღევანდელი დღე თავგადასავალს ჰპირდებოდა – ყოველი დაკეტილი კარის მიღმა შეიხედავდა და ყოველ ფარულ ოთახს დაათვალიერებდა! რასაკვირველია, დიდი დრო არ დასჭირვებია ერთი მოხუცი ქალის პოვნას, რომელიც სართავს მისჯდომოდა და თითისტარს ატრიალებდა. პრინცესა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო ... მას ასეთი მანქანა აქამდე არასოდეს ენახა. უყურებდა, როგორ ტრიალებდა თითისტარი და ღრუბლის დარი ფუმფულა მატყლი მყარ ძაფად იხვეოდა. მისი მიზიდულობა დაუძლეველი იყო და დედაბრის მოძრაობამ პრინცესა სართავთან სულ უფრო ახლოს მიიყვანა.

ასულმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ხელი გაიწოდა. დედაბერმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და დაიჩურჩულა: „მიდი, შეეხე ... აიღე თითისტარი!“ გოგონა ასეც მოიქცა და თითი დაიჩხვლიტა. სისხლი წამოვიდა. მან ხელი უკან წაიღო, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. პრინცესამ საშინელი მოთენთილობა იგრძნო. დედაბერმა გაიღიმა და ხელი ოთახის სიღმეში მდგარი საწოლისკენ გაიშვირა. ის დაბურული და ბნელი ჩანდა, მაგრამ მეფის ასულს წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ ჰქონდა. იგი მის ნაკეცებზე მიესვენა, რომ ხის იატაკზე არ დავარდნილიყო. ძილმა ტალღასავით წამოუარა და სანამ მთლიანად დაიძლეოდა, მის ყურს საზიზღარი დედაბრის

დამცინავი ხარხარი მიწვდა. მშობლიური სასახლე სიბნელემ მოიცვა და სწრაფად ამოზრდილმა ბარდ-ეკალმა იგი გარეშეთა თვალს მოაფარა.

მრავალმა წელმა განვლო და მძინარე მზეთუნახავის ამბავი ყველა პრინცს შორის ყველაზე მოხდენილი, მამაცი და კეთილშობილი პრინცის სასახლის კარს მიწვდა. ასულის დატყვევებიდან იმდენი დრო გავიდა, რომ მისი ამბის მთხრობელები თავადაც არ იყვნენ დარწმუნებულნი, მართალს ყვებოდნენ თუ მითიურ ლეგენდას. თუმცა პრინცმა სიმართლე იცოდა. იგი ისე აღძრა ასულის უიმედო მდგომარეობამ, რომ მიატოვა სასახლის სიამენი და მის გადასარჩენად გამგზავრებისთვის მზადებას შეუდგა. პრინცი გზას დილაადრიან უნდა დადგომოდა. დრო არ ითმენდა ... მეფის ასულის გამოღვიძების ჟამი დამდგარიყო.

მოგზაურობამ პრინცი თავისი სამეფოდან საკმაოდ შორს წაიყვანა და მრავალი დღის შემდეგ შორეული ქვეყნის ჩაბნელებულ საზღვრებს მიადგა. იქ მას მშვიდობით არ დახვედრიან. ბოლოს, როგორც იქნა ერთმა მოხუცმა ქალმა ბავშვობაში დედისგან გაგონილი ამბავი მოუყვა მარტოსული პრინცესას შესახებ, რომელსაც მათი ქალაქის ირგვლივ მდებარე ვრცელი, გამხმარი უდაბნოს მეორე მხარეს ბნელ ტყეში ღრმა ძილით ეძინა. პრინცმა ქალს მადლობა გადაუხადა და უძველესი ხრიოკის გადასალახავდ მოემზადა.

ეს ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა გამოდგა. საკვების მარაგი მალე გაუთავდა. მას განუწყვეტლივ უხდებოდა ბოროტი მოწინააღმდეგის ცდუნებებთან გამკლავება, რომელიც ხან საკვებს და ხან თავისი ბნელი სამეფოს ტახტს სთავაზობდა სახლში დაბრუნების სანაცვლოდ, მაგრამ პრინცი არ ნებდებოდა. ბოროტის ვერავითარი შემოთავაზება ვერ ააღებინებდა ხელს განზრახვაზე, რომ დატყვევებული ასულისთვის თავისი მამის დიდებული სამეფო გაეზიარებინა.

მან ტყეს მიაღწია და ნახა, რომ ერთმანეთში ჩახლართულ ბუჩქებსა და ხეებს შესასვლელი მთლიანად გადაეღობათ. ჭაბუკს ეკალ-ბარდებში გზის გაკაფვა

მოუხდა და როგორც იქნა, კოშკს მიაღწია. ერთ დროს მშვენიერი სასახლე ახლა ურჩხულს დამსგავსებოდა გარს შემოხვეული ფოლადისმაგვარი ხლართებისგან, რომლებსაც მის ირგვლივ ზვინული აეგოთ. ხვიარებს ერთადერთი კოშკურა გადარჩენოდა. პრინცმა დანამდვილებით იცოდა, რომ ასული იქ ელოდებოდა.

მან ყური მიუგდო ავისმომასწავებელ სიჩუმეს, რომელიც ეკლოვან სტრუქტურაში დასადგურებულიყო. შენობა თითქოს დასცინოდა: „მიდი! მასთან ვერასოდეს მიაღწევ ... ის ჩემია!“, მაგრამ პრინცმა წარმოიდგინა, რომ მეორე ხმაც მოესმა. ეს ასულის ჩურჩული გახლდათ, რომელიც ასვლას ევედრებოდა. იგი მისი უკანასკნელი იმედი იყო. პრინცმა განახლებული ძალით აიტაცა ხმალი და ეკლების კაფვას შეუდგა. ყოველი მოქნევა ასულს აახლოვებდა და მალე მისი გახდებოდა. პრინცმა კარს ფეხი კრა.

ოთახის ჰაერი დახშული და მტვრისგან ჩასქელებული იყო. პრინცი დახვეულ კიბეს აუყვა ასულის საწოლი ოთახისკენ, მეორე კარი გაიარა, ფანჯარა გააღო და ერთი ხელის მოძრაობით გაფანტა სიბნელე. მძინარე სხეულზე ოქროსფერი შუქი დაიღვარა. ასული არც დასვრილიყო და არც დაბერებულიყო. დრომ ის კარგად შემოინახა და ადრინდელზე მეტად დაამშვენა.

პრინცი საწოლს მიუახლოვდა. იგი ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა ბრძოლისგან დაღლილი, მაგრამ სიმშვიდეში მყოფ ასულს რომ დახედა, აღფრთოვანდა და ცრემლები ვეღარ შეიკავა. სურვილით აღძრულმა, რომელიც მთელი მოგზაურობის განმავლობაში სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა, ასული ნაზად ჩაიკრა გულში. მისი თბილი ტუჩები პრინცესას უსიცოცხლო ბაგეებს შეეხო. ჭაბუკი ისევ გასწორდა და ქალწულს დააკვირდა.

დამძიმებული ქუთუთოების ქვეშ თვალები ამოძრავდა. ასულმა თავი მოაბრუნა და თვალები ნელ-ნელა გაახილა. მან პრინცი დაინახა და სახეზე ტკბილი, ძილმორეული ღიმილი გამოესახა, როცა ხელი მისი ცრემლებისგან დალაქავებული სახისკენ გაიწვდინა. როგორც კი პრინცის ლოყას ხელით შეეხო, ცრემლებმა იწვიმა ასულის

თვალებიდან. იგი ნაოცნებარი ჭაბუკის პირისპირ იდგა, რომელიც არასოდეს ენახა, მაგრამ ყოველთვის იცნობდა. როგორც იქნა, ეს ის იყო! უკნა დასაბრუნებელი გზა არც ერთი მათგანისთვის აღარ არსებობდა. ასულმა პრინცის გული პირველი შეხედვისთანავე დაიპყრო. მან ლოყიდან ჩამოიღო ქალწულის ხელი და ვნებიანად დაეწაფა.

შემდეგ პრინცმა ერთი მოძრაობით აიტაცა ასული სიბნელის ჩრდილიანი საპატიმროდან და კაშკაშა მზის სინათლეზე გაიყვანა იქ, სადაც თეთრი ბედაური ელოდებოდა. არავინ საუბრობდა ბოროტის წყევლასა და თვალს მიფარებულ სასახლეზე. ადრინდელი განქარდა; წარსული სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი სიყვარულის ბრწყინვალებისგან გამქრალი ჩრდილი.

მან ასული იპოვა ... მისი ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ის მისი სასურველი ასული გახლდათ და ასულმაც ისე შეიყვარა, როგორც აქამდე მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენდა. ამიერიდან მარტო აღარასოდეს იქნებოდა, რადგან ისინი ორნი კი არ იყვნენ, არამედ ერთნი.

> *~ ყველა შეცდომა გამოსწორდა. ქალწული გამოხსნილ იქნა ბნელი კოშმარიდან და უსაფრთხოდ დამკვიდრდა ოცნებებისა და სინათლის სამეფოში.*

წყვილი საჩქაროდ გაემართა პრინცის სამეფოსკენ, სადაც პატარძალი ხელმწიფე მამის სახლეულს წარუდგინეს. მათი კავშირი იკურთხა. ახალგაზრდებს საქორწინო ოთახი ელოდებოდა. იქ მათმა სხეულებმა სულიდან მომავალი სიმღერის თანხლებით იცეკვეს, გახდნენ სრულნი და თქვენც იცით დასასრული ... ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ყველა შეცდომა გამოსწორდა. ქალწული გამოხსნილ იქნა ბნელი კოშმარიდან და უსაფ-რთხოდ დამკვიდრდა ოცნე-ბებისა და სინათლის სამეფოში. ამ ორმა ერთმანეთი იპოვა. „დიდხანს“ ნიშნავს ამ მომენტიდან მოყოლებული, ახლა და მუდამ, იქამდე, სანამ ამ სიყვარულს სიკვდილი არ

> *~ რადგან ის სიცოცხლის უფალია, ხოლო ცეკვა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაგრძელდეს ...*

დააშორებს. რადგან ის სიცოცხლის უფალია, ხოლო ცეკვა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაგრძელდეს ... სადაც დროს დასასრული არ აქვს, სადაც ენით გამოუთქმელი და წარმოუდგენელი სიხარული და სილამაზე სუფევს.

არის ეს თქვენი ოცნება, თქვენი სურვილი და თქვენი ამბავი? დარწმუნებული ვარ, რომ ასეა, რადგან იესო თქვენი პრინცია, ხოლო დიდი ხანია ნატრობდით მის სიყვარულს სულის სიღრმეში. ეს არის საუკუნო და უმშვენიერესი ამბავი. ის ყველა ქალის არსებაშია ჩაწნული. მისი მიმზიდველობა იმდენად ძლიერი და გადაულახავია, რომ თითოეული ჩვენგანის არსებაში მყოფი საპატარძლო სულიწმიდასთან ერთად ღაღადებს: *მოდი უფალო იესო, მომიზიდე და შენსკენ გამოვიქცევი*!

შესაძლოა ზოგიერთმა თქვენგანმა კითხვა დასვას: *როგორ შეიძლება ასეთი იყოს ჩემი ამბავი, ჩემი ოცნება და ჩემი პრინცი? მე ხომ სასახლეში არ გავზრდილვარ. ხშირად დამიჩხვლეტია თითი და ტკივილისგან გავტანჯულვარ, მაგრამ კოშმარისგან არავის გამოვუფხიზლებივარ.* ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი იმიტომ გეპარებათ, რომ საკმაოდ დიდი დრო დაჰყავით სასოწარკვეთილების ჩრდილში. გაიზარდეთ და დაივიწყეთ ბავშვობის ოცნებები! ახლა არის მისი ძახილისადმი გამოღვიძების და კვლავ ოცნების დაწყების დრო. ამის თქმა შემიძლია, რადგან ვიცი, რომ ის იქ არის და ელოდება, როდის მობრუნდებით მის გზაზე. ჯერ დასასრული არ დამდგარა და მისი მტკიცე აღთქმა გვაქვს იმ დღის დადგომის შესახებ, როცა ჩვენს ერთგულ და მოსიყვარულე პრინცს შევხვდებით.

„ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი. რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და მიწისქვეშეთისამ; და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად“. (ფილ. 2:9-11)

მხოლოდ ის არის განდიდებული, ერთგული და ჭეშმარიტი პრინცი, რომელმაც ზეციური სამეფო დატოვა დატყვევებული საპატარძლოს მოსაძებნად. იგია ჩვენი სულის შეყვარებული, რომელიც ახლაც გვეძახის მარადისობიდან: *მოდი, ჩემო მი-*

⁓ დროა გამოვიღვიძოთ მისი მოწოდებისას და კვლავ დავიწყოთ ოცნება.

ჯნურო! მან დაამსხვრია ცოდვის ბორკილები, სატრფოს სიკვდილის თვლემა მოაშორა და მასთან საცეკვაოდ, გასახარებლად და მისი დაბრუნებისთვის მოსამზადებლად იწვევს.

ერთადერთი კითხვა, რომელიც ჯერ კიდევ რჩება, ასეთია: რას ვუპასუხებთ ჩვენ? ჩვენს ხელებს მისკენ აღვმართავთ და გულში ჩავიკრავთ? თუ ზურგს შევაქცევთ მის ძალისხმევას, რომ თავისად გვაქციოს და ურწმუნოების თვლემას დავუბრუნდებით? მისი მოსვლის დღეს მუხლებზე მდგარს გვნახავს თაყვანისცემის მდგომარეობაში, მისი აღთქმის აღსრულების დიდებული სასწაულით გახარებულებს თუ შიშით შეძრწუნებულებს? დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტებისთვის იღვიძებთ და სახეს ზემოთ ასწევთ გაოცებისგან. დარწმუებული ვარ, რომ ეს წიგნი ხელში გიჭირავთ, რადგან თქვენი გული პრინცისთვის ცემს.

ბიბლიაში კიდევ ერთ მძინარე მზეთუნახავს ვხედავთ.

ეს ის სფეროა, სადაც მოსვენებისა და მთვლემარე მდგომარეობისკენ მოგვიწოდებენ, სანამ გამოღვიძების ჟამი მოვიდოდეს და ეს ჩვენი სექსუალური ვნების სფერო გახლავთ. მას უნდა ეძინოს და მოლოდინსა და სურვილში გაიზარდოს საჭირო დრომდე. ჩევნ არ ვართ ის, ვინც განსაზღვრავს, როდის უნდა მოვიდეს გამოღვიძება. ადამიანებს დრო არ ადარდებთ, მაგრამ ღმერთი ასე არაა. ვალდებული ვართ, არ გამოვაღვიძოთ სიყვარული, ვიდრე თავად არ ინებებს (ქებ. 2:7). ამრიგად, ჩვენი სექსუალურობა ანუ სიყვარულზე სექსუალური გამოხმაურება *მძინარე მზეთუნახავს* უნდა ჰგავდეს. რასაკვირველია, ეს მშვენიერება ბოროტი წყევლის ქვეშ არ იმყოფება, არამედ ამ მომენტის მოლოდინში თვლემს. თუ უფალს ვენდობით ბორკილებიდან გამოღვიძების საქმეში, რასაკვირველია, მას უნდა მივენდოთ სიხარულისთვის გამოღვიძებაშიც. ამ საკითხში მეტი სიცხადისთვის სოლომონის ქებათა ქების სიბრძნეს მივმართოთ.

„გაფიცებთ, იერუსალიმის ასულნო, ველის ქურციკებსა და ფურირმებს გაფიცებთ, ნუ გააღვიძებთ და ნუ აღძრავთ სიყვარულს, სანამ თვითონ არ მოისურვებს!“ (ქებ. 2:7)

ეს ისეთი გულანთებული და პოეტური სიტყვებია, რომ ადვილად შემიძლია ამ სურათის წარმოდგენა. სადღაც შორს, მოქნილ ფეხებზე მდგარი ქურციკთა ჯოგი მზით განათებული მთების ფერდობებზე საძოვრის ძიებაში მდორე ნაკადად მოედინება. ზოგიერთი მხდალი ცხოველი მოქანავე ტოტების საფარველქვეშ ნელა მიიკვლევს გზას ქორფა ბალახებში და დრო და დრო მაღლა წევს კეთილშობილ თავს, რომ დაინახოს, ვინ აკვირდება მათ უშფოთველ ყოფას. მათი დიდრონი, მოელვარე თვალები თითქოს თქვენს სულს წვდება, სანამ თავებს ისევ დახრიან ბალახის მოსაწიწკნად.

და მაინც, რა კავშირია მინდორზე მონავარდე, უმანკოთვალებიან ქურციკებსა და სიყვარულის პროცესის გაღვიძებას შორის? აქ იერუსალიმის ასულებს მიმართავენ. ნუთუ ჩვენ მათ რიცხვს ვეკუთვნით? ახლახანს ვისაუბრეთ სილამაზესა და იმედზე, რომელსაც ერთ დღეს პრინცი გამოაღვიძებს, აქ კი გვეუბნებიან, რომ ბუნებრივი სიყვარული თავად არ უნდა გამოვაღვიძოთ, არამედ უნდა ველოდოთ. ამას არა ერთხელ, არამედ ორჯერ და სამჯერ გვახსენებს ქებათა ქების წიგნი. *New Living Translation* ვერსიაში, ლაპარაკია დაპირებაზე:

> „შემპირდით, ასულნო იერუსალიმისა, ველის ქურციკებს და ფურირმებს გაფიცებთ, ნუ გააღვიძებთ, ნუ აღძრავთ სიყვარულს, სანამ ამის დრო არ მოვა!“ (ქებ. 3:5)

აქ უფრო დეტალურად არის მითითებული დრო, როცა სიყვარულმა უნდა გამოიღვიძოს, „სანამ ამის დრო არ მოვა“. ამ დარიგებაში მეტი ენერგია დევს, ვიდრე დანარჩენებში. თითქმის უკვე ხედავთ ქურციკების ჯოგს, რომლებიც სწრაფად ტოვებენ ველს და გორაკებისკენ მიემართებიან. მალე ისინი თქვენს მზერას მოეფარებიან. აქ ფურირმები ისე მშვიდები აღარ არიან. ისინი დაუღალავად და გაშმაგებით გარბიან ტოტების ლაწალუწით. თავები მოუღერებიათ და რქები წამოუმართავთ, ყურები მოსუვენრად უმოძრავებთ, რომ მცირედი ჩქამიც არ გამოეპაროთ; პატარა წკირის გადამტვრევა და ისინი გაქრებიან. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ მუხლიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩვენი ოთხფეხა მეგობრები რაღაცას გაურბიან. მესამე გაფრთხილებას მე-8 თავში ვხვდებით:

გაფიცებთ, ასულნო იერუსალიმისა, ნუ გააღვიძებთ, ნუ აღძრავთ სიყვარულს, სანამ თვითონ არ მოისურვებს. (ქებ. 8:4)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი ასულები არიან და არა ქალები. სწორედ მათ ავალდებულებენ, რომ სიყვარული არ გამოაღვიძონ. ამის გაკეთება ჩვენი კი არა, პრინცის საქმეა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ სიყვარულს დროზე ადრე გამოვაღვიძებთ. ის ისეთივე წარმავალი იქნება თავისი სილამაზით, როგორც ველის ირემი – ერთი წუთი და გამქრალია ჩვენი მხედველობის არიდან. სექსუალური სისრულის აღთქმის ფლობა ისე, რომ ის არ დააფრთხოთ, მოთმინებას მოითხოვს.

> „ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის; მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ ზრდასრულნი, სრულქმნილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე“. (იაკ. 1:2-4)

ღმერთს სურს, რომ ეს სრულყოფილი იყოს ჩვენთვის და სრულყოფილ დროს მივიღოთ. მას სურს, რომ მზად ვიყოთ და საუკეთესოდ ვთავსდებოდეთ აღთქმაში, როცა ჩვენი სიყვარული გამოიღვიძებს. მას უნდა თავისუფლად გავიხაროთ სიამოვნების ბაღით, სადაც არ იქნება დანაშაულის გრძნობა ან სირცხვილი. *მოლოდინის პერიოდი თითოეულ შეყვარებულში უფრო მეტ სწრაფვასა და სურვილს ბადებს და რაც უფრო დიდია სურვილი, მით მეტი იქნება ვნება და საბოლოო სისრულე.* ხშირად ცხოვრების ყველაზე მშვენიერი საგნები ლოდინის შემდეგ მოდის. ამისთვის მოთმენა ღირს, რადგან ასრულებული წადილი სიცოცხლის ხეა (იგ. 13:12). ღვთის აღთქმას ყოველთვის სიცოცხლე მოაქვს.

~ მოლოდინის პერიოდი თითოეულ შეყვარებულში უფრო მეტ სწრაფვასა და სურვილს ბადებს და რაც უფრო დიდია სურვილი, მით მეტი იქნება ვნება და საბოლოო სისრულე.

მეტი გაგებისთვის გამოვიკვლიოთ სიყვარული, რომელიც პირველად აღმოცენდება მამაკაცსა და ქალს შორის. ისევ დავუბრუნდეთ ედემის ბაღს, სადაც ადამმა თავგამოდებით

დაიწყო ცხოველებს შორის მისი შესაფერის ძიება. რასაკვირველია, მისი სულის მსგავსი არსება ველის მხეცებს შორის ბაღის მშვენებაში არ მოიპოვებოდა. გადაღლილი და მარტოსული ადამი უნაყოფო ძიების შემდეგ ღმერთმა მიიწვია დასასვენებლად.

ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთმა ადამს ღრმა ძილი მოჰგვარა და სანამ ეძინა, ევა იშვა. ადამი ოცნებობდა და მისმა ოცნებამ ხორცი შეისხა. მას აქამდე არ განუცდია სიყვარული, მაგრამ იცოდა, რომ პირველი დანახვისთანავე იცნობდა. ღმერთმა ადამი ანუგეშა: *ღრმად დაიძინე, რადგან სასოწარკვეთილ ძიებაში ვერასოდეს იპოვი, რასაც ეძებ. იძინე, იოცნებე, დაისვენე და მომენდე. თუ ასე მოიქცევი, შენი დიდი სწრაფვის ობიექტს გვერდიდან მოგიყვან.*

ადამი დაწვა და ოცნებას შეუდგა, თუ რა იქნებოდა, რა უნდა ყოფილიყო ის, რაზეც მხოლოდ იმედოვნებდა, რადგან სიყვარული ყოველთვის ოცნებით იწყება. იმისთვის, რომ ოცნებამ ღამის ბურუსიდან დღის სინათლეზე გამოაღწიოს, პირველ რიგში, ღმერთს უნდა დავემორჩილოთ. ჩვენი ოცნებების რეალიზება ღვთის სამსხვერპლოზე მოსვენების მდგომარეობაში ხდება. სიკვდილი და იმედგაცრუება ხშირად ჩვენი სიღრმისეული სურვილების ასრულების უდიდეს წინამორბედად გვევლინება.

ადამმა გადადო თავი და მასთან ერთად საკუთარი ძიება. იგი დარწმუნებული იყო, რომ სიცოცხლის დათმობით, ღვთის წინაშე საკუთარი ოცნების საპოვნელად გამოიღვიძებდა. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარული ყოველთვის ჩვენი სურვილი და ოცნებაა, სიმშვიდეში უნდა ისვენებდეს, სანამ სიყვარულის პრინცი არ გამოაღვიძებს. რატომ იტყვის უფალი უარს იმ ოცნებების საბოლოო აღსრულებაზე, რომლებიც თავად ჩადო ჩვენს გულში?

> „შენ შეუსრულე მას სასურველი მისი გულისა და სათხოვარი მისი ბაგეებისა არ უკუაგდე“. (ფს. 21:2)

დროა მოისვენოთ და ღვთის ოცნებით იოცნებოთ ვნებისა და სექსუალობის სფეროში. ღმერთი ერთგულად ასრულებს თავის აღთქმებს და ჩვენგან მხოლოდ მის სიყვარულსა და ჩვენთვის განკუთვნილ ოცნებაზე მინდობას მოითხოვს. ნებისმიერი უიმედო. დამთრგუნველი ძილისგან უნდა გამოვფხიზლდეთ

და მის აღთქმებში მოვისვენოთ. ჩვენ აღთქმა გვაქვს, რომ ყველაფერი მის კონტროლს ექვემდებარება.

„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“. (იერ. 29:11)

იგია ჩვენი თავდები, რადგან მას მოტყუება არ შეუძლია. მოდით, ახლა მისკენ მოვბრუნდეთ ლოცვაში ამ სათხოვრით:

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

მადლობას გიხდი შენი ძის გამოგზავნისთვის, რომელმაც ყოველი ბორკილი დაამსხვრია და ყველა კედელი დაამხო, რომ ჩემი კოშმარისგან გამოღვიძება და შენს ოცნებაში გადაბარგება შემძლებოდა. სიმართლისთვის ვიღვიძებ და ჭეშმარიტების სინათლეს ვეგებები. ვნების სფეროს მოსვენების საშუალებას მივცემ, სანამ შენ არ გამოაღვიძებ. გამოვრთავ ყოველ მაღვიძარას, რომელმაც შეიძლება დროზე ადრე გამომაღვიძოს და სულს შენი აღთქმებით დავიწყნარებ. მჯერა, რომ შენი გეგმები არ მავნებს, არამედ სიამოვნებით მომცემს იმედსა და მომავალს. დარწმუნებული ვარ, რომ იმაზე კარგად მიცნობ, ვიდრე მე ვიცნობ საკუთარ თავს. ამრიგად, ყველა აუსრულებელი ოცნება შენს სამსხვერპლოზე მომაქვს. შენ გადმოგცემ ყველა ჩემს შიშსა და იმედგაცრუებას. შენს მკლავებში უსაფრთხოდ მოვისვენებ და ვიოცნებებ.

სიყვარულით,

შენი ასული

6 თავდაპირველი კონკია

როგორ არჩევს პრინცი თავის საპატარძლოს? სილამაზის კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით? შეკრებილი არიან დედამიწის ყველაზე სასურველი ასულები. თითოეულ მათგანს სრულყოფილი სილამაზე და ფორმა აქვს. ყველა ნიჭიერი და უნარიანი, მდიდარი და განათლებული, ახალგაზრდა და ძლიერია. როცა ასულები პრინცის წინაშე წარსდგებიან, ყველანი ბრწყინავენ და მათ დანახვაზე სუნთქვა გეკვრით. ყველა მათგანი გარწმუნებთ, რომ სწორედ მასზე უნდა გაკეთდეს არჩევანი. პრინცი ყურადღებით ისმენს და ფიქრობს, რომ მართლაც მშვენიერები არიან. ეს ქალები ელიტურ საზოგადოებას და კეთილშობილური ჯიშს წარმოადგენენ. ასეთებს შევხარით და გვინდა მათ დავემსგავსოთ. ისინი მსოფლიოს მდედრობითი სქესის „ვინ ვინ არის“ რიგებში შედიან. მიუხედავად იმისა, რომ ასულები მთელი თავიანთი სილამაზით დამწკრივებულან, მისი უდიდებულესობის ღირსი არავინ არის. არც ერთი.

და მაინც, მან აღთქმა დადო, რომ საპატარძლოს აირჩევდა. როცა ბოლო ასულიც გამოვიდა, მან მომდევნოს მოუხმო, მაგრამ მეტი აღარავინ იყო. პრინცი წამოდგა და მშვენიერთა ზღვა გააპო სხვა ასულების მოსაძებნად, რომლებიც ჩრდილში დარჩნენ და ვერ გაბედეს მის წინაშე წარდგომა. იგი მშვიდად და ფრთხილად მიიკვლევს გზას ფორმადაკარგულ, უფუნქციო, ჭკუასუსტ და მახინჯ ბრბოს შორის. უფრო მეტად უპირისპირდება გარე სიბნელეს, სანამ არ იპოვის მას, რომელსაც ეძებს. ასულში მშვენიერი არაფერია ... იგი საზიზღარია, დეფორმირებული და სიკვდილის პირას მისული. მას არ აქვს კეთილშობილება, ცოდვაშია ჩაფლული და მისი საკუთარი ახლობლებისგანაც კი გარიყულია. იგი თავზე დაადგა მის შეშინებულ სხეულს და პატარძლად გამოაცხადა!

ჩვენი პრინცი ამ ქვეყნიერების კეთილშობილ ასულებს არ ეძებს ... ეს მას არ ახასიათებს. იგი სხვების მიერ უგულებელყოფილებს ეძებს. ასეთები ხშირად იმალებიან ყველაზე საშინელ ადგილებში და საცოდავ პირობებში ცხოვრობენ. მისი მისია ამ ურყოფილი, შებორკილი და მიტოვებული ასულების მოძიებაში მდგომარეობს, რადგან მას მგრძნობიარედ უყვარს უიმედო და საზიზღარი გარემოებების მკვიდრნი.

„დაკარგულს მოვიკითხავ და გზააბნეულს უკან დავაბრუნებ, მოტეხილს შევუხვევ და ავადმყოფს გავამაგრებ“. (ეზეკ. 34:16)

კიდევ ერთი მუხლი ასე აცხადებს:

„ვინაიდან ძე კაცისა დაკარგულის მოსაძებნად და გადასარჩენად მოვიდა“. (ლუკ. 19:10)

მოდით, გავყვეთ მის ძიებას! ეს გახლავთ ერთი განსხვავებული ასულის ცხოვრება. მისი დაბადება არ იგეგმებოდა და არავინ ზეიმობდა მის მოვლინებას. მისი ამქყვეყნად მოსვლა განათებულ და თბილ სახლში არ მომხდარა, არამედ ცივი, ჩრდილოვანი სიბნელით დაიფარა. რა უნდა გამოვიდეს ასეთი ასულებისგან? მათი იმედი არავის ჰქონია და მათთვის არავის ულოცია. ისინი ხარბი ვნების ჟამს ან უარესი, ძალადობაში ჩაისახნენ აკრძალული ურთიერთობში ან ფულის გამო. და რა გამოდის?

ჩუმად ჩასახული პატარები გადაგდებული არიან. ისინი ისე მიატოვეს, რომ არასოდეს უგრძვნიათ დედის მკერდის კვება და სითბო და არც მამის სახის ნაკვთები ახსოვთ. ამ ასულების ხვედრზე მათი მამები ზედიზედ ორჯერ არ დაფიქრებულან და დედის ნანა არ მოუსმენიათ. მათი ცრემლები არავის შეუშრია და ალერსით არ შეხებია. ამის ნაცვლად ისინი შიშვლები მიატოვეს სიცივეში და სასიკვდილოდ გაწირეს ... უკან არავის მოუხედავს და მათზე აღარასოდეს უფიქრიათ.

— ნუთუ ღმერთმა ზურგი აქცია ცოდვის შვილებს და სირცხვილის მემკვიდრეობას გადასცა?

მოდით, ერთ-ერთ მათგანს გადავხედოთ, ნორჩ გოგონას. შეგიძლიათ მისი დანახვა? იგი მტვრიანი გზის განაპირას მინდორზე ჩამომჯდარა. იგი სასიკვდილოდ არის განწირული, თუ ვინმე

არ შეიბრალებს. ვინ გამოკვებავს დაბადებისთანავე უარყოფილებს? ნუთუ ღმერთმა ზურგი აქცია ცოდვის შვილებს და სირცხვილის მემკვიდრეობას გადასცა?

„იმ დღეს, შენ რომ დაიბადე, არც ჭიპლარი მოუჭრიათ შენთვის და არც წყლით განბანილხარ გასასუფთავებლად, არც მარილით გახეხილხარ და არც საფენებში შეფუთულხარ. არავის თვალს არ შებრალებიხარ, რომ ერთი რამ მაინც გაეკეთებინა შენთვის თანაგრძნობის ნიშნად, ველზე გადაგაგდეს შენი შობის დღეს, რადგან მოგიძულეს“. (ეზეკ. 16:4-5)

ამ სურათის ყურება ძალიან ძნელი და გულისგამგმირავია – ახალდაბადებული ჩვილი იკლაკნება ჭიპლარშემოხვეული, რომელიც გამხმარ პლაცენტას მიკვრია. ის რაც ერთ დროს მას კვებავდა, ახლა გველივით ახრჩობს. მხურვალე მზე მას კიდევ უფრო აძლიერებს და ყოველ მოძრაობაზე ჩვილს უფრო მეტად ეჭდობა. პატარას კანი მშობიარობის ჭუჭყით და მისი წყლიანი სახლის ნაკვალევით არის დაფარული. თავზე დედის სისხლი სცხია და მისი საკუთარიც სდის გადაუჭრელი ჭიპლარიდან. სისხლი მტვერში აზელილა და ჟანგისფერ ტალახად ქცეულა.

მოდით, თვალი მივაპყროთ მას! ... ამ ამბავში კიდევ ერთი მოქმედი პირია. პრინცი მინდორში სეირნობს. ალბათ ფიქრებშია გართული ახალი დღის დადგომამდე. მოდით ამ კეთილშობილის თვალებით გამოვიხედოთ! იგი შემთხვევით წააწყდა გოგონას თუ მის საძებრად არის გამოსული? მას მისუსტებული კნავილი და ჩვილის მოძრაობით აშარიშურებული ოქროსფერი თავთავების ხმა ესმის. იგი ჩერდება და მინდორს აკვირდება. მას ისევ ესმის ხმა .... ნუთუ ეს დაჭრილი ცხოველის კვნესაა? არა, ეს მომაკვდავი ჩვილის ვედრებაა. პრინცი მომკელებს ვერ ხედავს. არც დედა ჩანს თვალსაწიერზე. იგი კვლავ უგდებს ყურს. აი, ისიც, დილის ცაზე ამოსული ნათელი მზის კვალზე მიმქრალი წკმუტუნი. პრინცი გვერდზე უხვევს და მინდორს ჭრის. თავთავები შრიალით უთმობენ გზას მის ნაბიჯებს და სიარულს უშლიან. და, იგი მას ხედავს.

„გვერდზე ჩაგიარე, საკუთარ სისხლში იყავი მოსვრილი. სისხლიანს გითხარი, იცოცხლე-მეთქი!“ (ეზეკ. 16:6)

აქ გოგონა ფეხს იქნევს და სუსტად მოძრაობს სისხლისა და ადამიანის სიბინძურის ტალახიან გუბეში. ეს სურათი იმდენად უიმედო და უმწეოა, რომ პრინცი თვალს არიდებს და ფიქრობს, რომ უკვე ძალიან გვიანია. იგი დარწმუნებულია, რომ გოგონა ქალაქის მეძავის ასულია, რომელიც სიბნელეში მკვიდრობს. ასეთი სასოწარკვეთილი ქალისთვის პატარა გოგონა არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. მან იცის, რომ ჩვილი მომკელების არ იქნება ... ისინი ასეთ პატარას არასოდეს არ გადააგდებდნენ. იგი ჩერდება ... უმჯობესი ხომ არ არის, რომ საიდუმლოდ დაბადებული ასევე ჩუმად მოკვდეს? იგი კიდევ ერთხელ ავლებს თვალს გატანჯულ ჩვილს. პრინცი მის შუბლზე წარწერას ხედავს. ეს სიკვდილის განაცხადია, დედის გამოსამშვიდობებელი სიტყვა: „მოკვდი!“.

> *~ მის შუბლზე წარწერას ხედავს. ეს სიკვდილის განაცხადია.*

იგი ჩვილისკენ იხრება და გოგონას თვალებიც დაძაბული ეძებს მის სახეს; რაღაც შეიძრა სულის სიღრმეში. მას პატარა ტალახიდან ამოჰყავს და ამბობს: „იცოცხლე!“ ამ ძახილმა შინაგანიდან ამოხეთქა და მეფე ერთადერთი სიცოცხლის სიტყვის ძალით ცვლის სასიკვდილო განაჩენს. ჩვილი ამ ხმის ძალით თრთის და მის სახეს ეხება. გოგონამ სიცოცხლის მიზანი ჰპოვა პრინცის ჩრდილქვეშ.

მისი დასისხლიანებული ხელები სწრაფად უსკვნის ჭიპლარს და სისხლდენას აჩერებს. შემდეგ ერთი მოძრაობით იხსნის მოსასხამს და ჩვილს მისი სახლეულის სამეფო მანტიაში ახვევს. იგისწრაფადბრუნდებასასახლეში და გოგონას გამზრდელი ძიძის მზრუნველობას ანდობს. როცა ეკითხებიან, ვინ არის ბავშვი და რამდენ ხანს დარჩება იქ, პრინცი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე პასუხობს: „პატარა ჩემია .... აქამდე ვისი იყო, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მათ ყოველგვარი უფლება დაკარგეს, რადგან სასიკვდილოდ გაიმეტეს ისე, რომ სახელიც არ დაურქმევიათ. მე ვიხსენი მისი სიცოცხლე. მე ვარ მისი კეთილისმყოფელი და დამცველი“.

> *~ გოგონამ სიცოცხლის მიზანი ჰპოვა პრინცის ჩრდილქვეშ.*

გოგონა დაბანეს და მარილით გახეხეს, რომ მისი სამარცხვინო დაბადების ჭუჭყი მოეშორებინათ. მას პრინცის მსახურები

უვლიან და კვებავენ. როცა გოგონა ძუძუს მოსწყდება და მოძლიერდება, პრინცი მინდვრებისა და ბაღების ზედამხედველის სახლში მიუჩენს ბინას. აქ ის ლაღად იზრდება და ველებზე დარბის ისე, რომ არც კი იცის, მიწა მისი სისხლით რომ არის დანამული. მას მხოლოდ ის უთხრეს, რომ პრინცმა იპოვა და თავისად მიიღო. ეს უკანასკნელი ხშირად სტუმრობს მას, მხოლოდ შორიდან ადევნებს თვალ-ყურს და მის ყოველ საჭიროებას აკმაყოფილებს.

„მინდვრის მცენარესავით გაგამრავლე, გაიზარდე და სამკაულივით დამშვენდი, მკერდი დაგემჩნა და თმა გაგეზარდა, თუმცა შიშველ-ტიტველი იყავი“. (ეზეკ. 16:7)

გოგონა გარემოს მშვენიერებასა და უზრუნველყოფაში იზრდება, როგორც პრინცის სამეფო ველების ნაყოფი, რადგან მისი დახმარებით გაიფურჩქნა და აყვავდა. მას არაფერი აკლია და მისი ბავშვობა სიხარულით სავსეა. მას წარსული სირცხვილის კვალიც არ ატყვია – კეთილშობილური გარეგნობა აქვს სამეფო სასახლეში დაბადებულივით. იგი სულისშემძვრელი, მოელვარე ძვირფასი ქვაა, რომელიც მასზე უხვად გადმოღვრილი სიყვარულის სინათლეს ირეკლავს და ასხივებს. გოგონას მკერდი გაევსო, თმები გაეზარდა და საბურავივით ეხვევა მის აყვავილებულ ქალობას. ის ჯერ კიდევ ნორჩია და სიყვარულის ჟამი არ დასდგომია, მაგრამ მალე კი იქნება. დრო გადის.

„კვლავ ჩაგიარე, შემოგხედე და, აჰა, სიყვარულის ჟამი დაგდგომოდა; კალთა გადაგაფარე და დავფარე შენი სიშიშვლე. შემოგფიცე და აღთქმა დაგიდე, ამბობს უფალი ღმერთი, და ჩემი გახდი“. (ეზეკ. 16:8)

პრინცი ისევ მოდის და როცა გოგონა მასთან შესაგებებლად მორბის, ხვდება, რომ დრო მოვიდა. მასში ბავშვური აღარაფერი დარჩა. გარდასახვა დასრულდა ... ის უკვე ქალია. ქალწულს სავსე მკერდი, დაბურცული ტუჩები და გრძელი ფეხები აქვს. ის საკმარისად გაიზარდა იმისთვის, რომ ქალური სიყვარული გასცეს და კაცის სიყვარული მიიღოს. ის უკვე ღიაა ამისთვის. ის მზადაა აღთქმის დასადებად.

პრინცი ისევ მოასხამს მოსასხამს, მკლავს გადახვევს და

მასთან ერთად სასეირნოდ მიდის. იგი სიცოცხლეს ჰპირდება, არა როგორც კეთილისმყოფელი, არამდე როგორც ქმარი. პრინცი უარს ეუბნება სამეფო სისხლის პრინცესებს, რომ საუკუნოდ შენატროდეს მინდორში ნაპოვნ მიგდებულ ასულს. მან იცის, რომ გოგონას უყვარს როგორც ძმა, როგორც მხსნელი და უზრუნველმყოფელი, მაგრამ ახლა მას სთხოვს, შეიყვაროს როგორც პატარძალმა.

ქალწულს არც კი სჯერა, რომ მისი ფარული ოცნება ხდება. მას პრინცის სიყვარული შესთავაზეს. იგი მთელი გულით თანხმდება და ტოვებს თავის საცხოვრებელ სახლს, რომ სამეფო სასახლეში შევიდეს. ახლა იწყება მისი განწმედისა და მორთვის პროცესი. მსახური ქალები მის ყოველ საჭიროებას აკმაყოფილებენ და ისიც მზად არის პრინცისთვის.

> *— პრინცი უარს ეუბნება სამეფო სისხლის პრინცესებს, რომ საუკუნოდ შენატროდეს მინდორში ნაპოვნ მიგდებულ ასულს.*

„როცა ჩვილი იყავი, წყალში გაგბანე, სისხლი ჩამოგრეცხე და ზეთი გცხე“. (ეზეკ. 16:9)

მისი გალამაზება მენსტრუალური სისხლისგან რიტუალური განბანით, მისი სექსუალურობის გაწმენდით და სიცოცხლის უფლისთვის მისი წყაროს გამოყოფით იწყება. მის ახალდაბანილ სხეულს ნელსურნელებებით და ზეთებით ამუშავებენ, რომლებიც ყოველ სიმშრალეს და გაღიზიანებას დაანოტივებს და მოაშუშებს. იგი ახალი ტიკივითა, რომელშიც ახალი ღვინო უნდა ჩაისხას.

ქალწული ახლა სრულიად დამშვიდებულია და პრინცთან ერთობლივ მომავალზე ოცნებობს. იგი ერთადერთი კაცია, რომელიც მას მთელი გულით ჰყვარებია. მხოლოდ პრინცი ელაპარაკებოდა ალერსიანად. ქალწულს მისგან მხოლოდ სიყვარული, უზრუნველყოფა და სიკეთე ახსოვს. იგი დუნდება და საქმროს სითბოში ნებივრობს.

დადგა მისი გარდერობის შერჩევის დრო. პატარძლების უმრავლესობას თავად მოაქვს თავისი სამოსელი, მაგრამ გოგონას პირადად პრინცმა შეურჩია ყველაფერი.

„მოქარგული ქსოვილით შეგმოსე, ფეხზე რბილი ტყავი ჩაგაცვი,

ბისონი შემოგარტყი და აბრეშუმი მოგახვიე“. (ეზეკ. 16:10)

თანხები არ დანანებია. მისი სამოსი ბრწყინავს, როგორც პრინცის ბაღის ყვავილები. მას უნაზესი თეთრეული მოსავს. გარედან ისეთი ტანსაცემლი აცვია, რომ მისი სილამაზე პრინცის სამოსსაც ჩრდილავს. მას აქამდე არასოდეს სცმია ასე დიდებულად. იგი სათითაოდ ეხება ყოველ მათგანს და თითქოს არც კი სჯერა, რომ ყველაფერი მას ეკუთვნის. თითოეული ტანსაცმელი საქმროს სიყვარულისა და ქალწულის სამეფო მდგომარეობის შესატყვისია. იგი სიხარულით იმოსება პრინცისთვის, რადგან საღამოს ერთად უნდა ივახშმონ. ქალწული ანათებს. თუმცა არის კიდევ რაღაც:

> *~ პრინცი მას მშვენიერს უწოდებს.*

„სამკაულებით შეგამკე, ხელებზე სამაჯურები გაგიკეთე და ყელსაბამი ჩამოგკიდე. ნესტოზე რგოლი გაგიკეთე, ყურებზე – საყურეები, თავზე მშვენიერი გვირგვინი დაგადგი“. (ეზეკ. 16:11-12)

ყოველ დღეს ახალი სიურპრიზი მოაქვს. პრინცი მის მკლავებსა და ხელებს სამაჯურებით ამშვენებს, ხოლო დახვეწილ ყელს – ულამაზესი ყელსაბამით. ქალწულის სახე ყურისა და ცხვირის რგოლებით შემოფარგლულა. თავზე დიდებული გვირგვინი ადგას. პრინცი მას მშვენიერს უწოდებს. ვერავინ ვერ წარმოიდგენს მის სამარცხვინო წარმოშობას. ქალწული საქმროს ნაზი მზრუნველობისა და მხურვალე სიყვარულის ანარეკლია.

„ოქროთი და ვერცხლით მოირთე, სამოსლად ბისონი, აბრეშუმი და ნაქარგი ქსოვილი გქონდა“. (ეზეკ. 16:13ა)

ქალწული მზისდარი ოქროსა და მთვარის ნათებისფერი ვერცხლის სამკაულებით არის მორთული. ისინი მის კანზე ნაპერწკლებს ყრიან და ციგლიგებენ. მისი ნატიფი სელის საცვლები უმშვენიერესი აბრეშუმითა და ნაქარგი ქსოვილებით არის დაფარული. თითოეული მათგანი ხელით დამზადდა მხოლოდ მისთვის. პრინცმა ბრძანა ასე. მას ვერავინ შეედრება სილამაზით.

„გამტკიცულ ფქვილს, თაფლსა და ზეთს მიირთმევდი; მეტად, მეტად გალამაზდი და სადედოფლო გახდი“. (ეზეკ. 16:13ბ)

მისი საკვები საუკეთესო ფქვილის, უტკბესი თაფლისა და გაჯერებული ზეთისგან მზადდებოდა. იგი პრინცის სიკეთით დღესასწაულობს და სილამაზე გამოარჩევს. უკვე დაინიშნა ქორწილის დღე; სტუმრები მოწვეულნი არიან, რადგან დადგა მათი სიყვარულის ზეიმის ჟამი. ყველა ჩურჩულებს და ცნობისმოყვარეობა კლავს, ისე აინტერესებს პატარძლის ვინაობა. საიდან არის ... როგორ გამოიყურება? ბევრი პრინცის სიბრძნეს ეჭვქვეშ აყენებდა: რატომ არ მოიყვანა სამეფო წარმოშობისა და აგებულების ასული? რატომ მაინც და მაინც ეს? შემდეგ მათ დაინახეს ის და მიხვდნენ. ქალწული პრინცის სიყვარულის სრულყოფილი ანარეკლი იყო. იგი საქმროს მარჯვნივ ზის და მის თავს ზემოთ პრინცის ალამია. ზეიმი სრულდება. იგი ასულს ხელში იტაცებს და სამეფო პალატებისკენ მიემართება. აქ ის მისი პრინცესა ხდება. მათი სიყვარული მშვენიერი, ალერსიანი და ვნებიანია. მას უყვარს ქალი საიდუმლო ადგილას და მალე ეს ყველასთვის ცხადი გახდება, რადგან შეუძლებელია ვინმე იყოს შეყვარებული პრინცის მიერ და ეს ყველასგან დაიფაროს.

> *შეუძლებელია ვინმე იყოს შეყვარებული პრინცის მიერ და ეს ყველასგან დაიფაროს.*

„სახელი გაგივარდა ხალხებში შენი სილამაზის გამო, რადგან სრულყოფილი იყო იგი ჩემი დიდებით, რითაც შეგამკე“ - ამბობს უფალი ღმერთი“ (ეზეკ. 16:14)

ყველა ქალის ნანატრი ოცნება ... იყოს სრულყოფილი და სრულყოფილად შეყვარებული. ამას ქალწული მარტო ვერ მიაღწევს. დიახ, იგი უმშვენიერესი იყო, მაგრამ პრინცმა მისი სილამაზე კიდევ უფრო გაზარდა იმით, რაც მხოლოდ მას შეეძლო ... *ბრწყინვალება* შემატა. ბრწყინვალება იმქვეყნიურია; ეს არის ზეცის გაელვება დედამიწაზე. სიტყვა *ბრწყინვალება* დიდებულებას მოიცავს, რაც ქვეყნიურ აღქმას აღემატება. მის დანახვაზე სუნთქვა გვეკვრის, რადგან ელვარე, დიადი და გრანდიოზულია. იყო თუ არა ეს იგივე სილამაზე, რაც ევას ემოსა

ღვთის ქმნილების ბაღში? იყო ის მოელვარე და ბრწყინვალე, რომელიც შემოეძარცვა და სიშიშვლის, სირცხვილისა და საფარველის საჭიროების გრძნობა დაუტოვა? შესაძლებელია.

ეს გაცილებით დიდი მასშტაბის ამბავია კონკიას შესახებ. აქ ვერ ნახავთ გარდაცვლილ მშობლებს – მხოლოდ მათ, ვისაც გულგრილობა დარჩენის სურვილს არ აღუძრავს. აქ არც ბოროტ დედინაცვალს შეხვდებით, რომელიც ითმენს ამ ნაცარში ამოგანგლულ ასულს – ასეთები ბუხრის ცეცხლთან გათბობასაც ვერ ეღირსნენ. არც კეთილი ფერია ჩანს სადმე, რომ მას საკმარისი სილამაზე მისცეს პრინცისთვის თავის მოსაწონებლად. იგი უსახელო იპოვეს ყველაზე უმწეო მდგომარეობაში და მანამდე შეიყვარეს, სანამ ამის მიზეზი გაჩნდებოდა. აქ არ იქნება შუაღამის საათის რეკვა, არამედ მარადიული აღთქმა. მყიფე ბროლის ფეხსაცმლის ნაცვლად შეხვდებით ... სინათლის სამოსელს, რომელიც ქალის პატრონის ვინაობაზე ყოველგვარ ეჭვს გაგიქრობთ.

> *ეს გაცილებით დიდი მასშტაბის ამბავია კონკიას შესახებ*

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენგანი დაბადებისთანავე ველზე არ მიუგდიათ, გარკვეულ დონეზე თავს ამ ოცნებასთან ვაიგივებთ. ასე უნდა იყოს, რადგან ღმერთმა თავისი ოცნება ყველა ქალის გულში მოათავსა. ეს ამბავი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მიტოვებული და უარყოფილი ასულის ხსნას. ის უფრო დიდია, ვიდრე მისი წინასწარმეტყველური გამოყენება ისრაელისა და ეკლესიის მიმართ. წერილი ახლაც გველაპარაკება მისი მეშვეობით, გვიბრძანებს, რომ პრინცთან ვიცხოვროთ და ცოდვაში არ მოვკვდეთ. იგი წინ გვიდებს სიცოცხლესა და სიკვდილს, კურთხევასა და წყევლას და გვეძახის: „ამოირჩიე სიცოცხლე!“ ასე დიდებული სიყვარულის შეთავაზების შემდეგ როგორ შეიძლება რაიმე კითხვა არსებობდეს? მიტოვებული ასული ნამდვილად ხვდება მისი მოწყალებისა და მადლის სიღრმეს. ის და მეფე-პრინცი ნამდვილად დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებენ. და მაინც, მძულს ამ ამბის დასასრული, რადგან ქალწულის სამარცხვინო დაბადებაზე არანაკლებ გულისშემძვრელია.

„შენ კი, შენს სილამაზეს მიენდე და გაგამეძავა შენმა სახელმა, ყოველ გამვლელს უწვებოდი და მისი ხდებოდი“. (ეზეკ. 16:15)

მოვლენები საშინლად წარიმართა! როგორ შეიძლებოდა, რომ სრულყოფილად შეყვარებულს და დიდი მზრუნველობით გარემოცულს ზურგი ექცია ამ დიდებული, კეთილშობილური და წმიდა სიყვარულისთვის? რატომ მიენდო იგი პრინცის მიერ მონიჭებულ სილამაზეს და არა თავად პრინცს? რატომ გამოიყენა პატივი და დიდება მამაკაცთა მოსაზიდად და პრინცესობიდან მეძავობამდე დაეცა? რატომ მოისურვა იმ ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვება, რომელთაც მისთვის არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ და ერთ დროს გვერდზე გულგრილად ჩაუარეს მომაკვდავს, მახინჯსა და შიშველს?

თუ გულწრფელები ვიქნებით, ბევრი ჩვენგანი გამოიკვლევს გულს, თავის ნაბიჯებს დააკვირდება და მიხვდება, რომ პრინცის ღალატის დანაშაული გვამძიმებს. შესაძლოა, ჩვენს სილამაზეს ან სახელს არ მივნდობივართ, მაგრამ თანდათან დავშორდით პირველ და ერთგულ სიყვარულს, რომ აღიარება ამ უღმერთო წუთისოფელში გვეპოვნა.

ჩვენ პრინცს ყოველთვის სურს უარყოფილი და მიტოვებული ქალების განწმედა და გალამაზება. მან თითოეული ჩვენგანი ცოდვისგან იხსნა და სიკვდილის განაჩენი შეცვალა. მან გაწყვიტა წარსულთან ჩვენი ყოველგვარი კავშირი და მოწყალებით მოაგვარა ჩვენი პრობლემები ... უწესო სქესობრივი კავშირები, აბორტები, დაუცველობა, სისხლი. საკმარისად ჩავთვლით მის სიყვარულს? თუ სხვაგან დავიწყებთ სრულყოფის ძიებას? ნუთუ მისი კეთილგანწყობის კურთხევა ჩვენს გულებს მისგან მიაბრუნებს, ვინც თავი გაწირა და მისი ბრწყინვალებით სრულგვყო? რა იქნება ჩვენი რეაქცია მის სიკეთესა და მოწყალებაზე? გვერდზე გადავდებთ უარყოფის სამოსელს და გზას მივცემთ შვილობის სულს თუ თავის რეალიზებას შევეცდებით ჩვენი მომხიბვლელობის მრავალი სექსუალური დადასტურებით?

— ჩვენ პრინცს ყოველთვის სურს უარყოფილი და მიტოვებული ქალების განწმედა და გალამაზება.

რამდენი მკლავი უნდა შემოგვეხვიოს, რომ საბოლოოდ ვთქვათ, „საკმარისია ... ახლა კი სრული ვარ“?

თუ ჩვენს სილამაზეს მივენდობით, გამუდმებით დაგვჭირდება სხვებისგან ფასეულობისა და სასურველობის არაერთი მტკიცება. საკუთარი ღირსების გრძნობას ირგვლივ მყოფი ქალები დაემუქრებიან.

ერთხელ კიდევ გადავხედოთ ამ მიტოვებული გოგონას მდგომარეობას: ისინი მფლანგველები, ექსტრავაგანტურები და მეტისმეტად გულუხვები არიან. მას სულელად ჩავთვლიდით ასეთი დიდი სიყვარულის უარყოფისთვის და უღირსს ვუწოდებდით ... მაგრამ სანამ მასთან ერთად გავაგრძელებთ გზას, ამ ამბიდან ერთი გაკვეთილი მივიღოთ.

ეს გახლავთ გამოსყიდვის ისტორია და მასში ღირსეული არავინაა. ეს გახლავთ პრინცის დიდი ხნის ნატვრა საპატარძლოზე, ვისზეც თავის სიყვარულსა და უზრუნველყოფას გადმოღვრის, ვინც მადლიერებით გამოეხმაურება მის სიკეთეს და მხურვალე სიყვარულით უპასუხებს ... პატარძალზე, რომელიც მისი ბრწყინვალე სახის დანახვის შემდეგ სხვისკენ არასოდეს გაიხედავს.

ეს ამბავი ჩვენზეა. ჩვენ ვიყავით უიმედო და მომაკვდავი სიცოცხლის პირველი წუთებიდანვე. პრინცმა თქვენი ტირილი გაიგონა ტკივილის, ტანჯვისა და ცოდვის ველიდან. მან მაშინ დაგინახათ, როცა უმწეო და სასოწარკვეთილი ცოდვის სისხლისა და უარყოფის სიბინძურეში იმყოფებოდით. მას შეებრალეთ და სიკვდილის წყევლა შეცვალა, შემდეგ გაგწმიდათ თქვენი წარსულის ცოდვისა და ჭუჭყისგან. მან უზრუნველგვყო და გამოგვკვება. მის სიყვარულში გავიფურჩქნეთ, მაგრამ ზოგჯერ იგი ძალიან შორეული გვეჩვენება, ხოლო ოცნებას მოცდა უწევს.

ეს ის დროა, როცა სხვებისკენ ვბრუნდებით. გვინდოდა აქ და ახლა შეგვხებოდა ვინმე და ლოდინი არ ვისურვეთ. გავიხადეთ ბრწყინვალების სამოსელი, ჭყეტელა ტანსაცმელი ჩავიცვით უკანონო კავშირების სამშვენისთა შესაგროვებლად და დიდებული ძვირფასი ქვების აღთქმა დავივიწყეთ. ახლანდელი სიმდიდრეების საცდური და სხვა გულისთქმები მეტისმეტად ხშირად ამახინჯებს პრინცის დაპირებებს. ამრიგად, ზოგიერთმა ჩვენგანმა ტანთ გაიხადა იმ მამაკაცებთან, რომლებთანაც აღთქმაში არ ვყოფილვართ და იმედი გვქონდა, რომ მათი სხეულები სისრულეს მოგვიტანდა, მაგრამ მათმა ხელებმა ისევ წაბილწეს ის ადგილები, რომლებიც პრინცმა ასე საგულდაგულოდ გაწმიდა.

და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი უკეთესი იქნება. ეს წიგნი თქვენს ხელშია, რადგან მისი სახელი თქვენს გულშია ჩაწერილი.

— ძვირფასო ზეციერო მამა,

ამავსო შენი მოწყალების მშვენებამ და შენის სიყვარულის სიღრმემ. მაშინ გამომარჩიე, როცა ცოდვაში ვკვდებოდი და შენს სახლში მომიყვანე. ჩემი სიშიშვლე შემოსე და ყოველგვარი სისხლდენისა და ცოდვისგან განმწმიდე. მადლობა შენი პატიების, წყალობისა და ნაზი მზრუნველობისთვის! მაპატიე, რომ შენგან ბოძებული სილამაზე ავიღე და დედამიწის ძეებისგან მოწონების მისაღებად გამოვიყენე, თუმცა შენთან ბრწყინვალების აღთქმაში ვიყავი! უარს ვამბობ ჩემს სხვა საყვარლებზე და მხოლოდ შენ მოგყვები. მადლობა, რომ გიყვარვარ ჩემს სისუსტეში და არა მხოლოდ სილამაზეში. მე ის კონკია ვარ, რომელიც ნაცრიდან ამოიყვანე. ჩემს გულს შენსკენ მოვმართავ, რადგან შენ ხარ ჩემი ერთადერთი და ნამდვილი პრინცი.

სიყვარულით,
შენი ასული

7 რა ვქნათ, თუ სექსუალური სიყვარული იღვიძებს?

ჩვენ ვილაპარაკეთ რომანტიკული და სქესობრივი გრძნობების მოსვენებისა და მთვლემარე მდგომარეობაში დატოვების სათნოებაზე, სანამ პრინცის კოცნა არ გამოგვაღვიძებს. რა ხდება მაშინ, როცა გრძნობები სხვამ გაგვიღვიძა და მათი დაოკება ძნელი ხდება? რა უნდა ვქნათ, თუ სქესობრივი სიყვარულის სურვილი უბრძოლველად არ თანხმდება ხელახლა მიძინებაზე? თუ ასეთ მდგომარეობაში ხართ, გეცოდინებათ, რაოდენ ძნელია გაღვიძებული სურვილის კვლავ მიძინება, განსაკუთრებით, თუ მისი გაღვიძება მოულოდნელად, უხეშად და უმწიფარ მდგომარეობაში მოხდა. ადრენალინი ჩქარობს აღფრთოვანების ან შიშის ტალღის აგორებას.

ამ ფაქტს დაუმატეთ გრძნობების მიყუჩების სირთულე მაშინ, როცა გარემო საცდურებით სავსეა და მჟღერი სიგნალები თვალის დახუჭვას არ გაცდიან, რომ რაღაცას არ გამოაკლდე! თვლემის მსგავს ნეტარებაში დასაბრუნებლად ჩვენს ირგვლივ ბუფერული ზონა უნდა არსებობდეს სიმშვიდისა და სიწყნარის შენარჩუნებისთვის. გაღვიძებულ გრძნობებს ფრთხილად უნდა მოვეპყროთ, რომ მშვიდობიანი თვლემის ვითარება აღვადგინოთ, რადგან ყალყზე დამდგარი შიშების ან სურვილების დაწყნარება ადვილი როდია. ამას თავისი მიზეზი აქვს: *შეუძლებელია სურვილების გაღვიძება და შემდეგ მათი უგულებელყოფა.* ეს ჭეშმარიტია ნებისმიერი ადამიანური ლტოლვის შემთხვევაში.

> *~ შეუძლებელია სურვილების გაღვიძება და შემდეგ მათი უგულებელყოფა.*

მახსოვს, როცა ჩემი ბიჭები ჯერკიდევ პატარები იყვნენ, პირველი ექვსი თვის მანძილზე მხოლოდ დედის რძეს ვაწოვებდი,

სანამ მათი კვების რეჟიმში რაიმე ახალს შევიტანდი ... და როგორც კი სხვა საკვები პირველად გასინჯეს, ყველაფერი შეიცვალა. ახალ საჭმელებთან პირველ შეხვედრამდე ისინი გამუდმებით ჩემს მუხლებზე ისხდნენ რესტორანში სადილობისას და არასოდეს აქცევდნენ ყურადღებას მათ წინ ჩამოტარებულ კერძებს. ისინი უბრალოდ უღიმოდნენ მიმტანებს და უფროსობას ბედნიერ თავდავიწყებაში. მათ ყნოსვას სხვადასხვა და მადისაღმძვრელი სურნელებანი წვდებოდა, მაგრამ არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ, რადგან არ იცოდნენ, რა აკლდათ. რასაკვირველია, სანამ თავად არ გასინჯეს ახალი საჭმელი და ამის შემდეგ სულ სხვა ისტორია იწყება!

ახლა მათ საკვების სუნი აგიჟებთ. მადის გამოღვიძებამ მათ სახეზე პასიური ღიმილი გააქრო (თუ რა თქმა უნდა, მოსაქრთამად არ დასჭირდებოდათ). მათი ყურადღება საჭმლის მოთხოვნისკენ იყო მიმართული! თუ ჭამის დროს მუხლებზე დავისვამდი, ჩემს ჩანგალს ან კოვზს ეტანებოდნენ იმისდა მიუხედავად, ზედ რა იდო ან გადასაფარებლის მოქაჩვას ცდილობდნენ, რომ საჭმელი ჩემს მუხლებზე ჩამოვარდნილიყო და როგორმე მიწვდომოდნენ. საქმეს მათი მაღალ სკამებზე მიბმაც არ შველოდა, რადგან თავიანთ მცდელობებს არ წყვეტდნენ, სანამ საკვები მათ თეფშზე არ აღმოჩნდებოდა. ისინი მიზანსწრაფულები იყვნენ. მათ გასინჯეს საჭმელი და მოეწონათ. მათ სხეულში საჭმლისადმი მისწრაფება წარმოიშვა და სანამ არ მიიღებდნენ, ბედნიერები არ იყვნენ!

ამრიგად, ყოველთვის სიფრთხილეს ვიჩენდი, რომ იმაზე ადრე არ მიმეცა მათთვის სხვა საკვები, სანამ ფიზიკურად მის გადამუშავებას შეძლებდნენ და მეორე, სანამ მზად არ ვიქნებოდი ახალი საჭმლის რეგულარული მიწოდებისთვის. ამას საერთო არაფერი აქვს საკვების სასურველობასთან ... დარწმუნებული ვარ, რომ ექვსი თვის ასაკამდეც ესიამოვნებოდათ ახალი საჭმლის გემო, მაგრამ მათი მოუმწიფებელი მომნელებელი სისტემა ვერ გაუძლებდა ასეთ დატვირთვას. რასაკვირველია, საჭმელი კარგი და აუცილებელია ჩვენი გამოკვების, ზრდისა და განვითარებისთვის, მაგრამ თუ მას დროზე ადრე მივიღებთ, სხვადასხვა ალერგიული რეაქციები და აუტანლობა განვითარდება. თუ საკვებს გამორჩეულობის არასწორი პოზიცია უკავია ჩვენს ცხოვრებაში, მის მიმართ სწრაფვა გაგვაკონტროლებს და მის ბოროტად გამოყენებას

შევეცდებით, მიუხედავად იმისა, რომ საჭმელი თავისთავად კარგი და გემრიელია. შესაძლოა, გარკვეული სახის საკვების მიმართ არაჯანსაღი მადა განგვივითარდეს. ეს გემოვნების რეცეპტორებს გააღიზიანებს, მაგრამ არავითარი კვებითი ღირებულება არ ექნება.

ამ ტიპის მადის შეწყნარებას, საბოლოოდ, საკვების ბოროტად გამოყენებასთან მივყავართ. ამრიგად, *საკვები* კი არ არის ცუდი, არამედ მისი არასწორად გამოყენება. *როცა რაიმე კარგს ბოროტად ანუ არასწორად ვიყენებთ, ის დამანგრეველი გახდება* და ჩვენს ცხოვრებაში ძალაუფლებას მოიპოვებს. ამ შემთხვევაში სურვილი თუ მადა გაგვიბატონდება და დაუყოვნებელ დაკმაყოფილებას მოითხოვს.

> *როცა რაიმე კარგს ბოროტად ანუ არასწორად ვიყენებთ, ის დამანგრეველი გახდება.*

ჩვენი სქესობრივი სურვილი ჭამის მადისგან დიდად არ განსხვავდება ... ისიც მთვლემარე მდგომარეობაშია გარეგან სტიმულაციამდე. როგორც შეუძლებელია საკვების გარეშე სიცოცხლის შენარჩუნება, ასევე შეუძლებელია სიცოცხლის წარმოშობა სქესობრივი კავშირის გარეშე. ამრიგად ორივე მათგანისკენ სწრაფვა აუცილებელია სიცოცხლის გასაგრძელებლად. თუმცა გაღვიძებულ სქესობრივ ნდომასაც საკვების მსგავსად შეუძლია ჩვენი გატაცება, თუ მის მოთოკვას და დამორჩილებას ვერ შევძლებთ. ამ თავში განვიხილავთ ინტენსიური სქესობრივი სურვილის წინააღმდეგ ბრძოლის სულიერ და პრაქტიკულ ხერხებს.

> *ჩვენი სქესობრივი სურვილი ჭამის მადისგან დიდად არ განსხვავდება ... ისიც მთვლემარე მდგომარეობაშია გარეგან სტიმულაციამდე.*

მოდით, ისევ საკვების ანალოგიას დავუბრუნდეთ, რომ ყოველდღიურიდან უფრო მგრძნობიარე საკითხებზე გადავიდეთ. დავიწყებთ რაიმეს მიმართ გემოვნების განვითარების პროცესით. აქ მაგალითისთვის ჩემს თავს გამოვიყენებ. მაინტერესებს, მომინდებოდა თუ არა კარგი შავი შოკოლადის ჭამა, საერთოდ რომ არ მქონოდა გასინჯული? რას ვიტყვით ყავაზე? ფინჯან იავურ ყავაში ბრეიერის ყავის ნაყინის ერთი კოვზი რომ არ შემერია და თავზე დარიჩინი არ მომეყარა

დილით გამოფხიზლების სასოწარკვეთილი მცდელობისას, ისევ მომინდებოდა *მოკა ლატეს* დალევა თორმეტი წლის შემდეგ?

რასაკვირველია, არ მომინდებოდა! მაშინ არც კი მეცოდინებოდა, რას ვკარგავ. არ გაიღვიძებდა ამ გემრიელობების ჭამის მადა. როცა ყავა ჩემთვის სქელ, შავ, მწარე სითხედ აღიქმებოდა, არ მიყვარდა. როცა შოკოლადი თეთრი ან რძიანი იყო, მასზე უარის თქმის პრობლემა არ მქონდა.

ფაქტობრივად, აქ არ არის ბრძოლა! მე არ ვეწინააღმდეგები შოკოლადის იშვიათ მოთხოვნილებას ან სურნელოვანის ყავის სმის დილის რიტუალს ... მე ვიწყნარებ ამას! ეს ორი რამ არ გავიბატონე! უბრალოდ, ჩემთვის კომფორტულ პროცესად ვაქციე. შეიძლება კვირა გავიდეს და შავი შოკოლადი არ ვჭამო და ამით არავინ დაზარალდება. არ ვღიზიანდები, მაგრამ მომწონს, როცა შოკოლადს ვჭამ. რაც შეეხება ყავას, თუ მინდა მეყსეულად გამოვფხიზლდე ბურანიდან ნელ-ნელა გამოსვლის ნაცვლად, ერთ ფინჯანს ვსვამ.

ალბათ, მთლად პატიოსანი საქციელი არ იყო ამ მაგალითების მოყვანა. ესენი ძალიან გემრიელი, მაგრამ არცთუ მარგებელი საჭმელებია, ამიტომ შემინდეთ. რა მოხდებოდა, მათი გამოყენებით მიღებული სიამოვნების გამო სხვა ჯანსაღ საკვებზე უარი რომ მეთქვა? რა იქნებოდა, თუ გრძნობიერი სიამოვნების მიღებას (შავი შოკოლადით) და სიფხიზლის მაქსიმალურ დონეს (ყავის მეშვეობით) ვამჯობინებდი ჩემი ცხოვრების ნებისმიერ სხვა გრძნობას? მაშინ მწვანე სალათის ასორტს არავითარი შანსი არ ექნებოდა, რადგან იგი შოკოლადის მსგავს გრძნობას ვერ მანიჭებს. ბოლოს და ბოლოს, სალათი ხრაშუნა და ცივია, ხოლო შავი შოკოლადი აბრეშუმივით სრიალა და თბილი. ალბათ წყალიც არ მომეწონებოდა, რადგან ყავის მსგავსი ბიძგის მოცემა არ შეუძლია და არც იმ სითბოსა და სისწრაფეს უზრუნველყოფს, რომელიც მე მჭირდება.

ასე თანდათანობით და დარწმუნებით ჩამოვთვლიდი ყველა კერძს, რომელიც ზემოხსენებული ორი პროდუქტის გემოსა და ტექსტურისგან განსხვავდება და მათ მიერ მონიჭებული გრძნობებიც მოსაწყენი და მიწიურია. რა მოხდებოდა, რეალობას თუ გავექცეოდი და ორ კვირას მარტო შოკოლადსა და ყავაზე გავატარებდი? ალბათ თავს ბედნიერად ვიგრძნობდი, გამხდარი და ფხიზელი ვიქნებოდი ... ცოტა ხნით. შემდეგ ყველაფერი აირეოდა და ჩემი მადა შესამოწმებელი გახდებოდა.

ჩემი სათქმელი ეს გახლავთ: *ჩვენ თავად ვქმნით საკუთარ მადას და სურვილებს.* შეგვიძლია მათი ზეგავლენის გაზრდა ან შემცირება იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებთ მათ. შეგვიძლია მათი ზეგავლენის გაკონტროლება საკუთარი თანამონაწილეობის შეზღუდვით. აი, მაგალითი.

> *ჩვენ თავად ვქმნით საკუთარ მადას და სურვილებს.*

როცა ჩემს პირველ წიგნზე, *„კონტროლის დაკარგვა და მისი შეყვარება“*, ვმუშაობდი, სულ პატარა მყავდა ჩემი მეოთხე შვილი არდენი და ყავას ძალიან დავუმეგობრდი. სახლში კიდევ ორი სკოლამდელი ბავშვის ყოფნის პირობებში აღმოვაჩინე, რომ წერისთვის საუკეთესო დრო საღამოს 22:00 საათიდან შუაღამის 02:00 საათამდე პერიოდი გახლდათ. დიდი ჭიქით ვიღვიძებდი, რომელშიც ნახევრად ყავა ეყარა და რახან შუადღისთვის ძალები უკვე აღარ მყოფნიდა, მეორე რაუნდს ვიწყებდი (ამჯერად ინგლისური ჩაის ჩემებური ვერსიით). ეს საკმარისი ენერგიით მავსებდა, რომ დილის ორ ან ზოგჯერ სამ საათამდე გამეძლო. ამის შემდეგ საწოლზე მოცელილივით ვეცემოდი და დილის 06:30-ზე ვიღვიძებდი. ისევ მეორდებოდა ყოველდღიური რუტინა. მახსოვს, ურთულესი ნაწილი გახლდათ ყავის მომზადება, მაგრამ ორიოდე ყლუპის შემდეგ ყველაფერი გაცილებით მარტივი ხდებოდა. ასე გრძელდებოდა კვირები, რომლებმაც გზა დაუთმეს თვეებს. საკუთარ თავს აღარ ვგავდი, თუ ჩემს სისხლძარღვებში იავური ყავა არ ჩქეფდა.

მოულოდნელად ერთ ღამეში ყველაფერი შეიცვალა. ჩემს რეგულარულ გრაფიკს მივყვებოდი და უკვე საღამოს 22:00 საათიც გადავაგორე. არდენი გამოკვების შემდეგ წარმატებით დავაძინე (იმ დროისგან განსხვავებით, როცა მასთან ერთად ვბეჭდავდი). ერთი ამოოხვრისა და ლოცვის შემდეგ საბეჭდად დავჯექი. სიტყვები სწრაფად და გაშმაგებით მოდიოდა. უცებ ღამის 02:00 საათისთვის ვიგრძენი, რომ ჩემი სხეული ერთ მხარეს ძალიან გადაიხარა. ვიფიქრე, *რა ხდება-მეთქი?* ავდექი წელში გასამართად და მთელი ოთახი დატრიალდა, თუმცა გონება მეხმაურებოდა და ჯერ კიდევ მწყობრად აზროვნებდა. ვიფიქრე, ალბათ, იმაზე მეტად დავიღალე, ვიდრე მგონია-თქო, ასე ვთქვათ, მაღაზია დავკეტე და კიბეებით დაბლა ჩავედი

საწოლი ოთახისკენ. აღმოვაჩინე, რომ გამიჭირდა კიბეებთან მისვლა. შემდეგ პირდაპირ საწოლი ოთახის კარში შევვარდი, თუმცა კარგად გასუფთავება მქონდა განზრახული. საწოლზე დავეგდე და ვიგრძენი, როგორ დატრიალდა ჩემი სხეული, ხოლო გონება სხვადასხვა წრფეების მიმართულებით დარბოდა. მივხვდი, რომ *რაღაც რიგ ზე ვერ იყო.* ცხადია, ჩემი სხეული გადაიქანცა, მაგრამ გონება ჯერ კიდევ უძლებდა. ასე ვიწექი საათების განმავლობაში და ვერც დაძინებას და ვერც გონების გათიშვას ვერ ვახერხებდი. დაღლილი ვიყავი, მაგრამ ძილმა წამიღო თუ არა, ტვინი კვლავ აფორიაქდა და გასაღვიძებლად მიბიძგა. ჩემს ოთახში რიჟრაჟმა შემოანათა და მივხვდი, რომ ყავის დრო დადგა.

ჩემთვის არასოდეს დაუბრალებიათ გაწონასწორებულობა, ამიტომ უცებ შევწყვიტე ყავის მიღება. მთელი დღე ბურუსში დავდიოდი და გონება ოდნავღა თუ მიმოძრავებდა. ჩემი პატარები მეხვეწებოდნენ, რომ ყავა დამელია, მაგრამ უარზე ვიყავი.

მოსაღამოვდა თუ არა, ისეთი თავის ტკივილი დამეწყო, როგორიც ადრე შეუძლებლად მიმაჩნდა. თავის ტკივილს ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევდი და ჩუმად ჰიპოხონდრიკების იარაღად ვთვლიდი, რომლითაც სხვების ყურადღების მიზიდვას ცდილობენ. ახლა მე თვითონ ვჩხრეკდი კარადებს ტილენოლის აბების ნიმუშის სასოწარკვეთილ ძიებაში, რომლებიც შავი დღისთვის მქონდა გადანახული. წამალმა ოდნავ თუ შემიმსუბუქა თავზე მოჭერილი მარწუხები. აღარასოდეს მიცდია გამოსავლის ძიება კოფეინის დახმარებით. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ყავას საერთოდ არ გავკარებივარ. კოლორადოს ერთ სუსხიან დილას ისევ მოვსვი ყლუპი ყავა და ის ხელახლა აღმოვაჩინე ჩემი ცხოვრებისთვის ისე, რომ ჯანსაღი ძილი მისით არასოდეს ჩამინაცვლებია.

ახლა მინდა დასაშვები საზღვრები ცოტათი გადავლახო და თვალსაჩინოების მიზნით, სექსის, ყავისა და შოკოლადის კონცეფციები ერთმანეთს დავუკავშირო. ყავის მსგავსად, სექსიც, ფაქტობრივად, სხვა ყველაფერზე მეტად გვაცოცხლებს და გვაფხიზლებს. სექსი შოკოლადივით გემრიელია. სექსი ისეთ აღმაფრე-

> *~ არასწორ დროს გაღვიძებული სურვილი გულისთქმას წარმოშობს, ხოლო გულისთქმა დაუოკებელი*

ნას გვაგრძნობინებს, როგორიც სხვას რამეს არ შეუძლია. ეს გახლავთ ბევრი ემოციის ერთიანად თავმოყრა, რომელსაც ენდორფინის დამატება საოცრად აგიჟებს. ეს გრძნობიერი დატვირთვა და ზეცის წამიერი თვალის შევლებაა. ძნელია მის გარეშე გაძლება, თუ ერთხელ მაინც დაეწაფეთ მის მათრობელა სასმისს.

ამ ყველაფრის ფონზე გასაგები ხდება, რომ თავდაპირველად სურვილის დაკმაყოფილება გვინდა და არა მისი მოსვენება, განსაკუთრებით, თუ მას ისეთი სიამოვნება მოაქვს და მისი მეშვეობით სიცოცხლეს, სასურველობას და დროებით სისრულეს ვგრძნობთ. აქ კიდევ ერთი ელემენტი არსებობს, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ: როცა სიყვარულის დრო ჯერ არ დამდგარა, სქესობრივი სწრაფვა ყოველთვის არასწორია, რაც არ უნდა სიამოვნების მომტანი და გრძნობიერი იყოს. არასწორ დროს გაღვიძებული სურვილი გულისთქმას წარმოშობს, ხოლო გულისთქმა დაუოკებელი და სირცხვილში გახვეულია.

სიყვარულმა უნდა დაისვენოს, რომ მოგვიანებით ისევ გაიღვიძოს არა გულისთქმის ფორმით, არამედ ჭეშმარიტ და უფრო ლამაზ მდგომარეობაში. დამატებითი მოსვენება მას სათანადო დროს აღიძებს. იგი განახლებული და გაცილებით ძლიერია სიამოვნებასა და ვნებაში. აღარ ვიქნებით იმედგაცრუებულები, მიტოვებულები და გატანჯულები. ჩვენ გულისთქმის დასამარება და მის ადგილას ისეთი სიყვარულის აღდგენა გვინდა, რომელიც დანაშაულის ან მისი სილამაზის მძარცველი სირცხვილის კვალისგან თავისუფალი იქნება. როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მიღწევა?

ეს დიდად არ განსხვავდება მოუსვენარი ან შეშინებული ბავშვის მიძინებისგან. როცა ჩემი შვილები შეშინებულები, დაშავებულები, ავად ან ზედმეტად აგზნებულები არიან, ჩემთან ახლოს მომყავს დასაწყნარებლად. ამ დროს შეიძლება დავარწიო ან საწოლებში ჩავაწვინო ან თუ ძალიან გვიანია, ჩემთანაც კი მივიწვინო. გამოყენებული მეთოდის მიუხედავად, მინდა იცოდნენ, რომ ახლოს ვარ. როცა ისინი თავს მოხერხებულად გრძნობენ ან ჩემს მკლავებში დამშვიდებული არიან, მათ შიშებს ვუსმენ, მიზიარებენ დაშავების ამბავს ან ღამის კოშმარს, სანამ თმებს ვუჩეჩავ ან ნაზად ვეალერსები. როცა გულს დაცლიან ან ვიგრძნობ, რომ მეტი ლაპარაკი მათ არაფერში დაეხმარება, თავად ვეჩურჩულები, რომ მათი აღგზნებული ხმები ჩავაჩუმო.

ამ ჩურჩულში ისევ ვუმოწმებ ღვთისა და ჩემს სიყვარულზე და მათ უფლის ერთგულ დაცვას მივანდობ. შემდეგ ჭეშმარიტებებს უფრო მეტი ძალით ვაცხადებ და დიდი მშვენიერების სურათებს ვხატავ, რომ ტყუილისა და შიშის შემაძრწუნებელი ჩრდილები გავაქრო. შემდეგ ნანას ვუმღერი, სანამ მათ სუნთქვაზე არ მივხვდები, რომ ღრმად სძინავთ.

> *როცა გვტკივა, ვმარცხდებით ან შეშინებული ვართ, ღმერთს ყოველთვის სურს ჩვენი ახლოს მოზიდვა და არასოდეს – გაგდება.*

დამფრთხალ შვილებზე დედის ნაზი გამოხმაურების ეს ასპექტები ღვთის გულიდან მომდინარეობს. ეს ქარიშხლის გამო ნუგეშისცემისა და ჩვენი შიშების განდევნის ღვთიური სურვილის მცირედი ასახვა გახლავთ. *როცა გვტკივა, ვმარცხდებით ან შეშინებული ვართ, ღმერთს ყოველთვის სურს ჩვენი ახლოს მოზიდვა და არასოდეს – გაგდება.* ჩვენ, მისი შვილები მიწვეულები ვართ მისი მკლავების უსაფრთხოებასა და სიყვარულში. იგი მშვენიერების ხილვებს მოგვცემს, რომლებიც ისევ შვებას მოგვიტანენ და მოგვასვენებენ.

მიყვარს ზეციერი მამის უსაფრთხო სახეები, რომლებიც ნაზად არწევენ მის ასულს მისაძინებლად, რომ დაისვენოს და განიკურნოს. ვიცი, რომ გაშინებთ სურვილის მიძინება. გგონიათ, რომ აღარასოდეს გაიღვიძებს ან სისრულეს ვერ მოგიტანთ. ასეთია აკვიატებული კითხვები: თუ ჩემი ცხოვრების ამ სფეროს წასვლის ნებას მივცემ, ოდესმე ისევ ვეღირსები მის ნახვას? მართლა დააკმაყოფილებს ღმერთი ამ საჭიროებას ჩემს ცხოვრებაში? თუ ახლა ღმერთს დავემორჩილები, იქნება ის ერთგული, რომ ამავსოს მომავლის იმედის აღთქმით?

მთელი გულით მჯერა, რომ მამა ღმერთს მისი სულიწმიდით და მისი წიგნის მეშვეობით სურს ქვემოჩამოთვლილის გაკეთება:

- თქვენი ახლოს მოზიდვა
- დანაშაულისა და სირცხვილის ყოველგვარი კვალის წარხოცვა
- თქვენი შიშების გვერდზე გადადება მათი ჭეშმარიტების

სინათლეზე გამოტანით

- თქვენთვის იმედისა და მომავლის მოტანა
- თქვენი დარწევა, სანამ ქარიშხალი გადაივლიდეს
- მოსვენების მდგომარეობაში თქვენი დაბრუნება
- თქვენს გულში ოცნების აღდგენა

იგი პირდებოდა, რომ უფლის ქებისა და თაყვანისცემის მიმართულებით დაჟინებული შრომის სამაგიეროდ იავნანას უმღერებდა და მის შინაგანში გამოღვიძებულს ისევ მიაძინებდა.

ერთხელ ამ საკითხებზე ლაპარაკის შემდეგ ჩემთან ახალგაზრდა გოგონა მოვიდა და ლოცვა მთხოვა. მან აღიარა, რომ სიწმიდეს თმობდა ბიჭების სიყვარულისა და ყურადღების მისაპყრობად. მან არ იცოდა, როგორ უნდა აღედგინა თავი და ოცნებას დაბრუნებოდა, გოგონას მკლავები შემოვხვიე და მისთვის ლოცვა დავიწყე. ლოცვისას ვიგრძენი, რომ ღმერთმა მისთვის განკუთვნილი აღთქმა ჩამჩურჩულა. *იგი პირდებოდა, რომ უფლის ქებისა და თაყვანისცემის მიმართულებით დაჟინებული შრომის სამაგიეროდ იავნანას უმღერებდა და მის შინაგანში გამოღვიძებულს ისევ მიაძინებდა.*

ღვთის ხმაში ისეთი სიყვარული გამოსჭვიოდა, რომ გრძნობებმა ამავსო. მის სიტყვებში არც შერცხვენა ისმოდა და არც მსჯავრდადება – მხოლოდ შიშების, დანაშაულის გრძნობისა და სირცხვილის გაშვება ღვთიური სიმღერის აღთქმით. რაც უფრო მიუახლოვდებოდა გოგონა, მით მეტად დაიახლოვებდა და თავის ფრთების ჩრდილს უსაფრთხოდ შეაფარებდა. ეს ადგილი წმიდა წერილიდან მშვენივრად აღწერს ღვთიურ სინაზეს:

> „უფალი, შენი ღმერთია შენს შორის; ძლევამოსილი მეომარი. სიხარულით გაიხარებს შენზე, თავისი სიყვარულით განგაახლებს და გალობით იზეიმებს შენზე“. (სოფ. 3:17)

ეს მონაკვეთი მრავალს ელაპარაკება. უფალი არ არის უკარება და მიუდგომელი, არამედ სწრაფად მოდის ჩვენს დასახმარებლად და დიდი ძალით გვიხნის. იგი არ გვაგდებს და მსჯავრსაც არ გვდებს, როცა მას შევღაღადებთ შიშითა და უმწეობით

აღვსილები. უფალს სიამოვნებს თავისი შვილების დაწყნარება, ისევე როგორც დედები ხარობენ თავიანთი პატარების ნუგეშისცემით. თუმცა დედების ნუგეში შემოსაზღვრულია ... ჩემიც გარკვეულ დრომდე გრძელდება, ხოლო ღვთიური ნუგეშისცემა მისი სიყვარულივით უსაზღვროა. მისი სიღრმე გვამშვიდებს და ამის შემდეგ ის გვიმღერის. ეს ისეთი დამარწმუნებელი სურათია, რომ თითოეულ ჩვენგანს მისკენ იზიდავს. მას უფლებას ვაძლევთ დაგვაწყნაროს ქარიშხალში, რომლის დაოკება თავად ვერ შევძელით. ამ ადგილას მოსვენების უფლება გვაქვს და მალე ვხვდებით, რომ მის სიმღერას შევუერთდით.

> „ამიტომ გადიდებ, სანამ ვიცოცხლებ, შენი სახელით აღვაპყრობ ხელებს. ვითარცა ცხიმით და სიმსუქნით დანაყრდა ჩემი სული და სიხარულით გაქებს ჩემი პირი. როცა გიხსენებ ჩემს სარეცელზე, მთელი ღამეები ვფიქრობ შენზე. რადგან შენ იყავი შემწე ჩემი, შენი ფრთების ჩრდილქვეშ გავიხარებ. შენ მოგტმასნია სული ჩემი; შენს მარჯვენას ვუკავივარ“. (ფს. 63:4-8)

შეუძლებელია, ზედმეტი მნიშვნელობა არ მივანიჭო მის ქებას. მუსიკაში საოცარი ძალა დევს და ადრე ჩვენთვის ხელმისაწვდომი არასოდეს ყოფილა ქებისა და თაყვანისცემის ამდენი ძლიერი საგალობელი. როგორც უკვე ვისაუბრეთ, მუსიკა გულის ენაა, რადგან მას აქვს ჩვენი გონების გვერდის ავლით მოქმედების ძალა. როცა უფალს ვადიდებთ, მის ერთგულებას ვზეიმობთ. იგი ძვირფასი საკვების სიუხვით გვიშლის სუფრას ჩვენს გასაძლიერებლად. თუ საწოლში ყოფნისას მას ვიხსენებთ, ჩვენთან რჩება ღამის საათების განმავლობაში.

ხშირად, როცა ჩემს ერთ-ერთ შვილს გვერდით მივუწვები, იგი გამუდმებით იფხიზლებს თავს, რომ დარწმუნდეს ჩემს ახლო ყოფნაში. ახლა უნდა ვაღიარო, რომ იქამდე ვრჩები ჩემი შვილების გვერდით, სანამ ღრმად არ ჩაეძინებათ, მერე კი გამოვძვრები მათი ორსართულიანი საწოლებიდან, რომ ჩემს საკუთარში მოხერხებულად მოვეწყო. ღმერთი ასე არ იქცევა: იგი რჩება. იგი ფრთების ქვეშ ღრმად გვმალავს, სანამ სიმღერას არ წამოვიწყებთ. მისი განდიდება ჩვენს სამშვინველს მასთან მიწებებას აიძულებს და მაშინ მის მარჯვენას ვუპყრივართ. უფლით სიხარული ჩვენი გაძლიერებაა და მისი ძალა აუცილებლად გვჭირდება ჩვენი მადის თუ მწველი სურვილების ჩასაცხრობად.

ესთერის მსგავსად, ჩვენც უნდა გამოვყოთ დრო ჩვენი სურვილების საწინააღმდეგო მარხვისთვის, როცა ღვთის სათნო ნადიმისთვის ვემზადებით. მის წინაშე მოგვაქვს ჩვენი სურვილების ზეიმი და მის სიამეებსა და სურვილებში ვცვლით. ჩვენი ქება და თაყვანისცემა მისთვის პატივის მისაგები ზეიმია და აქ იგი სუფრას გვიწყობს ჩვენს მტერთა თვალწინ. ესთერის მსგავსად შევღაღადებ ამ თაობის ასულებს, რომ თავი იხსნან მათი სულების მტრის ნგრევისგან, რომელიც სიკვდილისთვის მათ მიყიდვას ესწრაფვის. თქვენც შეგიძლიათ იგივე მოიმოქმედოთ. ჩვენი, ქალების დროა, რომ საკუთარი სიცოცხლე დავდოთ ჩვენთვის უცნობი მრავალი ასულის სიცოცხლის გადასარჩენად.

> *— სურვილის, მიდრეკილებისა და მადის განიარაღების მხოლოდ ერთი უდაო გზა არსებობს – სიკვდილამდე უნდა აშიმშილო.*

სურვილის, მიდრეკილებისა და მადის განიარაღების მხოლოდ ერთი უდაო გზა არსებობს – სიკვდილამდე უნდა აშიმშილო. უნდა გაანადგურო და უღონო დატოვო მისთვის ყოველგვარი საკვების აკრძალვით. გაგიგონიათ გამოთქმა, *არმიის წინსვლა მუცელზე გადის*! თუ აპირებთ, საკვების წყარო შეუწყვიტოთ მტრის ბანაკს, ჯერ საკუთარ მშვინვასთან ბრძოლა მოგიწევთ. უთხარით მას, ვინ არის უფროსი.

ფს. 35:13-ში მეფე დავითმა გაგვიზიარა, როგორ იმდაბლებდა თავს მარხვით. როცა ჩვენი სხეულები და სულები უკონტროლოდ ღელავენ, უნდა დავამდაბლოთ, დავაცხროთ და შევახსენოთ, რომ ღმერთია უზენაესი. ეს მხოლოდ ხორცია და მისმა სურვილებმა ჩვენზე არ უნდა იბატონოს.

როცა კი დიდი გარღვევის საჭიროება მქონია, განსაკუთრებით, ჩემს სხეულთან ჭიდილში, ყოველთვის მარხვას მივმართავდი. ფაქტობრივად, სულიერი ბრძოლა გარკვეულ დონეზე მარხვის გარეშე ვერც წარმომიდგენია, რადგან ეს ძალზე ძლიერი და ეფექტური იარაღია. ღვთის ძე იესოც მარხულობდა. ვშიშობ, რომ დღევანდელი ქრისტიანები უფრო დიეტას იცავენ, ვიდრე მარხულობენ. ისინი გარეგნობის შეცვლას უფრო იმედოვნებენ მაშინ, როცა შინაგანად შებორკილები არიან, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორია გახლავთ. აქ მინდა ძალმოსილი ჭეშმარიტებები გაგიზიაროთ თქვენს გასათავისუფლებლად:

„განა ეს არ არის მარხვა, მე რომ ავირჩიე - დახსნა ბოროტების საკვრელნი, დაგლიჯო უღლის აპეურები, გაათავისუფლო ჩაგრულნი და დალეწო ყველა უღელი?“ (ესაია 58:6)

ღმერთმა მარხვა აირჩია ამ შედეგების მისაღწევად: უსამართლობის საკვრელების დახსნა, უღლის აპეურების დაგლეჯა, ჩაგრულთა გათავისუფლება და ბოლოს, ყოველგვარი უღლის დალეწვა. ვერც ერთი უღელი ვერ გადაურჩება მარხვის ძალას. არის თუ არა უღელი სექსუალური ცოდვა? რასაკვირველია! უღლები მათი მატარებლების მოძრაობასა და მოქმედებას წარმართავენ და ზღუდავენ. მათ ისინი ტყვეობაში მიჰყავთ იმ ადგილას, სადაც წასვლა არ უნდათ. უღლები თავიანთი სიმძიმით გვღლიან. თუ ქება-დიდების სამოსელს ჩავიცვამთ ამ სიმძიმის სულის გამო, შვებას ვიგრძნობთ, რადგან ღმერთი ძალას გვმატებს მათ მოსაშორებლად და თავისუფლების მოსაპოვებლად!

ალბათ, გახსოვთ ყავის ბოროტად გამოყენების მაგალითში, როგორ მკვეთრად შევცვალე ჩემი მიდგომა და ყავის მოხმარებას შევეშვი. თუ სექსუალურ სურვილს ვერ თოკავთ, გირჩევთ ასე მკვეთრად და მყისვე შეწყვიტოთ აღებული მიმართულება.

„ყელზე დანა მიიბჯინე, თუ მსუნაგი ხარ!“ (იგავები 23:2)

ეს ჩემთვის საკმაოდ სერიოზული ნათქვამია. აი, კიდევ რამდენიმე ადგილი წმ. წერილიდან:

„გაექეცით სიძვას! ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, მეძავი კი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს“. (1 კორ. 6:18)

„ყმაწვილკაცურ გულისთქმებს გაექეცი! მისდიე: სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გულით მოუხმობს უფალს“. (2 ტიმ. 2:22)

სიტყვა *გაქცევა* ძლიერი და დაუყოვნებლად შესასრულებელია. პირველად მის გამოყენებას მაშინ ვხვდებით, როცა ანგელოზები ლოტს აჩქარებენ ქალაქიდან გასასვლელად (დაბ. 19:17). ეს ნიშნავს რაღაც საშინელებიდან გაქცევას. ამ

დარიგებაში შემთხვევითი არაფერია. იმისთვის, რომ გაიქცე, უნდა იმარხულო!

რასაკვირველია, არ გინდათ, ლოტის მსგავსად დაასრულოთ და ღვთის სასჯელის გამო გარყვნილი ქალაქიდან გაქცევა მოგიხდეთ იმისთვის, რომ საბოლოოდ დათვრეთ და საკუთარ ასულებთან დაწვეთ გამოქვაბულში. როცა გარბიხართ, უკან აღარ უნდა მოიხედოთ. შეეფარეთ ღვთიურ თავშესაფარს და არა სიმთვრალეს ან რომელიმე სხვა ფორმის ბორკილს. როცა გარბიხართ, ტვირთი გწყდებათ!

> „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“. (ებრ. 12:1)

მარხვა აუცილებელია ცხოვრების სიმძიმის შესამცირებლად. ეს გახლავთ სხეულიდან და სულიდან იმ საგნების შემოძარცვა, რომლებიც გვაფერხებს და დედამიწაზე გვაბამს. როცა ვმარხულობთ, ტვირთი მსუბუქდება და ჩვენი სამშვინველი თავისუფლდება! მარხვა ღვთისადმი მორჩილების გამოხატვის უმთავრესი ნიმუშია და როცა ღმერთს ვემორჩილებით, თავზარდაცემული არ გავრბივართ, არამედ გავრბივართ მიზანმიმართულად და მტერიც გარბის!

> „დაემორჩილეთ ღმერთს, წინაღუდექით ეშმაკს და იგი გაიქცევა თქვენგან“. (იაკ. 4:7)

როცა თავს ვიმდაბლებთ და უფლის ფრთების ჩრდილს ვაფარებთ თავს, მტერი გვეძებს და მხოლოდ მას ხედავს, რადგან ჩვენ დამალული ვართ. მისი ფრთების ჩრდილში არ არსებობს ძალაუფლების ან ძალის დანაკლისი. როცა ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროების კვებას ვწყვეტთ, მისი შიმშილი და წყურვილი გვიძლიერდება. იგი ჩვენს მადას გარდაქმნის და მისი სიკეთით და სულგრძელობით გვკვებავს, რაც გაცილებით აღემატება ამქვეყნიურ სიამოვნებებს (ყავისა და შოკოლადის ჩათვლით).

თქვენი მარხვისთვის რჩევებს შემოგთავაზებთ: პირველი, გახსოვდეთ, რომ ეს საკუთარი თავის უარყოფის კი არა, ხორცის უარყოფის დროა! გახსოვდეთ, რომ თქვენს სულს სურს ეს ... ჩვენ გვინდა ხორცმა არ იგრძნოს თავი კომფორტულად! ამ-

~ თქვენ მეფეს უნდა მიანიჭოთ პრივილეგია და არა ხორცს!

რიგად, სულიერი თვალსაზრისით, ეს არის ზეიმის, დღესასწაულისა და სიხარულის დრო! გახსოვდეთ, რომ მარხვის პროცესში ღმერთმა მეფესთან გულუხვი ნადიმი მოგიწყოთ! *თქვენ მეფეს უნდა მიანიჭოთ პრივილეგია და არა ხორცს!* როცა მეფეს პატივს მიაგებთ, იგი სამაგიერო პატივს მოგაგებთ თავისი თანდასწრებით. მარხვა უპირატესობად ჩათვალეთ და არა სასჯელად.

გარდა ამისა, გააცნობიერეთ, რომ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და ნამდვილად ასეა. თქვენ სიკვდილს ბორკილს ადებთ.

> „ვინაიდან, თუ ხორცის მიხედვით ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ“. (რომ. 8:13)

ვინაიდან რაღაც უნდა მოკვდეს ამ პროცესში, დაე, ეს იყოს ცოდვილი ბუნება და სხეულის არასწორი საქმეები. კვლავ გიმეორებთ, რომ ამ საქმეს ესთერივით სერიოზულად უნდა მოეკიდოთ. თუ საერთოდ შესაძლებელია, დაიწყეთ სამდღიანი მარხვით. რომ მუშაობდეთ კიდეც, შეგიძლიათ ხუთშაბათ საღამოს შეუდგეთ მარხვას და კვირა საღამოს დაასრულოთ. ამ დღეებისთვის მხოლოდ წვენის ან წყლის გამოყენებას გირჩევდით. ამ საკითხზე რესურსებს ნებისმიერ ჯანსაღი კვების მაღაზიაში იპოვით. წინამდებარე წიგნი სამედიცინო რჩევების მოცემას არ განიზრახავს და არც თქვენი პირადი თერაპევტის მითითებებისა და მკურნალობის ჩანაცვლებას აპირებს. თუ რამე გაღელვებთ, გირჩევთ თქვენს ექიმს ან სხვა სამედიცინო სფეროს პროფესიონალებს მოეთათბიროთ მარხვის თაობაზე. თუ თვრამეტი წელი არ შეგსრულებიათ, მშობლებთან განხილვის გარეშე არაფერი წამოიწყოთ. პირადად მე მარხვისას ნაკლები მჟავიანობის წვენებსა და გამოხდილ წყალს ვიყენებ.

აზრი არ აქვს საკუთარი თავისთვის საკვების აღკვეთას, თუ ღვთით გახარებას არ აპირებთ. ყველაფერი წინასწარ მოიმარაგეთ, რომ მარხვით დაისვენოთ. გამორთეთ ტელეფონი, ტელევიზორი და გვერდზე გადადეთ ჟურნალები! უსმინეთ მხოლოდ ქებისა და თაყვანისცემის მუსიკას! მოერიდეთ ამქვეყნიურ სასიყვარულო სიმღერებს და ეს დრო, უბრაალოდ, მარტო დაჰყ-

— აზრი არ აქვს საკუთარი თავისთვის საკვების აღკვეთას, თუ ღვთით გახარებას არ აპირებთ.

ავით ღმერთთან მოზიარეობაში. ეს შაბათის ჟამია, ამიტომ სხვა საქმეებს ნუ გააკეთებთ! დაისვენეთ, დაიძინეთ და მას მიუახლოვდით! წაიკითხეთ ღვთის სიტყვა ესთერის წიგნის ჩათვლით, სადაც მარხვის აღთქმებს იპოვით ან სხვა ქრისტიანული ნაშრომები, რომლებიც თქვენთვის გამოწვევას წარმოადგენს!

მარხვისას მხოლოდ ხორცს კი არ აშიმშილებთ, არამედ სულს განამტკიცებთ. აწარმოეთ თქვენი ლოცვითი სათხოვრების დღიური ამ დროისთვის. გაახმოვანეთ ისინი მარხვის პროცესში! თქვენი გული წყალივით გადმოღვარეთ უფლის წინაშე! გაანდეთ მას ყოველი შიში და იმედი. გახსნილი იყავით და პატივი მიაგეთ მას! ჩაიწერეთ, რას გეტყვით წმიდა წერილისა დ ლოცვის მეშვეობით?!

თამამად მიუახლოვდით მას! ესთერის მსგავსად შეიმოსეთ სამეფო მოსასხამით (ქრისტეს სამართლიანობით) და სასახლის შიდა ეზოში დადექით მეფის სატახტო დარბაზის პირდაპირ! (ესთ. 5:1). იცოდეთ, რომ მას გაუხარდება თქვენი დანახვა და სამეფო კვერთხს გამოიშვერს კეთილგანწყობის ნიშნად. როცა გკითხავთ თქვენი სურვილის შესახებ, უთხარით, რომ თაყვანისცემისა და განდიდების ნადიმზე ეპატიჟებით. როცა ერთად იზეიმებთ, გაანდეთ თქვენი სათხოვრები.

მარხვის დროს დაიარეთ სახლში და მოიშორეთ ყველაფერი, რაც უწმიდურია და უფალს არ ეამება! სულიწმიდა გაჩვენებთ ამ ნივთებს, ამიტომ იყავით მის მიმართ მგრძნობიარე და მის მითითებებს დაემორჩილეთ! ეს შეიძლება იყოს: შეუფერებელი ვიდეოები, წიგნები, წერილები, მუსიკა ან ძველი შეყვარებულების სურათებიც კი. ყველაფერი, რაც უწმიდურობისკენ გაქეზებთ, საეჭვოდ ჩაითვალოს! როცა თქვენს სექსუალობას უფალს შესთავაზებთ სურნელოვანი თაყვანისცემის მსხვერპლშესაწირად, ჰკითხეთ მას, არის თუ არა რომელიმე სხვა სფერო, რომლის შემოწირვასაც ისურვებდა. ეს დრო აქციეთ მთელი გულით უფლის სიყვარულის ჟამად და ის მოგცემთ ცოცხალ წყალს და კვებას, რომელზე ადრე არც კი გიოცნებიათ.

მინდა თქვენთვის ვილოცო, როცა ამ დიდებული თავგადასავლის საძიებლად გაემგზავრებით.

— ძვირფასო, ზეციერო მამა,

გულით ვეთანხმები ჩემს დას, რომელიც შენს წინაშე მოდის. დაიახლოვე იგი და მოაშორე დანაშაულისა და სირცხვილის ყოველგვარი ნაკვალევი, როცა მის შიშებს განდევნი შენი ჭეშმარიტების სინათლით! განაახლე მისი იმედი და მიეცი მომავალი! ახლოს იყოლიე შენს მკლავებში და დაარწიე, სანამ ყველა ქარიშხალი არ ჩაწყნარდება! მოასვენე იგი და აღუდგინე შენი ოცნება მისი ცხოვრებისთვის. დამალე ის შენი ფრთების ჩრდილქვეშ და შენი სიმღერა უმღერე მის გულს! უმღერე მას და დააწყნარე შენი სიყვარულით! სირცხვილის სამოსელი სიმართლის მშვენიერი და დიდებული სამოსლით შეცვალე. გააშენე მისთვის საამო ბაღი! დაე, ეს იყოს შენთან ურთიერთობაში განსაკუთრებული სიახლოვის ჟამის დასაწყისი! სანამ შენში ისვენებს, შენ იომე მის ნაცვლად. გვიყვარხარ ზეციერო მამა და მადლობას გიძღვნით, რომ გაგვათავისუფლე! გაანადგურე ყველა უღელი და ყველა შებორკილი სფერო. წამოგვაყენე, რომ ამ თაობის მანათობელ შუქურებად ვიქცეთ!

სიყვარულით,

შენი ასული

შეგიძლიათ, ჩემს სიტყვებს თქვენიც დაურთოთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს ლოცვა უკვე შესრულდა თქვენთვის ... ჩვენი გულები უკვე შეერთდა ამ საგალობელში.

8 პატივი მიაგე ზეციერ მამას!

ამას წინათ ერთმა სასოწარკვეთილმა დედამ დამირეკა. მისმა ქალიშვილმა აღიარა, რომ სქესობრივი კავშირი ჰქონდა ერთ საშიშ ახალგაზრდასთან. დედა ძალიან შეშინებული იყო და მთელი ძალით ცდილობდა ქალიშვილის დაცვას. წარსულში მშობლებმა, უნებლიეთ, საშიშ მდგომარეობაში ჩააყენეს გოგონა და მან ქალიშვილობა დაკარგა. ახლა ისევ იგივე ხდებოდა. დედას იმედი ჰქონდა, რომ მათ შევხვდებოდი და გოგონასთვის ვილოცებდი შემდგომი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.

ამის მიუხედავად, ეჭვი მღრღნიდა. დიდი ხნის წინ ვისწავლე ერთი რამ: როცა ადამიანებმა იციან, რა არის არასწორი და მაინც მას ირჩევენ, შეგიძლიათ გალურჯებამდე ელაპარაკოთ და ილოცოთ მათთვის, მაგრამ არაფერი შეიცვლება, სანამ ცვლილება გულში არ მოხდება. ამრიგად, კითხვები დასმა გავაგრძელე.

> *— როდესაც ადამიანმა იცის სწორისა და არასორის ერთმანეთისგან გარჩევა, და მაინც არასწორს ირჩევს ... არაფერი შეიცვლება მანამ, სანამ მისი გული არ გარდაიქმნება.*

– ეს ბიჭი ქრისტიანი არ არის და შენმა გოგონამ იცოდა, რომ მასთან კავშირი არასწორი იყო? უნდა ჩამოშორდეს მას! დარწმუნებული ვარ, რომ უთხარი ამის შესახებ. ჩემთან ლაპარაკი რამეს შეცვლის? თუ მას მართლა უნდა ჩემთან შეხვედრა, მოვალ, მაგრამ თუ არ უნდა, ეს ყველას დროის ფლანგვა იქნება.

დედა იმედგაცრუებული და გულგატეხილი ჩანდა. მან დამარწმუნა, რომ გოგონა გულწრფელი იყო და სკოლიდანაც დაეთხოვა ჩემთან შესახვედრად. დავთანხმდი მათთან მოგვიანებით მისვლაზე.

შემეშინდა, რომ ჩემს, ისედაც გადატვირთულ დილის გრაფიკში კიდევ ერთ დაუგეგმავ შეხვედრას ვერ ჩავტევდი. შხაპი მივიღე და იმდენად სწრაფად გამოვვარდი სახლიდან, რამდენადაც შემეძლო. გზად უფალს სიბრძნე, ხელმძღვანელობა და ცხებულება ვთხოვე. დედა-შვილი რესტორანში მელოდებოდა. დავჯექი და გოგონამ მიამბო, როგორ შეხვდა ამ ბიჭს გაზგასამართ სადგურზე ორი კვირის წინ და მაშინვე მიხვდა, რომ შარში იყო. მას მოესმა ხმა, *თავი მისგან შორს დაიჭირე*, მაგრამ არ დაემორჩილა. ბიჭმა უკვე სცადა მისი ცდუნება და საბანკო ანგარიშზე წვდომა მოიპოვა. იგი სკოლიდან გამოგდებული იყო და ბიჭის მამამაც გააფრთხილა გოგონა, რომ მის შვილთან საქმე არ დაეჭირა. მან არც ამჯერად გაიგონა. ფიქრობდა, რომ რაღაც გზებით ბიჭის რეაბილიტაციას შეძლებდა. ახლა ის შეშინებული ფიქრობდა, რომ ახალგაზრდას კანონთან პრობლემები ჰქონდა და შეიძლებოდა თავადაც აღმოჩენილიყო ამის მონაწილე. სტრესი მეტისმეტად დიდი იყო და მან დედას ყველაფერი უამბო. გოგონა ფიქრობდა, რომ ბიჭი ადვილად არ შეეშვებოდა, რადგან ტელეფონზე რეკვას არ წყვეტდა.

საქმეში ჩავერთე.

– მგონი, ამ ბიჭისგან შესანიშნავი სუტენიორი დადგებოდა. იცით, რომ მეძავების უმრავლესობა თავიანთი სუტენიორების გადარჩენას და დახმარებას ცდილობს? შენ ჩვიდმეტი წლის ხარ, ის ბიჭი კი – ოცზე მეტის. საწყენად არ მიიღო, მაგრამ მას შენი დახმარება არ სჭირდება იმ გზით, როგორსაც სთავაზობ. ჯერ ღმერთს შენი განკურნების უფლება მიეცი და გამოარკვიე, რატომ გაქვს ასეთი ცუდი გემოვნება ბიჭების არჩევაში.

დედა-შვილმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, ამიტომ გავაგრძელე.

– დახურე ბანკის ანგარიში! შეცვალე ტელეფონის ნომერი და უთხარი, რომ მასთან შეხვედრა აღარ გინდა!

გოგონა შეფიქრიანდა.

– არ ვიცი ... როცა მასთან ვარ, მიჭირს რაიმეზე უარის თქმა.

– შენ მასთან არ უნდა დარჩე! გარყვნილებას უნდა გაექცე! თუ ტელეფონით ვერ ახერხებ უარის თქმას, მამას სთხოვე დახმარება. დარწმუნებული ვარ, რომ მას არ გაუჭირდება ახალგაზრდა კაცისთვის იმის თქმა, რომ შენთან შეხვედრის უფლება აღარ აქვს. შესაძლოა, კარებთან თოფითაც კი დახვდეს,

როცა ამას ეტყვის. ნება მიეცი მამას, რომ დაგიცვას! მამები სწორედ ამისთვის არიან.

დედამ და ქალიშვილმა ერთმანეთს გადახედეს. მაშინვე მივხვდი, რომ მამას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა მისი ქალიშვილის თავს.

– თქვენმა მეუღლემ ჯერ არაფერი იცის? – ვკითხე დედას.

მან ამიხსნა, რომ თავადაც ახლახანს შეიტყო ეს ამბავი. მართალია მამამ იცოდა პირველი ახალგაზრდის შესახებ, მაგრამ მეორეზე არაფერი უთქვამთ. მას თავიდანვე არ მოეწონა ეს ბიჭი და დედა-შვილმა იცოდა, რომ ამ ვითარების გაგება მას გულს ატკენდა და იმედგაცრუებული დარჩებოდა.

გოგონას ვთხოვე, რომ სამი რამ გაეკეთებინა ჩემთვის: პირველი, მამისთვის მოეყოლა მთელი ეს მახინჯი სიმართლე და იმ ბიჭისგან დაცვა ეთხოვა, შემდეგ ერთი წიგნი ეყიდა და ბიბლიასთან ერთად ყოველდღე ეკითხა, სანამ ღმერთი ამ პროცესში გაატარებდა. მე მას თავისუფალი ძვირფასი ქვა მივეცი. გოგონას ვუთხარი, თუ როგორ შეიძლებოდა ამ მახინჯი და შემაძრწუნებელი განსაცდელის გადაქცევა მისი ცხოვრების ძვირფას ქვად, თუ მისგან ისწავლიდა. შემდეგ ჩემს მანქანაში ჩავსხედით და ვილოცეთ.

და მაინც, არავითარი შვება არ მიგრძვნია. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჯადოსნური ძალით გამოვგლიჯე რაღაც ისეთი, რის შენახვაც გულის სიღრმეში სურდა, მაგრამ ეშინოდა, რომ ერთ დღესაც მას ვერ მოერეოდა. იმედგაცრუებული წამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის გაკეთებას შემპირდა, რაზეც ვისაუბრეთ.

მათგან მეტი არაფერი გამიგია, თუმცა მომდევნო კვირას ერთ ჩემს მეგობართან მივიდნენ. ჩანდა, რომ დედა ისევ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო. გოგონა ისევ შეხვდა ახალგაზრდა კაცს შაბათს ჩვენი შეხვედრის შემდეგ და სახლში საერთოდ არ მოვიდა.

თქვენც ისე გაოგნებული ხართ როგორც მე? მე მხოლოდ ბიჭები მყავს. ჩემი ბიჭები გოგონასთან გადამხდარი ამგვარი ამბით რომ მოსულიყვნენ ჩემთან, ფიქრობთ, შაბათს შეხვედრის ნებას დავრთავდი? ჩემი აზრით, სანამ შვილები თქვენს სახლში ცხოვრობენ, მათი დაცვის ვალდებულება გაკისრიათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ არასრულწლოვნები არიან. არ ვიცი, სად დაუშვეს შეცდომა ამ გოგონასთან?! არ ვიცი, გაძვრებოდა

თუ არა სახლიდან მშობლების ნებართვის გარეშე ან მამის აზრის სრული უგულებელყოფით! შესაძლოა, ვითარებას დანაშაულის გრძნობა მართავდა წარსულის შეცდომის გამო და ძალა აღარ შერჩათ, რომ მომავალში დაეცვათ თავიანთი ასული.

~ მშობლებო, დაიცავით თქვენი შვილები. ქალებო, დაიბრუნეთ თქვენი ძალა და ღვთისმოსაობაში იარეთ.

თუმცა მეტისმეტად გვიანი არ არის. უნდა შემოგღაღადოთ! *მშობლებო, დაიცავით თქვენი შვილები. ქალებო, დაიბრუნეთ თქვენი ძალა და ღვთისმოსაობაში იარეთ.* ეს სიბრძნისა და ღვთის რჩევის გამოყენებით იწყება. თავი უნდა დავიმდაბლოთ და ვაღიაროთ, რომ მისი გზები ჩვენსას აღემატება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი აზრები და სიბრძნე უგუნურებაა მისი რჩევის ფონზე.

~ მამების თაობას გულისტკივილი და შეურაცხყოფა უნდა ტანჯავდეს მათი ასულებით ვაჭრობის, მათი გახრწნისა და გაუპატიურების გამო!

მამების თაობას გულისტკივილი და შეურაცხყოფა უნდა ტანჯავდეს მათი ასულებით ვაჭრობის, მათი გახრწნისა და გაუპატიურების გამო! მათ უნდა მოინანიონ: თავიანთი სისუსტე, წამოდგნენ, დაიცვან გოგონები და განკურნება მოიტანონ იმ ადგილას, სადაც დაუცველები დატოვეს! მამაკაცები უფრო მეტად უნდა ცდილობდნენ ქალების დაცვას, ვიდრე მათზე ძალადობას თავიანთ ცხოვრებაში.

მამები თავიანთი ასულების უმწიკვლოების დამცველები უნდა იყვნენ! გოგონები, რომლებსაც მამებთან ჯანსაღი და ცოცხალი ურთიერთობა აკავშირებთ, ნაკლებად დაუცველები არიან მოძალადე კაცების მიმართ. მათ კარგი მაგალითი აქვთ ნანახი სახლებში და ადვილად ამოიცნობენ არაჯანსაღ ურთიერთობას, როცა მას წააწყდებიან. გოგონები, რომლებსაც მეფის ასულების დარად ეპყრობოდნენ, არავის მისცემენ იმაზე ნაკლები პატივით მოქცევის უფლებას. მამები, რომლებიც თავიანთ გოგონებს აქებენ და წაახალისებენ, იცავენ მათ სხვა კაცებისგან, რომელთაც იგივეს გაკეთება სურთ. მამები, რომლებსაც კარგად ახსოვთ თავიანთი და მეგობრების მოზარდობის ასაკი, ნაკლებად მისცემენ თავიანთ ასულებს იმ მდგომარეობაში აღმოჩენის უფლებას, სადაც მათ დაუდევრად მოეპყრობიან. მამები, რომლებიც

ღიად წვრთნიან და ასწავლიან თავიანთ ასულებს მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობის შესახებ, საჭირო ცოდნას აძლევენ მათ, რომ მაცდუნებელ ვითარებებში სწორი გადაწყვეტილების მიღება შეძლონ. ამის საპირისპიროდ, ბრაზიანი მამების ასულები, რომლებიც ვერასოდეს ეღირსნენ მამის შექებას, სხვა მამაკაცების ძიებას დაიწყებენ, ვინც ამას გააკეთებს.

მახსოვს, როცა კოლეჯში სწავლა დავიწყე, ყველაფერი შეიცვალა. შუა დასავლეთის ფრიგიდული ინდიანას შტატიდან მზიან არიზონაში გავემგზავრე. აღტაცებული ვიყავი, რომ გავთავისუფლდი მშობლების ყოველგვარი ზედამხედველობისა და თანატოლების მოლოდინებისგან.

შემეძლო ჩემი სიმორცხვის უკან მოტოვება და ყველაფრის ხელახლა დაწყება. სტუდენტურ გაერთიანებაში რეგისტრაცია გავიარე და სახლი მანამ დავჯავშნე, სანამ სემესტრი დაიწყებოდა. ამან ავტომატურად შემიქმნა მეგობართა ჯგუფი, რომლებთან ერთადაც სწავლას დავიწყებდი. ბიჭებისგან მომეტებულ ყურადღებას ვგრძნობდი და ეს სრულიად განსხვავდებოდა ჩემი უფროსკლასელობის პერიოდისგან, როცა აშკარად უგულებელყოფილი ვიყავი. კლასსა თუ კამპუსში შესვლისას მეარშიყებოდნენ, მისტვენდნენ ან მეპატიჟებოდნენ. ასეთი ყურადღების გამო ცერებზე ვტრიალებდი, რადგან ბოლო ოთხი წლის მანძილზე მხოლოდ მეტსახელებით ან დაცინვით მელაპარაკებოდნენ.

თავს ისევ ვაჩვენებდი, თითქოს ყველაფერს კარგად ვუმკლავდებოდი, მაგრამ შინაგანად შერყეული ვიყავი და თავის რწმენა დავკარგე. შემდეგ შევეცადე მამაკაცთა ყურადღება მიმეპყრო, თუმცა თავდაპირველად ეს მაშინებდა კიდეც. ვფიქრობდი, რომ თუ ძალიან ახლოს მოვუშვებდი, ჩემს ნამდვილ სახეს დაინახავდნენ: მაგარი გოგოს იმიჯის მიღმა მდგარ ლუზერს. ამის გამო ვთამაშობდი ბიჭების უმეტესობასთან, რომლებსაც ვხვდებოდი. თუ შევატყობდი, რომ მათ ძალიან მოვწონდი, მაშინვე მივაგდებდი. დარწმუნებული ვარ, ასე ვიტრაბახებდი – შეყვარებულებს ისე ვიცვლი, როგორც ქვედა საცვალსო ... ახალი ბიჭი ყოველ ახალ დღეს. ერთი სემესტრის განმავლობაში ორმოცდახუთს შევხვდი! ეს მხოლოდ იმას მოწმობდა, თუ რაოდენ მეშინოდა ინტიმური ურთიერთობების.

წლის დასასრულს ჩემს შესაფერისს შევხვდი. მე თვრამეტი წლის ვიყავი, ის კი – ოცდაშვიდის. მაღალი, კარგი შესახედავი

და ამქვეყნიური გახლდათ. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ სექსუალური მტაცებელიც ყოფილა. იგი პირველკურსელ გოგოებს მახეში აბამდა და ამჯერად მე დამადგა თვალი. იგი სტუდენტიც კი არ იყო. უბრალოდ, კამპუსის ღამის კლუბში მოდიოდა, უყურებდა და იცდიდა. იგი როგორღაც მიხვდა, რომ დაუცველი ვიყავი. სამწუხაროდ, მის შესახებ სიმართლე ვერ გავიგე, სანამ ძალიან გვიანი არ აღმოჩნდა. ჩვენი სტუდენტური კავშირის რამდენიმე გოგონამ შენიშნა, როგორ მათვალიერებდა და გამაფრთხილეს. მე არავის ვუსმენდი, რადგან მსიამოვნებდა ასეთი თავაზიანი და ქვეყნიური თაყვანისმცემლის ყურადღება. მას მთელი ევროპა მოევლო და შესანიშნავი ათლეტი გახლდათ. სადაც არ უნდა წასულიყო, ქალებს ყველგან იზიდავდა.

საკმარისად გამბედავი რომ ვყოფილიყავი და ნებართვა მამისთვის მეთხოვა, ის აუცილებლად უარს მეტყოდა.

მან რამდენჯერმე მთხოვა შეხვედრა, მაგრამ უარი ვუთხარი და კიდევ უფრო გავაძლიერე მისი დაჟინებულობა. მსიამოვნებდა მისი ყურადღება უსაფრთხო მანძილიდან. ერთ საღამოს დედას დავურეკე და ამ ადამიანით ჩემი აღფრთოვანება გავუზიარე, რომელიც ჩემი აზრით, ბევრად მჯობდა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ უფრო ჭკვიანი, უფროსი და ჩემზე გაცილებით მიმზიდველი იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი. დედას ვუთხარი, რომ პაემანზე გაყოლა მთხოვა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რა უნდა გამეკეთებინა. თითქოს ველოდებოდი, რომ დედა ამას ამიკრძალავდა. მისთვის არასოდეს მითხოვია იმ ბიჭებთან პაემანზე წასვლის უფლება, ვისაც აქამდე ვხვდებოდი. დედა ერთი წუთით შეყოყმანდა და შემდეგ დამარწმუნა, რომ მისი აზრით, იმ ადამიანთან ყველაფერს მშვენივრად მოვაგვარებდი. მახსოვს, როგორ გამაკვირვა მისმა ნათქვამმა. ტელეფონი გავუთიშე და ვიფიქრე, თუ დედა თანახმაა, დაე, ასე იყოს. იმ ახალგაზრდა კაცის მომდევნო მოპატიჟება მივიღე და შემდეგ ყოველთვის ვნანობდი ამას. *საკმარისად გამბედავი რომ ვყოფილიყავი და ნებართვა მამისთვის მეთხოვა, ის აუცილებლად უარს მეტყოდა.* იგი არასოდეს მომიწონებდა ამ ნაბიჯს, რადგან რაღაც საეჭვოს იგრძნობდა. საკმარისად ბრძენი რომ ვყოფილიყავი და გამეთვალისწინებინა ის, რასაც მამის პასუხად მივიჩნევდი, დაცული ვიქნებოდი, მაგრამ არ ვიყავი ასეთი.

ეს ახალგაზრდა სისტემატურად მაცდუნებდა მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში და ჩემი მეცხრამეტე დაბადების დღიდან მოკლე ხანში ქალიშვილობა დავკარგე. იმ ზაფხულს არიზონაში დარჩენას ვგეგმავდი, მაგრამ ბოლოს მაინც მშობლების სახლში დავბრუნდი, რომ მის ზეგავლენას გავქცეოდი. დედ-მამისთვის არაფერი მითქვამს მომხდარის შესახებ. მამა ამას ნამდვილად არ მომიწონებდა; როცა გაიგო, რომ ჩემზე ცხრა წლით უფროსს ვხვდებოდი, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. იმ ბიჭს ჩემზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა.მადლობა ღმერთს, რომ მშობლიურ სახლში გაქცევა შემეძლო, რადგან ჩემს მდგომარეობაში მყოფმა გოგონებმა არც კი იციან, გასაქცევი გზა თუ არსებობს.

იმ დროისთვის არც მე ვიყავი ქრისტიანი და არც მამაჩემი, მაგრამ მან რაღაც დონეზე იცოდა, რომ ეს ურთიერთობა საფ-რთხის მომცველი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ მამებს მიცე-მული აქვთ თავიანთი გოგონების უმწიკვლოების დამცველების როლი მაშინაც კი, როცა მორწმუნეები არ არიან.

რა უნდა ჰქნათ, თუ რთულ ვითარებაში აღმოჩნდით? თქვენი მამა დამცველი არ არის. შესაძლოა, მიგატოვათ ან მოძალადეა. იქნებ თავად ძალადობს თქვენზე და უკანასკნელი ადამიანია, ვისთანაც თავს მშვიდად იგრძნობდით. თუ თქვენი ამბავი ასეთია, დროა მდგომარეობით ისარგებლოთ. თუ ფიზიკურ სამყაროში არ არსებობს ჯანსაღი მამის ფიგურა, გყავთ ზეციერი მამა.

თქვენი ზეციერი მამა არასოდეს მოინდომებდა ძალადობის ობიექტად თქვენს ხილვას: იგი თქვენს დაცვას და გამოკვებას ისურვებდა. ეს ნიშნავს, რომ ყოველ მოცემულ სიტუაციაში უნდა დასვათ კითხვა: *როგორ უნდა ზეციერ მამას, რომ მომექცნენ? დაუშვებდა ამას, რომ სცოდნოდა?* დარწმუნებული იყავით, რომ მას არ უნდა მეძავივით მოგექცნენ. ასევე დარწმუნებული იყავით, რომ ზურგს გაგიმაგრებთ, როცა თქვენ მტკიცედ დადგებით. არც კი წარმოიდგინოთ, რომ ოდესმე ასეთ შენიშვნას მოგცემთ, „ეს მაშინ მითხარი, როცა უკვე ამ მდგომარეობაში აღმოჩნდი ...“ იგი ამას არასოდეს იტყვის! იგი ასე გეტყვით: „წამოდი, სახლში წადი და იყავი უსაფრთხოდ!“

— თქვენი ზეციერი მამა არასოდეს მოინდომებდა ძალადობის ობიექტად თქვენს ხილვას: იგი თქვენს დაცვას და გამოკვებას ისურვებდა.

თუ ურთიერთობა გაქვთ ადამიანთან, რომელიც გაკონტროლებთ და არ შეგიძლიათ მასთან დაპირისპირება, უარი თქვით მასთან შეხვედრაზე. კოლეჯის ბოლოს წინა კურსზე კიდევ ერთი უფროსი ბიჭით ვიყავი გატაცებული. იგი დამამთავრებელ კურსზე იყო და თავის ჭკუაზე მატრიალებდა. ეს ძალზე არაჯანსაღი ურთიერთობა გახლდათ, მაგრამ პირადად ჩემთვის ჯილდოს მსგავსი იყო. ჩემი დედ-მამა ძალიან დარდობდა, მაგრამ მე არიზონაში ვიყავი, ისინი კი შორს – ინდიანაში. იმის გამო, რომ მათ იგი არ მოსწონდათ, კიდევ უფრო მეტად მინდოდა, რომ ეს ურთიერთობა შემდგარიყო.

დედამ გულწრფელი ლოცვა დაიწყო, რომ თვალები ამხელოდა და იმ ბიჭისგან თავი დამეღწია. რამდენიმეკვირიანი ლოცვისა და ვედრების შემდეგ, რაღაცეები შეიცვალა. დაშორების ნაცვლად ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით. სანთლის გადაცემის ცერემონიალიც კი შედგა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ *რაღაც რიგ ზე ვერ იყო*.

ოფიციალური ცეკვა რამდენიმე საღამოს შემდეგ შევასრულეთ, მაგრამ საერთოდ არ მიხაროდა. სადაც არ მივდიოდით, ყველგან გვილოცავდნენ, მე კი ძლივსძლივობით ვიღიმებოდი. მახსოვს, ერთხელ კარგად გამოვთვერი, მაგრამ ისე ვიყავი, თითქოს ჭიქაც არ დამელიოს. ჩემს ბიჭს დათრობის პრობლემა საერთოდ არ ჰქონდა, თუმცა როგორც, წესი, ასე არ იქცეოდა. მას ისე ჰყავდა თავი ხელში აყვანილი, რომ არასოდეს დაუშვებდა მთვრალი წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე. (რასაკვირველია, მას არაფერი ჰქონდა ჩემი დათრობის საწინააღმდეგო!) იმ საღამოს ჩასუქებული გოგო მოვიდა, რომ მისთვის კოცნით მოელოცა და ამ პროცესში ჩემი შეყვარებული იატაკზე მოცელა. ისიც იწვა ზურგზე და ზემოდან უზარმაზარი ქალი აჯდა. „აი, თურმე რა!“ – ასეთი იყო ჩემი რეაქცია.

> *ისიც იწვა ზურგზე და ზემოდან უზარმაზარი ქალი აჯდა. „აი, თურმე რა!“*

ვფიქრობდი: *რა მესაქმებოდა ამ ლუზერთან*!

ვუყურებდი, როგორ ცდილობდნენ წამოდგომას და ისევ ეცემოდნენ იატაკზე და გავიფიქრე, *საერთოდ: რა ვნახე ამ ადამიანში?!*

მინდოდა მაშინვე წავსულიყავი. მინდოდა, მათგან ისე შორს ამომეყო თავი, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა.

საუბედუროდ, ექვსკაციან საღამოზე ყველა მთვრალი იყო ჩემს გარდა, ამიტომ ყველას სახლებში ჩამორიგება დამჭირდა. როცა მის სახლთან მივედით, შევხედე და ვუთხარი:

– გადადი!

გაოგნებულმა და გამწარებულმა შემომხედა:

– ღამით ჩემთან არ დარჩები?

არცთუ გაუგებარი ფრაზებით ვუთხარი, რომ არ დავრჩებოდი და გავვარდი.

ნახევარ საათში ჩვენი სტუდენტური გაერთიანების კარებზე ბრახუნი ატეხა და მევედრებოდა, გარეთ გამოვსულიყავი. თავისი მომხიბლაობა გამოიყენა და ერთ-ერთ დას ზემოთ კიბეებზე ამოსვლის ნება გამოსტყუა, რომ დამლაპარაკებოდა. ასე უთხრა, რომ ძალიან ვუყვარდი და არ უნდოდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიმეღო, რასაც შემდგომში ვინანებდი. ეს და მოვიდა და ჩემი დარწმუნება ცადა, რომ დაბლა ჩავსულიყავი, მაგრამ ამის სურვილი საერთოდ არ მქონდა, ამიტომ დას ვთხოვე, როგორმე სახლში გაეგზავნა. როცა და წავიდა, ჩვენი გაერთიანების მეორე და, რომელიც დერეფანში იდგა და ყველაფერი მოისმინა, ჩემთან მოვიდა.

მან მითხრა:

– ლიზა, ეს ბიჭი ლუზერია. ბედნიერი აღარ მინახიხარ, რაც მასთან შეხვედრა დაიწყე ... მოიშორე თავიდან!

შევხედე მას და გაოცებული დავრჩი, რომ ასე კარგად ესმოდა ჩემი.

დავეთანხმე:

– იცი, რომ არაფერი მახარებს! რას ვაკეთებ ამ ბიჭთან? ქინძისთავი უნდა დავუბრუნო! წამომყვები?

ის მომეხვია და თავი დამიქნია.

დაველოდეთ, სანამ არ დავრწმუნდით, რომ წავიდა და მისი სახლისკენ გავემართეთ. მისი სტუდენტური საძმოს ქინძისთავი ქაღალდის ნაგლეჯში გავახვიე, რომელზეც ეწერა „ყველაფერი დამთავრდა“ და საფოსტო ყუთში შევაცურე. შემდეგ ისევ ჩვენს საერთო საცხოვრებელში დავბრუნდით.

მეორე დღეს გაღვიძებისთანავე სხვა ადამიანი ვიყავი ... თავისუფლება ვიგრძენი! თავდაპირველად, დავინტერესდი, რატომ მქონდა ეს შეგრძნება და გამახსენდა, რაც გუშინ მოვიმოქმედე. არავითარი სინანული! გავიქეცი, ჩემი ერთგული მეგობარი მოვძებნე, გადავეხვიე და ვუთხარი: „თავისუფალი ვარ!“

საუზმეზე თავპირისმტვრევით გავიქეცი. ჭამის დროს ტელეფონმა დარეკა. ვიცოდი, რომ ის იყო და ვუთხარი, „შეტყობინება წაიკითხე!“. ერთ წუთში თავი გაცილებით ძლიერად ვიგრძენი. შხაპი მივიღე და ინტერვიუსთვის გავემზადე. მომდევნო სემესტრისთვის პირველკურსელთა მრჩეველი უნდა ვყოფილიყავი. იქვე მიმიღეს. როცა სახლში დავბრუნდი, ჩვენი სტუდენტური გაერთიანების კიდევ ერთმა დამ შემაჩერა:

– დაბლა ბიბლიოთეკაში ვნახე, ლიზა! ის ისეთი დამწუხრებულია ... მთხოვა, შენთვის ეს წერილი გადმომეცა.

წერილში მწერდა, რომ ხვდებოდა ჩემს მდგომარეობას, როგორ არ ვიცოდი, წინა საღამოს რას ვაკეთებდი, ხოლო თვითონ მზად არ იყო განშორებისთვის. მთხოვდა, საღამოს სალაპარაკოდ შევხვედროდი. მოგვიანებით დარეკვას აპირებდა, რომ შევთანხმებულიყავით. არაფრით არ შემეძლო მასთან სადმე მარტო წასვლა. მას თავისუფლად შეეძლო საქმის შემოტრიალება და ჩემი ისე დაბნევა, რომ ყველაფერზე დავთანხმებულიყავი, რაც არ უნდა ეთხოვა. ეს პირველი შემთხვევა იყო ცხრა თვის განმავლობაში, რომ სწორად აზროვნება შევძელი და არ მინდოდა დანებება. როცა დარეკა, ზარს არ ვუპასუხე.

ამის შემდეგ კამპუსში დევნა დამიწყო. იგი ხან მევედრებოდა და შემდეგ ყვირილზე გადადიოდა ან მემუქრებოდა და შემდეგ ბოდიშს მიხდიდა, სანამ მე ტროტუარზე მივდიოდი და მისთვის პასუხის გაცემაზე უარს ვამბობდი. საკლასო ოთახში შევიდოდი და იქ მელოდებოდა, სანამ ყველანი არ გამოვიდოდით, რომ ისევ თავიდან დაეწყო. ზოგიერთ გაკვეთილზე ჩემთან ერთად ხვდებოდა ერთი შესანიშნავი და ინტელიგენტი ფეხბურთელი, რომ არაფერი ვთქვათ მის უზარმაზარ ზომებზე. ეს ბიჭი ჩემს გასაჭირს აკვირდებოდა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ნანახი მისთვის საკმარისზე მეტი იყო. სასწავლო წლის დასასრულამდე იგი ჩემთან ერთად შედიოდა კლასში და ჩემთან ერთად გამოდიოდა. ყოფილმა შეყვარებულმა ერთი კი შეავლო მას თვალი და უცებ მიხვდა, რომ ამ ბიჭს მისი სიმაღლის მარტო ფეხები ჰქონდა! მან თავი დამანება ზაფხულამდე და ფეხბურთელისგან თავს შორის იჭერდა.

მოძალადე, მაკონტროლებელი ბიჭები ყოველთვის პატივს სცემენ ვინმეს ან რამეს მათზე დიდს. დამერწმუნეთ, რომ ყველა სხვა მოძალადის მსგავსად, ისინი მშიშრები არიან. *ვალდებული არ ხართ, რომ მოძალადე მშიშრებს ახსნა-განმარტება*

დაუწყოთ! თუ გადაწყვეტთ, რომ ყველაფერი დამთავრდა, ესე იგი, დამთავრდა.

როცა ზაფხულისთვის სახლში დავბრუნდი, დედამ მიამბო, როგორც ლოცულობდა ჩემი გათავისუფლებისთვის. ორი თვის შემდეგ გადარჩენა მივიღე ქრისტეში და ჯონს შევხვდი, მაგრამ კოლეჯში დაბრუნების ძალიან მეშინოდა, რადგან ჩემმა მცველმა კოლეჯი დაამთავრა და სამუშაოს საძიებლად წავიდა. ვინ დამიცავდა? გულმხურვალე ლოცვა დავიწყე. როგორც ვფიქრობდი, ჩემს ყოფილ შეყვარებულს სკოლაში დაბრუნების პირველივე კვირას შევეფეთე, მაგრამ უკვე აღარ ვიყავი მისი გავლენის ქვეშ. ვუთხარი, რომ ამ ზაფხულს ქრისტიანი გავხდი. მან გაოცებით შემომხედა და მითხრა, რომ სიზმარში ნახა ეს. ისიც კი მკითხა, ბიბლიის შესწავლას მასთან ერთად ხომ არ დავიწყებდი. მადლობა გადავუხადე და მის შემოთავაზებაზე უარი ვთქვი.

— ვალდებული არ ხართ, რომ მოძალადე მშიშრებს ახსნა-განმარტება დაუწყოთ! თუ გადაწყვეტთ, რომ ყველაფერი დამთავრდა, ესე იგი, დამთავრდა.

მას ვუთხარი, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ თავს ერთმანეთისგან შორს დავიჭერდით. იგი არ დამეთანხმა და მისი მცდელობები კიდევ რამდენიმე კვირას გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ, თავი დამანება. ღმერთი გახდა ჩემი მცველი და ამ ბიჭს ჩემი მოქცევა დაასიზმრა კიდეც. ვიცოდი, რომ ეს ღვთისგან იყო, რადგან გადარჩენის მიღებამდე ქრისტიანობისგან ძალზე შორს ვიყავი!

ზეციერ მამას სურს, რომ ამ ბრძოლებში თქვენი გულისთვისაც ჩაერთოს. იგი დაგიფარავთ და დაგიცავთ ზიანისგან ... ასე რომ, მიეცით ამის ნება.

— ძვირფასო ზეციერო მამა,

მადლობას გიხდი, რომ ნამდვილად ჩემი მამა და ჩემი უმწიკ-ვლოების საბოლოო მცველი და მფარველი ხარ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის საუკეთესო გინდა. მწამს, რომ მარტო არ ვიქნები არც ერთ ვითარებაში. ანგელოზები მყავს დამცველებად და შენი სიტყვა მიფარავს. შენ ხარ მამა, რომელსაც ჩემს ყველაზე ღრმა, ბნელ საიდუმლოებებსა და შიშებს ვანდობ, რადგან შენ გამომიკვლიე და მიცნობ. ნება დამრთე, რომ გიცნობდე, როგორც მეფეს, რომელიც მიცავს და თვალ-ყურს მადევნებს! შენი რჩევის უსაფრთხოებას მივენდობი და არა ჩემსას. დამიფარე შენი ფრთების ჩრდილქვეშ!

სიყვარულით,

შენი ასული

9 ცოცხალი მსხვერპლები

ახსოვს, როგორ მივიღე გამოცხადება, რომ ჩემი სექსუალობა ღვთის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. იქამდე, რაღაც მიზეზით, ეს მხარე ჩემი ცხოვრებისგან გამოვყავი, როგორც *ცუდი* გოგონებისთვის განკუთვნილი *ცუდი* სფერო. რამდენიმე წლის განმავლობაში მეც ნამდვილად ვიყავი შესანიშნავი „ცუდი გოგო“ და ჩავთვალე, რომ ჩემი სექსუალობა უკან უნდა მომეტოვებინა, როგორც ქრისტიანობამდელი ცხოვრების ნაწილი. არასოდეს მინდოდა ამ თემაზე მსჯელობა და თუ შესაძლებელი იყო, მისი უგულებელყოფა მსურდა. არც არავისთან ვილაპარაკებდი ამაზე ... გარდა ღმერთისა! ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობდი მე, კარგი ქრისტიანი გოგონები ვნების სფეროში ჩართული არ უნდა იყვნენ. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი ჩემი ამგვარი აზროვნების საფრთხესა და უგუნურებას. *სფეროები, რომლებსაც არ შეეწინააღმდეგები, არასოდეს გაჩუმდებიან.* ისინი თვალსაჩინოდ უნდა გააკრა ჯვარზე.

> *სფეროები, რომლებსაც არ შეეწინააღმდეგები, არასოდეს გაჩუმდებიან.*

იმ დროისთვის „ქრისტიანი გოგონების“ გაფიქრებაზე თვალწინ ზეცისკენ თვალაპყრობილი და შარავანდედით მოსილი წმიდანების გამოსახულებები წარმომიდგებოდა. ძალიან მინდოდა მათნაირად იმქვეყნიური ვყოფილიყავი, მაგრამ ჯერ კიდევ ვებრძოდი მიწიერ ფიქრებს. დავდიოდი კოლეჯის კამპუსში და უჩვეულო სულაც არ იყო იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებთანაც სხვადასხვა ხარისხით, ვითარებით თუ მანერით შემიცოდავს. რასაკვირველია, ისინი ისევ ფიქრობდნენ, რომ ჩვენი ძველი შეხვედრები არათუ კარგი იყო, მათი განმეორებაც ღირდა. თითქოს მათი მხოლოდ არსებობაც კი მასხრად მიგდებდა:

„გამარჯობა, გახსოვარ? გავიგე, ახლა გაქრისტიანებულხარ ... მაგრამ მე ხომ უკეთ ვიცი, სინამდვილეში როგორი ხარ?! ვერ გამაცურებ! თავის მოკატუნებას შეეშვი და იმხიარულე! სხვანაირი უფრო მომწონხარ! ასეთს ვერ გიყურებ!“

რასაკვირველია, ეს იყო ჩემი წარმავალი აღქმა, მაგრამ საკმარისი საფუძველი მქონდა ამგვარი განმარტების სიზუსტეში დასარწმუნებლად. სკოლაში დაბრუნების პირველივე კვირას, ჩემი უფროსი ჯგუფის ლექციაზე, რომელსაც ასობით სტუდენტი ესწრებოდა, თავად სტუდენტთა პრეზიდენტი წამოდგა პროფესორის შემოსვლამდე და დამიძახა: ჰეი, ლიზა! მართალია, რაც გავიგე? იესოსთვის დახტიხარ? იცი, ჩვენ ამას ვერ ავიტანთ! მოგიტაცებთ თეტას სახლიდან და გაიძულებთ, შემოგვიერთდე სექსში, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში!“

ყველანი მომაჩერდნენ ან მეძებდნენ, სად ვიჯექი. ზოგიერთები იცინოდნენ და თავს იქნევდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, როგორიც ვიყავი. სახე გამიხურდა და გავწითლდი. თავგამოდებით ვცდილობდი შინაგანი კანკალის შეჩერებას, რომელსაც მთელი ჩემი სხეული მოეცვა. ამ დროს იესოს სიტყვები გახმიანდა ჩემს გულში:

> „ამიტომ ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე. ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“. (მათ. 10:32-33)

ჩემი გაურკვევლობის ადგილიდან წამოვდექი ტერასული ტიპის აუდიტორიის შუაში და ყველას დავენახე, ვისაც ეს აინტერესებდა. სტუდენტთა პრეზიდენტს კი პირდაპირ გავუსწორე მზერა და ვუთხარი:

– ეს მართალია.

და ამის დასადასტურებლად შევხტი.

პრეზიდენტმა სიცილი დაიწყო და უმრავლესობა აჰყვა. შემდეგ ისევ დავჯექი. პროფესორი შემოვიდა და ჩემი განსაცდელიც დასრულდა. ლექციის დარჩენილი ნაწილი მხოლოდ პირდაპირ ვიყურებოდი და ერთი სული მქონდა, როდის გავიქცეოდი. ვიცოდი, რომ თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩავიგდე, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ჩემთვის ეს ერთადერთი უსაფრთხო ადგილი იყო.

გავაცნობიერე, რომ ამიერიდან დამაკვირდებოდნენ, რახან ასე შორს შევტოპე. „თვალთვალს“ ვგრძნობდი გაკვეთილებზე შესვლისას და გამოსვლისას. ადრე კამპუსი მეგობრების, გართობისა და შეყვარებულების თავშესაფარი იყო, ახლა კი დეტალური დაკვირვებისა და წარსული სირცხვილის ადგილად ქცეულიყო. კოლეჯში დაბრუნებამდე გადარჩენა სულ რაღაც ორი კვირის წინ მივიღე, ამიტომ მართლა არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. გარდა ამისა, შემაშფოთა ჩვენი საერთო საცხოვრებლის ქრისტიანების მიღებამ. ჩანდა, რომ ისინი გამუდმებით მიგზავნიდნენ ერთი და იგივე შეტყობინებას: *დამშვიდდი და შეწყვიტე იესოზე ამდენი ლაპარაკი! იყავი „ნორმალური“ ქრისტიანი, რადგან ყველას უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებ*! ისინი, ვისგანაც გამხნევების მიღების იმედი მქონდა ღვთის გზაზე სიარულისას, ხმის ამოღებას მიკრძალავდნენ ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. და რა თქმა უნდა, რწმენის მიღმა მყოფი ადამიანები დათმობაზე წასვლას მოითხოვდნენ.

ჩემი ქრისტიანობის რაღაც დონეზე მიჩუმებას შევეცადე. თანდათანობით რწმენას რისკის ქვეშ ვაყენებდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნელ-ნელა ვკვდებოდი. *დავიწყე ფიქრი, რომ ახალგაზრდებისთვის ქვეყნიერებასთან დათმობაზე წასვლა ერთადერთი ალტერნატივა იყო.* ნაცნობ ქრისტიანთა უმრავლესობა იმ მუსიკას უსმენდა, რომელსაც მე ვუსმენდი მოქცევამდე და იგივე საღამოებზე დადიოდა, რომლებზეც მე დავდიოდი. მეორე მხრივ, ჩემი „ქრისტეში შობამდელი“ მუსიკა თავიდან მოვიშორე ჩემი მოშურნეობის გამო, რადგან ვიცოდი, რას აღძრავდა ჩემში მისი მოსმენა. ისევ ვაგრძელებდი საღამოებზე სიარულს. მინდოდა ყველას გაეგო, რომ მოსაწყენი ადამიანები არ ვიყავით, მაგრამ ახლა თავს უხერხულად ვგრძნობდი, როცა ამ ყველაფერს ფხიზელი თვალით ვუყურებდი. ალკოჰოლის ზემოქმედების გარეშე ეს ხალხი სულელი მეჩვენებოდა. თამაში სიამოვნებას აღარ მანიჭებდა.

— დავიწყე ფიქრი, რომ ახალგაზრდებისთვის ქვეყნიერებასთან დათმობაზე წასვლა ერთადერთი ალტერნატივა იყო.

ამრიგად, დავიწყე ქრისტიანული ურთიერთობების ძიება ჩემი საცხოვრებლის მიღმა და *კამპუს კრუსეიდს* დავუკავშირდი. ამ ორგანიზაციის მეშვეობით ერთმა

საყვარელმა დამ, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოშვების დედოფალი იყო, თავის ფრთებქვეშ შემიფარა ბიბლიური სწავლებისა და სადილისთვის შეხვედრების მეშვეობით. ჩვენი ერთად გატარებული დროის უმეტესი ნაწილი დამოწმებისთვის ჩემს წვრთნას ეთმობოდა. ჩვენ ერთად ვლოცულობდით და შემდეგ ცალკეულ ადამიანებთან ან ჯგუფთან სალაპარაკოდ მივდიოდით კამპუსში. ეს სწავლის საოცარი პერიოდი გახლდათ.

მახსოვს, რაღაც უცნაური მოხდა, როცა ერთხელ შუადღით ერთ გოგონას მივუახლოვდით, რომელიც მზეზე კითხულობდა. როცა მასთან მივედით, შევნიშნეთ, რომ ხელში ბიბლია ეჭირა და როგორც ჩანდა, უკვე ქრისტიანი იყო. ჩვენ მაინც შევაწყვეტინეთ კითხვა და გამოველაპარაკეთ. როცა წასვლა დავაპირეთ, მან თითოეულს წმიდა წერილიდან მუხლი გვაჩუქა. ჩემსაში ეწერა:

> „მომიგო ჩემმა მიჯნურმა და მითხრა: ადექი, სატრფოვ ჩემო, ჩემო მშვენიერო, და წამომყევი! რადგან, აჰა, მიიწურა ზამთარი, გადაიარეს წვიმებმა და წავიდნენ“. (ქებ. 2:10-11)

მახსოვს, როგორ უხერხულად გადავუხადეთ მადლობა და წამოვედით. ჩემი გული იწვოდა: რას ნიშნავს ეს სიტყვები? გადავწყვიტე ბიბლიას მარტო ჩავჯდომოდი უქმეებზე და კარგად გამომეკვლია. კვირა დღე თბილი და მზიანი გათენდა. კოლეჯის სტუდენტის პირობაზე უჩვეულოდ ადრე გამეღვიძა. სამზარეულოში შევიპარე, სადაც საუზმისთვის გამომცხვარი ხვეულები ეწყო. ერთი ცალი ავიღე და ის-ის იყო უნდა ჩამეკბიჩა, რომ სულიწმიდის ჩურჩული გავიგე: *დაიცადე*! ირგვლივ მიმოვიხედე. ვიფიქრე, ვიღაც შემოძვრა სამზარეულოში და ზურგიდან მეპარება-მეთქი ... მაგრამ მე მარტო ვიყავი. ხვეულა ხელსახოცში გავახვიე. გადავწყვიტე იმ დროისთვის შემომენახა, როცა უფრო მაგრად მომშივდებოდა და თან წავიღე ჩემი ოთახისკენ.

კიბეებზე ასვლისას ისევ გავიგონე სულიწმიდის შემდგომი მითითებები. ხვეულა უნდა შემენახა, მახლობელ მაღაზიაში წავსულიყავი და ყურძნის წვენი მეყიდა. ღმერთი მასთან ზიარებისთვის მეპატიჟებოდა! ჩემი აღფრთოვანება ყოველ ფეხის გადადგმაზე იზრდებოდა. მიღებული ბიბლიური მუხლის მნიშვნელობა თანდათან ცხადი ხდებოდა. იგი მეძახდა და

მასთან ერთად წასასვლელად მეპატიჟებოდა. ბიბლიას და ბლოკნოტს ხელი დავავლე და ზურგჩანთაში ჩავდე ხვეულასა და ხურდა ფულთან ერთად. მაღაზიაში გავიქეცი, უელჩის წვენი ვიყიდე და კამპუსის ერთ-ერთ ჩემს საყვარელ და მოფარებულ ადგილას განვმარტოვდი. ეს იყო გრძელი სკამი, რომელსაც თითქმის უჩინარს ხდიდა ძირძველ ხეთა ტოტების გუმბათი. ჩემი ღვთიური პიკნიკის ელემენტები ამოვალაგე და ბიბლია გადავშალე. ისეთ ეკლესიაში გავიზარდე, სადაც ზიარება ყოველ კვირას ტარდებოდა, მაგრამ მე არასოდეს მიმიღია ქრისტიანად მოქცევის შემდეგ. იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეკლესიის გარეშე მარტო შემეძლო ამის გაკეთება. ბიბლია გადავშალე, რომ ზიარების შესახებ სწავლება მეპოვა.

> „მადლი შესწირა, გატეხა და თქვა: „მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის დამტვრეული; ამას აკეთებდეთ ჩემს მოსაგონრად!“ სერობის შემდეგ სასმისი აიღო და თქვა: „ეს სასმისი ახალი აღთქმაა ჩემს სისხლში. ამას აკეთებდეთ ჩემს მოსაგონრად, ყოველთვის, როცა დალევთ!“ (1 კორ. 11:24-25)

წმიდა მოშიშებამ ამავსო, როცა იესოს სიტყვების მნიშვნელობა პირველად გავაცნობიერე. ამ მოწვევამ საუკუნეები გამოიარა და ახლა პირდაპირ მე მელაპარაკებოდა: „*ეს ჩემი სხეულია თქვენთვის*“. *ზიარებას უნაყოფო რიტუალის სახით არ ვიღებდი, არამედ ჩემის სულის უფალთან და მხსნელთან ახლო ურთიერთობის აღსანიშნავად.* მან პირადად მიმიწვია მისი ჯვარცმული სხეულის მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობის მისაღებად, რომ პური გამეტეხა აღთქმის გახსენების ნიშნად. მან საკუთარი ნებით გასწირა თავი, რომ მე მეცოცხლა. ეს პატარა საქმე არ იყო! მან ასევე გამომიწოდა მისი სისხლით შეძენილი ახალი აღთქმის სასმისი, რომელიც ყურძნის დაჭყლეტილი ნაყოფით იყო სავსე. ჩემს წინ დადებული პური და ყურძნის წვენი დიდი ხნის, შორეულ წარსულში დამდგარი ღამის და სუფრის სიმბოლო იყო, რომელსაც მე რწმენით მივუახლოვდი. ამათრთოლა ამ შემთხვევის მნიშვნელობის გააზრებამ, როცა მის შესახებ ვკითხულობდი.

> *ზიარებას უნაყოფო რიტუალის სახით არ ვიღებდი, არამედ ჩემის სულის უფალთან და მხსნელთან ახლო ურთიერთობის აღსანიშნავად.*

„ამიტომ, ვინც ამ პურს შეჭამს ან უფლის სასმისს შესვამს უღირსად, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე. ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ისე ჭამოს ამ პურიდან და დალიოს ამ სასმისიდან. ვინაიდან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დაგმობას ჭამს და სვამს, ვერ შეუცვნია რა უფლის სხეული“. (1 კორ. 11:27-29)

ამ სიტყვებმა ცრემლები მომგვარა, როცა გავიხსენე, რამდენჯერ გამიკეთებია ასე. უბრალოდ, მექანიკურად ვასრულებდი და არასოდეს დავფიქრებულვარ უფლის სხეულზე და არც ჩემი გული გამომიკვლევია. მან თავი დადო ჩემთვის, მე კი ერთხელაც არ შევჩერებულვარ, რომ საკუთარი თავი განმესაჯა. ეკლესიაში ზიარების დროს ყოველთვის ვათვალიერებდი იქ მყოფებს, ვინ ესწრებოდა და ვინ არა, მაგრამ შინაგანში არასოდეს ჩამიხედავს. მახსოვს ქანდაკებებსაც ვათვალიერებდი, რომ მენახა, სისხლი თუ სდიოდათ და ამ დროს ჩემთვის დაღვრილ უფლის სისხლს უგულებელვყოფდი.

„თვითონვე რომ განვიკითხავდეთ ჩვენს თავს, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი“. (1 კორ. 11:31)

თვალები დავხუჭე და ვილოცე, რომ ჩემი გონების თვალები განათებულიყო და ჩემი ცხოვრების ყველა სფერო დამენახა. შემდეგ სულიწმიდა მოვიწვიე, რომ ჩემი შემოწმება დაეწყო და ღვთის სიტყვას განესაჯა ჩემი მოქმედებები და მოტივები. შესაძლოა საათები დავყავი იქ, შესაძლოა – წუთები, მაგრამ ეს იყო ზიარების მარადიული ადგილი, სადაც სიწმიდე მთავარ თემად განიხილებოდა. ვილოცე სხვადასხვა საკითხებისთვის, ცოდვები მოვინანიე და გულში განწმედა და შვება ვიგრძენი. *იესო მთხოვდა, რომ მთელი სიცოცხლე მისთვის მიმეძღვნა და ამაში ჩემი სხეულიც შედიოდა.*

~ იესო მთხოვდა, რომ მთელი სიცოცხლე მისთვის მიმეძღვნა და ამაში ჩემი სხეულიც შედიოდა.

„ამიტომ, გევედრებით ძმებო, ღვთიური თანაგრძნობის მეშვეობით წარუდგინეთ თქვენი სხეულები ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად, ანუ თქვენი გონივრული მსახურება!“ (რომ. 12:1)

ჩვენ მოგვიწოდებენ, რომ წმიდა ვიყოთ ღვთიური მოწყალების გათვალისწინებით. კი არ გვაშინებენ, არამედ მიწვეული ვართ, რომ ვუპასუხოთ იმ მოწყალების სინათლეს, რომელიც უკვე გვაჩვენეს. ჩვენ მხოლოდ მაშინ მოგვიწოდებენ, როცა ამის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. მინდოდა, სრულად გამეცნობიერებინა ამ მონაკვეთის არსი, ამიტომ უფრო ღრმად გამოკვლევას ვცდილობდი, რომ მთლიანად ჩავწვდომოდი მას. ჩემი სხეული ღვთისთვის ცოცხალ მსხვერპლად უნდა მიმეძღვნა. ჩემი, როგორც ქრისტიანის სიცოცხლე მე აღარ მეკუთვნოდა, რადგან მის გამოსასყიდად ფასი გადაიხადეს.

ეს მონაკვეთი იმასაც გვეუბნება, რომ ღმერთი ჩვენი სიცოცხლის მსხვერპლს წმიდად და სასიამოვნოდ თვლის. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ცოდვის რამდენი ნაიარევი ატყვია მას და რამდენად გააუწმიდურა ქვეყნიერებამ. ეს ჩემთვის ძალმოსილი გამოცხადება იყო. არასოდეს მიფიქრია, რომ ფიზიკური სხეული წმიდა ღვთის წინაშე თაყვანისცემის საშუალებად გამოდგებოდა და წმიდად და საამოდ ჩაითვლებოდა მის თვალთა წინაშე.

მინდოდა ჩემს ფიზიკურ „მეს“ დავმალვოდი და თავი დამეღწია მისი მახეებისა და შებოჭვისგან. ამ დროს ღმერთი ამის მიღწევის გზას მთავაზობდა. თუ ჩემს სხეულს მას მივუძღვნიდი შესანახავად და ჯვარს ცოცხალ მსხვერპლად მივიღებდი, იგი ჩემს შესაწირს მართლად ჩათვლიდა მისი ძის გულისთვის.

გავაცნობიერე, რომ სიწმიდე სათნოების შესანარჩუნებელი მცნება როდია, რომელიც შემდეგ შეუძლებლობის გამო მიგდებულია ადამიანის მოზარდობიდან ზრდასრულ ეტაპზე გადასვლასთან ერთად. არა, ეს სულიერი თაყვანისცემის აქტია. სიწმიდე საკუთარი თავის უარყოფის არსებითი ნაწილია უფლის მითითებების თანახმად ჩემი სიცოცხლის ყოველდღიური შეწირვით და ჯვრის აღებით. ვისურვე, რომ ვყოფილიყავი მისი ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, რათ ღვთის სიტყვას ხორცი შეესხა ჩემს ცხოვრებაში.

რომაელთა წერილის მე-12 თავზე მეთიუ ჰენრის კომენტარში მოყვანილია ცოცხალ მსხვერპლად ჩვენი სხეულის მიძღვნის აღწერილობა, როგორც სათნოების პრაქტიკული განსაზღვრება: „ჩვენი მღვდელმთავრის, იესო ქრისტეს მეშვეობით ღვთისადმი მიძღვნილი ჩვენი პიროვნება და ქცევა ღვთის პატივის აღიარების მსხვერპლს წარმოადგენს.“

მსხვერპლი ღვთის თანდასწრებამდე ჩვენი ნების მეშვეობით აღწევს. ეს ზუსტად ისე ხდება, როგორც გადარჩენას ვიღებთ რწმენით. მის მოწყალებაზე ჩვენი პასუხი პატივს მიაგებს მოწყალე ღმერთს ჩვენს ცხოვრებაში. ამრიგად, ირგვლივ მყოფებს ვაგებინებთ, რომ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით, არამედ სხვამ გამოგვისყიდა. კომენტარის გაგრძელება ასე იწყება: „ღმერთს უყვარს თქვენი სხეულები და არა თქვენი ცხოველები".

მომწონს ეს შენიშვნა: *ღმერთს უყვარს თქვენი სხეულები და არა თქვენი ცხოველები.* მას არ სურს ცხოველთა შესაწირის მკვდარი და სისხლმდინარე სხეულები. მას უნდა, რომ თქვენი გულები სიყვარულით და მადლიერებით სცემდეს, ხოლო სხეულები! მას მიეძღვნას მისი მიზნისა და სიამისთვის. დავითმა ეს იცოდა და ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის მიუხედავად, ყოველთვის აცნობიერებდა, რა სურდა ღმერთს.

> „რადგან მსხვერპლი არა გსურს, რომ შემოგწირო და სრულად-დასაწველს არ ინებებ. შესაწირი ღვთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო!" (ფს. 51:16-17)

ღმერთს ყოველთვის სურდა, რომ ადამიანებს რელიგიისა და ხორცის საქმეების საბურველს მიღმა დანახვა, მასთან რწმენით მიახლოება და სულით და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა შესძლებოდათ. იგი გულით ესწრაფვის იმ ადამიანებთან სიახლოვეს, რომლებსაც სურთ კარგ ქრისტიანებზე მეტს წარმოადგენდნენ და მის საკუთრებად ითვლებოდნენ.

> *ღმერთს ყოველთვის სურდა, რომ ადამიანებს რელიგიისა და ხორცის საქმეების საბურველს მიღმა დანახვა.*

ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მეტის გაკეთება არ გვჭირდება. იესოა საბოლოო მსხვერპლი და ეს უკვე დასრულებული საქმეა. თუმცა ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლზე. არანაირ შესაწირს არ შეუძლია ჩვენს წინააღმდეგ დაწერილი კანონების მოთხოვნის დაკმაყოფილება. იესო იყო კრავი, რომელიც ჩვენი ცოდვებისთვის დაიკლა, მაგრამ იგი ასევე მღვდელმთავარი და ჩვენი მაგალითია ბევრ რამეში. მოდით, ერთად გადავხედოთ ამ ურთიერთობას:

„და თუ ჩვენ ქრისტესთან დავიხოცენით, გვწამს, რომ ვიცოცხლებთ კიდეც მასთან ერთად, რადგან ვიცით, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება და სიკვდილი აღარ უფლობს მასზე. ვინაიდან, ის რომ მოკვდა, ერთხელ მოკვდა ყველა ცოდვისათვის, ცოცხალი კი ღვთისათვის ცოცხლობს“. (რომ. 6:8-10)

ქრისტეს სიკვდილთან გაიგივებით მისი აღდგომის ძალით სიცოცხლე შეგვიძლია. იესომ დაამსხვრია ცოდვისა და სიკვდილის ძალა. ახლაც კი, როცა ცოცხლობს, ღვთისთვის ცოცხლობს და არა საკუთარი თავისთვის. თუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ განვლო ასპარეზი, სწორედ იესოს შეუძლია. და მაინც, ის არ ამბობს: „დიდებულია! მიხარია, რომ დავასრულე! ახლა შემიძლია, როგორც მინდა, ისე ვიცხოვრო, რადგან ჩემს საქმეს მოვრჩი“. მისი სიცოცხლე დაფარულია ღმერთში, ხოლო ჩვენი სიცოცხლე მასშია დაფარული.

„თქვენც ასევე ჩათვალეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღვთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში! მაშ, ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათა მორჩილებად! ნურც გადასცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უმართლობის იარაღად, არამედ ღმერთს გადაეცით თქვენი თავი, როგორც მკვდართაგან გაცოცხლებულებმა და თქვენი ასოები სიმართლის იარაღად. ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ“. (რომ. 6:11-14)

სიტყვა „ასევე“ ნიშნავს ... *იგივენაირად*. ჩვენ სისხლი არ უნდა დავღვაროთ, რადგან მან დაღვარა სისხლი! ჩვენი სხეულები უნდა იყოს ცოცხალი მსხვერპლები! ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც თავად ცხოვრობდა, ცოდვისთვის მოკვდა, მაგრამ ცოცხალია ღვთის წინაშე! ცოდვამ აღარ უნდა იმეფოს ჩვენს სხეულებში ... ღმერთმა უნდა იმეფოს. ჩვენ სხეულებს აღარ ვემორჩილებით, არამედ ღმერთს! აქ მორჩილება მნიშვნელოვანი იდეა გახლავთ. პავლე გვაფრთხილებს, რომ ჩვენი სხეულის ასოები ცოდვას არ უნდა გადავცეთ უმართლობის იარაღად, არამედ ღმერთს – სიმართლის იარაღად. ყურადღება მიაქციეთ, რომ *შესაწირი იმასთან მიგვაქვს,*

— შესაწირი იმასთან მიგვაქვს, ვისაც ვემორჩილებით და ვისაც ვემორჩილებით, ჩვენი ბატონი ხდება.

ვისაც ვემორჩილებით და ვისაც ვემორჩილებით, ჩვენი ბატონი ხდება. პავლე შემდეგი განაცხადით ასრულებს: „ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე!“ ცოდვას აღარ შეუძლია ჩვენი შესაწირის ან თაყვანისცემის მიღება, რადგან რჯულს თავი დავაღწიეთ და ახლა მადლის ქვეშ ვართ.

გაიხსენეთ რომაელთა წერილის 12-ე თავიდან, რომ ღვთის მოწყალების გათვალისწინებით უნდა შევწიროთ ჩვენი სხეულები ცოცხალ მსხვერპლად. მოწყალება მადლის ქვეშ გვამყოფებს და არა რჯულის ქვეშ და ამ მოწყალე საჩუქრის საპასუხოდ ქრისტეს ჯვარცმის ნიმუშს მივყვებით. ყოველდღიურად ვემორჩილებით ღმერთს და სიმართლეს და არა ხორცსა და უმართლობას. ჩვენი ნებელობითი აქტით ვწირავთ თავს და ჩვენს სხეულებს ღმერთს წარვუდგენთ. შემდეგ რწმენით ვუახლოვდებით, რომ ღვთის გულს მივყვეთ. ეს ჯვრის მიღების ნაწილი გახლავთ.

> „ყველას გასაგონად კი თქვა: „თუ ვინმეს უნდა გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს. ვინაიდან, ვისაც სურს თავისი სული იხსნას, იგი დაღუპავს მას; ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს თავის სულს, იგი იხსნის მას“. (ლუკ. 9:23-25)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ჯვარი ისეთი რამეა, რაც ყოველდღე უნდა ვზიდოთ. ეს არ გახლავთ ერთჯერადი აქტი, რომ გავაკეთოთ და დავივიწყოთ. ეს არც ჩვენი ყელის ან მაჯის სამკაულია. იგი ყოველდღე უნდა ამშვენებდეს ჩვენს გულს. მღვდლებს ყოველდღიურად უნდა მიეტანათ შესაწირი უფლის წინაშე ტაძარში.

> “მაშინ აღუვლინა სოლომონმა სრულადდასაწველნი უფალს, მის მიერ შესასვლელის წინ აშენებულ უფლის სამსხვერპლოზე. რათა ყოველდღიურად აღევლინათ საჭიროებისამებრ, მოსეს რჯულისამებრ“. (2 ნეშტთ. 8:12-13)

ჯვარი ჩვენი ყოველდღიური შესაწირია. ეს არ გახლავთ მოსეს მიერ მოცემული მითითება. ეს თავად უფალმა გვამცნო. ვშიშობ, რომ მის სიტყვებს ზედაპირულად ვეკიდებით, მაგრამ თუ ვირწმუნებთ და მივიღებთ მას, საკმარისი ძალა ექნება ჩვენს სახსნელად.

ჯვარი ჩვენი ყოველდღიური შესაწირია.

მოდით, ზიარების მოწვევას დავუბრუნდეთ. რას ნიშნავს ქრისტეს სუფრის ზიარებაზე მოპატიჟება? პასუხისთვის სიტყვა *ზიარების* მნიშვნელობა გავიგოთ. ის განიმარტება როგორც ერთობა, სულიერი კავშირი, თანაგრძნობა, სიახლოვე და ბოლოს, ურთიერთობა. ამ სიტყვების კომბინაცია ყველა ქალის ნანატრ სურვილს ასახავს – სრულად გიცნობდნენ და შეგიყვარონ.

„რადგან ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ. ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ კი ისე შევიცნობ, როგორც მე ვარ შეცნობილი ღვთის მიერ“. (1 კორ. 13:12)

სრულად შეცნობა ნიშნავს ყოველი ნაკლოვანებისა და მარცხის, ყოველი ოცნებისა და ნატვრის, ყოველი შიშისა და იმედის სრულ და დეტალურ გაცხადებას. ეს წარმოუდგენელი ჩანს და გულის ფარულ მოტივებსაც მოიცავს. ის ხედავს საგნებს, რომელთა მიმართაც სიბრმავეს ვიჩენთ. მიუხედავად ამისა, სიყვარული ურყევ ჭეშმარიტებად რჩება მაშინაც კი, როცა ნაკლი სახეზეა. სიყვარული ყველაფერს ხედავს, რადგან სიყვარული დგას ყველა ნამდვილი აღქმის მიღმა.

ზიარებაზე მოპატიჟება ჩვენსაზე გაცილებით ძლიერი სიცოცხლის ძალის ნაწილად გახდომის მოწვევა გახლავთ. ეს არის ჭამის, სმის და სიცოცხლის სხვა წყაროდან მიღების შესაძლებლობა. ჩვენ მოწვეული ვართ სიცოცხლის წყლის სასმელად, რომელსაც ერთადერთს შეუძლია ჩვენი დარწყულება. უფრო მეტიც, ჩვენ არა მარტო ნადიმად ვართ მიწვეული, არამედ მასთან დარჩენა და დამკვიდრებაც შეგვიძლია.

„მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ ... როგორც მე შემიყვარა მამამ, მეც ისე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში! თუ ჩემს მცნებებს იცავთ, დარჩებით ჩემს სიყვარულში, როგორც მე დავიცავი მამაჩემის მცნებანი და ვრჩები მის სიყვარულში“. (იოან. 15:5,9-10)

აი, ქრისტესა და მის საკუთრებას შორის ურთიერთობის ნათელი და მშვენიერი თვალსაჩინოება. იგია ვაზი, რომლიდანაც ვიღებთ სიცოცხლეს, საკვებს და ძალას. თუ მასში ვრჩებით, ბევრ ნაყოფს გამოვიღებთ. რა არის ნაყოფი?

„ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება – ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული“. (გალ. 5:22-23)

როგორ დავრჩებით მასში ვაზთან დაკავშირებულები? იოან. 15:9 გვეუბნება, რომ დავრჩებით მორჩილების მეშვეობით. ქრისტეს მცენებების მორჩილება გვიცავს, ისევე როგორც ის ემორჩილებოდა ზეციერი მამის მცნებებს. ამრიგად, მორჩილება სიყვარულით სავსე ზიარების ატმოსფეროს ქმნის.

„ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს; ხოლო მისი მცნებები მძიმე როდია“. (1 იოან. 5:3)

ვიცი, რომ მორჩილება დიდად გამოვკვეთე ამ თავში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ სათნოებაზე ხშირად არ ვლაპარაკობთ. მორჩილება მხოლოდ ახალ აღთქმაში სამოცდაშვიდჯერ არის ნახსენები. ნებისმიერ ჩვენგანს გამოუჩენია დაუმორჩილებლობა ამა თუ იმ დროს და ვიცით, როგორ გვაშორებს ის სიმართლის აღქმას, როგორ გვიმძაფრებს ცოდვილიანობის შეგრძნებას და ღმერთს გვაშორებს.

მინდა მოგიწოდოთ, რომ ხორცის საფარველი გაარღვიოთ და უკუაგდოთ თქვენსა და თქვენს პრინცს შორის არსებული ჩრდილი. ჩვენ მოგვიწოდებენ, რომ ....

„ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი და ვუმზიროთ რწმენის წინამძღოლსა და სრულმყოფელ იესოს!“ (ებრ. 12:1-2)

ღმერთმა უკვე დაწერა თქვენი სიყვარულის ისტორია და დაგპირდათ, რომ ამ პროცესში თქვენს გვერდით იქნებოდა, დაგაპურებდათ და უზრუნველგყოფდათ მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში. მინდა, ახლა მას შეუერთდეთ

და ეზიაროთ. როცა მისი სიტყვითა და ერთგულებით კვებას დაიწყებთ, ნება მიეცით, რომ თქვენი ცხოვრების წყარო გახდეს და გაგაძლიეროთ.

— ძვირფასო ზეციერო მამა,

შენს წინაშე მოვდივარ იესო ქრისტეს სახელით! ვიღებ შენს მოპატიჟებას, ვჭამო შენი სუფრიდან და ვიზეიმო შენი სიყვარულით და ერთგულებით! როგორც იესომ წარადგინა თავი სამსხვერპლო კრავად უკანასკნელი სერობისას, ისე ვიღებ ღვთის მოწყალებას და მის მაგალითს მივყვები. ჩემს სხეულს ცოცხალ მსხვერპლად წარმოგიდგენ, რომელიც შენს თვალში წმიდა და მისაღებია, რადგან შენი ძვირფასი ძის სისხლით განმბანე. აღარ მივცემ ჩემს სხეულს დაუმორჩილებლობას და ჩემს ასოებს – ცოდვას! განახლებულ ასოებს შენ წარმოგიდგენ! მადლობას გიძღვნი ქრისტეს სიცოცხლისთვის, რომელიც ჩემს ძარღვებში ჩქეფს. იესო, შენ ხარ ცოცხალი ვაზი, ხოლო მე – ლერწი! მადლობას გიხდი ნაყოფის გამოღების უნარისთვის. შენ ხარ ჩემი სიცოცხლე და ძალა და ახლა ამ ჭიდან ვსვამ, რომელიც არასოდეს დაშრება. ვიშორებ ყოველგვარ ტვირთს და ცოდვას, რომელიც უკან მეწევა. ნება მიბოძე, რომ გავიაზრო შენი სიყვარული ისე, როგორც არასდროს! დამეხმარე, რომ მიყვარდე მთელი ჩემი არსებით. ვიღებ სულში ცხოვრებას, რაც არის ყოველდღიურად საკუთარი თავის უარყოფა, ჩემი ჯვრის აღება და შენს გზაზე სიარული.

სიყვარულით,
შენი ასული

10 წყევლის გაუქმება

ეოულოდნელად გამეღვიძა. გული საშინლად მიცემდა და სუნთქვა მეკვროდა. კარგად უნდა გამოვფხიზლებულიყავი, რომ კიდევ ერთ საშინელ კოშმარს გავქცეოდი. თვალები ნელ-ნელა გავახილე და ჭერს ავხედე, რომელიც რიჟრაჟს ნაცრისფრად გაენათებინა. მივხვდი, რომ ჯონი საწოლში არ იწვა. ყური დავძაბე, რომ ჩვენს ბინაში მისი მოძრაობის ხმა გამეგონა, მაგრამ ვერაფერი გავიგე კიბებზე ამავალი მეზობლის ნაბიჯების გარდა. მაინც დავუძახე მას.

– ჯონ!

ჩემი ხმა საკუთარი ყურებისთვისაც კი შეშინებული და ბავშვური მეჩვენა. ამან წარსულის მოგონებები აღმიძრა, როცა სიზმრისგან დამფრთხალი დედას ვეძახდი ... თავდაპირველად ჩურჩულით და როცა დავრწმუნდებოდი, რომ თავზე არავინ დამახტებოდა, ხმას თანდათან ვუწევდი, სანამ დედა სირბილით არ მოვარდებოდა, მაგრამ ამჯერად არავითარი პასუხი არ მიმიღია.

ჯონს ისევ დავუძახე და ის-ის იყო საათისთვის უნდა შემეხედა, რომ ვიგრძენი, როგორ ვცურავდი ოფლში. ახლა ჩემი ხმა უფრო წყნარად, უფრო მშვიდად ისმოდა, თითქმის კითხვის სახით, რადგან საათის მიხედვით იმდენად გვიანი იყო, რომ ჯონი სახლში არ იქნებოდა. როგორ შევძელი ასე გვიან გაღვიძება, რომ მისი დილის ფუსფუსი სრულიად გამომეპარა? მე ხომ შემაწუხებელი სიზმრის გამო მოუსვენრად ვიყავი!

შევეცადე სიზმრის ჭუჭყიანი საბურველი თავიდან მომეშორებინა, რომ დღის განმავლობაში შიშად არ გადაქცეულიყო. ბოლო რამდენიმე თვის განმვლობაში ერთი და იმავე კოშმარს ვხედავდი. მას ბავშვობიდან ვცნობდი. მისი ცივი მარწუხები რომელიღაც წელს დამიჭერდა და შემდეგ ისევ ფერმკრთალდებოდა. ამ ბოლო ხანებში კი სიჯიუტე გამოიჩინა

და სწრაფად გაზარდა თავისი ვიზიტები ყოველწლიურიდან ყოველთვიურ დევნამდე და ბოლოს, იმდენად განვითარდა, რომ ღამის დასვენების საათებშიც გაბატონდა.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში დაძინების მეშინოდა, თვალის დახუჭვა აღარ მინდოდა, რადგან ჩემს სიზმარს მარტო ვებრძოდი ღამის სიბნელეში. მე და ჯონი ახალშეუღლებულები ვიყავით და ყოველ საღამოს ვთხოვდი ჩემთან ერთად ლოცვას, რომ კოშმარი აღარ მოსულიყო. ყოველ საღამოს მის მკლავებში ვიძინებდი, რომ ნებისმიერი მომხდურისგან დავეცავი, მაგრამ როგორც კი ჯონი ძილს თავს მისცემდა და მოეშვებოდა, მოახლოებულ შიშის ჩურჩულს ვგრძნობდი. გამუდმებით ვიმეორებდი 91-ე ფსალმუნს, სანამ არ დამეძინებოდა.

ძილი ბედნიერი სიზმრით იწყებოდა, რომელსაც მეორე სწრაფად ანაცვლებდა, თითქოს სატელევიზიო არხები მორიგეობით ირთვებოდა. შემდეგ, არხი იჭედებოდა და მოდიოდა სიზმარი, რომლისგანაც თავს ვერ ვაღწევდი. ის ყოველ ჯერზე მცირედ იცვლებოდა, თუმცა მისი მთავარი თემა იგივე რჩებოდა და დაწყებისთანავე ვცნობდი მისი მონახაზს. ძილშიც კი ვეწინააღმდეგებოდი მას ... *ოღონდ ეს სიზმარი არა! მძულს ეს სიზმარი.*

სიზმრის დასაწყისში ყოველთვის ჩემი მშობლების სახლში ვიყავი. შემდეგ სახლს ვტოვებდი და მეგობრის სახლში ან სკოლაში მივდიოდი. ხანდახან მაღაზიაში შევივლიდი (მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად წავიდოდი). მოულოდნელად ყველაფერი იცვლებოდა. როგორც კი მოსახვევს მივადგებოდი, ცა ნაცრისფრად მოიქუფრებოდა. ბურუსში შევაბიჯებდი თუ არა, ახლო მანძილზე ვხედავდი შავ სიბნელეს. ჩემგან სულ რამდენიმე ნაბიჯით უკან მზე კაშკაშებდა. *რაღაც დროით დღესა და ღამეს შორის ვაყოვნებდი და ვხვდებოდი, რომ სიბნელე დაღამების გამო კი არ ჩამოწვა, არამედ ბოროტის თანდასწრება მოვიდა.* უკან ვტრიალდებოდი და მზის შუქისა და სახლისკენ გავრბოდი. დიდი ძალისხმევით ვცდილობდი თავის დაღწევას, მაგრამ შედეგი არ მქონდა. მზით განათებულ არემდე ვერაფრით მივდიოდი. ჩემი სხეული იმდენად ნელა მოძრაობდა, თითქოს სქელ მასაში იყო ჩაფლული.

— რაღაც დროით დღესა და ღამეს შორის ვაყოვნებდი და ვხვდებოდი, რომ სიბნელე დაღამების გამო კი არ ჩამოწვა, არამედ ბოროტის თანდასწრება მოვიდა.

სირბილისას უკან ვიხედებოდი და ნაცრისფერი ცის იქით მდებარე მხარის მიღმა ღრმა ჩრდილოვან სიბნელეს ვხედავდი.

აი, სწორედ იქ ვხედავდი მათ მოსიარულეებს ... ყოველთვის მოდიოდნენ. სამი ჩრდილოვანი ფიგურა სწრაფად მიახლოვდებოდა და ჩვენ შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ვხედავდი, რომ ამ დისტანციის გაზრდა ჩემი სირბილის მიუხედავად არ შემეძლო. მზერას ვაშორებდი და შეშინებული და დაძაბული ვცდილობდი იმ ნაცრისფერი ნისლიდან თავის დაღწევას, მაგრამ წინსვლის გაშმაგებული მცდელობები ამაო იყო მათი დაჟინებული სიარულის ფონზე. იქეთ ჩემს სახლსაც კი ვხედავდი, მაგრამ მისგან თითქოს ასეულობით მილი მაშორებდა. ჩანდა, რომ დისტანციის შემოკლება არ შემეძლო.

ისევ უკან ვიხედებოდი და აღმოვაჩენდი, რომ ჩაბნელებული ფიგურები კვლავ მომდევდნენ და ძალიან მალე მათ სილუეტებზე მეტის გარჩევა შემეძლო. ისინი კაცები იყვნენ, მოსიარულე მკვდრები, მაგრამ გახრწნის განსხვავებულ სტადიაზე. ერთი ახალგარდაცვლილი იყო და უსიცოცხლოდ მოძრაობდა. მეორე ნახევრად გახრწნილი გახლდათ, ხოლო ბოლო მკვდრის ჩონჩხს თმა ძლივს ფარავდა. მათი ტანსაცმელიც გახრწნის სტადიებს შეესაბამებოდა. ერთი სრულად შემოსილი იყო, მეორეს დაგლეჯილი ტანსცმელი ეცვა, ხოლო მესამეს გამოშვერილ ძვლებზე ქსოვილის ნაფლეთები უფრიალებდა. ისინი მხარდამხარ მოაბიჯებდნენ სრულყოფილი მწყობრით. არც ხმას იღებდნენ და ერთმანეთსაც არ უყურებდნენ ერთი მიზნით მომართულები: მე უნდა დამწეოდნენ.

სიზმარში ამ ყველაფერს ერთი თვალის გადავლებით ვამჩნევდი. რაც უფრო მიახლოვდებოდნენ, ჩემი მოძრაობა უფრო მძიმდებოდა, რადგან შიში და პანიკა უფრო მეტად მიპყრობდა. იმ ქვაფენილზე ვბორძიკობდი, სადაც ბავშვობაში ყოველდღიურად დავდიოდი. ბოლოს, სირბილისას მკვდრების ფიგურებს ვუყვიროდი, რადგან ვხვდებოდი, რომ ჩემი ძალებით მათი გასწრება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

– ვინ ხართ? წადით აქედან! მკვდრები ხართ. თავი დამანებეთ!

ისინი არასოდეს მპასუხობდნენ და არც ერთი წუთით არ ეტყობოდათ ყოყმანი. თითქოს ჩემი ხმა საერთოდ არ ესმოდათ. ისინი რომელიღაც უჩინარი მხედართმთავრის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. მე სირბილს ვაგრძელებდი, ისინი კი

მოდიოდნენ, თანდათან მიახლოვდებოდნენ და მოულოდნელად, ჩემთან ძალზე ახლოს აღმოჩნდებოდნენ. მეტისმეტად საშინელი იყო მათი დანახვა და ქვებისა და ჯოხების დაშენას ვიწყებდი, თუმცა მათ წინსვლას ვერაფრით ვაფერხებდი. ბოლოს და ბოლოს, როგორ ავნებდა მათ ეს საგნები? ისინი ხომ ისედაც მკვდრები იყვნენ! ჩემი უშედეგო მცდელობები მხოლოდ გაქცევის ძალისხმევას ანელებდა.

შემდეგ ხდებოდა ის, რისიც მეშინოდა. ისინი მეწეოდნენ და ხელის ჩავლებას ცდილობდნენ. შიშის ზაფრა იმდენად დიდი იყო, რომ მეყსეულად მეღვიძებოდა.

საწოლიდან ვდგებოდი და ჩვენი პატარა ბინის სამზარეულოში დავხეტიალობდი. თავში უამრავი შეკითხვა მიტრიალებდა, მაგრამ პასუხს ვერც ერთს ვცემდი.

რატომ ხდებოდა ეს ჩემს ცხოვრებაში, როცა წმიდა წერილს ვაღიარებდი და ვლოცულობდი? განა ღმერთი ამ სიზმარზე ძლიერი არ იყო? რატომ არ მაშორებდა მას? მე, როგორც ქრისტიანს, რატომ მქონდა ასე მცირე ძალა და მფარველობა?

ტელეფონმა დარეკა. კინაღამ ტყავიდან ამოვხტი. სწრაფად ავიღე ყურმილი.

– ალო! – ვუპასუხე, ცოტა არ იყოს, განერვიულებულმა.

– ძვირფასო, არ მინდოდა გამეღვიძებინე, როცა წავედი. ისე ღრმად გეძინა! ვიცი, რომ ღამეების განმავლობაში იტანჯებოდი და მინდოდა კარგად გამოგეძინა, – მითხრა ჯონმა.

– კარგი იქნებოდა, გაგეღვიძებინე! ისევ მესიზმრა კოშმარი.

– ვწუხვარ. გაგაღვიძებდი, რომ მცოდნოდა.

– ჯონ, რატომ არ წყდება ეს? ჩვენ ხომ ვილოცეთ საღამოს! – ვკითხე მე.

– არ ვიცი, – გულწრფელად აღიარა ჯონმა.

მისი ხმის ტემბრიდან გამომდინარე შემეძლო, მეთქვა, რომ თვითონაც ჩემსავით იმედგაცრუებული იყო.

კარგახანს ვილაპარაკეთ. შემდეგ ყურმილი გავთიშე და მისაღებ ოთახში შევედი ბიბლიის წასაკითხად. ჩემი გონება ბურუსში იყო გახვეული და ძალიან ვცდილობდი, როგორმე მეფხიზლა და წაკითხულის შინაარსს ჩავწვდომოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ისევ სიზმრისგან თავის დაღწევას ვლამობდი. ძილი მამძიმებდა და თანდათან უფრო მოუხერხებელ პოზაში მიწევდა სხეულის დაჭერა, რომ სიფხიზლე შემენარჩუნებინა, თუმცა ჩემი გონება ისევ დაბინდული რჩებოდა.

ლოცვა დავიწყე.

– ღმერთო, მაჩვენე რამე ან ვინმე, ვინც დამეხმარება!

თითქოს მეყსეულად გამახსენდა კაცი, რომელმაც „მიშვილა“, როცა დალასში გადმოვედით. დივანიდან ავდექი და მას დავურეკე სამზარეულოდან. ისე მოხდა, რომ თავისუფალი დრო ჰქონდა. მთელი ჩემი ამბავი ცრემლისღვრით მოვუყევი და ბოლოს წუწუნით დავასრულე: „არ მჯერა როგორც ქრისტიანს, რომ ეს არის სიცოცხლე და თანაც უხვად!“

მან მითხრა, რომ იგივე აზრის იყო და სამი აუდიოკასეტის გამოგზავნას შემპირდა, რომლებიც მაშინ უნდა მომესმინა, როცა მარტო ვიქნებოდი, შემდეგ კი მასთან სალაპარაკოდ დამერეკა. პირობა ჩამოვართვი, რომ რაც შეიძლება მალე გამოეგზავნა შეპირებული კასეტები და ყურმილი დავკიდე. პირველად ვირძენი იმედის ნაპერწკალი. ფარდები გადავწიე, რომ ტექსასის მზის სხივები მომეწვია და საშხაპეში შევხტი.

სიზმრის ღამეული ტერორი კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაპირებული ამანათი მოვიდა. ისე გამიხარდა, თითქოს დაბადების დღის საჩუქარი მიმეღოს. სასადილო ოთახში მოვკალათდი და სახელდახელო სწავლება მოვაწყვე ბლოკნოტით, ბიბლიით, ფლომასტერით და აუდიომაგნიტოფონით. ლოცვა დავიწყე:

„ზეციერო მამა, გამაგებინე ჭეშმარიტება! დაე, მან გამათავისუფლოს! თვალები ამიხილე, ყურები სასმენად მოამზადე და გული – სარწმუნებლად! იესოს სახელით. ამინ!“

პირველი კასეტის მოსმენა დავიწყე. ჩანაწერი უხარისხო იყო და სმენა დავძაბე მიყრუებული ხმების გასაგონად. მოხუცი კაცი ისეთ რამეებს ასწავლიდა, რაც განაგონიც კი არ მქონდა. ამავდროულად, მან თითქოს კარგად იცოდა, რასთან მქონდა ჭიდილი. თავდაპირველად მან განმარტა, რომ *ქრისტიანთა უმეტესობას აფრთხობს სულიერ ბრძოლა ზე ლაპარაკი. თითქოს გვჯერა, რომ ამით ბოროტი ძალები უფრო გაძლიერდება.* შედეგად, მტკიცედ არ ვდგავართ ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლაში და უკან ვიხევთ. მან ახსნა, რომ სატანა უკვე მთელი ძალით მოქმედებს და სიბნელის საქმეების გამოაშკარავებით მის ძალას ვაკნინებთ და არ ვზრდით. მან

ქრისტიანთა უმეტესობას აფრთხობს სულიერ ბრძოლა ზე ლაპარაკი. თითქოს გვჯერა, რომ ამით ბოროტი ძალები უფრო გაძლიერდება.

განმარტა, რომ სატანა ლეგალისტი რჯულისმჩხრეკელია, რომელიც ჩვენს ძმებს ცილს სწამებს. მას მტკიცე რწმენით და ღვთის სიტყვის მახვილით უნდა შეეწინააღმდეგო. შემდეგ მქადაგებელი სწავლების სიღრმეებს მიუბრუნდა და გენეტიკურ ცოდვებსა და წყევლაზე ილაპარაკა. პირველი ორი კასეტა სწავლებას ეძღვნებოდა, ხოლო მესამე – ლოცვას. ბიბლიაში მითითებული ადგილები წავიკითხე და დავინახე სრულიად აშკარა ჭეშმარიტებები, რომლებსაც ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი ან არ ვითვალისწინებდი.

შესაძლოა, ახლა თქვენთვის ამაში ახალი არაფერია, მაგრამ 1982 წელს საკმაოდ რადიკალური კონცეფცია გახლდათ. იმ დღეს ნასწავლი ყველაზე ძალმოსილი და დინამიური ჭეშმარიტებებიდან ერთ-ერთი გახლავთ ღვთის აღთქმების გამოყენება ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც მინდა გაგიზიაროთ:

> „რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში არის „ჰო“ და მისით ითქმის ჩვენს მიერ ‘ამინ’, ღვთის სადიდებლად“. (2 კორ. 1:20)

ეს საოცარი დაპირებაა. *ღვთის აღთქმების რიცხვის ან სიდიდის მიუხედავად, მისი პასუხი მხოლოდ ერთია – დიახ, იესო ქრისტე.* ნება მიბოძეთ, ამის ილუსტრაცია ძველი აღთქმის მაგალითით მოვახდინო. ღმერთმა მოსეს და ისრაელის ძეების წინ კურთხევა და წყევლა დადო. მთელმა ერმა „ამინის“ შეძახილით სათითაოდ დაამოწმა კურთხევების ჩამონათვალი. სიტყვა *ამინი* ნიშნავს „დაე, ასე იყოს!“ ამის მაგალითს 2 რჯულის წიგნში ვხედავთ:

> *~ ღვთის აღთქმების რიცხვის ან სიდიდის მიუხედავად, მისი პასუხი მხოლოდ ერთია – დიახ, იესო ქრისტე.*

> „აჰა, კურთხევას და წყევლას ვდებ თქვენ წინ: კურთხევას - თუ შეისმენთ უფლის, თქვენი ღვთის მცნებებს, რომლებსაც მე გიბრძანებთ დღეს; წყევლას - თუ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს“. (2 რჯ. 11:26-28)

რჯულის თანახმად ყოველ კურთხევას შესაბამისი წყევლა ერთვოდა, თუ ადამიანი უფლის მცნებას დააღვევდა, თუმცა ქრისტემ რჯულის ძალა გააუქმა.

„ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისგან და ჩვენს ნაცვლად გახდა წყეული, ვინაიდან დაწერილია: „წყეულია ყველა, ვინც ძელზეა დაკიდებული“. იმისთვის, რომ აბრაჰამის კურთხევა ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე, რათა რწმენის მეშვეობით მივიღოთ სულის აღთქმა“. (გალ. 3:13-14)

ჩვენ ქრისტეში ვიმკვიდრებთ აბრაჰამის კურთხევებს. მოსეს კურთხევის მისაღებად აუცილებელია ისრაელის თესლს წარმოადგენდე, ხოლო აბრაჰამის კურთხევა წარმართებზეც ვრცელდება. რჯულის გარეშე დარჩენილებს ქრისტეში ეძლევათ ახალ და ცოცხალ აღთქმაში შესვლის საშუალება რწმენის მეშვეობით. ამრიგად, ქრისტეში ვისმენთ „დიახ“-ს – არა „თუ რჯულს დაიცავ, დიახ“-ს, არამედ „ქრისტეში დიახ“-ს. კიდევ ერთხელ მიაქციეთ ყურადღება 2 კორინთელთა 1:20-ს:

მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი აღთქმა დადო ღმერთმა, რადგან ღვთის ყველა აღთქმა ქრისტეში არის „ჰო“ და მისი მეშვეობით ითქმის ჩვენს მიერ ‘ამინ’, ღვთის სადიდებლად.

ჩვენ ვამბობთ „ამინ“-ს ანუ „დაე, ასე იყოს!“ სიტყვაში ვიხედებით და შემდეგ რწმენით ვუახლოვდებით ისე, რომ სიტყვამ ხორცი შეისხას ჩვენს ცხოვრებაში. სიტყვას ცხოვრებაში ვიყენებთ რწმენის მეშვეობით. ჩვენს ნებას და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას მის ჭეშმარიტებას ვუმორჩილებთ სიტყვებით: „მე ვიღებ შენს ამოკვეთილ სიტყვას ჩემს გულში. დაე, მან იმოქმედოს ჩემს ცხოვრებაში!“

როცა სიტყვა გვამხილებს, ვინანიებთ და მის რჩევას ვემორჩილებით. როცა სიტყვა გვიწვევს, ვამბობთ: „მწამს, უფალო, ... უშველე ჩემს ურწმუნოებას!“ ჩვენ ვაცხადებთ, „დაე, უფლის სიტყვა სამუდამოდ დარჩეს და განდიდდეს ჩემს ცხოვრებაში!“

იმ დღეს კასეტების მოსმენის შემდეგ ღვთის სიტყვის სარკეში ნათლად დავინახე ჩემი ცხოვრების ის სფეროები, სადაც სიბნელის საქმეებში ადრინდელი მონაწილეობა და ჩემი წინაპრების ცოდვები უნდა მომენანიებინა. წყევლის ბნელ ჩრდილებს ვხედავდი ჩემს, ჩემი მშობლების და მათი მშობლების ცხოვრებაში. ამავდროულად, ვხედავდი ქრისტეს კურთხევას, რომელიც ჩემსა და მომავალ თაობებს დაგვტრიალებდა და მხოლოდ ერთ რამეს

ელოდებოდა – ვინმე დამდგარიყო ნაპრალში და ეთქვა: „დიახ!“ საოცარი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, როცა უფლის წინაშე მუხლი მოვიყარე და ჩემი და ჩემი ოჯახის გენეტიკური ცოდვები ვაღიარე და მოვინანიე. ისეთ გრძნობა მქონდა, რომ ხიზკიას სიტყვები ჩამესმოდა:

ამავდროულად, ვხედავდი ქრისტეს კურთხევას, რომელიც ჩემსა და მომავალ თაობებს დაგვტრიალებდა და მხოლოდ ერთ რამეს ელოდებოდა – ვინმე დამდგარიყო ნაპრალში და ეთქვა: „დიახ!“

„ახლა გულით მსურს აღთქმა დავუდო უფალს, ისრაელის ღმერთს, რათა მიაქციოს ჩვენგან თავისი მწველი რისხვა“. (2 ნეშტთ. 29:10)

ხიზკიამ ის-ის იყო აღიარა მამების შეცდომები და ღმერთთან აღთქმა დადო. მე წარმართების ნამდვილად გრძელი შტოს შთამომავალი ვიყავი სხვადასხვა სახის დარღვევების დიდი სიით. რასაკვირველია, ვეღარ შევძლებდი ყველა მათგანის ცოდვების სათითაოდ ჩამოთვლას იმაზე მეტად, ვიდრე საკუთარი ჩამოვთვალე, როცა ღვთის წინაშე ჩემი ცოდვილიანობა ვაღიარე, მაგრამ იყო კონკრეტული ცოდვები, რომლებშიც დამნაშავე ვიყავი.

- ოკულტიზმში ჩართვა ასტროლოგიით და სხვა საშუალებებით, როგორიცაა სამკითხაო წიგნები, სათამაშოები და ფილმები.
- წამლისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება.
- სქესობრივი ცოდვა.

ვერ ვაცნობიერებდი, რომ ამ საგნებთან შემთხვევითი შეხებაც კი სიკვდილის საფრთხეს მოიცავდა. მახსოვს, როგორ ვკითხულობდი ჩემი მშობლების წიგნს თითოეული ასტროლოგიური ნიშნის აღწერილობით. ძალიან მომწონდა ჩემი ჰოროსკოპის კითხვა, თუნდაც გასართობად, მაგრამ მაინც. ერთ შობას უიჯას დაფა მივიღე საჩუქრად და კარგა ხანს ვთამაშობდი, სა-

ნამ არ დამაფრთხო თვითნებური მოძრაობით. ქრისტიანად მოქცევამდე საშინელებათა ამბების კითხვა მიყვარდა და გატაცებული ვიყავი ყველაფერი ზებუნებრივით. რასაკვირველია, ახლა დაწრმუნებული ვარ, რომ ეს ღვთიური საგნების ქვეცნობიერი ძიების წყურვილი იყო, რომელსაც არასწორი გზით ვიკმაყოფილებდი, მაგრამ მას კურთხევის ნაცვლად წყევლა მოჰქონდა.

ჩემი ბაბუა და ბებია ლოთები იყვნენ. თავადაც თოთხმეტი წლის ასაკში დავიწყე და რეგულარული სმა ოცდაერთი წლის ასაკამდე არ შემიწყვეტია. მარიხუანა რამდენჯერმე გავსინჯე და კოლეჯში სწავლისას კოკაინზეც ჩავატარე ცდა. ეს ყველაფერი ამბოხების აქტები გახლდათ და მათი მეშვეობით ჩემს ცხოვრებაში კურთხევის ნაცვლად წყევლა შემოდიოდა.

სხვა ცოდვებიც აღმოვაჩინე, როცა ჩემს წინა თაობას უფრო ახლოს გავეცანი. ბებიას კიბო ჰქონდა, დედაჩემს კიბო ჰქონდა და მეც კიბო მქონდა – სამ თაობას. ჩემი დიდი ბებია ორჯერ იყო გათხოვილი. ბებიაჩემი ქმარს გაეყარა და ისევ დაქორწინდა პირველ ქმარზე. შემდეგ ხელმეორედ გაეყარა და სხვას გაჰყვა. მასაც გაეყარა და მესამეზე გათხოვდა, რომელსაც ცხარე კამათის დროს გულის შეტევა დაემართა. მამაჩემის დედაც ორჯერ იყო გათხოვილი. დედ-მამაც დაშორდნენ ერთმანეთს, ისევ დაქორწინდნენ, ისევ დაშორდნენ და ბოლოს მამაჩემი სხვა ქალთან წავიდა, რომელიც ხელის თხოვით არასოდეს შეუწუხებია. ბებიაჩემს მუცელი მოეშალა პირველ ორსულობაზე და მეორეს გაჩენას კინაღამ გადაჰყვა. დედაჩემს სამჯერ მოეშალა მუცელი ჩემსა და ჩემს ძმას შორის. რატომ ხდებოდა ასეთი მოვლენები ჩემს წინაპრებში და თან მეორდებოდა?

> „უფალი, უფალი ღმერთი, შემბრალე და მოწყალე, რისხვაში ნელი, დიდადმოწყალე და ჭეშმარიტი. უნახავს წყალობას ათასეულებს, შეუნდობს ბრალს, ურჯულოებას და ცოდვას, თუმცა თვალს არ დახუჭავს დამნაშავეზე: მოჰკითხავს მამათა ცოდვას შვილებს და შვილიშვილებს, მესამე და მეოთხე თაობამდე“. (გამ. 34:6-7)

ვფიქრობდი, რომ ეს პროცესები ჩემს ცხოვრებაში, ჩემს ქორწინებაშიც განმეორდებოდა და თუ რაღაცას არ მოვიმოქმედებდი, ჩემი ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილებიც გაიტანჯებოდნენ. ღმერთმა მაჩვენა, როგორ უნდა შემეჩერებინა

წყევლის განვითარება. როცა წმ. წერილს გადავხედე, დავინახე მიზეზი და დაპირება. ზემოხსენებული ცოდვების ციკლში მესამე, ზოგჯერ კი მეოთხე თაობას წარმოვადგენდი. ნამდვილად ეს იყო მიზეზი, მაგრამ მეორე ვერსიაში ჩემთვის საჭირო დაპირება ვიპოვე:

> „თაყვანი არ სცე მათ და არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ეჭვიანი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს მესამე და მეოთხე თაობაში. და წყალობის მყოფელი ათასობით თაობისათვის, ჩემს მოყვარულთა და ჩემი მცნებების დამცველთათვის“. (გამ. 20:5-6)

მინდოდა, რომ ათასიანი თაობის ფუძემდებელი ვყოფილიყავი, რომელსაც ღმერთი ეყვარებოდა და მის მცნებებს დაიცავდა. ეს ჩემი შესაძლებლობა იყო, რომ მომენანიებინა წინა თაობის ცოდვები და მოწყალე ღმერთთან აღთქმა დამედო. იგი სულმოუთქმელად მელოდებოდა, როდის დავუძახებდი, რომ თავისი სიყვარული ათას თაობაზე გადაეშალა. *აღტაცებისგან ავკანკალდი, როცა გავაცნობიერე აღთქმისა და მორჩილების არჩევის გავლენა ჩემს ცხოვრებასა და ჩემს შთამომავლობაზე.*

~ აღტაცებისგან ავკანკალდი, როცა გავაცნობიერე აღთქმისა და მორჩილების არჩევის გავლენა ჩემს ცხოვრებასა და ჩემს შთამომავლობაზე.

იმ აუდიოკასეტებმა თვალი ამიხილა ბორკილის კიდევ ერთი სახეობის შესახებ, რომელიც იქამდე არ ვიცოდი. ეს იყო სულთა კავშირის პრინციპი და მე მართლაც მქონდა ასეთი არაჯანსაღი კავშირები, რომლებიც გაუქმებას საჭიროებდა. დარწმუნებული ვარ, რომ ტყვეობის სფეროებთან დაპირისპირება შეგვიძლია მათი ჩახლართულობის გაზვიადების გარეშე. იესო ეშმაკებს დევნიდა და ადამიანებს ათავისუფლებდა ისე, რომ დემონოლოგიაზე არც ერთი სემინარი არ ჩაუტარებია. როცა ბორკილებს ხედავდა, ამსხვრევდა; როცა დემონებს ხედავდა, დევნიდა; როცა ავადმყოფობასა და უძლურებას ხედავდა, კურნავდა; როცა ცოდვისგან შებორკილებს ხედავდა, პატიობდა და ძალას აძლევდა, რომ მეტად აღარ შეეცოდათ.

მიყვარს იესო იმიტომ, რომ ასე ნამდვილი, მისადაგებული და პრაქტიკულია. მან იცოდა ჩემი ბორკილების შესახებ და

ხელში ჩამიდო გამათავისუფლებელი ჭეშმარიტება. ჩემი მხრივ, მეც გადმოგეცით იგივე ჭეშმარიტება. მისი ძალა არ მცირდება, რადგან ჭეშმარიტება პიროვნებებისთვის პატივის მიმგები კი არა, ყველას განმათავისუფლებელია, ვინც შემობრუნდება და მას დააფასებს.

ამრიგად, რა არის სულის საკვრელი? მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სულთა კავშირი, გადაბმულობა, რადგან ბავშვებივით ვართ, როცა საქმე ასეთ საკითხებს ეხება. ცხადია, ეს შეიძლება იყოს როგორც კარგი, ისე – ცუდი. დედის სამშვინველი მის პატარა ვაჟთან არის დაკავშირებული. როცა ბიჭი იზრდება და კაცი ხდება, დედა-შვილს შორის ურთიერთობა უნდა შეიცვალოს და ვაჟმა გული ცოლს უნდა მიუძღვნას. ქმრის სამშვინველი საცოლისას გადაეჯაჭვება ისე, რომ ერთი ხორცი ხდებიან. იგი ტოვებს დედას და მამას და ცოლს ეწებება. არსებობს ამგვარი კარგი და ჯანსაღი კავშირები, რომლებიც ჩვენს გულებს სიყვარულით აერთიანებს. ასეთი ჯანსაღი კავშირი მეგობრობასაც წარმოქმნის. დავითსა და იონათანს ზუსტად ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ. მის აღწერილობას შემდეგ მუხლებში ვხედავთ:

> „როგორც კი დაასრულა საულთან ლაპარაკი, შეეკრა იონათანის სული დავითის სულს, საკუთარი თავივით შეიყვარა იგი იონათანმა ...“. (1 სამ. 18:1,3)

> „უთხრა იონათანმა დავითს: მშვიდობით წადი! როგორც ჩვენ ორთავემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უკუნისამდე უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის!“. (1 სამ. 20:42)

ამ ალიანსმა და ახლო მეგობრობამ დავითის სიცოცხლე იხსნა, მოგვიანებით კი იონათანის შთამომავლობა გადაარჩინა. ამ ორმა კაცმა აღთქმა დადო, რომლის შესრულებაც ითავეს კომფორტისა თუ მდგომარეობის მიუხედავად. იონათანმა სამეფო ტახტზე უფლება დათმო დავითისადმი სიყვარულისა და ამ უკანასკნელის ცხოვრებაში ღვთის ხელის აღიარების ნიშნად. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც გექნებათ ასეთი მეგობრობა ცხოვრებაში. შესაძლოა, ეს იყოს და ან ახლო მეგობარი. თქვენს შორის ყველაფერი გასაგებია ლაპარაკის გარეშეც. მე ასეთი

დამოკიდებულება მაქვს ჩემს ბიჭებთან – ზოგჯერ არა მარტო ვიცი, რას ფიქრობენ ისინი, არამედ ვგრძნობ კიდეც.

აქამდე მეგობრებსა და მშობლებთან ჯანსაღ კავშირებზე ვილაპარაკეთ. მოდით, უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ქმრებსა და ცოლებს შორის არსებული კავშირები! ეს კავშირი ადამისა და ევასგან დაიწყო. ეს გახლავთ ორის ერთ ხორცად ქცევის საიდუმლო ... ერთო კაცი, ერთი ქალი, ერთი ხორცი. იესომ ეს ასე აღწერა:

> „მაგრამ შექმნის დასაბამიდან ღმერთმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას და მიეკვრება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად. ამრიგად, ისინი ორნი კი არ არიან, ერთი ხორცი არიან. ამრიგად, ვისაც ღმერთი შეაუღლებს, კაცი ნუ განაშორებს!“ (მარკ. 10:6-9)

ეს აშკარად მინიშნება გახლავთ დაბადების წიგნის თავდაპირველ გეგმაზე, თავიდანვე განსაზღვრულ მიზნის სიწმინდეზე. ცოლ-ქმარი ორი კი აღარ არის, არამედ ერთი. პირველ რიგში, სამშვინველები ერთმანეთს ებმიან სიყვარულით. შემდეგ მათი სიყვარული აღთქმის დადებამდე ვითარდება და ღვთის წინაშე ფიცს დებენ. საბოლოოდ, კაცის თესლი ქალის წიაღში ინერგება და სიცოცხლე წარმოიშობა.

ისინი შეერთებული არიან: გონებით, ფიზიკურად და სულიერად სქესობრივი კავშირის მეშვეობით. ეს შეთანხმების უმაღლესი ფორმაა, რადგან სიახლოვის სამივე დონეს მოიცავს. ამ კავშირამდე თითოეული მათგანი თავისთავად დასრულებული პიროვნებაა, მაგრამ ერთობლივი ცხოვრების შემდეგ ისინი ერთნი არიან და არა ცალ-ცალკე პიროვნებები. ეს არ გახლავთ დაკნინება, არამედ სრულყოფა. ეს ხსნის ერთად ქცეული ორი ადამიანის მრუშობით ღალატის ან გაყრის დამანგრეველ შედეგებს. ეს მათი სულების გაგლეჯა გახლავთ. მხოლოდ ცოლ-ქმარს შეუძლია სამივე დონეზე კავშირის დამყარება.

სულების დაკავშირება ქორწინების მიღმა ურთიერთობებშიც ისევე ხდება, როგორც ქორწინებაში. როცა კაცსა და ქალს სქესობრივი ურთიერთობა აქვთ, მათ სამშვინველებს შორის კავშირი მყარდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *რეალურად არ არსებობს ასეთი ცნება, როგორიცაა შემთხვევითი სქესობრივი კავშირი. ამგვარი შეხვედრა ორივე მხარეს ცვლის* – არა მარტო

მათ სამშვინველს, არამედ ფიზიკურ სხეულსაც კი. ამას წინათ საინტერესო ფაქტი შევიტყვე შიდსის შესახებ სატელევიზიო გადაცემაში: როცა ვინმესთან სქესობრივი კავშირი გაქვთ, ბიოლოგიურ კავშირს ამყარებთ არა მარტო იმ კონკრეტულ პიროვნებასთან, არამედ ყველასთან, ვისთანაც ამ ადამიანს სქესობრივი სიახლოვე ჰქონია ბოლო შვიდი წლის მანძილზე. შეხვედრების ფიზიკური ნარჩენები ხელუხლებელი რჩება სრული შვიდი წლის მანძილზე!

> *~ რეალურად არ არსებობს ასეთი ცნება, როგორიცაა შემთხვევითი სქესობრივი კავშირი. ამგვარი შეხვედრა ორივე მხარეს ცვლის.*

დაბადების წიგნში ვხედავთ დინასა (ლეასა და იაკობის ასული) და ახალგაზრდა მთავრის შეხვედრას.

> „დაინახა იგი შექემმა, იმ ქვეყნის მთავრის, ხიველი ხამორის ძემ, მოიტაცა, ძალით დაწვა მასთან და აჰყარა პატივი. და მიეწება მისი გული დინას, იაკობის ასულს, შეუყვარდა ყმაწვილი ქალი და გულიანად ელაპარაკა მას. უთხრა შექემმა ხამორს, თავის მამას: „ცოლად შემრთე ეს ყმაწვილი ქალი!“ (დაბ. 34:2-5)

ამის შემდეგ შექემის სული დინასას მიეწება და მისი ცოლად მოყვანა ინდომა. დააკვირდით, რომ თავდაპირველად „ძალით ... აჰყარა პატივი“. მოგვიანებით, დინას ცოლად მოყვანის გადაწყვეტილება ძალადობის ფაქტს არ აბათილებს. *ქორწინების მიღმა სქესობრივი კავშირი ყოველთვის ძალადობად ჩაითვლება მაშინ კი, როცა მხოლოდ დანიშნულები ხართ.* შექემს დინა რომ წაეყვანა, როგორც მისი პატარძალი და დაწოლილიყო მასთან, ძალადობას ადგილი არ ექნებოდა. მთელი ეს სცენარი რომ შეგვეტრიალებინა, ყველაფერი სხვაგვარად მოხდებოდა. თუმცა ახლა იმ თანმიმდევრობით განვიხილოთ, როგორც სინამდვილეში იყო: მან ქალწული დაინახა, გარეგნულად მოეწონა, წაიყვანა, მასთან დაწვა, იძალადა და მისი სული ქალს მიეკრო. მას შეუყვარდა დინა, კეთილად ელაპარაკა და მამას მისი ცოლად მოყვანის უფლება სთხოვა. მან ყველაფერი უკუღმა დაიწყო.

> *~ ქორწინების მიღმა სქესობრივი კავშირი ყოველთვის ძალადობად ჩაითვლება მაშინ კი, როცა მხოლოდ დანიშნულები ხართ.*

შექემი ჯერ მამას რომ დალაპარაკებოდა და დინას ცოლად მოყვანის უფლება ეთხოვა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა. მაფიქრებს, უთხრა თუ არა მან დინას ასეთი სიტყვები, როცა კეთილად ელაპარაკა: „ნუ ღელავ! შენზე დაქორწინებას ვაპირებ და ამ საქციელის გამოსწორება მინდა!“ საინტერესოა, რომ მთელ ამ ამბავში ნახსენები არ არის დინას გრძნობები. ის გააუპატიურეს თუ აცდუნეს? უნდოდა მას შექემის ცოლობა? წაკითხულიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ის, უბრალოდ, მსხვერპლი იყო, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია მის თავს დამტყდარ ამბებში და არც მის ნაცვლად მიღებულ გადაწყვეტილებებში. როცა არაჯანსაღი სამშვინველთა კავშირი ყალიბდება, ადგილი აქვს კონტროლსა და შიშს და არა მოზიარეობას. არაჯანსაღ კავშირებში ქალები უფრო მეტად მსხვერპლებად რჩებიან. რასაკვირველია, ამ ამბავს ბედნიერი დასასრული არ აქვს. პრინცი მოკლეს და დინა მარტო დარჩა.

იდეალურ მდგომარეობაში, თქვენ მხოლოდ ერთ ადამიანს უნდა დაუკავშირდეთ სქესობრივი გზით, რადგან სქესობრივი ცხოვრება მხოლოდ საქორწინო აღთქმაში მყოფი პიროვნებების პრივილეგია გახლავთ. აქ სქესობრივი ცხოვრება ძალადობად არ ითვლება, პირიქით – წახალისებულია. როცა რამეზე ვძალადობთ, მას შეურცხვყოფთ, ვბილწავთ და ვაბინძურებთ.

ქორწინების გარეშე კავშირები უპატიოჰყოფს ქორწინებას, ორივე მხარეს და ღმერთს, მაგრამ ქორწინების აღთქმის ფარგლებში განხორციელებული სქესობრივი კავშირი პატივს მიაგებს ღმერთს და ცოლ-ქმარს. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებენ, რომ დავიცვათ სარეცლის სიწმინდე.

> “ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი, სარეცელი – შეუბილწავი; მეძავებსა და მრუშებს ღმერთი გაასამართლებს“. (ებრ. 13:4)

ჩვენს ქორწინებას პატივს მივაგებთ სიწმიდეში დარჩენით და საკუთარი თავის მომავალი მეუღლეებისთვის შენახვით. ქორწილის შემდეგ საქორწინო სარეცელს პატივს მივაგებთ, როცა არასოდეს არ მივცემთ ვინმეს (მრუშობით) ან რამეს სქესობრივი ინტიმურობის სილამაზისგან ჩვენი ყურადღების გადატანის უფლებას.

ეს ყველაფერი სრული სიახლე იყო ჩემთვის. მე საკმაოდ ფერადოვანი წარსული მქონდა და ახლა, როცა უკვე გათხოვილი

ვიყავი, ჩემი მრავალფეროვანი წარსულის მახინჯი სახეები და მოგონებები აღზევდნენ. როცა მე და ჯონი მარტო ვრჩებოდით, თავში გაიელვებდა რომელიღაც უხამსი ფილმის საზიზღარი კადრი, რომელიც კოლეჯში ხუთი წლის წინ ვნახე. ან ისე ხდებოდა, რომ სქესობრივი კუთხით სრულიად გავითიშებოდი ძველ შეყვარებულებთან ადრინდელი სქესობრივი შეხვედრების მოგონებების სირცხვილის გამო. ეს საშინელება იყო. რასაკვირველია, ამდაგვარი არაფერი მაწუხებდა, როცა მარტოხელა წარმართი ვიყავი, მაგრამ ახლა ქრისტიანის მეუღლე გახლდით და წარსული შენელებული მოქმედების სექსუალურ ბომბს ჰგავდა.

როცა თავი ჩემი ქმრისთვის სრულად უნდა მიმეძღვნა, აღმოვაჩინე, რომ წარსულზე ვიყავი მიბმული.

როცა თავი ჩემი ქმრისთვის სრულად უნდა მიმეძღვნა, აღმოვაჩინე, რომ წარსულზე ვიყავი მიბმული. ქორწინებით ვიყავი შეკრული, როცა ადრე თავისუფალი კავშირები მქონდა. რა საშინელებაა! ჯონი მთელი არსებით მიძღვნას იმსახურებდა და ახლა სექსუალური თავისუფლება აღარ შემეძლო ადრინდელი ძალადობის გამო. ვებრძოდი არაწმიდა აზრებს, სახეებს, შედარებებს და სირცხვილს. მათ წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ როგორც ჩანდა, უშედეგოდ ... ეს მანამ ხდებოდა, სანამ სულთა კავშირის ძალის დანგრევის და წინაპრების ცოდვების აღიარების შესახებ გავიგებდი. მოდით, ახალი აღთქმის მონაკვეთს გადავხედოთ, რომელიც ამ საკითხს ეხება:

> „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოები არიან? განა ქრისტეს ასოებს ავიღებ და მეძავის ასოებად ვაქცევ? არამც და არამც! ანდა ნუთუ არ იცით, რომ ვინც მეძავს უერთდება, ერთი სხეული ხდება მასთან ერთად? რადგან ნათქვამია: იქნება ორი ერთ ხორცად“. (1 კორ. 6:15-16)

როცა სქესობრივად დამსხვრეული ხარ, უკიდურესად ძნელია, საკუთარი თავი სრულად მიუძღვნათ ქმარს, რადგან მთლიანი უკვე აღარ ხართ.

როცა სქესობრივად დამსხვრეული ხარ, უკიდურესად ძნელია, საკუთარი თავი სრულად მიუძღვნათ ქმარს, რადგან მთლიანი უკვე აღარ ხართ.

ჩემს ყოფილ შეყვარებულებს მეძავებს არ ვუწოდებ, მაგრამ პრინციპი იგივე რჩება. მე მათთან ერთი ვიყავი და ახლა აღთქმა სხვასთან მაქვს დადებული. ყოველი შეერთებისა და დაშორების

შემდეგ, ჩემი სამშვინველი ნაწილებად იშლებოდა, სანამ ერთი მთლიანის ნაცვლად, დამსხვრეული სექსუალობა არ მივიღე. *როცა სქესობრივად დამსხვრეული ხარ, უკიდურესად ძნელია, საკუთარი თავი სრულად მიუძღვნათ ქმარს, რადგან მთლიანი უკვე აღარ ხართ.*

ზუსტად იგივე პრინციპი ძალზე ართულებს სექსუალურად დამსხვრეულ ან ძალადობის მსხვერპლი ქალის მტკიცედ დგომას ცდუნების წინაშე. მათ ძალიან უჭირთ „არას“ თქმა მაშინაც კი, როცა უარის თქმას აპირებენ. ისინი სავსე არიან გულისთქმით ან დანაშაულის გრძნობით, ხშირად კი, ორივე მათგანით, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის სექსუალური შემოთავაზების დაპირისპირებას. ისინი ხდებიან მსხვერპლები და სექსუალური ძალადობისა და გარყვნილების მიმზდიველი მაგნიტები. მათთვის ყველაფერი დამთავრებულია ან გულისთქმით ინთებიან სხვა პარტნიორებთან წარსული შეხვედრების გამო. თუმცა ღვთის გარეშე შეუძლებელი ღმერთთან ერთად შესაძლებელი ხდება.

სიწმიდეში სიარულისთვის მთლიანი უნდა ვიყოთ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი გამთლიანება იქ, სადაც მსხვრევას ჰქონდა ადგილი. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი სექსუალობის პატივის აღდგენა, სადაც იყო ძალადობა და უპატიობა. მხოლოდ ღმერთს შეუძლია უწმიდური და წაბილწული აიღოს და ისევ წმიდა და სუფთა გახადოს. მხოლოდ ღმერთს შეუძლია მშვენიერება წარმოშვას ჩვენს მიერ მიტანილი ნაცრისგან.

მე გადავწყვიტე, რომ გამომეყო დღე და შემეგროვებინა ჩემი სექსუალური ცოდვებისა და სირცხვილის სრულადდასაწველი. მომდევნო საღამოს შესაძლებლობა მომეცა, რომ ისინი უფლის წინაშე წარმედგინა. ჯონი წასული იქნებოდა და თავისუფლად გამოვიყენებდი უფალთან ლოცვაში განმარტოებისთვის საჭირო დროს. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი მაშინ წამოწევს ამ საკითხებს ჩვენი ყურადღების მისაპყრობად, როცა მზად ვართ დაპირისპირებისთვის და მე მზად ვიყავი! შესაძლოა, ეს წიგნი მისი მოწვევაა თქვენს ხელში, რომ იგივე გააკეთოთ.

ჩვენ ერთგული და თანამგრძნობი მღვდელმთავარი გვყავს, რომელიც ძალიან ახლოს გვიცნობს. მას სურს თავისი მახვილის გამოყენება, რომ შემუსროს ყველაფერი, რაც მისგან გაშორებთ. მას სურს, დაარღვიოს ყოველი არაჯანსაღი საკვრელი ისე, რომ მხოლოდ ჯანსაღი კავშირები დარჩეს. იგი მის სიტყვას წარმოგზავნის თქვენი სამშვინველის საკურნებლად

და აღსადგენად. მისი ანგელოზები წავლენ იქ, სადაც თქვენ წასვლა გეშინიათ და თქვენი სამშვინველის ყოველ ფრაგმენტს უკან დაგიბრუნებენ.

„განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათთვის სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც გადარჩენა უნდა დაიმკვიდროს?“ (ებრ. 1:14)

ანგელოზები ჩვენი სულების მცველები არიან. მათ თაყვანისცემა არ ეკუთვნით, მაგრამ ჩართული არიან იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებმაც გადარჩენა უნდა დაიმკვიდრონ. მათი ჩარევის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ეს დავალება თავად ღვთისგან მიიღეს.

მინდა მოგიწოდოთ ლოცვისთვის გარკვეული დროის გამოსაყოფად, რომ უფალმა დაასრულოს თქვენი ცხოვრების გაწმენდა. ის ერთგული აღმთქმელია. *იგი ჭაობიანი ტალახიდან ამოგიყვანთ და მყარ კლდეზე დაგაყენებთ. თუმცა აუცილებელია, რომ თქვენი გული მისკენ მიმართოთ* ამ საქმის დასასრულებლად. ეს ის საკითხი არ გახლავთ, რომელსაც გულგრილად მოეკიდებით. შესაძლოა, მარხვის აღებაც დაგჭირდეთ და გარკვეული დრო თაყვანისცემაში გაატაროთ, სანამ საქმეს შეუდგებით. მინდა, რომ ძალიან მგრძნობიარეები იყოთ სულიწმიდის წინამძღოლობისადმი, რადგან ის შეგიძღვებათ ამ პროცესში და დაგეხმარებათ მტრის ყოველი ბნელი და ჩრდილოვანი სიმაგრის მონანიებაში. რა მოხდა ჩემი კოშმარის შემთხვევაში? იმას შემდეგ, რაც ყველაფერი მოვინანიე ლოცვაში, ის აღარ მინახავს.

— იგი ჭაობიანი ტალახიდან ამოგიყვანთ და მყარ კლდეზე დაგაყენებთ. თუმცა აუცილებელია, რომ თქვენი გული მისკენ მიმართოთ

გთხოვთ, რამდენიმე წუთით შეჩერდეთ და დრო გამოყოთ, სანამ დაიწყებთ. შესაძლოა, უკვე მზად ხართ ამისთვის. მაშინ დარწმუნდით, რომ მარტო, მხოლოდ ახლო მეგობართან ან ლოცვით პარტნიორთან ერთად იმყოფებით, რადგან თქვენი თხოვნა, მონანიება და პასუხი – „ჰო და ამინი“, ხმამაღლა უნდა გაიმეოროთ.

ეს ლოცვა წმიდა წერილის ნაწყვეტებით შევადგინე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რადგან ღვთის სიტყვა ბასრი და ძლიერი, სულიწმიდის ორლესული მახვილია. თავის ბოლოს სხვა მუხლებიც დავურთე შემდგომი შესწავლისთვის.

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

შენს წინაშე მოვდივარ შენი ძვირფასი ძის, იესო ქრისტეს სახელით; შენს კარიბჭეებში მადლიერებით შემოვდივარ და შენს ეზოებში – ქება-დიდებით. უხვია ჩემზე შენი წყალობა და სიყვარული. წინასწარ გმადლობ გამოსყიდვის ძალმოსილი შრომისთვის, რომელიც ჩემს ცხოვრებაში გასწიე!

ახლა მინდა აღთქმა დავდო უფალთან, ისრაელის ღმერთთან. შენ ხარ უფალი, ცისა და მიწის ღმერთი, დიდებული და საშინელი ღმერთი, რომელიც მისი სიყვარულის აღთქმას უნახავს მის მოყვარულებს და მისი მცნებების დამცველებს. დაე, იყოს შენი ყური მომსმენი და თვალები ღია შენი მსახურის ლოცვის გასაგონად! ვაღიარებ ჩემს ცოდვებს და ჩემი მამების სახლის ცოდვებს;, ყოველ დანაშაულს, რომელიც შენს წინააღმდეგ ჩავიდინეთ. გვაპატიე, რომ ასე ბოროტად ვიქცეოდით შენს მიმართ. სირცხვილი გვფარავს, რადგან შევცოდეთ შენს წინააღმდეგ. თუმცა შენ უფალო, ჩვენო ღმერთო მოწყალე და სულგრძელი ხარ მაშინაც კი, როცა შენს წინააღმდეგ ავჯანყდით და არ დავემორჩილეთ ჩვენს უფალ ღმერთს და არ დავიცავით რჯული, რომელიც შენი მსახურების, წინასწარმეტყველების ხელით გადმოგვეცი. გთხოვთ, წინადაცვითო ჩვენი გულები და მოგვაშორო ეგვიპტის ყოველგვარი ცოდვა, სირცხვილი და დრტვინვა ეგვიპტეში!

ვაღიარებ და ვინანიებ ჩემს ცოდვებს და ჩემი წინაპრების ცოდვებს, ნებისმიერ ჩართულობას ოკულტიზმში, ჯადოქრობასა და მომავლის შეტყობაში! (აქ შეჩერდით და მგრძნობიარე იყავით ნებისმიერი რამის მიმართ, რასაც სულიწმიდა თქვენს ყურადღებას მიაპყრობს. მოინანიეთ, სანამ გააგრძელებდეთ. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საგნებს, თუმცა ამით არ შემოიფარგლება: ასტროლოგია, სპირიტული სეანსები, საშინელებათა ფილმები, თამაშები, წიგნები და ა.შ.) *ვინანიებ ჩემს მონაწილეობას ამ საქმიანობებში და*

ვანგრევ მათ წყევლას ჩემს ცხოვრებაში, ჩემი შვილების ცხოვრებაში, მათი შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებაში!

*ვაღიარებ და ვინანიებ ჩემი და ჩემი წინაპრების ცოდვებს წამლისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების საქმეში. ზეციერო მამა, დაკეტე ყველა კარი, რომელიც გახსნილია სულიერ სამყაროში ცოდვის, ბორკილებისა და შევიწროებისთვის! ვინანიებ ჩემს მონაწილეობას (*კონკრეტულად დაასახელეთ ნარკოტიკები, თუ მისაღებია*) და ვამსხვრევ მათი წყევლის ძალას ჩემს ცხოვრებაში და ჩემი შვილების ცხოვრებაში, მათი შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებაში!*

*გარდა ამისა, ვაღიარებ და ვინანიებ ჩემი და ჩემი წინაპრების ნებისმიერ სექსუალურ ცოდვაში, ყოველგვარი სახის უწმიდურობაში, გახრწნილებაში, ინცესტსა და შემთხვევით კავშირებში მონაწილეობის ცოდვებს! (*იყავით მგრძნობიარე, რომ კონკრეტულად დაასახელოთ ცოდვები, რომლებსაც ინანიებთ. ხმამაღლა აღიარეთ ისინი ღვთის წინაშე ყოველგვარი სირცხვილის გარეშე. დაფარული არაფერია – მან უკვე იცის ყოველი ჩადენილი ცოდვის შესახებ და თქვენგან დანაშაულის სიმძიმისა და სირცხვილის მოშორება სურს. შემდეგ, როცა მზად იქნებით, გააგრძელეთ.*)*

*ზეციერო მამა, აიღე შენი სულის მახვილი და გადაჭერი ყოველგვარი უღვთო სექსუალური სულის კავშირი ჩემსა და ...! (*მოუსმინეთ სულიწმიდას და დაასახელეთ თითოეული სახელი, რასაც გაიგონებთ. სრულიად შესაძლებელია, რომ გაიგონოთ ისეთი ადამიანის სახელი, რომელთან სქესობრივი ურთიერთობაც არ გქონიათ, მაგრამ მასთან სექსუალურად ან ემოციურად ისეთ ურთიერთობაში იყავით, რომელიც მხოლოდ ქმარს ან მხსნელს ეკუთვნოდა.)

თითოეულის დასახელების შემდეგ ასე ილოცეთ:

ზეციერო მამა, გამოუშვი შენი ანგელოზები, რომ ჩემი

სამშვინველის ფრაგმენტები წამოიღონ იმ მამაკაცებისგან (ან ქალებისგან)! აღმიდგინე ისინი შენი სულიწმიდით, რომ ვიყო მთლიანი, წმიდა და შენდა საამებლად გამოყოფილი.

ზეციერო მამა, ვინანიებ ყოველი გახრწნილი და განურჩეველი სახეების ქონას! მაპატიე, რომ ჩემი თვალების წინ მივიტანე საზიზღარი და გადაგვარებული გამოსახულებები. აღთქმას ვდებ ფს. 101:3-ის თანახმად და ჩემს გულს გავუფრთხილდები თვალების მეშვეობით. არ მივიტან ჩემს თვალებთან უკეთურ საგანს. ვდევნი ყოველ არაწმიდა სულს და მას და მის ზეგავლენას ვუბრძანებ დატოვოს ჩემი ცხოვრება.

გარდა ამისა, გამწმიდე იესოს სისხლით, რადგან მხოლოდ მას აქვს ჩემი გაწმენდის და გამოსყიდვის ძალა. ჩემს თავს გავწმენდ, როგორც შენს ტაძარს.; შენი სულის ძალით მოაშორე სულის, სამშვინველისა და ხორცის უწმიდურება ამ საწმიდარს! ამავსე უხვად შენი სულიწმიდის დამკვიდრებით! ჩემი თვალები სახედველად იყოს და ყურები სასმენად. დაე, ჩემმა გულმა მიიღოს ყველაფერი, რაც ჩემთვის გაქვს! მე შენი ვარ. გზა გაიკვალე ჩემს ცხოვრებაში!

სიყვარულით,
შენი ასული

მუხლები წმიდა წერილიდან: ფს. 100:4, 2 ნეშტთ. 29:10-11, ნეემ. 1:5-7, დან. 9:8-10, ი. ნ. 5:9, მათ. 10:34, ებრ. 4:12, 2 ნეშტთ. 29:5-6.

11 გულმხურვალე, წმიდა ღვთის მიერ არჩეული

ᲘᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ, ᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲫᲔᲑᲗ? იგი ელოდება და აკვირდება, როდის მოტრიალდებით მისი გზისკენ. უფალს სურს, რომ მის მიერ დაწერილი სასიყვარულო ბარათი წაიკითხოთ. იგი ლოცულობს, რომ მის პრიორიტეტებს დაუბრუნდეთ. მას სურს, რომ ქვეყნიერების სიბნელიდან გამოგიყვანოთ და სინათლის დიდებულ სამეფოში შეგიყვანოთ. მას ერთი სული აქვს, როდის გამოგიტაცებთ მოღალატე საყვარლების ხელიდან და მის ერთგულ, მარადიულ მკლავებს შემოგხვევთ. იგი დაგიხსნით მკაცრი სამუშაოთა ზედამხედველებისა და ეგვიპტის სასტიკი ბორკილებისგან და ამის ნაცვლად მის ფაქიზ სიყვარულსა და წყალობას შემოგთავაზებთ.

> *— მას ერთი სული აქვს, როდის გამოგიტაცებთ მოღალატე საყვარლების ხელიდან და მის ერთგულ, მარადიულ მკლავებს შემოგხვევთ.*

იგი ეგვიპტიდან იმიტომ არ გვიხსნის, რომ აღთქმულ მიწაზე მიგვიყვანოს. საბოლოოდ, მას სურს თავისთან ვყავდეთ. ძველი აღთქმის დაპირებები მომავალი საგნების ქვეყნიური ჩრდილია. მეტისმეტად ხშირად ვფიქრობთ ისრაელის ძეების მსგავსად. გადარჩენამ და სასჯელისგან თავის დაღწევამ შვება მოგვიტანა, ამიტომ მოვეშვით და დავივიწყეთ მისი ხსნის საბოლოო მიზანი – მასთან ურთიერთობაში აღდგენა. საყვარელნო, გამოსყიდვა გაცილებით მეტია, ვიდრე ცეცხლისგან თავდახსნისა და სიცოცხლის გარანტია!

თუმცა მესმის, რატომ უყურებთ გადარჩენას ამ კუთხით. რამდენ ჩვენგანს მოუსმენია კითხვა: „დღეს რომ მოკვდე, ზუსტად იცი, სად წახვალ?” ამ კითხვის მიზანია მსმენელის გამოფხიზლება, რომ მან საკუთარ თავს კითხვა დაუსვას:

„დანამდვილებით ვიცი, რომ ზეცაში წავალ?" თუ ადამიანს ამაში ეჭვი ეპარება, ლოცვის და მარადიულ ხსნაში დარწმუნების შესაძლებლობა ეძლევა. თუმცა გადარჩენა არ გახლავთ სიკვდდილის შემდეგ მისაღწევი დანიშნულების პუნქტი; ეს სიცოცხლის და თან უხვი სიცოცხლის გზაა. მოისმინეთ ღვთის სიღრმისეული სურვილი და მიზანი ისრაელის ეგვიპტისგან გათავისუფლების საქმეში:

„ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს; არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ". (გამ. 19:4)

მიყვარს ამ მუხლის სილამაზე და ძალა. ზეცის ძლიერი მეფე დედამიწაზე ეშვება, რომ მისი შვილები ოთხასწლიანი მონობისგან მამაცურად დაიხსნას. ამ პროცესში იგი ეგვიპტეს, მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ერს შემუსრავს და დაკნინებულ ნანგრევების გროვად აქცევს. ისრაელიან მონებს ნადავლად მოაქვთ ეგვიპტის ოქრო-ვერცხლი.

ჩვენს შორის ვინ არ ნატრობს ამ ქვეყნიერების სასტიკი ტყვეობიდან თავის დაღწევას და მთების ღმერთთან დამკვიდრებას, სადაც შეუდარებელი დაცულობა და მოზიარეობა სუფევს? ვშიშობ, რომ ამგვარი სწრაფვა იმაზე მეტ ადამიანს არ გააჩნია გულში, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს სურს ბორკილებისა და სასჯელისგან თავის დაღწევა, საბოლოო მიზანთან კავშირს მაინც ვერ ხედავენ: ეს ყველაფერი ღვთის საკუთრებად გახდომაზეა. თუ ამჟამინდელ წუთისოფელს აღარ ვეკუთვნით, მაშ ვის ვეკუთვნით?

„ელაპარაკე ისრაელის შვილთა მთელ თემს და უთხარი მათ: იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი". (ლევ. 19:2)

სიწმიდე მსახურთა სამუშაო მოთხოვნების ერთ-ერთი პუნქტი ან შემოთავაზებული ალტერნატიული ცხოვრების სტილი არ გახლავთ, არამედ მცნება ყველასთვის, ვინც წმიდა ღვთის გარშემო იკრიბება. ჩვენ წმიდა უნდა ვიყოთ, რადგან ის არის წმიდა. ჩვენ არ გვეუბნებიან, რომ წმიდასავით მოვიქცეთ ან წმიდად გამოვიყურებოდეთ; ჩვენ გვიწვევენ, რომ ვიყოთ წმიდები. რაღაცად გახდომა ნიშნავს, რომ ის ჩვენი არსების ნაწილი

— სიწმიდე მსახურთა სამუშაო მოთხოვნების ერთ-ერთი პუნქტი ან შემოთავაზებული ალტერნატიული ცხოვრების სტილი არ გახლავთ, არამედ მცნება ყველასთვის, ვინც წმიდა ღვთის გარშემო იკრიბება.

ანუ ცხოვრების მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს. ჩვენი სული მიგვიძღვის, თუ როგორ ვიცხოვროთ, ამიტომ სულიწმიდით უნდა ავივსოთ და მას მივყვეთ, რომელიც არის წმიდა სული.

ეს მოიცავს ჩვენს პირად ურთიერთობას, ისევე როგორც საჯარო ქცევას, მაგრამ მინდა ყურადღება გავამახვილო უხილავ სამყაროსა და პირადზე. რასაც წარმოადგენთ, ეს არის თქვენი არსება. შესაძლოა, წმიდად ვიქცეოდეთ, მაგრამ არ ვიყოთ წმიდები; შეიძლება წმიდად გამოვიყურებოდეთ, მაგრამ არ ვიყოთ წმიდები. ეს არ არის ძველი აღთქმის მოძველებული მითითება. მადლის ახალი აღთქმაც მოგვიწოდებს, რომ წმიდები ვიყოთ.

> „არამედ ისეთი წმიდანი იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე!“ (1 პეტრ. 1:15-16)

თუ კარგად დააკვირდებით ახალი აღთქმის პარალელურ გაგზავნებს ლევიანთა წიგნის შეგონებებზე, უფრო კონკრეტულ მითითებებს ნახავთ, სადაც გვეუბნებიან, რომ ვიყოთ წმიდები ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, რადგან ღმერთიც წმიდაა ყველაფერში, რასაც წარმოადგენს.

რას ნიშნავს *სიწმიდე*? წმიდა წერილის მომდევნო ადგილი დამატებით მინიშნებას გვაწვდის:

> „და იქნებით ჩემთვის წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი და მე გამოგაცალკევეთ სხვა ხალხებისგან, რათა ჩემთვის ყოფილიყავით“. (ლევ. 20:26)

უფალმა ისრაელს უთხრა, რომ ყოფილიყო წმიდა და სხვა ერებიდან თავისთვის გამოაცალკევა. არსებითად, ღმერთმა მათ უთხრა, „გამოცალკევდით ჩემთვის, რადგან ჩემს საკუთრებად აგირჩიეთ! ამირჩიეთ მე, რადგან მე უკვე აგირჩიეთ!“ ისრაელი არჩეულ იქნა უამრავ ერს შორის, რომ უფლის ყოფილიყო. რა ადგილი უჭირავთ წარმართებს? როდის ვიქენით არჩეული?

„როგორც ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით“. (ეფეს. 1:4)

სანამ დაგვინახავდა, მანამდეც არჩეული ვიყავით მასში. ქრისტეში ვიქენით არჩეული არა ერებს შორის, არამედ ქვეყნიერების შექმნამდე. როგორც ჩანს, ჩვენ უკვე მის გონებაში ვარსებობდით, როცა დედამიწას ქმნიდა. ჩვენ ქრისტეში აგვირჩია ღმერთმა. კრავი წუთისოფლის დაფუძნებამდე დაიკლა. ჩვენი ხვედრია წმიდა და უმწიკვლო ვიყოთ ქრისტეში.

რას ნიშნავს სიწმიდე მის თვალთა წინაშე? ჩვენ ქრისტეში გავხდით წმიდები ანუ მისთვის, მისი სიამოვნებისთვის, მიზნისა და დიდებისთვის გამოვიყავით. მანამდე აღთქმის მცნებათაგან გაუცხოებული ვიყავით, რადგან ისრაელი ერის მიღმა არ შეგვეძლო სიწმიდე და გამოყოფა. წარმართებს ყველა მცნება და დადგენილება უნდა დაეცვათ, რომ აღთქმაში შესულიყვნენ.

დღეს ფარდა ორად გაიყო. ჩვენს წინააღმდეგ მიმართული დადგენილებები იესომ ჯვარს მიალურსმა და აღარ ვართ ღვთისგან განშორებულები (კოლ. 2:14). *სიწმინდე არ ნიშნავს, რომ ღმერთს სურს „კარგები“ ვიყოთ, ეს არის ღვთიური მოწვევა, რომ „მისი” ვიყოთ.* ჯონზე იმიტომ არ დავქორწინდი, რომ მარტოობას გავქცეოდი და შვილები მყოლოდა ... ჯონს იმიტომ გავყევი, რომ მისი გავმხდარიყავი. ჩვენი ურთიერთობა აღთქმას ეფუძნება, ამიტომ ბევრ რამეს ვიზიარებთ. გვაქვს საერთო საიდუმლოებები, შვილები, ფინანსები, მანქანები, ურთიერთობა, სახლი, საწოლი და ა.შ. და მაინც, არსებობს ადგილები ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ჯონი ვერასოდეს შეეხება, რადგან ისინი მხოლოდ ღვთისთვის არის შენახული. ასევე არსებობს ადგილები და საჭიროებები ჯონის ცხოვრებაში, რომელთაც მე ვერასოდეს დავაკმაყოფილებ, რადგან ისინი მხოლოდ უფალს ეკუთვნის. ყოველი ქალის ხვედრია, რომ ეკუთვნოდეს მის პრინცს და არსებობს ადგილები მის ცხოვრებაში, რომელიც მხოლოდ უფლისთვის არის დაცული.

~ სიწმინდე არ ნიშნავს, რომ ღმერთს სურს „კარგები“ ვიყოთ, ეს არის ღვთიური მოწვევა, რომ „მისი” ვიყოთ.

სიწმიდე უფლისთვის გამოყოფას ნიშნავს ჩვენს სულში, სამშვინველში და ფზიკურ სხეულში. საკაუთარ თავს მისთვის

გამოვყოფთ, როცა თავდაპირველად, მის მოწოდებას ვეხმაურებით, შემდეგ ჩვენს ნებას მის სიტყვას ვუმორჩილებთ სულიწმიდის წინამძღოლობის მეშვეობით.

> „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ“. (1 პეტრ. 2:9-10)

ჩვენ მისი წმიდა ერის სამეფო სამღვდელოებად ვიქენით არჩეული. ღმერთს ვეკუთვნით და ამიტომ მის ქებას ვუცხადებთ ამ ქვეყნიერებას ჩვენი სიყვარულისა და მისი თავგანწირვი მიმართ მადლიერების გამო, რომ დაგვიხსნა წუთისოფლის სიბნელისგან და მისი დიდებულ ნათელში შეგვიყვანა. მახსოვს, კოლეჯის სტუდენტურ კავშირში მიღებისას დები აღტაცების თრთოლამ მოგვიცვა, რომ რაღაც ჩვენზე დიდს ვეკუთვნოდით და ჩვენი სახლის ქება შემოვძახეთ, რომელსაც მთელს სკოლაში უნდა განეხორციელებინა თავისი ფუნქცია. თუ ასე ძალიან გაგვახარა სოციალურ კლუბში გაწევრიანებამ, რამდენად დიდად უნდა ვაქოთ ღმერთი, რომელმაც თავის სამეფოში მიგვიწვია? 1 პეტრეს წერილი გვეუბნება, რომ ჩვენი პოზიცია ქრისტეში ასეთია: არჩეული ვართ სამეფო წმიდა სამღვდელოებად.

ძველ აღთქმაში მღვდლებს მსხვერპლშესაწირის მიტანის პასუხისმგებლობა ანდეს და სამეფო მღვდლებს მსხვერპლები თავიანთი მეფის წინაშე მოჰქონდათ. რა არის ჩვენი, როგორც მღვდლების შესაწირი? ეს არის ცხოვრება, რომელიც მას განადიდებს სიტყვით, საქმით და გარეგნული მხარით. ამ საკითხის მეტად გაცხადებისთვის აჰარონს შევხედოთ:

> „გაუკეთეს სუფთა ოქროს ფირფიტა, წმიდა გვირგვინი და ამოკვეთეს მასზე წარწერა: **წმიდა უფლისათვის**. მიამაგრეს მას ცისფერი ზონარი, რათა მიებნიათ იგი დოლბანდზე ზემოდან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს. ასე დასრულდა საკრებულო კარვის ყოველი სამუშაო; ზუსტად ისე გააკეთეს ისრაელიანებმა ყველაფერი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს“. (გამ. 39:30-32)

აჰარონი უმშვენიერეს სამღვდელო სამოსში იყო გამოწყობილი. ყოველ დეტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა

ჰქონდა, მაგრამ დააკვირდით ბოლო, დამაგვირგვინებელ დეტალს – სუფთა ოქროს გვირგვინს, რომელზეც ამოკვეთილი იყო სიტყვები „წმიდა უფლისათვის“. ფაქტობრივად მას სიწმიდე დაადგეს გვირგვინად. სხვა სამღვდელო შესამოსელი და ბრწყინვალება აცხადებდა, რომ აჰარონი ღმერთს ეკუთვნოდა. დააკვირდით, რომ ფირფიტა ბეჭდის მსგავსად იყო ამტვიფრული; ეს მნიშვნელოვანი მომენტია. დასამოწმებელ ბეჭდებს გამოსახულებები ჰქონდა შიგნით და გარეთ და მათი მეშვეობით შესაძლებელი იყო საგნებზე ამ გამოსახულების დატოვება. როცა მისაღები იყო ახალი ედიქტი ან კანონი, მას ბეჭდით ამოწმებდნენ, რომელზეც ამ კანონის უკან მდგარი ძალაუფლების მქონე პიროვნების სიმბოლური გამოსახულება იყო ამოტვიფრული.

მოდით, ერთი წუთით ბუნებრივ მაგალითს გადავხედოთ! ეროვნულ თუ საერთაშორისო სილამაზის კონკურსებზე გამარჯვებულებს გვირგვინს ადგამენ და თითოეულის თავზე იმ ქვეყნის ან შტატის ალამი ფრიალებს, რომელსაც წარმოადგენს. რა მოხდება, თუ „მის სამყაროს“ კონკურსის მიმდინარეობისას მის ამერიკა გადაწყვეტს, რომ იაპონიას უნდა წარმოადგენდეს? მისცემენ ამის ნებას? რასაკვირველია, არა! ის ამერიკამ წარგზავნა და არა იაპონიამ. მან ამერიკული კულტურა და ხალხი უნდა წარმოადგინოს და შთააგონოს. ჩვენ, მღვდლები მათგან არ განვსხვავდებით. *ჩვენ ყველა შემხვედრზე ისეთი შთაბეჭდილება უნდა დავტოვოთ, რომელიც ნათლად მიანიშნებს სამეფოს, რომლის წარმომადგენლებიც ვართ.* პეტრე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ ეს:

ჩვენ ყველა შემხვედრზე ისეთი შთაბეჭდილება უნდა დავტოვოთ, რომელიც ნათლად მიანიშნებს სამეფოს, რომლის წარმომადგენლებიც ვართ.

> „ოდესღაც ხალხი რომ არ იყავით, ახლა კი ღვთის ხალხი ხართ; ოდესღაც - არაშეწყალებულნი, ახლა კი - შეწყალებულნი. საყვარელნო, შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს. განეშორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვიან. კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის, რათა რაშიც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და ადიდონ ღმერთი მონახულების დღეს“. (1 პეტრ. 2:10-12)

ოდესღაც ღმერთს არ ვეკუთვნოდით, მაგრამ ახლა მისი ვართ. ადრე ღვთის მსჯავრის ქვეშ ვიყავით, მაგრამ მისი მადლი განვიცადეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ დროს ქვეყნიერებაზე ვიყავით და სასჯელი გვემუქრებოდა, მაგრამ ახლა გამოვედით ქვეყნიერებიდან და ღვთის სამეფოში ვართ. ეს ხიზნებად და უცხოებად გვაქცევს ამ დედამიწაზე, თუმცა ერთ დროს მისი მოქალაქეები ვიყავით. ჩვენ, როგორც მღვდლები, ღვთის წარმომადგენლები და ელჩები ვართ დედამიწაზე.

ჩვენ მეფის მოწყალების შესაბამისი შესაწირავი მოგვაქვს: ჩვენი ქება და სიცოცხლე.

> *— დიდი საზღაურის ფასად იქენით გამოსყიდული და თქვენი ქება მის დიდებულებას აცხადებს.*

სიწმიდე კუთვნილებას ეხება; ჩვენი აღარ გვეკუთვნის საკუთარი ცხოვრება – მას ეკუთვნის. შესაძლოა თქვათ, „არ მომწონს ეს იდეა, რომ ვიღაცის კუთვნილება ვარ!“ ამის შესახებ იცით თუ არა, უნდა გითხრათ, რომ თავისუფალი არც არასოდეს ყოფილხართ. თქვენ სიბნელის სამეფოს საზღვრებში დაიბადეთ და მასში ცხოვრობდით ღვთის მტრის და რისხვის შვილის სახით. თუმცა მოსიყვარულე პრინცმა გამოგიხსნათ. *დიდი საზღაურის ფასად იქენით გამოსყიდული და თქვენი ქება მის დიდებულებას აცხადებს* ზეცაში მყოფ წმიდებათან ერთად, რომლებიც კრავის სიმღერას გალობენ.

> „ისინი გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: „შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისთვის ყოველი ტომისა და ენისგან, ხალხისა და ერისგან. და გვქმენი ჩვენ მეფეებად და მღვდლებად ჩვენი ღვთისთვის, და ვიმეფებთ დედამიწაზე“. (გამოცხ. 5:9-10)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ნაწყვეტის თანახმად, მისმა სისხლმა ღვთისთვის გამოგვისყიდა და არა მხოლოდ ზეცაში მოსახვედრად. ნეფემ საპატარძლო საკუთარი სიცოცხლით იხსნა. ამ დიდებული სიყვარულის ამბის სიღრმეებს რომ ჩავწვდეთ, დიდი ხნის წინანდელ პერიოდს უნდა მივუბრუნდეთ და ჩვენთვის უცხო ტრადიციების მქონე შორეულ მიწაზე ვიმოგზაუროთ. ჩემთან ერთად გამოემართეთ ძველ ისრაელში და დააკვირდით

ქორწინების ადათსა და რიტუალს. იმ დროს ნიშნობა არ არსებობდა. იყვნენ მხოლოდ პატარძლები და ნეფეები. *წყვილები ერთმანეთს არ სინჯავდნენ, მოერგებოდნენ თუ არა და მერე თავ-თავისი გზებით არ მიდიოდნენ.* ერთმანეთისადმი მიძღვნა და გვარიანი მინდობა დიდი ხნით ადრე მყარდებოდა, სანამ ქორწინების პროცესი დაიწყებოდა.

~ წყვილები ერთმანეთს არ სინჯავდნენ, მოერგებოდნენ თუ არა და მერე თავ-თავისი გზებით არ მიდიოდნენ.

როცა ოჯახის ძე საქორწინო ასაკს მიაღწევდა, იგი მამას საცოლის მოძებნას სთხოვდა. შესაძლოა, ვაჟს სხვა გოგონა მოსწონებოდა, მაგრამ სწორედ მამა ფიქრობდა და ეძებდა მისთვის შესაფერის საცოლეს, სანამ თავად ვაჟს მოუვიდოდა აზრად დაქორწინება. ისინი ერთობლივად მსჯელობდნენ სხვადასხვა ასულების ღირსებებზე, მაგრამ მამას ეკუთვნოდა საბოლოო სიტყვა იმ სახლეულის და ასულის არჩევაზე, რომელიც მისი ძის საცოლე უნდა გამხდარიყო.

თუ მათი თავდაპირველი შეთავაზება კეთილგანწყობით იქნებოდა მიღებული, ახალგაზრდა კაცი მომავალი საცოლის სახლში გაემგზავრებოდა მის მამასა და შესაძლოა, უფროს ძმებთან დეტალებისა და შესაძლებლობების განსახილველად. თავად ასული საწყის მოლაპარაკებებში არც კი ჩანდა. დარწმუნებული ვარ, რომ იგი მზად იყო და დაძაბული უყურებდა და უსმენდა, რა ხდებოდა სახლში და გვერდით ოთახში. შესაძლოა, მასთან აღფრთოვანებული ჩურჩულისა და საუბრის ნაგლეჯები აღწევდა. „მას ჩემთვის ამის გაღებაც კი სურს!“

მამას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გათხოვების საფასური. გოგონებს ყოველთვის ფულში ცვლიდნენ, რადგან მათ ოჯახის ფინანსურ ზარალად მიიჩნევდნენ. მათ ყანებში მუშაობა არ შეეძლოს ვაჟების მსგავსად და შესაბამისად, არც რაიმე შემოსავალი მოჰქონდთ მათი სახლეულებისთვის. თუ ვაჟის შემოთავაზება ასულის მამის მოლოდინს ვერ გაამართლებდა, ქორწინება არც კი განიხილებოდა და მოლაპარაკება სრულდებოდა. შესაძლოა, დღეს ეს მეტად ანგარებიან დამოკიდებულებად მიგვაჩნდეს, მაგრამ იმ დროისთვის ეს ასულის დაცვის საშუალება გახლდათ. მამას სურდა დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ დასახელებულ საფასურს გადაიხდიდნენ და თან ასულზე სათანადოდ იზრუნებდნენ. მაშინ გოგონებს მამები ასე ად-

ვილად არავის აძლევდნენ; ჯერ ისინი უნდა გამოესყიდათ და მერე გაეტაცებინათ. მოლაპარაკებები საათობით გრძელდებოდა კითხვების, მინდობის დაპირებების, აღთქმებისა და არგუმენტების თანხლებით.

როცა პატარძლის მამასა და სასიძოს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებები დასრულდებოდა, ამ შეთანხმებას დოკუმენტურად აფორმებდნენ ან საქორწინო ხელშეკრულებას დებდნენ, რომელშიც მოცემული იყო საპატარძლოს გამოსასყიდი თანხა, სასიძოს დაპირებები და აღთქმები და საპატარძლოს უფლებები. ეს იყო ნიშნობის დოკუმენტი. მისი გაფორმების შემდეგ ჭიქა ღვინო ისმებოდა და მომავალი პატარძალი შემოჰყავდათ.

ვაჭრობისა და უმცირესი დეტალების ჩაწერისთვის დახარჯული საათები წყალში ჩაიყრებოდა ასულის თანხმობის გარეშე. მას სასიძოს შემოთავაზებას სუფრასთან აცნობენ. მის წინ ღვინით სავსე თასი დგას, რომელიც ქორწინების აღთქმის ნიშანია. მას ორი არჩევანი აქვს. შეუძლია უარი თქვას დასხმულ ღვინოზე და ოთახი დატოვოს. თუ ასე მოიქცევა, ქორწინება არ შედგება მიუხედავად იმისა, რომ მამის მიერ მეორე მხარისთვის წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილდა. ასევე, ასულს შეუძლია დათანხმდეს. ამ შემთხვევაში სასმისი სასიძოს გადაეცემა, რომელიც მას დალევს და საპატარძლოს უკანვე მიწვდის. როცა ისიც დალევს აღთქმის სასმისს, შეთანხმება ძალაში შევა.

სასიძო ასულს რაიმე ფასეულს უძღვნის მისი გულწრფელობისა და აღთქმის ნიშნად. მცირე ხნით მასთან ერთად რჩება, რომ ერთმანეთი უკეთ გაიცნონ, მაგრამ ეს ყოველთვის ასულის ოჯახის დაკვირვების ქვეშ ხდება. ჩვენს კულტურაში მიძღვნილი საჩუქარი, როგორც წესი, ნიშნობის ბეჭედია. ორი ადამიანი ოფიციალურად ინიშნება და საქორწინო აღთქმას დებს, თუმცა ერთად ჯერ კიდევ არ ცხოვრობენ.

— იგი საცოლეს შემდეგი სიტყვებით ემშვიდობებოდა: „მივდივარ შენთვის ადგილის მოსამზადებლად; თუ წავალ, უკანაც დავბრუნდები შენს შენს წასაყვანად“.

ამის შემდეგ საპატარძლო განბანას ასრულებდა. ეს იყო წყალში შთაფლობის რიტუალი გასუფთავებისა და განწმედის ნიშნად. განბანა ძველი ცხოვრების წესისგან განშორებას ანუ გამოყოფას და ქმართან ერთად ახალი ცხოვრებისთვის მოსამზა-

დებელ განწმედას აღნიშნავდა. მისთვის ეს გარკვეული სახის ხელახალი შობა გახლდათ. ის მარტო აღარ იყო, არამედ ქმარს ეკუთვნოდა.

გარკვეული დროის შემდეგ სასიძო მამის სახლში ბრუნდებოდა. აქ ის მომავალი ქორწინებისთვის მზადებას იწყებდა. *იგი საცოლეს შემდეგი სიტყვებით ემშვიდობებოდა: „მივდივარ შენთვის ადგილის მოსამზადებლად; თუ წავალ, უკანაც დავბრუნდები შენს წასაყვანად“.* ეს სწორედ ის სიტყვებია, რომელიც იესომ თქვა იოანეს მე-14 თავში. მართალია განშორება ძნელი იყო, მაგრამ ისინი ხვდებოდნენ, რომ ერთად ვერ იქნებოდნენ, თუ სასიძო მომავალ საცხოვრებელ ადგილს არ მოამზადებდა.

საპატარძლოს რჩებოდა აღთქმა, სასმისი, სრულად გადახდილი გამოსასყიდი და საჩუქარი იმის ნიშნად, რომ სასიძო მის წასაყვანად დაბრუნდებოდა. იგი მამის სახლში რჩებოდა და მზადებას იწყებდა. თუ სახლის გარეთ გავიდოდა, საბურველი უნდა დაეფარებინა კუთვნილების ნიშნად. საბურველიანი ქალი *გამოყოფილად, განწმედილად* და *გამოსყიდულად* ითვლებოდა. (ნაცნობია, არა?) მისი სიცოცხლე აღთქმით იყო დაკავშირებული სხვა ადამიანთან. მისი სილამაზე ქმრისთვის ინახებოდა. ასული მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას და დროს ერთობლივი ცხოვრებისთვის მზადებაში ატარებდა. იგი ხშირად ფიქრობდა მასზე მზითვის მოგროვებისას, განსაკუთრებით, საკმაო დროის გასვლის შემდეგ, როცა ყოველი ახალი დღე მასთან შეხვედრას აახლოებდა. მას არ უნდოდა საქმროს დაბრუნება გამოპარვოდა; მას სურდა, მზად ყოფილიყო ამ მოვლენისთვის.

მოდით, აქ შევჩერდეთ, სანამ გავაგრძელებდეთ და გამოვიკვლიოთ, როგორ ასახავს უძველესი საქორწინო რიტუალი ჩვენს ურთიერთობას ქრისტესთან, რადგან ქორწინება არაერთხელ არის დასახელებული ამის ბუნებრივ თვალსაჩინოებად.

> „დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტესა და ეკლესიაზე“. (ეფეს. 5:32)

იესომ დატოვა ზეციური სახლი საცოლის საძიებლად, რომელიც მამამ აურჩია. მან გადაიხადა დაწესებული გამოსასყიდი და ასული თავისად გაიხადა. მას ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მან აღთქმა ბეჭდით დაამოწმა, როცა სერობისას

სასმისი შესვა და შემდეგ მოწაფეებს გადასცა. იგი დათახმდა მოლაპარაკებული საფასურის გადახდაზე გეთსემანიის ბაღში და სრულად ზღო ის ჯვარცმით. შემდეგ საკუთარი სისხლი წარადგინა ცოდვის შესაწირად და საპატარძლო თავისი სიტყვის წყლით განბანა. ეს გახლავთ გონების, სულისა და სამშვინველის განახლების პროცესი, რომელსაც სიბნელის სამეფოდან სინათლის სამეფოში გადავყავართ.

„ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გაწირა მისთვის, რათა წმიდაეყო იგი და განეწმიდა წყალში განბანით, თავისი სიტყვის მეშვეობით. და ასე წარედგინა თავისთვის დიდებულ ეკლესიად, რომელსაც არა აქვს ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ პირიქით, წმიდა და უბიწო ყოფილიყო“. (ეფეს. 5:25-27)

ყურადღება მიაქციეთ, რომ მხოლოდ იესო გვქმნის წმიდებად. მან თავისთვის გამოგვისყიდა. საკუთარი თავის გამოსყიდვა და გაწმენდა არ შეგვიძლია. თუმცა შეგვიძლია თავი გავიმზადოთ, სანამ ის ადგილებს გვიმზადებს.

„ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა“. (გამოცხ. 19:7)

საპატარძლო პასუხისმგებელი იყო მზადყოფნის ატმოსფეროსა და დამოკიდებულების შენარჩუნებაზე. ჩვენ, როგორც ქრისტეს საპატარძლომ, ჩვენი გარდერობი უნდა შევაგროვოთ, რომელიც ზეცაში დაგვხვდება: „მიეცა მას, რომ ჩაეცვა ბრწყინვალე და სუფთა ბისონი“ (გამოცხ. 19:8). სუფთა ბისონი წმიდანთა მართალი საქმეებია.

მოდით, ახლა ჩვენს წყვილს დავუბრუნდეთ. საპატარძლო ისევ მოლოდინშია, ხოლო სასიძო გულმოდგინედ შრომობს, რომ მას საწოლი ოთახი მოუმზადოს მამის სახლისთვის კიდევ ერთი ოთახის მიშენებით. ამას დიდი დრო და მზადება სჭირდებოდა, რადგან იმ დროს არ იყოს სამეურნეო საქონლის მაღაზიები, სადაც საჭირო ხის მასალას შეიძენდით. მას შეთანხმებების მიღწევა ან მასალის ვაჭრებისგან შეძენა ან სულაც ხეების მოჭრა და დამზადება მოუწევდა მისთვის ადგილის მოსამზადებლად. მიუხედავად ამისა, იგი სიამოვნებით იმუშავებდა, რადგან ეს საქმე საცოლესთან შეხვედრას მოაახლოვებდა. მამა თვალყურს მიადევნებდა შვილის საქმიანობას, გაამხნევებდა და

მშენებლობის პროცესში მითითებებს მისცემდა. ასევე მამა იყო ის ადამიანი, რომელიც სამკვიდრებელს შეამოწმებდა და ძეს ეტყოდა, იყო თუ არა ის მზად საცოლის მისაღებად. ასევე შესაძლებელი იყო, რომ საცოლის მშობლებს თავიანთი წარმომადგენლები გამოეგზავნათ. უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ სასიძო გულმოდგინედ შრომობდა საცოლისთვის მიცემული სიტყვის თანახმად. ისინი ამბავს მიიტანდნენ: „დიდი დრო აღარ დარჩა. მოემზადეთ!“

ბოლოს, ჩატარებული სამუშაო მამის დეტალურ შემოწმებას გაივლიდა, რის შემდეგაც იგი ძეს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა: „წადი, მოიყვანე შენი საპატარძლო!“ სასიძო მეგობრებს შეკრებდა და დიდი მხიარულებით წავიდოდა საცოლის მოსაყვანად. ისინი მგზავრობას ისე დაგეგმავდნენ, რომ ღამიანად ადგილზე მისულიყვნენ. ქალაქთან მიახლოებისას საყვირებს ჩაბერავდნენ საპატარძლოს გასაფრთხილებლად, რომ მისი შეყვარებული ახლოს იყო. რასაკვირველია, ეს ხმა ყველა დანიშნულ საპატარძლოს გამოაფხიზლებდა და გაიღვიძებდნენ აღტაცებისგან ათრთოლებულები. ისინი თავიანთ ზეთის ლამპებს გამართავდნენ – ზეთს გამოცვლიდნენ და პატრუქს თავს წააჭრიდნენ. (ვფიქრობ, კბილების მოწესრიგება და მოკაზმვაც ამ დროს მოხდებოდა!) შემდეგ ისინი გაფაციცებით დაუგდებდნენ ყურს სასიძოს მეგობრების შეძახილებს. მეგობრები მას გზას გაუმზადებდნენ საცოლის მშობლების სახლამდე და ასულს აცნობებდნენ: „აი, აქ არის სიძე! გამოდით მის შესახვედრად!“ (მათ. 25:6).

საპატარძლოს მამა და ძმები გარეთ გამოვიდოდნენ იმის შესამოწმებლად, რომ მათ ასულს სწორედ ის შეთანხმებული სასიძო ეძახდა. რა თქმა უნდა, მათ არ სურდათ თავიანთი ასულის სხვა სიძისთვის გატანება! მისი ვინაობის დადასტურების შემდეგ ისინი საპატარძლოსკენ ზურგით შეტრიალდებოდნენ. ეს სცენა მოტაცებას უფრო ჰგავდა. *საპატარძლო სასიძოსკენ გაქანდებოდა ანთებული ლამპრით და მოსამსახურე გოგონების თანხლებით. სასიძო გაიტაცებდა მას და მაშინვე მამის სახლისკენ გაემართებოდნენ,* სადაც ეს ორი

~ საპატარძლო სასიძოსკენ გაქანდებოდა ანთებული ლამპრით და მოსამსახურე გოგონების თანხლებით. სასიძო გაიტაცებდა მას და მაშინვე მამის სახლისკენ გაემართებოდნენ.

მომზადებულ საწოლ ოთახში მოისვენებდა. მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში ისინი ერთმანეთის სიყვარულით დატკბებოდნენ დაბეჭდილ კარს მიღმა.

სიძის მეგობრები გარეთ, კართან დასხდებოდნენ და დაელოდებოდნენ იმ სიხარულის ჟამს, როცა ქორწინება შემდგარად ჩაითვლებოდა. როცა ისინი სიძის ხმას გაიგონებდნენ, მის სიხარულს სხვა, იქ მყოფ სტუმრებს აცნობებდნენ და ზეიმი დაიწყებოდა. საწოლის ზეწარს ასულის მამას ფანჯრიდან მიაწვდიდნენ იმ შემთხვევისთვის, თუ მისი ქალიშვილის ზნეობრივი სიწმინდის საკითხი მომავალში ეჭვქვეშ დადგებოდა. ასულის საქალწულე აპკის სისხლი საქორწინო აღთქმის ძალაში შესვლის ნიშნად იღვრებოდა. ერთად გატარებული შვიდი დღის შემდეგ ქალი საბურველს მოიხდიდა, სიძესთან ერთად გარეთ გამოვიდოდა და ნადიმი იწყებოდა. ღვინო და საკვები უხვად იქნებოდა მათი სიხარულის აღსანიშნავად. მათ მიმართ კურთხევის სიტყვებს არ დაიშურებდნენ და საჩუქრებს მიუძღვნიდნენ.

ეს გახლავთ იესოსა და მისი საპატარძლოს დიდებული სიყვარულის ანარეკლი. იგი წავიდა ჩვენთვის ადგილის მოსამზადებლად. იგი მალე დაბრუნდება და მისი საზღაური მასთან არის. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მისი დაბრუნებისთვის.

„ამიტომ იფხიზლეთ, რადგან არ იცით არც დღე, არც საათი!“ (მათ. 25:13)

— ძვირფასო ზეციერო მამა,

გამოავლინე ჩემი ცხოვრების ის სფეროები, სადაც შენთვის გამოყოფა მჭირდება. მინდა ვიყო წმიდა და მთლიანად შენ გეკუთვნოდე. მასწავლე საპატარძლოს გზები, რომ ჩემმა გულმა გაიხაროს გამუდმებული მზადყოფნის მდგომარეობით. დაე, ჩემი ლამპარი ყოველთვის მზად და ზეთით სავსე იყოს. ამიხილე გულის თვალები, რომ ნათლად დავინახო ეს ჟამი. მინდა ერთგული საპატარძლო ვიყო და არა ბოროტი მსახური, რომელიც გულში ჩურჩულებს, „აგვიანებს ჩემი ბატონი მოსვლას“. მინდა ჩემი ცხოვრება გამოვყო და გავწმინდო, რომ სხვებზეც ამოვტვიფრო იგივე გამოსახულება. მომახურე შენი სულიწმიდის საბურველი, სანამ გავიხარებდე და პირისპირ გიხილავდე!

სიყვარულით,
შენი ასული

12 სიწმიდის ძალა

ეესაძლებელია ახალგაზრდები ძლიერები და თავისუფლები იყვნენ? პავლე ნამდვილად ასე ფიქრობდა:

„აბუჩად არავინ აგიგდოს შენი სიჭაბუკის გამო, არამედ ნიმუში იყავი მორწმუნეთათვის სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში, სიწმიდეში“. (1 ტიმ. 4:12)

ეს მუხლი თითქოს წინააღმდეგობრივია. პავლე ახალგაზრდა კაცს ავალებს, რომ მაგალითი იყოს სხვა მორწმუნეებისთვის? დღეს აზრადაც არ მოგვივა, რომ ახალგაზრდა და მარტოხელა რწმენისა და ზნეობრივი სისუფთავის ბრწყინვალე ნიმუში შეიძლება იყოს. და მაინც, პავლე ტიმოთეს მოუწოდებს, რომ თავი მაღლა აწიოს და ახალგაზრდობის გამო არ დაფრთხეს. თუ ახალგაზრდა ისე შეიცვლება, რომ მაგალითი გახდება სიტყვით, ცხოვრებით, სიყვარულით, რწმენით და სიწმიდით, რამდენად უნდა მოვინდომოთ უფროსებმა, რომ წმიდა ცხოვრებით ვიცხოვროთ?

~ ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად შეგიძლიათ ისეთი ცხოვრებით იცხოვროთ, რომელიც გარეშე თვალისთვის ზნეობრივი სისუფთავის მაგალითი იქნება.

თქვენზეა ღვთის მადლი, მისი გაძლიერება, რომ ამ შეგონებით იაროთ. *ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად შეგიძლიათ ისეთი ცხოვრებით იცხოვროთ, რომელიც გარეშე თვალისთვის ზნეობრივი სისუფთავის მაგალითი იქნება.*

ერთი შეხედვით ზნეობრივი სისუფთავე შეიძლება სიწმიდეს ჰგავდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. გაიხსენეთ, რომ სიწმიდე გამოყოფას ნიშნავს, ხოლო ზნეობრივი სისუფთავე დაკავშირებულია თქვენს ქცევასთან გამოყოფის

შემდეგ. ზნეობრივი სისუფთავე სიწმიდის თანამდევი მოვლენაა. ამ თავში განვიხილავთ საკითხებს, რომლებსაც რელიგიურ წრეებში ხშირად გვერდს უვლიან, მაგრამ ქვეყნიერებაზე ღიად ზეიმობენ. რჩევას მოგცემთ ღვთის სიტყვის სიბრძნით და გაფრთხილებით, ასევე წლების მსახურების გამოცდილებით. მინდა ისეთი საფუძველი ჩაყაროთ, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. ამრიგად, გამაგრდით! წმიდა წერილის ბევრ ადგილს ჩავუღრმავდებით.

ღმერთს სურს, რომ ჩვენი სიცოცხლის წყარო იყოს. თუ თქვენ ნამდვილად მამაცი ხართ, მოიწვიეთ სულიწმიდა, რომ თქვენი გული და მოტივები ღვთის ბასრი და გამჭოლი სიტყვის სინათლეზე გამოსცადოს.

> „ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი, და აღწევს სამშვინველისა და სულის, სახსართა და ტვინთა გაყოფამდე, და განსჯის გულის ზრახვებსა და აზრებს“. (ებრ. 4:12-13)

ღვთის სიტყვა არ არის მხოლოდ ქაღალდზე გამოსახული ასოები ... იგი ცოცხალია. ერწმუნე და დაუახლოვდი, რადგან მას თქვენს გულთან ცეკვა და ღამით მასთან ჩურჩული სურს. ის ისეთი ბასრია, რომ სამშვინველისა და გულის გაყოფა შეუძლია და ამ პროცესში ჩვენი დაფარული ფიქრები და დამოკიდებულებები სააშკარაოზე გამოაქვს.

> *ღვთის სიტყვა არ არის მხოლოდ ქაღალდზე გამოსახული ასოები ... იგი ცოცხალია. ერწმუნე და დაუახლოვდი, რადგან მას თქვენს გულთან ცეკვა და ღამით მასთან ჩურჩული სურს.*

გახსოვდეთ, რომ არაფერია ღვთისგან დაფარული. იგი ყველაფერს ხედავს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ. ხშირად საკუთარი გული გვატყუებს, მაგრამ ჭეშმარიტების თხოვნისას ღმერთი ამ გარჩევას მოიტანს მისი სიტყვის მეშვეობით. არ მინდა ადამიანის რჩევა ... მინდა ღვთის სიბრძნე და გაგება. ადამიანის რჩევა ყოველთვის მისი ეპოქის კულტურისა და სტანდარტების გავლენას განიცდის. ეს არის უგუნურება, რომელიც ყოველ ათწლეულში იცვლება და საზოგადოების ზნეობრივ ტემპერატურას ასახავს. ღვთის სიტყვა კი მარადიულად დგას და წარმოადგენს სტანდარტს, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულები ვართ.

თქვენ ამ თავში დაგიპირისპირდებათ ჭეშმარიტებები, რომლებიც შეუძლებელი ან არარეალისტური მოგეჩვენებათ ... თუმცა ეს ასე არ არის. სიცრუეა იმის დაჯერება, რომ უფალს არ შეუძლია დაპირების შესრულება. მან აღგვითქვა, რომ დაცემისგან დაგვიცავდა და უმწიკვლოდ დაგვაყენებდა მისი ტახტის წინაშე. ჩვენ ვიცით ჭეშმარიტება და ის გვათავისუფლებს. პირველი, ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მითითებულ ადგილს ბიბლიიდან, შემდეგ კი კითხვებს ვუპასუხებთ ჭეშამრიტების სინათლეზე. შევეცდებით, წესებს თავი ავარიდოთ, რადგან სიწმიდის ღვთიური მოწოდება მისად გახდომას გულისხმობს.

„ოღონდ სიძვა, ყოველგვარი უწმიდურება და ანგარება აღარ იხ-სენებოდეს თქვენ შორის, როგორც წმიდათ შეშვენით“. (ეფეს. 5:3)

რამდენად ძლიერია ეს მუხლი? მინიშნებითაც კი არ უნდა ვახსენოთ სიძვა, უწმიდურება ან ანგარება! რატომ? რა არის ცუდი პატარა მინიშნებაში, თუ დიდ ცოდვას არ ჩავდივარ? კარგი. რა არის მინიშნების მიზანი, თუ არა რაღაც უფრო მეტის არსებობაში ადამიანის დარწმუნება, ვიდრე ხილულად ჩანს? ამგვარი ქცევები (და მინიშნებები ქცევებზე) მიუღებელია მათთვის, ვინც ღვთის კუთვნილებაა. მაიკროსოფტის უორდის ლექსიკონის თანახმად სიტყვა „შეუფერებელი“ (ინგ. *improper*; ქართულში „არ შეშვენით“) განისაზღვრება როგორც „უხეში, ელდის მომგვრელი, უვარგისი, უხამსი, შეურაცხმყოფელი“ და ბოლოს - „ჯერ არ დასრულებული!“

ამ სახის ქცევა ნარევ შეტყობინებას უგზავნის ჩვენს ირგვლივ მყოფებს, რაც დამაბნეველია. მაგალითად, მკერდზე ღრმად ამოჭრილი ტოპი *გამომწვევად* მიიჩნევა. რას ამბობს ის? ის ამბობს, რომ არსებობს რაღაც უფრო მეტი, ვიდრე თქვენ ხედავთ და შესაძლოა, უფრო ახლოს მოსვლის უფლებაც მოგცეთ, მაგრამ ახლა მინდა ამ საქმის მხოლოდ მწვერვალი დაგანახოთ. (ამაზე მოგვიანებით კიდევ ვიმსჯელებთ). ჩვენ ღმერთს ვეკუთვნით და მისი ნიშანი გვადევს. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ მას სიტყვით თუ საქმით. ეს ნიშნავს, რომ ნათქვამიც და გაკეთებულიც მისი სახების მატარებელი უნდა იყოს. ჩვენ უბრალოდ არ გვეპატია. ჩვენ წმიდანი ვართ მისთვის. სინათლე უნდა ვიყოთ იქ, სადაც ერთ დროს სიბნელეს წარმოვადგენდით. მოდით, გავაგრძელოთ ეფესელთა წერილის მუხლით:

„ასევე არ შეგფერით ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა (ინგ. *coarse* — უხეშობა), არამედ, პირიქით, მადლიერება“. (ეფეს. 5:4)

შეუფერებელი ქცევების სიას მიამატეთ „არავითარი ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი ან დაცინვა“. ვფიქრობ, იმ დროსაც ბილწსიტყვაობდნენ და უხამს ხუმრობებს ყვებოდნენ, რადგან ცის ქვეშ ახალი არაფერია (ეკლ. 1:9). მეტისმეტად ხშირად უგულებელვყოფთ ჩვენი სიტყვების ძალას სხვათა კურთხევასა თუ წაბილწვაში. მოდით ეს ყველაფერი კატეგორიებად დავყოთ, რომ მათი მნიშვნელობის შესახებ ეჭვი არავის გაუჩნდეს:

- ბილწსიტყვაობა არის სიბილწე, უწმაწურობა, რომელიც გამოიხატება ან ნაჩვენებია სიტყვებით, ჟესტებით ან გამოსახულებით.

- ლაქლაქი არის ბოროტი, ცოდვილი საუბარი ღვთიური რჯულის, ღვთის დიდების ან პიროვნების მარადიული ბედნიერების გათვალისწინების გარეშე (ვაი!)

- უხეშობა არის გაურანდავი, თავხედური, სასტიკი საუბარი.

იმის ნაცვლად, რომ აქცენტი ამ ტიპის საუბრებზე გავაკეთოთ, უმჯობესია მადლიერებაში ვისწრაფოთ. აუცილებელია მადლიერი დამოკიდებულების ქონა ღვთის მიერ გამოვლენილი კეთილგანწყობისა და მოწყალებისთვის. მხოლოდ ესეც საკმარისი იქნება, რომ ზოგიერთმა ჩვენგანმა ბევრი ილაპარაკოს. არ უნდა ვიყოთ გაუთლელი, უხეში, მოწუწუნე და მომჩივანი ადამიანები. ჩვენ ღვთის მსგავსად უნდა ვიმოქმედოთ და ლაპარაკისას კურთხევა და სიცოცხლე გამოვუშვათ სულიწმიდაში ცხოვრებით და მადლიერი გულით. პავლე განაგრძობს:

> *~ არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით. ცარიელ სიტყვებში სიცოცხლე არ არის.*

„რადგან იცოდეთ, რომ არც ერთ მეძავს, ან უწმიდურს, ან ანგარს, რომელიც კერპთმსახურია, არა აქვს მემკვიდრეობა

ქრისტესა და ღვთის სამეფოში. არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით, ვინაიდან ამისთვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს. ამიტომ ნუ იქნებით მათი თანაზიარნი“. (ეფეს. 5:5-7)

პავლეს სურს დარწმუნდეს, რომ მისი გაფრთხილებები და მითითებები ნათლად გავიგეთ, თუ პირველი შეგონებისას ასე არ მოხდა და კვლავ გვიმეორებს: *არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით. ცარიელ სიტყვებში სიცოცხლე არ არის.* მათში არ არის რეალური ძალა თქვენს შესაცვლელად, მაგრამ საცდუნებლად საკმარისი ძალა აქვთ. გახსოვდეთ, რომ ღვთის სიტყვა ცოცხალი და მახვილია და მონანიებამდე მიყავხართ. ცარიელი სიტყვები მოსაწყენი და მკვდარია. ისინი თვითკმაყოფილებაში თვლემის ნანას გვიმღერიან და აცდუნებენ მათ, ვინც ღვთის სიტყვის მახვილს არ იყენებენ ჭეშმარიტების ცდომილებისგან გამოსაყოფად. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად საამო მოსასმენია ცარიელი სიტყვები. საბოლოო ჯამში, ისინი სიცოცხლესთან არ მიგვიყვანენ. რამდენიმე მაგალითს აქვე მოვიყვან, რომლებიც არაერთხელ გსმენიათ:

„არა უშავს ... ჩვენ ყველანი ვიზრდებით“.
„ღმერთმა იცის შენი გული“.
„სრულყოფილი არავინაა“.
„ყველა ასე აკეთებს“.
„შენ უმრავლესობაზე კარგად იქცევი“.

ესენია დათმობაზე წასვლის წახალისება. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათში ჭეშმარიტების მარცვალიც იპოვოთ, ჭეშმარიტების ცოცხალ სიტყვებს არ წარმოადგენენ. ჭეშმარიტება შთაგვაგონებს, რომ შევიცვალოთ, ზურგი ვაქციოთ ძველ გზებს და ღვთიური თვალთახედვით აღმატებულისკენ ვისწრაფოთ. უფლის აზროვნება სრულიად განსხვავდება ჩვენს მიერ მოვლენების აღქმის პროცესისგან. ცარიელი სიტყვები იგივე მდგომარეობაში დარჩენისკენ გვიბიძგებს, რაშიც ვიმყოფებით, რადგან ჩვენს ქცევას გამართლებას უძებნის ახლანდელი კულტურული სტანდარტების თანახმად. თუმცა ჩვენ ქვეყნიერებასთან კავშირში აღარ ვიმყოფებით; ჩვენ ღმერთთან ურთიერთობაში ვართ.

განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება! (იაკ. 4:4)

ჩვენი რჩევა გონივრული და ბრძნული არ იქნება ამჟამინდელი წუთისოფლისთვის. ასეთი მხოლოდ ღვთის სიტყვაა. ქრისტიანები მოწოდებული ვართ ერთმანეთის გასამხნევებლად. ეს ნიშნავს, რომ გამბედაობა უნდა მოვიკრიბოთ და ერთმანეთს ღვთის აღთქმებზე ველაპარაკოთ. ცარიელი სიტყვების საპასუხოდ ღვთის რჩევა გვაქვს:

არა უშავს ... ჩვენ ყველანი ვიზრდებით. ვართ კი ამ პროცესში? დიახ! თუმცა ჩვენი მიზანია არა თავად პროცესი, არამედ გარდაქმნა და გვაქვს ღვთის დაპირება, რომ ჩვენში კეთილი საქმის დამწყები დაასრულებს კიდეც მას (ფილ. 1:6)

ღმერთმა იცის შენი გული. თქვენი ბაგე იმას იტყვის, რითაც გულია სავსე. კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს; ბოროტ კაცს ბოროტი საგანძურიდან ბოროტება გამოაქვს (მათ. 12:34-35). თქვენი ნათქვამი თქვენივე გულის მდგომარეობას ააშკარავებს.

სრულყოფილი არავინაა. მაშ, იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი (მათ. 5:48). ოჰ! შვიდჯერაც რომ დაეცეს მართალი, მაინც წამოდგება (იგ. 24:16).

ყველა ასე აკეთებს. ამიტომ ამას ვამბობ და ვმოწმობ უფალში, რათა აღარ დავდიოდეთ ისე, როგორც სხვა წარმართნი დადიან თავიანთი გონების ამაოებაში, დაბნელებულნი აზროვნებაში. (ეფეს. 4:17-18)

შენ უმრავლესობაზე კარგად იქცევი. ვინაიდან ვერ ვბედავთ მივეტოლოთ, ანდა შევედაროთ იმათ, ვისაც თავი მოაქვს: ისინი საკუთარი თავების მიხედვით ზომავენ და თავიანთ თავსვე ედრებიან უგუნურად! (2 კორ. 10:12-13). ვის სურს ბრიყვი იყოს, როცა შეგვიძლია ბრძენები ვიყოთ? თავი დაანებეთ სხვების ყურებას და უყურეთ თავისუფლების სრულყოფილ რჯულს!

ერთი რამ უნდა გავითავისოთ: ღმერთი და მისი სიტყვა ჭეშმარიტებაა და ადამიანის რჩევა – ტყუილი. *უფლის სიტყვა არ უნდა გავაზავოთ ისე, რომ საბოლოოდ, უაზრო ადამიანური რჩევა ან ნიუ ეიჯის გურუების აზროვნება მივიღოთ.* ღვთის სიტყვა ყოველთვის გამოცალკევებულია და მხოლოდ ის უძლებს დროის გამოცდას. იგი სიბრძნის ძვირფასი საგანძურის და სახელმძღვანელოს სახით გადმოგვეცა. დაე, ვიყოთ ჭეშმარიტების ერთგული მოწმეები და დაჟინებით ვესწრაფოთ და ერთმანეთი გავამხნევოთ დასახული ნიშნულისკენ სვლაში.

— უფლის სიტყვა არ უნდა გავაზავოთ ისე, რომ საბოლოოდ, უაზრო ადამიანური რჩევა ან ნიუ ეიჯის გურუების აზროვნება მივიღოთ.

ათი წლის წინ მე და ჯონი ისრაელს ვეწვიეთ. ახლაც მახსოვს არაბი გიდის ნათქვამი რომაელებზე. ის ამტკიცებდა, რომ რომაელები კეთილმოსურნე დამპყრობლები იყვნენ და ებრაელ ხალხს თავიანთი *რელიგიური მრწამსის* შენარჩუნების საშუალებასაც აძლევდნენ; მათ, უბრალოდ, სურდათ, რომ ებრაელებს *რომაული კულტურა* გადაეღოთ – რომაელების მსგავსი გარეგნობა ჰქონოდათ, მათსავით ეცხოვრათ და მოქცეულიყვნენ. დარწმუნებული არ ვარ, რომ დაპყრობის ტაქტიკა მას შემდეგ ძალიან შეიცვალა.

ჩვენც გვესმის ამჟამინდელი ქვეყნიერების რჩევა: „შეინარჩუნეთ თქვენი რელიგია, მაგრამ ამ წუთისოფლითაც ისიამოვნეთ! მოდუნდით! შეგვერიეთ! რატომ უნდა ებრძოლოთ ამ საუკუნის ძალებს? რაც გინდათ, ირწმუნეთ ... უბრალოდ, ჩვენსავით მოიქეცით!“ რასაკვირველია, ეს ჩვენთვის არ გამოდგება. ღმერთს არასოდეს სდომებია ჩვენი შერევა ერებში. მოდით, ისევ ვეწვიოთ იაკობის წერილს:

> „მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!“ (იაკ. 4:4)

როცა ორივე სამყაროში დავდივართ, განსაცდელები გვაქვს, რადგან ჩვენი გული გაყოფილია. დავითი და წინასწარმეტყველი ეზეკიელი კარგად აცნობიერებდნენ გაუყოფელი გულის აუცილებლობას:

„შენი გზა მასწავლე უფალო და ვივლი შენს ჭეშმარიტებაში! წარმართე ჩემი გული შენი სახელის მოშიშებით“. (ფს. 86:11)

„როცა მივლენ, მოკვეთავენ მისგან ყოველგვარ სიბილწეს და ყოველგვარ სისაძაგლეს. მივცემ მათ ერთ გულს და ახალ სულს ჩავდებ მათში; ამოვიღებ მათი სხეულიდან ქვის გულს და ხორცის გულს ჩავუდგამ. რომ ჩემი წესებით იარონ, ჩემი დადგენილებები დაიცვან და შეასრულონ; მაშინ ჩემი ხალხი იქნება იგი და მე მისი ღმერთი ვიქნებ“ი (ეზეკ. 11:18-20)

დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნის კითხვის მიზანი ღვთისმსახურების გაწევის სურვილია მთლიანი და განუყოფელი გულით. ეს ნიშნავს, რომ თქვენი სხეული გულის მიერ არჩეულ მიმართულებას მიჰყვება. ადრე არასოდეს ყოფილა ზნეობრივი სიწმიდისკენ მოწოდება ასე დროული, დაჟინებული და ძნელი.

„მაშ ასე, იმოქმედეთ, რადგან იცით რა დროა ახლა, რომ დადგა ძილისაგან თქვენი გამოღვიძების ჟამი. ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენი ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ. ღამე მიდის და დღე ახლოვდება“. (რომ. 13:11-12)

აქ სული დაჟინებით გვეძახის, რომ სიმართლისთვის გამოვიღვიძოთ. ამას როგორ გავაკეთებთ? გამოვიყენებთ სულის მახვილს, ღვთის სიტყვას, რომ გადაჭრას ყოველი საკვრელი, რომლითაც ჩვენი გულები ამ დაცემულ ქვეყნიერებას გადაბმია. მას სურს, რომ არ გავიტანჯოთ ქვეყნიერების სიყვარულის გამო. იგი გვიწვევს, რომ ჩვენი გულები უსაფრთოდ მივანდოთ მის მზრუნველობას და ომი ვაწარმოოთ ჩვენი სულების მტრის წინააღმდეგ.

~ ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად შეგიძლიათ ისეთი ცხოვრებით იცხოვროთ, რომელიც გარეშე თვალისთვის ზნეობრივი სისუფთავის მაგალითი იქნება.

„მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმინდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთმსახურებაა. რომელთა გამოც ღვთის რისხვა მოდის ურჩობის ძეებზე“. (კოლ. 3:5-6)

და აი, ისევ: ღვთიური რისხვის აღთქმა სქესობრივ უზნეობაზე, უწმიდურობასა და ანგარებაზე. ღმერთი გვაფრთხილებს, რომ გადავჭრათ ყოველგვარი საკვრელი მისი რისხვის ობიექტებთან. თუ გვინდა, რომ მახვილი კეთილსინდისიერად გამოვიყენოთ, მის ძალას უნდა დავემორჩილოთ. ღვთის სიტყვას აქვს ცოდვის ძალაუფლებისგან ჩვენი განშორების ძალა.

ვმოქმედებ იმ ვარაუდით, რომ ამ წიგნის მკითხველი მართლა ეძებს პასუხებს ზოგიერთ კითხვაზე. მთელი ძალით შევეცდები პირდაპირ გიპასუხოთ. რასაკვირველია, შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ჩემს შეხედულებებს, რადგან ისინი ზომიერი არ გახლავთ, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, თუმცა ბიბლიურად ჯანსაღ მოძღვრებებს წარმოადგენენ. ამ თავში ზნეობრივი სისუფთავის საკითხს შევეხებით სიტყვისა და საქმის სფეროებში. მომდევნო თავში იგივე თემას გარეგნობისა და სამოსის კუთხით განვიხილავთ.

გახსოვთ რამდენიმე კითხვა, რომლებიც 1-ლ თავში წამოვ-ჭერით? დავიწყოთ ამ კითხვით „რა ითვლება გადაჭარბებად?" ალბათ, ჩემი პასუხიც გახსენდებათ. თქვენს შეყვარებულთან იმ-დენის უფლება უნდა მისცეთ თავს, რამდენისაც მამის თანდას-წრებით მისცემდით. ეს იყო ჩემი მცდელობა, რომ ხსენებული საკითხი წესების ყუთიდან ამომეღო და რეალური ურთიერთო-ბების ჭრილში გადამეტანა. მოდით, ამ კითხვას ჩავუღრმავდეთ! ... როდის იქცევა ცოდვად სექსუალური ხასიათის ქცევა ქორ-წინების მიღმა?

პირველი ვნებიანი კოცნით თუ ტანსაცმლის ქვეშ მკერდის შეხებით? იქნებ მაშინ გადავლახავთ ცოდვის ბარიერს, როცა ზედატანს გავიხდით და საცვლებს მოვიშორებთ? იქნებ წელს ზევით ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ წელს ქვევით საზღვარს თუ გადალახავთ, დიდ განსაცდელში ხართ? იქნებ წელს ქვევით ტანსაცმლის ზემოდან შეხება შეიძლება, მაგრამ გახდის შემთვევაში დაუშვებლის ზღვარი გადალახეთ? თუკი ყოველგვარი ფიზიკური ზღვარი დაირღვა და დაფარული სხვისი თვალის დასანახად და ხელის შესავლებად იქცა, შეიძლება ისევ წმიდად ვითვლებოდეთ იმის გამო, რომ სქესობრივი აქტი არ მომხდარა? იქნებ ორალურ სტიმულაციას არა უშავს? ეს ხომ ნამდვილი სქესობრივი აქტი არ არის? თუ ამდენად შორს წახვედით, განა ბოროტება არ იქნება რაიმე ფორმის სქესობრივი შვებისგან თავის შეკავება მთელი ამ ნაბიჯების შემდეგ? ეს

უკვე უბრალო ორალური სტიმულაციიდან ორალურ სქესობრივ აქტამდე მიგიყვანთ. და რა საოცარია, რომ ეს ყველაფერი ქალწულობის შენარჩუნებითაც კი ხდება! ამ სახის კავშირში მონაწილე წყვილი ჩაითვლება თუ არა ფიზიოლოგიური და ტექნიკური თვალსაზრისით უმწიკვლოდ ... ან წმიდად?

ცოდვა ფიზიკურ სამყაროში არ იწყება. იგი სურვილის ფორმით ისახება.

როცა ამ გზას დაადგებით, ყოველ მოქმედებას ფიქრისა და არგუმენტების მთელი ნაკრები მოჰყვება სურვილის მიმართულებით წინსვლის გაგრძელებაში თქვენს დასარწმუნებლად. ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს წყლის შემაკავებელი რაბი გაიხსნა და ახლა მთელი ძალა უნდა მოიკრიბოთ, რომ ორივე თქვენგანზე მძლავრ დინებას შეეწინააღმდეგოთ. ეს არის საშინელი, უასაკო და ვნებიანი ნაკადი, რომელიც გახელებული მოქრის დროის დასაბამიდან.

მოდით, ჩვენს თავდაპირველ კითხვას დავუბრუნდეთ! ... რა მომენტში გადაიქცევა ცოდვად ჩვენი მოქმედებები? არის ეს კოცნა, შეხება, გაშიშვლება თუ შვების მოგვრის მომენტი? ჩვენდა გასაკვირად, სწორი არ არის არც ერთი მათგანი. ცოდვა ფიზიკურ სამყაროში არ იწყება. იგი სურვილის ფორმით ისახება. სწორედ ამიტომ თქვა იესომ, რომ მრუშობაში დამნაშავეა ყოველი, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს.

> „არამედ ყოველი ცდუნდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას. როცა ჩაისახება გულისთქმა, შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს“. (იაკ. 1:14-15)

შეხედეთ ამას: ის „წარიტაცებს და აჯადოებს“! ვინ აკეთებს ამას? ბიჭი, რომელიც გოგოს წარიტაცებს და მოხიბლავს თუ ქალი, რომელიც მამაკაცს აცდუნებს? არა! *ჩვენს საკუთარს სურვილებს* გამოვყავართ ჭეშმარიტების სინათლიდან, სიბრძნისგან გვაცალკევებს და სრულ დაკმაყოფილებას მოითხოვს. ორსულობაა ის, როცა ჩვენს შინაგანში სიცოცხლეა, თუმცა დღის სინათლე ჯერ არ უხილავს. იგი შიგნითაა და ყოველდღე ძალებს იკრებს, სანამ ვეღარ შეძლებს დატევას და წიაღის სიბნელიდან დღის სინათლეზე გამოვა.

მოდით, ერთმანეთს კიდევ ერთი ცნობილი კითხვა დავუსვათ, რომელსაც ქრისტიანულ წრეებში ხშირად გვერდს უვლიან. რას

იტყვით მასტურბაციაზე? ნუთუ შეიძლება მისი დაშვება, რახან ბიბლია მას არ კრძალავს?

მართალია, მასტურბაცია წმმიდა წერილში სახელით არ არის ნახსენები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბიბლია მასზე ლაპარაკობს. ეს ისეთი რამ არის, რისი განსჯაც მისი ნაყოფებით შეგვიძლია. მასტურბაცია თავისი ბუნებით დამოკიდებულების გამომწვევია და ის ნამდვილად კვებავს სურვილს და აძლიერებს მის ზემოქმედებას. ის შეიძლება ფიზიკური შვების ან საჭიროების გამო დაიწყოს, მაგრამ იშვიათად ჩერდება ამ სტადიაზე. დრო გადის და ის ფანტაზიასა და სხვა პორნოგრაფიას გადაეჯაჭვება. ეს შეიძლება იყოს ფილმებიდან, ვიდეობიდან, ფოტოებიდან ან სულაც ადრინდელი სქესობრივი აქტივობიდან დამახსოვრებული გამოსახულებები. იგი მის მონაწილეებს თავის დაკმაყოფილებას ასწავლის და ინტიმური ურთიერთობის სრულიად საწინააღმდეგოა, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზეა ფოკუსირებული. ჩვენ გვაქვს მცნება, რომ მოვაკვდინოთ ჩვენი მიწიერი ასოები და ჯვარცმის ბუნებას გავყვეთ, რომელიც ყოველდღიურ თავის უარყოფას გულისხმობს.

> „ისინი, რომელთაც სირცხვილის გრძნობა დაკარგეს და გარ-ყვნილებას მიეცნენ, რათა ყოველგვარი უწმიდურება ჩაიდინონ გაუმაძღრობით“. (ეფეს. 4:19)

სიტყვა *მიეცნენ* დამორჩილებაზე მეტყველებს, ჩვენი ნების დათმობაზე სხვათა მოთხოვნების ან სურვილების მიმართ. *ყოველ ჯერზე, როცა კი სხეულის შეგრძნებებს ვემორჩილებით, გულისთქმის ცეცხლს შეშის ნაჭერს ვუკეთებთ* და მინავლებული კოცონი მართვის სადავეების ხელში ჩაგდებით იმუქრება. თავდაპირველად, სულიერ შეგრძნებებს ვაჩლუნგებთ და საბოლოოდ, სრულიად ვკარგავთ სულიერის საგნების მიმართ მგრძნობიარეობას. სხეულის შეგრძნებების ანუ სენსუალური სამყაროს ახირებები უფრო მეტად გვიტაცებს, ვიდრე სულიწმიდის წინამძღოლობა. ყოველი დათმობის აქტი გულისთქმას აძლიერებს და ჩვევის სიმაგრეს ამტკიცებს. ეს იცავს და ახანგრძლივებს მის სიცოცხლეს და ჩვენს ცხოვრებაზე

> *ყოველ ჯერზე, როცა კი სხეულის შეგრძნებებს ვემორჩილებით, გულისთქმის ცეცხლს შეშის ნაჭერს ვუკეთებთ.*

მის ჩაჭიდებას ამყარებს. მსახურების ცხრამეტი წლის მანძილზე არასოდეს შემხვედრია სექსუალური მიდრეკილების მქონე წყვილი, რომელიც სქესობრივ დისფუნქციას ებრძოდა და იქ მასტურბაცია არ ყოფილიყო ამის უმთავრესი მიზეზი მათი ქორწინების შემდეგაც კი.

გაგონილი მაქვს, რომ მასტურბაცია რეკომენდებულია მოსაზრებით, თითქოს გულით წმიდისთვის ყველაფერი წმიდაა. ჩვენ არ შეგვიძლია "წმიდა" ვუწოდოთ იმას, რასაც ადამიანი უწმიდურობამდე მიჰყავს, მნიშვნელობა არ აქვს რამდენად წმინდა იქნება ჩვენი გული. არც კანონიერად დასაშვებ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ის, რაც ღვთიური რჩევის თანახმად, საპირისპიროდაა მიჩნეული. ჩემი აზრით, მასტურბაცია სულიწმიდის *თავშეკავების* ნაყოფისა (გალ. 5:23; 2 პეტრ. 1:6) და აზროვნების სისუფთავის (ფილ. 4:8) შებღალვაა.

> „თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით" (1 თეს. 4:4)

ამის საპირისპიროდ, *დაკმაყოფილების დაყოვნების ნაყოფი მოთმინებას, გამძლეობასა და თავშეკავებას წარმოშობს. ეს თავის მხრივ ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ სწრაფვას განავითარებს.* თუ ასეთ წყურვილს ჩვენში შრომის საშუალებას მივცემთ, ამ სწრაფვის ადგილის სხვისთვის გაზიარების გრძნობა წარმოიშობა. როცა საკუთარი ძალისხმევით მის ავსებაზე უარს ვიტყვით, მიზიდულობისა და ინტიმურობის არსს შევიგრძნობთ, რადგან ინტიმური სიახლოვე გაზიარებას მოითხოვს და არა მარტოობაში დაკმაყოფილებას.

შეწყნარებული საკუთარი თავის დაკმაყოფილება და მასტურბაცია, საბოლოო ჯამში, ეგოიზმს კვებავს. ეს უკანასკნელი კი გულისთქმას შობს და თქვენ გიჩნდებათ იდეა, რომ სხვა ადამიანები თქვენი სურვილების დასაკმაყოფილებლად არსებობენ.

> *~ დაკმაყოფილების დაყოვნების ნაყოფი მოთმინებას, გამძლეობასა და თავშეკავებას წარმოშობს. ეს თავის მხრივ ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ სწრაფვას განავითარებს.*

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ყველა ბიჭი მასტურბააციითაა დაკავებული. ამგვარი აზროვნება უკავშირდებოდა პორნოგრაფიისადმი მათ გახსნილო-

ბას. ახლა გოგონებიც შეუერთდნენ პრივილეგირებულთა რიგებს ყოვლისმომცველი ვარაუდით, რომ გოგონებიც ასე იქცევიან. ქალები ფიქრობენ, რომ რაღაც სჭირთ, თუ რაიმე ფორმის სქესობრივი ქცევით არ დაკავდებიან. ქალთა ბევრი ჟურნალი არა მარტო იწონებს მასტურბაციას, არამედ მკითხველებს ხშირად მითითებებსაც აძლევს მის შესახებ. საით მივექანებით ამ ყველაფრით? რამდენი სილამაზე დავკარგეთ! რასაკვირველია, ამ გზაზე სიარულით ქალები დაასკვნიან, რომ კაცები მხოლოდ დაფეხმძიმებისთვის არიან საჭირო.

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ მასტურბაცია სიწმიდეს ხელს არ უწყობს და შესაბამისად, ის სასარგებლო არ არის წმიდა ღვთის წინაშე სიარულის ჯანსაღი სურვილისთვის. ის ადამიანთა საჭიროებებს არასწორი გზით აკმაყოფილებს და მათ ეგოიზმისკენ მიუძღვის. ჯვრის აღება ხორცის უარყოფას ნიშნავს და არა მის შეწყნარებას. თუ მარტოხელა ხართ, თქვენი გრძნობები ღმერთთან ურთიერთობაში ან სხვათა დახმარებაში გადმოღვარეთ. თუ გათხოვილი ხართ, ცოლებს ქორწინების სიწმიდის დაცვა ევალებათ. ზნეობრივი სიწმიდე ქორწინებაშიც დასაცავია. ჩვენს საქორწინო სარეცელს უნდა გავუფრთხილდეთ და წმიდად დავიცვათ.

> „ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი, სარეცელი - შეუბილწავი; მეძავებსა და მრუშებს ღმერთი გაასამართლებს“. (ებრ. 13:4)

ეს არ გახლავთ საეჭვო მუხლი, რომელიც ქორწინებაში ყველაფრის შეყვანის უფლებას იძლევა. აქ ნათქვამია, რომ საქორწინო სარეცელი პატივისცემით უნდა შევინახოთ მეძავობისა და მრუშობისგან დაცულად. ამაში პორნოგრაფია და სხვათა სქესობრივი ფანტაზიაც შედის. ერთი შესანიშნავი ქალი გამომიტყდა, რომ ქმართან სექსუალურ სიამოვნებას ვერ იღებს, თუ ქორწინებამდელ შეხვედრებს არ წარმოიდგენს. მათ ქორწინებამდელი სქესობრივი ცხოვრება ჰქონდათ და ოცი წლის თანაცხოვრების შემდეგაც იმ ცოდვის სარეცელს უბრუნდება შთაგონებისთვის. ჩვენ ვილოცეთ. მან ეს ფანტაზია ცოდვად გამოაცხადა და მოინანია. შემდეგ უფალს ვთხოვეთ მისი საქორწინო სარეცლის გაწმენდა და ვნებით ავსება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ორალური სექსი.

რასაკვირველია, ის ცოდვაა ქრონწინების გარეთ, მაგრამ ქორწინების ფარგლებში დასაშვებია თუ არა? საერთოდ, რამდენად მისაღებია ორალური სქესობრივი კავშირი? შესაძლოა, სხვები არ დამეთანხმონ, მაგრამ პირადად მე არ მჯერა, რომ ქალის ყელი ოდესმე მამაკაცი თესლისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. სქესობრივი აქტის დროს ორი ერთ ხორცად იქცევა ამ კავშირიდან ახალი სიცოცხლის წარმოშობის უნარით. ეს უნიკალური ურთიერთობა გახლავთ მამაკაცსა და ქალს შორის. ორალური სექსის ამბავი ასე არ არის. ეს შეიძლება მოხდეს ჰომოსექსუალურ ურთიერთობებში, მაგრამ არა ნამდვილი სქეობრივი აქტის შემთხვევაში. ადამმა შეიცნო თავისი ცოლი. იგი შევიდა მის წიაღში და იქ თესლი ჩათესა.

რაც შეეხება ჰომოსექსუალობას, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა მამაკაცია მამაკაცად შექმნა და ქალი – ქალად ანუ ჰეტეროსექსუალურ ადამიანებად. მას არც უფიქრია ადამიანთა სხვა რასის შექმნა, რომელთაც ჰომოსექსუალები დაერქმეოდათ. ასეთი რამ არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ მამაკაცები და ქალები, რომლებიც ჰომოსექსუალური სურვილებით იტანჯებიან, მაგრამ ისინი რაიმე სხვა ჯიშს ან რასას არ წარმოადგენენ. ტყუილია მათთვის იმის ფიქრის უფლების მიცემა, რომ არჩევანი არ აქვთ. ღმერთი მკაცრია თავის პოზიციაში ჰომოსექსუალური ქცევების მიმართ:

> „თუ მამაკაცი დაწვება მამაკაცთან, როგორც ქალთან წვებიან: სისაძაგლე ჩაიდინეს მათ; უსათუოდ მოკვდნენ ორივენი, მათზეა მათი სისხლი“. (ლევ. 20:13)

შესაძლოა, ეს მუხლი მეტისმეტად მკაცრი მოგეჩვენოთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ღვთის რჯული სასიკვდილო განაჩენს ითვალისწინებდა არა მარტო ჰომოსექსუალების, არამედ მრუშების მიმართაც. ეს სიწმიდის საკითხია. *ჰომოსექსუალობა და მრუშობა ბილწავს დაბადების წიგნის გეგმას ერთი კაცისა და ერთი ქალის ერთ ხორცად გახდომაზე ღვთის წინაშე.* ძველ აღთქმაში რამდენიმე მუხლი ჰომოსექსუალურ კავშირებსაც ეხე-

ჰომოსექსუალობა და მრუშობა ბილწავს დაბადების წიგნის გეგმას ერთი კაცისა და ერთი ქალის ერთ ხორცად გახდომაზე ღვთის წინაშე.

ბა და არასოდეს არის მოწონებული, როგორც ალტერნატიული ცხოვრების სტილი. ამ აზროვნებაში ცვლილებას ვერ ვხედავთ, სანამ პავლე უკანასკნელ დღეებზე არ ალაპარაკდა.

> „ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი შეცვალეს ბუნებრივი ურთიერთობის წესი ბუნების საწინააღმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი ურთიერთობის წესი და ავხორცობით გახურდნენ ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის“. (რომ. 1:26-27)

არაბუნებრივი სურვილები და საძრახისი ქმედებები იმ კულტურებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც ღვთის ჭეშმარიტებას ადამიანურ სიცრუეში ცვლიან. თუ ღმერთი რაიმეს არაბუნებრივს, სამარცხვინოს და უხამსს უწოდებს, ის არასოდეს იქნებოდა მისი თავდაპირველი გეგმის ნაწილი. ღმერთს არაფერი ერევა ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ – კი. მას სურს გულისთქმით შეპყრობილი ადამიანების განთავისუფლება, იქნება ეს გარყვნილება, პორნოგრაფია, მრუშობა, ჰომოსექსუალური ურთიერთობები თუ არაბუნებრივი გრძნობები. არ ვა,ტკიცებ, რომ ჰომოსექსუალიზმის ბორკილებისგან განთავისუფლება ადვილია, მაგრამ შესაძლებელია.

პორნოგრაფიული სახეები, რასაკვირველია, სიწმიდეზე ძალადობაა. როცა პორნოგრაფიულ სურათებს უყურებთ, რის საშუალებითაც არ უნდა იყოს, სხვის სირცხვილს ეზიარებით. თქვენ მასში მონაწილე ხდებით და მას თქვენი დაჭერა შეუძლია ისე, როგორც არც ერთ სხვა გამოსახულებას, რომელიც გინახავთ. შესაძლოა, გონების დაძაბვა დაგჭირდეთ ფილმში ნანახი სხვა სახეების გასახსენებლად, მაგრამ უცებ გაიხსენებთ სიშიშვლის ამსახველ გამოსახულებებს. ისინი თქვენი გონების წინა ნაწილში იმყოფებიან და ელოდებიან, როდის ამოსწევთ რომელიმე მათგანს. ისინი წებოვანი და უდრეკი გამოსახულებებია, რადგან საერთო ცოდვას წარმოადგენენ. გახსოვთ, ნოეს ორმ ვაჟმა უარი რომ თქვა მისი სიშიშვლის დანახვაზე და მამის კარავში უკუსვლით შევიდნენ, რომ სამოსლით დაეფარათ იგი?

> *— გონებაშიც კი არ უნდა გაივლოთ სხვების სირცხვილის შეხედვა!*

ეს დიდად მნიშვნელოვანია. *გონებაშიც კი არ უნდა გაივლოთ სხვების სირცხვილის შეხედვა!*

„უკეთურ რამეს თვალწინ არ დავიდებ!“ (ფს. 101:3)

და კვლავ:

„განა თქვენი მამების გზაზე არ იბილწებით და მათი სი-საძაგლეების კვალდაკვალ არ მრუშობთ“. (ეზეკ. 20:30)

პორნოგრაფია თქვენს სინდისს გატანჯავს და ომს აწარმოებს თქვენი საქორწინო სარეცლის წინააღმდეგ. თუ მასში მონაწილეობა მიიღეთ, მოინანიეთ და ღმერთს სთხოვეთ, რომ დაგეხმაროთ ამ გამოსახულებების დაგლეჯაში ლოცვით, მისი თანდასწრებით, სიტყვით და უფლის განდიდებით.

ჩვენ სირცხვილისთვის არ ვართ მოწოდებული, არამედ – სიწმიდისთვის. ნებისმიერ ფასად გვინდოდა სირცხვილის გრძნობის მოშორება, ამიტომ, სამარცხვინო მივიღეთ. მასთან კომპრომისზე წავედით იმის ნაცვლად, რომ სიმტკიცე გამოგვეჩინა. დაშურებით მწადია, რომ ყოველი ქალის ცხოვრებაში ზნეობრივმა სიწმიდემ იმეფოს, მარტოხელაა ის თუ გათხოვილი, ახალგაზრდაა თუ ხანშიშესული. მოისმინეთ პავლეს შინაგანი სწრაფვისა და დავალების შესახებ და გაითავისეთ:

„ვინაიდან მოშურნე ვარ თქვენ მიმართ ღვთიური მოშურნეობით, რადგან დაგნიშნეთ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე. მაგრამ ვშიშობ, რომ როგორც გველმა აცდუნა ევა თავისი მზაკვრობით, ასევე არ გაიხრწნას თქვენი გონება და არ გადაუხვიოთ უბრალოებასა და სიწმიდეს ქრისტეში“. (2 კორ. 11:2-3)

როგორც ჩანს, ცოდვა ყოველთვის უკან ბრუნდება გველის მცდელობით, რომ ქრისტეში სიწმიდის გზიდან გადაგვაგდოს. ჩვენ უნდა ავირჩიოთ, ვის სიტყვებს მოვუსმენთ: ჩვენი მცხნელის სიტყვებს თუ მაცდუნებლის სიტყვებს, რომელსაც ჩვენი სიცოცხლის ხელში ჩაგდება სწადია. საბოლოო ავტორიტეტი სწორედ რომ ღვთის სიტყვაა და არა მქადაგებლის, მრჩევლის ან მასწავლებლის ნათქვამი. თუ ღმერთს სთხოვთ, აიღებს სულის

მახვილს და თქვენი ცხოვრებიდან ყველა სიცრუეს მოკვეთს.

ყველა ამ გარეგნული სახეცვლილებების არსებობის მიუხედავად, საფუძველს უნდა დავუბრუნდეთ; აზროვნების სიწმიდე ქცევის, გარეგნობისა და საუბრის სიწმიდეს წარმოშობს. იმისდა მიუხედავად, რამდენად ვიტანჯებით, თუნდაც საკმარის დაჟინებას ვიჩენდეთ ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში, საბოლოოდ მაინც დავეცემით ბრძოლაში, თუ შინაგანში ომი არ მოგვიგია. შევეცადე ჩემი მრწამსი გადმომეცა, რომელიც ღვთის სრული რჩევის შესაბამისია. ვიცი, რომ ზოგიერთი სწავლება მძიმედ აღსაქმელი ჭეშმარიტებაა, ამიტომ ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლისთვის დამატებით მუხლებს მოგაწვდით. დაე, არასოდეს იქადაგოთ ადამიანური რჩევისა და შეწყნარების სიტყვები და ზემოთქმულს ღვთის სიბრძნე უწოდოთ!

„ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოები არიან? განა ქრისტეს ასოებს ავიღებ და მეძავის ასოებად ვაქცევ? არამც და არამც! ანდა ნუთუ არ იცით, რომ ვინც მეძავს უერთდება, ერთი სხეული ხდება მასთან ერთად? რადგან ნათქვამია: იქნება ორი ერთ ხორცად. ხოლო ვინც უფალს უერთდება, ერთი სული იქნება უფალთან. გაექეცით სიძვას; ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, მეძავი კი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს. ანდა ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში მყოფი სულიწმიდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენს სხეულებსა და თქვენს სულებში, რომლებიც ღმერთს ეკუთვნის“. (1 კორ. 6:15-20)

„ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმიდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, ეჭვიანობა, რისხვა, შუღლი, უთანხმოება, განხეთქილება, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის მკეთებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს.“ (გალ. 5:19-21)

„ისინი კრძალავენ შეუღლებას და აიძულებენ თავშეკავებას საკვებისგან, ღმერთმა რომ შექმნა, რათა მადლიერებით ჭამონ მორწმუნეებმა და ჭეშმარიტების მცოდნეებმა. რადგან ღვთის გაჩენილი ყოველივე კარგია და არაფერია უარსაყოფი, თუ

მადლიერებით იქნება მიღებული, ვინაიდან იწმიდება ღვთის სიტყვითა და ლოცვით“. (1 ტიმ. 4:3-5)

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

მინდა შეგიცნო ჩემი ცხოვრების ყველა სფეროში. შენ ხარ ყოველგვარი ჭეშმარიტების, სინათლის, სიყვარულის, ზნეობრივი სისუფთავისა და სიწმიდის არსი. მე შენი ვარ და პირობას ვდებ, რომ მოწიწებით ვიდგები შენი სიტყვის წინაშე. მას ნებას მივცემ, რომ ჩემი ყოველდღიური ცხოვრების პატივი, უპირატესობა და ავტორიტეტი გახდეს. მის მახვილს ვიწვევ ყველა სფეროში და გთხოვ, რომ იმოქმედო, როგორც დიდმა მკურნალმა. გამოარჩიე მშვენიერება უხამსობისგან. დახელოვნებული ქირურგის ოსტატობით ამოჭერი ყოველგვარი ჩახლართულობა ჩემი გულიდან და სიბილწე – ჩემი სექსუალობიდან, რომ მთლიანად შენი ვიყო, შენი სიამისა და მიზნისთვის გამოყოფილი! ვიღებ შენი ჭეშმარიტების სიტყვას და ზურგს ვაქცევ ამ ქვეყნიერების სტანდარტებს იესოს სახელით. ამინ.

სიყვარულით,
შენი ასული

13 მოსაკლავად აღკაზმული

საკომუნიკაციო სიგნალებს ყოველთვის გადავცემთ წინასწარი განზრახვისა თუ მის გარეშე. ჩვენი სათქმელი სამიდან ერთ-ერთი არხის მეშვეობით ხდება: *რასაც ვამბობთ* (ჩვენი სიტყვები და ტემბრი), *რასაც ვაკეთებთ* (ჩვენი მანერები და ქცევები) და *როგორ გამოვიყურებით* (ჩვენი გარეგნობა და ჩაცმულობა). წინა თავში განვიხილეთ ჩვენი საუბარი და მოქმედებები, მაგრამ ჩვენი გარეგნობის გავლენა იგივე მნიშვნელობის ჭეშმარიტებაა, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება. ეს არსებითი საკითხია, რადგან დანახული ადამიანებზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე მოსმენილი. ეს უფრო მეტად მამაკაცებს ეხება, ვიდრე ქალებს, რადგან კაცები მხედველობაზე ორიენტირებული არიან და ვიზუალური მხარით იღებენ ინფორმაციას.

როცა ამას ვხვდებით, შეგვიძლია ამ ძალის ჩვენს სასიკეთოდ გამოყენება და განზრახვების ეფექტურად გადაცემა. ჩვენ არ გვინდა ნარევი შეტყობინებების გაგზავნა და დივერსიის მოწყობა რეალური სათქმელის მიმართ. დარწმუნებული ვარ, გსმენიათ ძველი გამოთქმა: *არასოდეს მოგეცემათ კარგი პირველი შთაბეჭდილების მოხდენის მეორე შანსი.* შესაძლოა, ძველია, მაგრამ ჭეშმარიტი. ჩვენს კულტურაში იმიჯი ყველაფერს ნიშნავს. ვიზუალური მხარე მეტად აშკარა და უკიდურესი გახდა, ხოლო საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებები არასოდეს ყოფილა ასე მრავალფეროვანი. მაგალითად, ყველანაირ თმის ფერს შეხვდებით მწვანიდან იისფერამდე. ტუჩების ფერი აღარ შემოიფარგლება ბუნებრივი ვარდისფერის ან წითლის ტონებით ... ახლა შავია მოდური მიმართულება. ჩვენს გარდერობს ნებისმიერი სიგრძის ან სტილის ტანსაცმელი ავსებს. გამოხატვის ამდენი საშუალება არასოდეს ყოფილა, მაგრამ ზუსტად რის

თქმა გვსურს? უფრო მეტად ეფექტურები გაგვხადა ამგვარმა თავისუფლებამ?

მაგალითად, *თუ ბიჭზე შთაბეჭდილების მოხდენა გონებაგამჭრიახობის მეშვეობით გსურთ, მკერდ- და ჭიპმოშიშვლებული არ უნდა წარუდგეთ.* ამით მთავარი სათქმელი დაიკარგება. თუ სიგნალებს ერთმანეთში აურევთ ან ნარევ შეტყობინებას გაგზავნით, განმარტებისას სათქმელი დამახინჯდება. ბიჭებს თქვენი ხილული თვისებების მიღმა არსებული საოცარი და უხილავი IQ-ს დანახვა მეტისმეტად გაუძნელდებათ.

~ თუ ბიჭზე შთაბეჭდილების მოხდენა გონებაგამჭრიახობის მეშვეობით გსურთ, მკერდდა ჭიპმოშიშვლებული არ უნდა წარუდგეთ.

თქვენი ჩაცმულობა და თავის წარდგენის სტილი არა მარტო ცხად და მყისიერ მესიჯებს უგზავნის სხვა ადამიანებს, არამედ უფრო მეტსაც გულისხმობს, ვიდრე ამის გამხელა გსურთ. იგი გაგცემთ და იმას აფიქრებინებს ადამიანს, რასაც სინამდვილეში წარმოადგენთ, რასაც ენდობით, საიდანაც, თქვენი აზრით, ძალას იღებთ და რა თქმა უნდა, *ვის ეკუთვნით.*

მოდით, მცირე ხნით ამაზე დაფიქრდით. ჩემი ბიჭები მათი სკოლის სხვადასხვა დაჯგუფებებზე ლაპარაკობენ, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად გამოირჩევიან ჩაცმის სტილით. გოთებს გოთური სტილის სამოსი აცვიათ, ხოლო მდიდარი ოჯახის შვილებს – შესაბამისი ძვირადღირებული სამოსი. როცა ბავშვებისთვის რაიმეს ყიდვას ვაპირებ და ვეკითხები, „ამ მაისურზე რას იტყვით?“, ისინი მპასუხობენ, „არა, ეს სკეიტერების ბრენდია“. საიდან უნდა მცოდნოდა? ბიჭებს ნამდვილად აქვთ თავიანთი სისტემური მონაცემები. თუ ისინი სკეიტერები არ არიან, არ ჩაიცვამენ მათთვის დამახასიათებელ ტანსაცმელს. კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ ტერმინები „*თეთრსაყელოიანი*“ და „*ლურჯსაყელოიანი*“. პირველი აღწერს პროფესიონალ ოფისის თანამშრომლებს, ხოლო მეორე – მუშათა კლასს. ეს ტერმინები კონკრეტულ ჩაცმის სტილზე მიუთითებს თანმხლები სიგნალებისა და წინასწარ შექმნილი წარმოდგენების დამატებით.

ამჟამად რას გადასცემთ? რა შეტყობინებებს გზავნით? ისინი ზუსტად ასახავენ თქვენს პიროვნებას თუ უბრალოდ, პოზირებთ? ეს მეტად მნიშვნელოვანი კითხვებია და დრო გამოყავით, რომ მათ გულწრფელად უპასუხოთ. თქვენი გარეგნული იერი და

ჩაცმულობა ზუსტად ასახავს თქვენს პიროვნებას. შესაძლოა, თქვათ, „მე პროფესიონალი ვარ და ჩემი ჩაცმულობა ჩემს პროფესიას შეესაბამება“ ან მოსწავლე ხართ და „მდიდრების“ ჯგუფს ეკუთვნით, რომლის ჩაცმის სტილი ამას ნათლად წარმოაჩენს. მოდით, ამ საკითხს უფრო ღრმად ჩავწვდეთ.

რა გავლენას ახდენთ სხვებზე თქვენი ჩაცმულობით? წაახალისებთ თუ არა მამაკაცებს, რომ ღვთიური აზრები და სურვილები იქონიონ? ადამიანები თქვენს პიროვნებას ხედავენ თუ მხოლოდ თქვენს ჩაცმულობას? როცა სხვები გიყურებენ, რას ხედავენ?

ალბათ, თქვენი ბიბლიური მუხლების მეხსიერების ბანკიდან რამეს მოძებნით და იტყვით, რომ გარეგნობა არაფერს ნიშნავს, ღმერთი გულს უყურებს და ამიტომ გარეგნობის მიხედვით არ უნდა განვსაჯოთ. მადლობა ზეცას, რომ ღმერთი ჩვენს გულებს უყურებს, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ დედამიწაზე ვცხოვრობთ და აქ ყველა გარეგნულ მხარეს უყურებს, რადგან მხოლოდ ღმერთი ხედავს შინაგანს.

> „კაცი მხოლოდ გარეგნობას ხედავს, ხოლო უფალი გულს უყურებს“. (1 სამ. 16:7)

ეს მუხლი ამოწმებს ფაქტს: ჩვენ გვამოძრავებს ის, რასაც ვხედავთ. გვარიგებენ, რომ სიფრთხილე გამოვიჩინოთ და სხვებში დაბნეულობა არ შემოვიტანოთ საკუთარ თავის წარდგენის გზით. გაგვაფრთხილეს, რომ ამაოება წარმავალი იმედია, ამიტომ უგუნურება იქნება გარეგნობაზე მინდობა.

მოდით, დავუბრუნდეთ 1-ლ თავში წამოჭრილ კითხვას: შეიძლება გამომწვევად ჩაცმა? რამდენად შეიძლება სხეულის შიშველი ნაწილების ჩვენება? მინდა, ამ საკითხს უფრო ღრმად გავეცნოთ. მამაკაცებს იმ გზით ვიზიდავთ, რომლითაც ის იმედოვნებს, რომ შეინარჩუნებენ. მაგალითად, გამომწვევი ჩაცმულობა ვიზუალურად სექსის დაპირებას იძლევა. ჩაცმულობა არ არის მხოლოდ თვითგამოხატვის ფორმა, ჩვენი

> *ადვილია უკიდურესობებში გადავარდნა, იქნება ეს მეტისმეტად რელიგიოზური თუ მეტისმეტად თავაშვებული ჩაცმულობა. მინდა, გამოგიწვიოთ, რომ ცოტა მეტი პასუხისმგებლობით იფიქროთ.*

პიროვნული ან პროფესიული ფასეულობების გადაცემის გზა. ეს უფრო მეტია, ვიდრე აქ ჩამოთვლილი. მოდით, ცოტათი ფსონი გავზარდოთ! ... ჩვენ, ღვთის შვილებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ზეციერი მამისთვის პატივის მიგებას უნდა ემსახურებოდეს.

გთხოვთ, არ ჩაიკეტოთ ან უკიდურესობაში გადავარდნილ მორწმუნედ არ შემრაცხოთ და არ წარმოიდგინოთ, რომ უსახური ჩადრის მომხრე ვარ! ... არა! დარწმუნებული ვარ, რომ შეგვიძლია მოდურად და მომხიბლავად გამოვიყურებოდეთ და თან ამ ქვეყნიერებას არ დავემსგავსოთ. თუმცა ამის გაკეთება პიროვნულ სიფაქიზეს მოითხოვს, რადგან *ადვილია უკიდურესობებში გადავარდნა, იქნება ეს მეტისმეტად რელიგიოზური თუ მეტისმეტად თავაშვებული ჩაცმულობა. მინდა, გამოგიწვიოთ, რომ ცოტა მეტი პასუხისმგებლობით იფიქროთ,* თუ რას ჩაიცვამთ?! დღესდღეობით საზღვრები სულ უფრო ბუნდოვანი ხდება და ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს ქრისტიანები ქვეყნიერების საწინააღმდეგო კულტურას კი არა, მიმბაძველ სუბკულტურას წარმოადგენენ.

ისე მოხდა, რომ ამ წიგნის წერისას დღის სატელევიზიო თოქშოუს ვუყურე, სადაც საუბარი იყო დედების სასოწარკვეთაზე მათი ასულების სრული ამბოხის გამო. ჩანდა, რომ გოგონები უარს ამბობდნენ იმ რაოდენობით სამოსის ჩაცმაზე, რითაც ხალხში გამოჩენა შეიძლებოდა. მათ მოსწონდათ სხვების ყურადღება, რომელსაც ჩაცმულობით იპყრობდნენ. ერთ-ერთმა საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილი და მინი სარონგი ჩაიცვა და თან გაბღენძილი დადიოდა. მეორე საკმაოდ ჩასუქებული გოგო ფორთოხლისფერი პარიკით, მჭიდროდ მოჭერილი ბიუსტჰალტერით და უმოკლესი შორტით შეიმოსა. ეს გოგონები მხოლოდ თოთხმეტი და თხუთმეტი წლისები იყვნენ და ორივენი ტრაბახობდნენ სქესობრივ ცხოვრებაში ჩართულობით, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენებით.

ისინი გაცვეთილი მეძავებივით გამოიყურებოდნენ. სადღა იყო რაიმე სახის სიქორფე ან ყმაწვილური უმწიკვლოება! მათი დედები ისე მოთქვამდნენ, თითქოს გარდაცვლილებს გლოვობდნენ, იმდენად სრული იყო მათი გარდაქმნა ბავშვობიდან ქუჩის ქალებამდე. ისინი ცრემლებით ლაპარაკობდნენ მათი გოგონების წარსულ სილამაზესა და სირცხვილის ტკივილზე, რომელიც მათმა ქცევამ ოჯახებს მოუტანა. დედები ჰყვებოდნენ

თავიანთ შიშზე, რომ ერთ დღეს მათ მკვდრებს იპოვნიდნენ რომელიღაც ხეივანში. ამ ფონზე გოგონები იცინოდნენ და დედებს და ნებისმიერს ლანძღავდნენ აუდიტორიიდან, რომლებიც მათ გამოიწვევდნენ. ისინი ისე ბილწისტყვაობდნენ, რომ მათი ბაგიდან გამოსულ ყოველ მეორე სიტყვას ცენზურა ბლოკავდა. ქვითინი ამივარდა მათი სიცრუეში ცხოვრებისა და უმწეო და უიმედო დედების საშინელი სასოწარკვეთის გამო.

ეს დედები, ალბათ, ხავსს ეჭიდებოდნენ, როცა ეგზიბიციონისტი გოგონების ეროვნული ტელევიზიით გამოყვანას დათანხმდნენ, რომ ისინი აზრზე მოსულიყვნენ. რატომ იყვნენ დედები ასე უღონოები? როგორ წავიდა ყველაფერი ასე შორს? სად იყვნენ ამ დროს მათი მამები?

ამ გოგონებში არაფერი იყო ქალური. წარმოდგენა ძალიან უნდა დაგეძაბათ, რომ მათთვის „სექსუალური“ გეწოდებინათ. მათ გარეგნობას უფრო „ბინძურ ავხორცთა“ კატეგორიას მივაკუთვნებდი. მათ ნაცვლად მრცხვენოდა. ვიცი, რომ თავიანთ ცრუ რეალობაში პოპ-მომღერლების დონეზე იდგნენ, მაგრამ სინამდვილეში ასე სულაც არ იყო. როგორც ქალი, თავს აბუჩად აგდებულად მივიჩნევდი მარტო მათი ყურებით. მათში არ იყო სირცხვილი ან სილამაზე, რადგან არც მოკრძალება და არც სიბრძნე არ შერჩენოდათ. იყო მხოლოდ სრული დაუმორჩილებლობა, რომელსაც სახეში ესროდნენ თავიანთ დედებს.

ცხადი გახლდათ, რომ გოგონების აზრით, ტანსაცმელი (ან მისი ჩაუცმელობა) მათ ძალას ანიჭებდა. *მათ შეცდომით გაუთანაბრეს გულისთქმის გაღვივების უნარი პიროვნულ ძალას.* ისინი ქუჩაში მიდიოდნენ და წარმოიდგინეს, რომ მომხვეჭელ კაცებს, სინამდვილეში, ისინი სურდათ. ცოტა მეტი გამჭრიახობა რომ გამოეჩინათ, მიხვდებოდნენ, არც ერთ მათგანს ისინი არ სჭირდებოდა; უბრალოდ, სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილება სურდათ. ამ პატარა გოგონებს აერიათ, რას ნიშნავს პიროვნული ძალით გამარჯვების მოპოვება. ეს სულაც არ ჰგავს იმას, რომ კაცებს მათი ცხოვრების გაზიარება უნდოდეთ. მათ მხოლოდ ძალადობა და შემდეგ მიგდება სურთ, მაგრამ ეს უგუნური გოგონები ამას ვერ ხვდებიან.

~ მათ შეცდომით გაუთანაბრეს გულისთქმის გაღვივების უნარი პიროვნულ ძალას.

მათი ჩაცმულობა ძალაუფლებისთვის ბრძოლის უფრო ღრმა ჭიდილის მაჩვენებელია. წარსულში, როცა ერთი ქვეყანა მეორის წინააღმდეგ იბრძოდა, გამარჯვებული თავს უფლებას აძლევდა, რომ ყველაფრის განადგურების პრივილეგიით ესარგებლა. ეს ბოლო დარტყმა ყველაზე დამამცირებელი შურისძიება და უფრო დიდი სისასტიკე გახლდათ, რაც კი შეძლებოდა ბრძოლის ველზე გენახათ. ისინი სახლებისა და ოჯახების უსაფრთხოებასა და პატივს ემუქრებოდნენ სახლების გადაწვით და ქალების გაუპატიურებით. ეს დამარცხებული მტრის საბოლოო დეგრადაციად ითვლებოდა. რასაკვირველია, არ არსებობს ისტორიული ჩანაწერი ქალებზე, რომლებსაც ეს რბევა სიამოვნებას ანიჭებდათ. ისინი თავზარდაცემული გაურბოდნენ იმ მეომრებს.

თუმცა ეს დაბნეული გოგონები, რომლებიც თოქშოუში ვნახე, არასოდეს მიიჩნევენ ამას გაუპატიურებად და ძალადობად. ისინი ვერც კი აცნობიერებენ, რომ აქ მთავარი სექსი კი არა ადამიანისთვის პატივის მიგებაა. ისინი ქუჩებში ხვდებოდნენ კაცებს, უხაროდათ მათი ნახვა და ფიქრობდნენ, რომ რაღაც ჯილდოს იღებდნენ, თითქოს მათმა სილამაზემ მოიზიდა ეს მტაცებლები. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ყოველი ახალი სექსუალური კავშირის შემდეგ უფრო მეტად ეძლეოდნენ გადაგვარებას. მათი სილამაზისა და ქალურობის სახე სწრაფად დაკნინდა ხუთდოლარიან მეძავამდე, რომელსაც სექსუალური შვების მისაღებად იყენებენ.

მათი ჩაცმულობა ძალაუფლებისთვის ბრძოლის უფრო ღრმა ჭიდილის მაჩვენებელია.

მოდით, განვიხილოთ ცდუნების ეს სახე, რომელსაც მრავალი ბაძავს ძალაუფლების მოპოვების ცრუ დაპირების გამო. რას გვეუბნება ეს იმიჯი? ამ ბანაკში მრავალი მაცნეა, რომლებსაც შეიძლება ყური მივუგდოთ. მათი დიაპაზონი მოზარდებიდან იწყება და ქირურგიულად გაუმჯობესებული ბეიბი-ბუმერებით (დემოგრაფიული აფეთქების პერიოდში დაბადებულები) სრულდება. ეს სახეები აგდებულად გვიმზერენ ჟურნალების გარეკანებიდან ყველა აეროპორტში, მარკეტებსა თუ სასურსათო მაღაზიებში. ამაყად აწეული თავებით და გადიდებული მკერდით გადმომდგარები გვეუბნებიან: „მე ძლიერი

ვარ! უსმინე ჩემს სიბრძნეს!“ *Cosmo, Allure, In Style* და სხვა ქალთა ჟურნალები თხელი თეძოებისა და ამაღელვებელი სექსის საიდუმლოს გვპირდებიან. ისინი თქვენგან საუკეთესო მეძავს შექმნიან.

ერთხელ რიგში დგომისას, სადაც შეუძლებელი იყო გამოფენილი ჟურნალებისთვის თავის არიდება, ჩემი ცხრა წლის ვაჟი მომიახლოვდა და წამჩურჩულა: „დედა, ეს ქალი ისე მიყურებს, თითქოს ჩემი შეჭმა უნდა!“ ვფიქრობ, მისმა გარყვნილებამ ჩემი შვილი დააფრთხო. ჩემი აზრით, მათი სახეები ზოგიერთ მამაკაცზეც იგივე შთაბეჭდილებას ახდენს, თუნდაც ეს გრძნობა მათთვის უცნობი იყოს ჩემი უმანკო შვილის მსგავსად.

ვულგარული, აგრესიული და ურცხვი მაცდუნებელი გარეგნობა მამაკაცთა ვაჟკაცურობას ემუქრება, თავდაპირველად, აღგზნების საბაზისო დონესთან კავშირის მეშვეობით. კაცი ჰაერშივე შეიგრძნობს პოტენციურ დაპყრობას და ტესტოსტერონის დონე საგრძნობლად იწევა მის წინ არსებული გამოწვევის შესაბამისად. ამის შემდეგ მას საკუთარი ძალაუფლების აღდგენა სჭირდება ქალის დაცემით. თითქოს კაცებს გამუდმებით მასხარად იგდებენ სექუსალურად აგრესიული ქალები ჟურნალების გვერდებიდან დაწყებული, ბილბორდებით დასრულებული, რომ აღარაფერი ვთქვათ მუსიკალური კლიპებში მბრუნავ მომღერლებზე და ყველანი ერთხმად ამბობენ: *გინდა ჩემი პატარა ნაჭერი? შეგიძლია, მიყურო, მაგრამ ვერასოდეს მომწვდები.* ეს სახეები მამაკაცთა გონებაში რჩება, მაგრამ რახან ჟურნალების ან ტელევიზიის ქალების მოპოვება არ შეუძლიათ, ისღა დარჩენიათ, რომ ასეთებად თავის მომჩვენებლები ეძებონ.

კაცებმა ყველა ქალთა ჟურნალსა და პორნოგრაფიულ პუბლიკაციებს რომ დაუჯერონ, იფიქრებენ, რომ ქალებს მართლა უნდათ სექსუალური კავშირები მაშინაც, კი როცა *არას* ამბობენ. ისინი იფიქრებენ, რომ რასაც ვამბობთ, იმას არ ვგულისხმობთ; ეს გარკვეული სექსუალური ფანტასტიკური თამაშის მხოლოდ ნაწილია. ფილმებშიც კი უფრო გაზვიადებულად წარმოადგენენ სექსისა და ძალაუფლების კავშირს, ვიდრე სექსისა და სიყვარულის ძველმოდური ცნების შემთხვევაშია. სექსისა და სიკვდილის ჩახლართულობაც არსებობს. დანამდვილებით ვერასოდეს იტყვი: წყვილს ერთმანეთთან სექსი უნდა თუ ერთმანეთის დახოცვას აპირებენ.

გამოიღვიძეთ! ნუ მოუსმენთ ამ ტყუილებს! სად არის ის ძალაუფლება, რომელსაც დაგპირდნენ? ეს მხოლოდ წარმავალია. თქვენ კი არ იმარჯვებთ, არამედ გიპყრობენ. გაგაშიშვლეს და ნამუსი აგხადეს. სად არის თქვენი პატივი? სად არის თქვენი ძალა? სად არის თქვენი ღირსება? ხელიდან გაგისხლტათ.

— გამოიღვიძეთ! ნუ მოუსმენთ ამ ტყუილებს! სად არის ის ძალაუფლება, რომელსაც დაგპირდნენ?

როცა ამ ქალებს ვუყურებ, უგუნურებას ვხედავ. შესაძლოა, გარეგნულად ლამაზად გამოიყურებიან, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათ შინაგანში ნამდვილი მშვენების სიღრმეები აღმოვაჩინოთ. ნამდვილი სილამაზე მისი დაცვის და შენარჩუნების სურვილს აღგვიძრავს. ჭეშმარიტი ქალური მშვენება ახალგაზრდასა და ხანდაზმულს თანაბრად ამშვენებს სიყვარულით. ჩვენს თვალწინ მოფარფატე სახეები ცოტა ვინმეს თუ მიეპირფერებიან ახალგაზრდების გარდა, რომლებიც გაშიშვლებას ბედავენ. ცდუნების მკლავებში სინორჩე, უსაფრთხოება და ცხოვრებისეულ ქარიშხლებში ნუგეშისცემის დაპირება არ მოიპოვება. შესაძლოა, იფიქროთ, რომ ჩემი ასაკის გამო თქვენი მშურს, მაგრამ ასე არ არის. კარგად ვხვდები, რა მიზიდულობა აქვს ამ სახეებს და როგორ იძლევიან ძალაუფლების დაპირებას. მეც ვყოფილვარ იმ ადგილას და გამიკეთებია კიდეც, მაგრამ გულში სიცარიელე და ისეთი ადამიანის პოვნის წყურვილი დამრჩენია, რომელსაც გულით ვეყვარებოდი და დამიცავდა. დამღალა მეომრობამ ან გამოწვევამ და ამის ნაცვლად ძალიან მომინდა, ვინმეს მხურვალედ შევყვარებოდი.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, თუ ქალს ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში ჯანსაღი ურთიერთობა არ ჰქონდა საკუთარ მამასთან, ეს უარყოფითად აისახება მამაკაცებთან მის დამოკიდებულებაზე (რასაკვირველია, თუ მას ჩემსავით პრინცი არ გაიტაცებს.) მამებმა თავიანთი ასულები გულით უნდა შეიყვარონ და ისე მოექცნენ, როგორც მშვენიერ საგანძურს. ცალი თვალი ხუთი წლის ასაკში დავკარგე და მასთან ერთად ლამაზად და ქალურად თავის შეგრძნების იმედიც. სკოლაში „ცალთვალას“ ან „ციკლოპს“ მეძახდნენ და არც ერთი სახელი არ მაძლევდა საშუალებას, რომ თავი სასურველად მეგრძნო. თვალის დაკარგვის შემდეგ მამა ძალიან დამშორდა და ვისწავლე,

რომ მაგარი უნდა ვყოფილიყავი თავის გადასარჩენად. თუ ოდესმე მამას ჩემთან ურთიერთობა მოსურვებია, მხოლოდ სიამაყის გრძნობის გამო, რომ ასეთი სქელკანა ვიყავი. იგი მოფერებით „ვეფხვს“ და „პატარა ჩხუბისთავს“ მეძახდა. ამ იმიჯს როგორღაც არ ერგებოდა კაბები და ქალური რამეები. თავდასაცავად გადავწყვიტე, რომ არასოდეს ვყოფილიყავი ნაზი და ქალური არსება.

ერთ შაბათ დღეს საშუალო სკოლაში ფილმს ვუყურე და მასში ერთი ქალი აღმოვაჩინე, რომელსაც ძალიან ვგავდი. მას არ ეცვა ვარდისფერი ტანსაცმელი და არაფერი ფურჩალებიანი ან მაქმანებიანი. მისი ცხოვრება საოცარ თავგადასავალს ჰგავდა. ის ბონდის ერთ-ერთ ელიტური გოგო იყო (როგორც ჯეიმსშია). *რასაკვირველია, გაცილებით მომწონდა სექსუალურ შარვლებში გამოწყობილი, იარაღიანი და ბიჭებთან ერთად მორბენალი მაცდუნებელი გოგოები.* მათ თავი მაგრად ეჭირათ მამაკაცებთან და ვერავინ ბედავდა მათ უგულებელყოფას. ამ გოგოებს არ სჭირდებოდათ კაცების დაცვა ... ისინი ამას თავადაც ახერხებდნენ.

— რასაკვირველია, გაცილებით მომწონდა სექსუალურ შარვლებში გამოწყობილი, იარაღიანი და ბიჭებთან ერთად მორბენალი მაცდუნებელი გოგოები.

ამ ტიპის ქალები ადრე ჟურნალში ვნახე. მე და ჩემმა მეგობარმა მამამისის უჯრაში ვიპოვეთ. მას *Playboy* ერქვა. ვიფიქრე, რომ ასეთი ქალები საიდუმლოდ ყველა კაცს სურდა და ამიტომ შემოიყვანეს სახლში. აქვე უნდა გაგაფრთხილოთ, დედებო და მამებო! არც კი იფიქროთ, რომ სახლში რაიმეს დამალვას შეძლებთ! ეს გამორიცხულია. ამ ტიპის მასალას თავისი ხმა აქვს, რომელიც თქვენს შვილებს ეძახის, სანამ მას არ იპოვიან.

ახლა ისევ ჩემს ამბავს დავუბრუნდეთ: ფილმის ყურების დროისთვის ცამეტი წლის ვიყავი და უკვე ვიცოდი, რომ კაცების ნდობა არ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემმაც დაიხსნა თავი ჩვენგან და ვივარაუდე, რომ ერთხელაც ნებისმიერი კაცი მიგატოვებს. ამ წინასწარგანწყობამ ერთი სეროზული შეცდომა დამაშვებინა, რამაც ასეთ ნორჩ ასაკში ზეგავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებზე. ირგვლივ არსებული კულტურა ისევ მიმტკიცებდა ჩემი არჩევანის მიმზიდველობას, რასაც თან ერთვოდა სატელევიზიო შოუს – *ჩარლის*

ანგელოზების პოპულარობა, როცა უკვე უფროსკლასელი ვიყავი.

ერთხელ ზედა კლასებში მხარდაჭერის ჯგუფის შეკრებაზე ერთი ამბავი მოხდა, როცა ჩვენი ჯგუფი სკეტჩს ამზადებდა *"California Girls"* სიმღერის თანხლებით. უნდა გითხრათ, რომ მაშინებდა ყველაფერი, რაც თუნდაც ორი ადამიანის წინაშე გამოსვლასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც აღმოვჩნდი სკეტჩის მზადებაში ჩართული. მე უნდა მემღერა შემდეგი სტრიქონი: „და ჩრდილოელი გოგოების კოცნა მათ შეყვარებულებს ათბობს ღამით". ვერ წარმომედგინა, როგორ შევძლებდი ამ სიტყვების წარმოთქმას ისე, რომ გული არ წამსვლოდა. თუმცა სკეტჩის წინა საღამოს ყველაფერი შეიცვალა, როცა სახლში ჩემი გამოსასვლელი კოსტიუმი მოვისინჯე: დედაჩემის მაღალქუსლიანი ტყავის ჩექმები, რომელიც მუხლებამდე მწვდებოდა, შავი, მოტკეცილი შარვალი და ტანზე მომდგარი სვიტერი. ჩემს გამოსახულებას განცვიფრებული ვუცქერდი. ცოტათი ბონდის გოგოს ვგავდი! მომდევნო დღეს ჩემი ქერათმიანი მეგობრები და მე (ყოველთვის შავთმიანი) ერთად შევიკრიბეთ გასახდელში კოსტიუმების ჩასაცმელად. ერთ გოგონას კომბინიზონი ეცვა, მეორეს – საყვარელი საზაფხულო მოკლე სამოსი, ხოლო მესამეს – ტყავის ქურთუკი და ჯინსები. მე ისევ ვნერვიულობდი, სანამ დერეფანში ჩემი გამოსვლის ნიშანს ველოდებოდი, მაგრამ დარბაზში შევაბიჯე თუ არა, გავიგონე, როგორ გაგიჟდნენ ბიჭები და ყველაფერი შეიცვალა. მაგარი ქალი სექსუალური ძალაუფლებით – ნამდვილად ღირდა ამ გზით სიარული! დავიწყე ჩემი იმიჯის მორგება და უფრო მეტად მივიწევდი წინ ამ მიმართულებით, მაგრამ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მეტს ვკარგავდი, ვიდრე ვიღებდი.

მოდით, უკან დავბრუნდეთ და უფრო რეალისტურად შევხედოთ ჯეიმს ბონდის გოგოებს, რომლებიც სულ თან დასდევდნენ. თუ სწორად მახსოვს, *აგენტი 007*-ის ყოველ ფილმში, სულ მცირე, ერთი ქალი მაინც კვდებოდა. დასასრულს, ჯეიმსი ყოველთვის ჩაიწვენდა საწოლში დარჩენილ ცოცხალ ქალს, მაგრამ ამის შემდეგ მათი გზები სამუდამოდ იყრებოდა. აგენტს ახალი თავგადასავლები ელოდა, თუმცა ხსენებული ქალები მასში აღარ მონაწილეობდნენ. ყოველ ახალ სერიაში ახალი ლამაზმანი

ჩნდებოდა; ჯეიმსი ასრულებდა ქალთან ურთიერთობას, რაკი ერთხელ მაინც აღმოჩნდებოდნენ მის საწოლში. სინამდვილეში, ისინი „ბონდის ქალები“ იყვნენ, ასულები, რომლებიც მაშინვე კარგავდნენ თავიანთ ძალაუფლებას, როგორც კი დათმობაზე მიდიოდნენ.

ვიცი, რომ ეს უხეში, მაგარი და სექსუალურად გამბედავი ქალი, თავდაპირველად, მამაცი მოგეჩვენებათ, მაგრამ ასე არ არის. *ბონდის ყველა ქალს რაღაცის ეშინოდა,* განსაკუთრებით, თუ ვითარებას ისინი არ მართავდნენ. *(თქვენი აზრით, რატომ ატარებდნენ იარაღს?)* ბევრ მათგანს არასოდეს მიუღია დაცვა და სიყვარული, რომელიც ხორციელი მამებისგან სჭირდებოდათ პატარაობისას, ამიტომ გადაწყვიტეს კაცებს აღარასოდეს მინდობოდნენ. სხვები უყვარდათ და ზრუნავდნენ მათზე, მაგრამ ამ წუთისოფლის კულტურას მიუგდეს ყური, რომელიც ღმერთზე მეტად თავიანთ სილამაზეზე მინდობას უკიჟინებდა. ამის გამო მათ უამრავი მამაკაცის მოწონების ძიება დაიწყეს. საბოლოო ჯამში, ბონდის ყველა ქალი თამაშგარე რჩებოდა. ის ფაქტი, რომ მიმზიდველი ქალები იყვნენ, არ ნიშნავდა მათ შინაგან თავისუფლებას.

> *ბონდის ყველა ქალს რაღაცის ეშინოდა... (თქვენი აზრით, რატომ ატარებდნენ იარაღს?)*

> „თუმცა, აი, რას ამბობს წერილი: „განდევნე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან მხევლის ძე ვერ გახდება მემკვიდრე თავისუფლის ძესთან ერთად!“ ამრიგად, ძმებო, მხევლის შვილები კი არა ვართ, არამედ - თავისუფლისა!“ (გალ. 4:30-31)

ჩვენი კულტურა მეტ შანსს გვაძლევს, რომ დავუკავშირდეთ ეგოისტ, დატყვევებულ ასულს, ვიდრე თავისუფალ ქალს. მრავალი სხვა ახალგაზრდა გოგონას მსგავსად, მეც გავატარე ერთი გრძელი შაბათი შუადღის კინოსეანსზე და *ქარწაღებულნი* ვნახე. ვიცი, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მინდოდა სკარლეტი ვყოფილიყავი ... რაც ელდისმომგვრელია, რადგან ის ბოლოს ყველაფერს კარგავს! არასოდეს მიოცნებია, რომ უნებისყოფო მელანი ვყოფილიყავი. მხოლოდ ეს ორი არჩევანი რომ მქონოდა, რასაკვირველია, არ ვისურვებდი ვინმეს მუდმივ ტირილსა და გულის წასვლაზე გამოვეჭირე. რა თქმა უნდა, მათ

უნდოდათ, გვერწმუნა, რომ სხვა არჩევანი არ გვქონდა; თქვენ ან საყვარელი, სუსტი, გულშეღონებული, გამგონი, ყვავილივით ნაზი მდედრი უნდა ყოფილიყავით, რომელიც ნაადრევად კვდება ან ძლიერი და ბრაზიანი ქალი, რომელიც მკვლელობაზეც კი წავა, ოღონდ მიზანს მიაღწიოს და ძალიან გვიან აღმოაჩინოს, რომ დაკარგა ის, რაც გულის სიღრმეში უყვარდა.

სხვა ვარიანტებიც არსებობს და სწორედ რომ დროა, შევიტყოთ, კერძოდ, რა?! ქალისთვის თავის შემკობის უმაღლესი და უფრო ძლიერი გზაც იპოვება. ის სრულიად არ მოითხოვს რაიმე კოსტიუმის მორგებას (როგორც მე ჩემს სკეტჩში) ან თავდასაცავი იარაღის ფლობას. ეს ქალი გაცილებით ძლიერია, ვიდრე რაღაც ილუზიის მიერ წარმოსახული სექსუალური აგრესორი. კაცებს მასზე შეტევის განხორციელება არ უნდათ; კაცები მის ღირსად გახდომას ნატრობენ. ეს გახლავთ სიცოცხლის გამღები და არა მიმტაცებელი. ეს ქალი სიბრძნით არის შემოსილი და მისი ჩაცმულობა ყოველთვის შესაფერისია. ის არ იწვევს კაცებს, რომ მდაბალი ინსტინქტები და აგრესიულობა გამოამჟღავნონ, არამედ ამხნევებს მათ, რომ იყვნენ გულისხმიერნი, მზრუნველი და ბრძენნი.

~ სხვა ვარიანტებიც არსებობს და სწორედ რომ დროა, შევიტყოთ, კერძოდ, რა?!

ვშიშობ, რეგულარულად როდი აქვეყნებენ ქალური მისტიკის ამგვარ სახეს ჟურნალების გარეკანზე, ამიტომ ძნელია რეალური, საყოველთაოდ ცნობილი მაგალითების მოძებნა. ასეთი ქალი კეთილშობილი და იშვიათია. მას საერთო არაფერი აქვს სასურსათო მაღაზიაში გაკრულ ხორციელ, გავრცელებულ იმიჯთან. მისთვის შესაფერისი გარდერობის მოძებნა რომ მომენდომებინა, დროში უკან წასვლა დამჭირდებოდა უფრო საყვარელი ვითარების მოსაძებნად. მისი კაბის სილამაზე ნებისმიერს დაამშვენებდა ასაკის ან ფორმების მიუხედავად. მას ადვილად ავარჩევდი ჯეინ ოსტინის ფილმიდან ან თანამედროვე კონკიას ამბიდან, *Ever After* ან თუნდაც *ბენ ჰურის* კოსტიუმებიდან. ის ძალზე შორის იქნებოდა *უნისექს* ტანსაცმლისგან და ქალურობის არსს წარმოაჩენდა. ალბათ, ყველაზე მიახლოებული ნიმუში ჩემი საქორწინო კაბა იქნებოდა.

ხშირად, როცა სხვა ეპოქაზე გადაღებულ ფილმს ვუყურებ, ამოვიოხრებ და კითხვას ვსვამ: *რატომ არ შეუძლიათ ასეთი*

კაბების დამზადება დღეს? დარწმუნებული ვარ, რომ იცით კაბის სახეობა და ალბათ, თქვენი საყვარელი ნიმუშიც გაქვთ არჩეული. ისინი ისე მშვენივრად გამოიყურებიან; თითქოს მათი შეხების და გაფუჭების გეშინია. ამ სამოსში არაფერი ყვირის ... არამედ თავიდან ბოლომდე ნაზად მღერის – მშვენივრად! მიმზიდველია, მაგრამ მოკრძალებული. როცა ზეცაში წმიდანთა სამოსელზე ვკითხულობ, აღმოვაჩენ, რომ ისინი დიდებას ასხივებენ და მათი ტექსტურა ანათებს. მათში არაფერია მიწიერი ან ჭყეტელა; ისინი ერთიანად მშვენიერია.

მოდით, ღვთის სიტყვას დავუბრუნდეთ გარეგნული მხარის სიწმიდესთან დაკავშირებული რჩევის მისაღებად. მას ვეკუთვნით, ამიტომ ისე უნდა ჩავიცვათ, როგორც ეამება, მიუხედავად იმისა, მარტოხელა ვართ, ქვრივი, ქმარს გაშორებული თუ დაქორწინებული. ღმერთმა მოგვიწოდა, რომ მისი ლამაზი და უშიშარი აღთქმის ასულები ვიყოთ. თავისუფლები რომ დავრჩეთ, სულში ცხოვრებას ვირჩევთ, რადგან ეს არის ღვთის სიტყვის მითითებების უკან არსებული მოტივი. მოდით შევკრიბოთ ახალი აღთქმის რამდენიმე მონაკვეთი, რომლებიც ჩაცმულობას ეხება. პირველი ჩანს პავლეს მითითებაში ტიმოთეს მიმართ:

> „ასევე დედაკაცებიც, შესაფერისი სამოსლით, მორცხვობით და თავშეკავებით შემკულნი; არა ნაწნავებითა და ოქროთი ან მარგალიტებითა და ძვირფასი ტანსაცმლით, არამედ კეთილი საქმეებით, როგორც შეჰფერით დედაკაცებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა ირჩიეს“. (1 ტიმ. 2:9-10)

ჩემი აზრით, აქ რამდენიმე დიდი იდეა იპოვება. პირველი და უმთავრესი, ქალის ჩაცმულობა უნდა იყოს *შესაფერისი*; ეს ნიშნავს, რომ მასში არ უნდა ჩანდეს ქედმაღლობა და საკუთარი თავზე ყურადღების მიქცევის მცდელობა. მეორე, ის უნდა იყოს, კდემამოსილი, რაც ნიშნავს წმიდას, ზნეობრივს, სათნოს. ძალიან ბევრი მუხლი არსებობს მის ანტონიმებზე, უხამსსა და გარყვნილზე. თქვენთან გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ კითხვები მიჩნდება ეკლესიაში მოსიარულე ახალგაზრდა გოგონებისა და მარტოხელა ქალების ჩაცმულობასთან დაკავშირებით. მახსოვს, როგორი განსხვავებული ვიყავი, როცა გადარჩენა მივიღე, რადგან მხოლოდ „წარმართული“ გარდერობი მქონდა, მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ. ეკლესიაში

გაზრდილ გოგონებში კდემომასილების დიდი ნაკლებობა შეინიშნება. ჩემთან ხშირად მოდიან ახალგაზრდა ბიჭების დედები ასეთი სათხოვრით: „უთხარით ახალგაზრდა გოგონებს, რომ მათი ჩაცმულობის სტილი ნამდვილად ცუდ გავლენას ახდენს ბიჭებზე!“ ამ მონაკვეთში კიდევ ერთი განსაზღვრებაა მოყვანილი – *თავშეკავებული.* ეს ნიშნავს პატივისცემის გამომხატველს. უბრალოდ, წარმოიდგინეთ სავარჯიშო დარბაზის სპორტულ ფორმაში გამოწყობილი სტუმარი ქორწილში. იგი ვერაფრით მიაგებს პატივს ნეფე-დედოფალს. *ჩვენ ტანსაცმლის არჩევითაც მგრძნობიარეები უნდა ვიყოთ სხვების პატივისცემის საქმეში.*

> *ჩვენ ტანსაცმლის არჩევითაც მგრძნობიარეები უნდა ვიყოთ სხვების პატივისცემის საქმეში.*

პავლე სამოსის გარეგნულ დეტალებსა და კეთილი საქმეებით შემკობას შორის კონტრასტს გვაჩვენებს. მას მეტად არაამქვეყნიური აზროვნება აქვს, რადგან ზეცა იხილა და იცის, რომ მიწიერი იქაურს ვერაფრით შეედრება. იგი ქალებს ურჩევს, რომ არ დახარჯონ დრო და რესურსები ამქვეყნიურ სიმდიდრეზე. მოაგროვეთ თქვენი საგანძური ზეცაში და შეიმკეთ კეთილი საქმეებით.

ქრისტიანი ქალის სამოსთან დაკავშირებული მითითებების კიდევ ერთ ჯგუფს ვპოულობთ 1 პეტრეს წერილში:

> „ზედაპირული ნუ იქნება თქვენი მშვენება: თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებსა ან ჩაცმულობაში, არამედ შინაგან, დაფარულ კაცში, უხრწნელ სილამაზეში, ფაქიზ და მშვიდ სულში, რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე. ასე იმკობდნენ თავს წარსულში ღვთის მოიმედე წმიდა ცოლები, ემორჩილებოდნენ რა თავიანთ ქმრებს“. (1 პეტრ. 3:3-5)

პეტრე ამბობს, რომ შემკობას მხოლოდ გარეგნული სახე არ უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებით, თუ შინაგანი სილამაზე უგულებელყოფილია. შემდეგ ის წმიდა ქალის სილამაზის საიდუმლოებას გვიმხელს, რაც არის ფაქიზი და წყნარი სულის განვითარება. ამგვარი სილამაზის მთავარი ფაქტორი ღმერთზე მინდობის სწავლა გახლავთ. პავლე ქალებს მოუწოდებს, რომ კეთილი საქმეებით შეიმკონ, ხოლო პეტრე უხილავ საუნჯეზე ყურადღების გამახვილებას გვირჩევს. თუ სულს ისე

განვავითარებთ, როგორც ძველად წმიდა ქალები იქცეოდნენ, მადლისა და ქების სამოსელს ჩავიცვამთ. ის არასოდეს გაცვდება, არამედ დროთა განმავლობაში მეტ ბრწყინვალებას შეიძენს.

„ერიდეთ ყოველგვარ ბოროტებას“. (1 თეს. 5:22)

ჩვენი სამოსი მაცდუნებლად არც კი უნდა გამ,ოიყურებოდეს. ეს კი ბონდის გოგოების გარდერობიდან ბევრი რამის ამოღებას გულისხმობს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამის თქმა არ გჭირდებათ, მაგრამ გავიმეორებ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ღრმა დეკოლტეს, ჭიპის ან ფეხების მთელ სიგრძეზე გამოჩენა შეუფერებელია საეკლესიო მსახურების, ახალგაზრდული ჯგუფების ან ბუნებაში ლოცვა-მარხვით გასვლისთვის. ასევე მიუღებელია მეტისმეტად შემოტმასნილი ზედები, შარვლები და კაბები, რომლებიც წარმოსახვისთვის აღარაფერს გიტოვებენ. შესაფერისი ტანსაცმლის დიდი არჩევანი ნამდვილად არ გვაქვს, რადგან მათი უმრავლესობა კდემამოსილებით სულაც არ გამოირჩევა და მკერდზე, ჭიპზე, ფეხებსა და თეძოებზე ყურადღების მიზიდვას ისახავს მიზნად. ეს ზრდილობიანი საქციელი არ გახლავთ, რადგან სხვებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ ... განსაკუთრებით ჰორმონებით მართულ, ვიზუალური მხარით დაინტერესებულ მამაკაცებს. მათი გამოწვევა არ შეეფერებათ გოგონებს, რომლებიც აღმსარებელი ქრისტიანები არიან და ღმერთს ეკუთვნიან. მინდა, კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს გარდერობს და სულიწმიდას სთხოვოთ, რომ თავად იყოს თქვენი კონსულტანტი სამოსის შერჩევაში. ასევე დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები: *არის ეს კდემამოსილი? შესაფერისი? თავშეკავებაში ჩამეთვლება, რასაც ახლა ვიცვამ? პატივს მიაგებს მას, ვისაც ვეკუთვნი? რა გავლენას მოვახდენ ამ სამოსით ჩემს ირგვლივ მყოფ მამაკაცებზე? პატივს მივაგებ მათ და ვუბიძგებ, რომ სიწმიდეს მიყვნენ?*

მტერს თქვენი გახდა, სასაცილოდ აგდება და თქვენი სხეულით ვაჭრობა უნდა, მაგრამ ზეციერი მამა მშვენებით, ძალით, ღირსებით და პატივით გმოსავთ, რაც მარადიულად გაძლებს.

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

შემმოსე შენს ძეში. ღირსების, ძალისა და პატივის სამოსით სიარული მინდა. მომეცი სიბრძნე და გაგება, რომ არ ვიარო ამ ქვეყნიერების მოთხოვნების თანახმად, არამედ ზეცის მიზნების გათვალისწინებით. დაფარე ყოველი სფერო, რომელიც სიშიშვლის სირცხვილით გამოვაჩინე. მინდა აღთქმის თავისუფალი ასული ვიყო! ვინანიებ სექსუალური აგრესიისა და ცდუნების სახის გამოყენებას და ზეგავლენას! აღადგინე ჩემი ქალური იდუმალების უმწიკვლოება და მშვენება! არ მინდა შიშველი და შერცხვენილი ვიყო, არამედ თავისუფალმა ვიცეკვო სინათლეში!

სიყვარულით,
შენი ასული

14 სინანულისგან თავისუფალი ცხოვრება

სინანულისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მიზანმიმართულად უნდა იმოქმედოთ და მომავალს თვალი გაუსწოროთ. *შეუძლებელია გონებაში ოცნების ან საბოლოო დანიშნულების ქონის გარეშე ცხოვრობდეთ და ელოდებოდეთ, რომ თავისთავად აღმოჩნდებით იქ, სადაც მისვლა გინდათ.* მეტისმეტად ხშირად გამოვფხიზლდებით ისეთ ადგილას, სადაც წასვლა საერთოდ არ გვინდოდა, თან არასასიამოვნო ტიპის ტრანსპორტით. შესაძლოა, მოუხერხებელი საწოლის თეთრეულში გახვეული აღმოჩნდეთ და გაკვირვებული ფიქრობდეთ, როგორ დაასრულეთ სინანული ამ პირქუშ ქვეყანაში. სინანული საშინელი დანიშნულების პუნქტია და მისკენ გამგზავრება ცხოვრების დიდ ნაწილს და ძალას გვართმევს. სწორედ ამიტომ, ბიბლია ბევრ რჩევას გვაძლევს ამ კოშმარის თავიდან ასარიდებლად. ხსენებულ სიბრძნეზე ამ თავში მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

> *შეუძლებელია გონებაში ოცნების ან საბოლოო დანიშნულების ქონის გარეშე ცხოვრობდეთ და ელოდებოდეთ, რომ თავისთავად აღმოჩნდებით იქ, სადაც მისვლა გინდათ.*

სინანული ის ემოციაა, რომელსაც ენით გამოუთქმელი ტკივილის მიყენების წარმოუდგენელი უნარი აქვს. იგი თქვენს გულს სასოწარკვეთის მძიმე მოსასხამში ხვევს და უიმედობის სიღრმეებში ჩაძირვას გაიძულებთ. ბავშვობაში სინანულის გრძნობას ისე კარგად არ ვიცნობთ, როგორც ვიცნობთ მის შედეგს. ბავშვობა ჩვენი ცხოვრების შედარებით ლაღი პერიოდია, სადაც ნათელია მიზეზი და მიღებული ეფექტი ... *თუ ასე მოვიქცევი, ამას დავკარგავ.* არჩევანი დეტალების მაქსიმალურად გულმოდგინე დამუშავების შემდეგ უნდა იქნას მიღებული, რომ ბავშვებს საღი და გონივრული არჩევანის

გაკეთებაში დაეხმაროთ. თუ ყველაფერი ნათლად არის გადმოცემული, ცუდ არჩევანს მხოლოდ მაშინ გააკეთებ, როცა ფიქრობ, რომ შეგრჩება. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ასე ვფიქრობთ.

მახსოვს ხუთი წლის რომ ვიყავი, ამიკრძალეს ქუჩაზე გადასვლა, თუ თან დედა ან რომელიმე უფროსი ბავშვი არ მახლდა. ეს ჩემთვის გამოუთქმელი უხერხულობის მიზეზი იყო მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემმა ნათლად განმიმარტა, რატომ იყო მნიშვნელოვანი მისი მითითებების დაცვა. მესმოდა, რომ მოძრაობით გადატვირთულ ქუჩაზე ვცხოვრობდით და მანქანები ბლინივით გამაბრტყელებდნენ ... *მაგრამ* სხვა ბავშვებს გზის ორივე მხარეს გახედვის უფლება ჰქონდათ, მე კი პირადი თანმხლები მჭირდებოდა.

ერთხელ ძალიან მომინდა ჯენიფერთან სტუმრობა, რომელიც გზის მეორე მხარეს ცხოვრობდა, ასე რომ, დედამ ხელჩაკიდებული წამიყვანა და კარამდე მომყვა. კარზე დავაკაკუნე თუ არა, შიგნიდან ხითხითი მომესმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი თანმხლების გამო იცინოდნენ. დედას დამშვიდობების ნიშნად ხელი დავუქნიე და უზრუნველი ნეტარების რამდენიმე საათის გასატარებლად შევედი. როცა სახლში დაბრუნების დრო დადგა, ჯენიფერის დედამ გამყოლად თავისი უფროსი ქალიშვილი შემომთავაზა, მაგრამ ჩემთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო! მას გავაგებინე, რომ საკმარისად დიდი ვიყავი იმისთვის, რომ ქუჩა ჩემით გადამეჭრა. მოვატყუე, რომ დედამ სახლში თანმხლების გარეშე დაბრუნების უფლება მომცა. მხრები გავმართე და გაჭიმული გავემართე ქუჩისკენ, მაგრამ როგორც კი ეს გავაკეთე, მუცელი საშინლად ამეწვა. ამას ყურადღება არ მივაქციე, ორივე მხარეს გავიხედ-გამოვიხედე და ქუჩა წარმატებით გადავჭერი. იმდენი სიფრთხილე კი გამოვიჩინე, რომ ზუსტად ჩემი სახლის წინ არ გადავსულიყავი და როცა მეორე მხარეს აღმოვჩნდი, ხეების რიგს გავუყევი და საჩქაროდ მივირბინე სახლის კართან. ზუსტად იმ დროს შევედი, როცა დედა ყურმილს კიდებდა.

– დე, მოვედი!

შემდეგ გამოვაცხადე, რომ ჩემი საწოლი ოთახისთვის ფუტ-კრების მწკრივი გავაკეთე.

–ერთი წუთით, – შემაჩერა დედამ. – დაჯექი. რაღაც უნდა გკითხო. დღეს ვინ მოგაცილა სახლში?

მუცლის ტკივილი გაძლიერდა. დაუდევრად მივიხედე უკან იმ იმედით, რომ დედა ვერ დაინახავდა, როგორ გავიხედე ფანჯრიდან წამიერად, სანამ პასუხს გავცემდი.

– სინდიმ გამომაცილა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად სინდიმ მოგაცილა? – დედა გამოძიებას განაგრძობდა.

მე თავი დავუქნიე, რადგან ტყუილის ხმამაღლა თქმა არ მინდოდა.

– მისის ჰოფმანს დავურეკო და ვკითხო?

თავი გაშმაგებით გავაქნიე.

–არა!

შემდეგ დედამ მითხრა, რომ მისის ჰოფმანმა უკვე აცნობა ჩემი მარტო წამოსვლის ამბავი. გამომიჭირეს. არა მარტო ურჩობა გამოვიჩინე, არამედ მოვიტყუე კიდეც. ჩემს ოთახში გამგზავნეს, სანამ სახლში მამა მოვიდოდა.

როცა ოთახში მგზავნიდნენ, არც საწოლზე დაწოლის და არც თოჯინებით თამაშის უფლება არ მქონდა. ხის სკამზე უნდა დავმჯდარიყავი, რომელიც უფრო მოუხერხებელი ხდებოდა, რაც უფრო დიდხანს იჯექი მასზე. მამაჩემის დაბრუნების ძალიან მეშინოდა. ყოველ მანქანას, რომელიც ჩვენს სახლს უახლოვდებოდა, შიშის ახალი ტალღა მოჰქონდა ... ის მალე მოვიდოდა და მას უნდა შევხვედროდი. მარტოობის ჟამს წარმოვიდგინე, რომ ყველაფერი სულ სხვაგვარად განვითარდა. იქნებ გაწკეპვლას გადავურჩე ... იქნებ მამამ გაიგოს, რომ უკვე დიდი ვარ ქუჩის გადასაჭრელად. ლოდინი სამუდამოდ გაიწელა.

შემდეგ ის დაბრუნდა. როგორც წესი, მის მანქანას ქვემოთ ვეგებებოდი. ჩემი არყოფნა მხოლოდ ორ რამეს ნიშნავდა: ან სახლში არ ვიყავი ან ჩემი საქმე ცუდად იყო. გავიგონე, როგორ ლაპარაკობდა დედ-მამა დაბალი ხმით. ვიცოდი, რომ ჩემს დანაშაულზე მსჯელობდნენ. მუცელი ამომიტრიალდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ავად ვხდებოდი. შემდეგ დერეფანში ნაბიჯების ხმა გავიგონე. კარი გაიღო და მამაჩემის სერიოზული სახე გამოჩნდა.

– შეგიძლია გამოხვიდე, ლიზა! უნდა ვილაპარაკოთ!

ცრემლები მოვიწმინდე და დერეფანში გავყევი დასაკლავი კრავივით. სასამართლო საცხოვრებელ ოთახში გაიმართა. მე მწვანე სკამზე ვიჯექი, ხოლო ჩემი მშობლები – ჩემს პირდაპირ თეთრ დივანზე. მათ ლექცია ჩამიტარეს. მათი მოსმენა არ

შემეძლო, რადგან მათი ხმები ჩემს გონებაში დატრიალებულმა უფრო მნიშვნელოვანმა კითხვამ ჩაახშო – *გავიწკეპლებოდი თუ არა?*

რეალობას მაშინ დავუბრუნდი, როცა მამამ, ბოლოს და ბოლოს, პირდაპირ დამისვა კითხვა:

– გამოიჩინე დაუმორჩილებლობა და მოიტყუე გზის გადაკვეთის შესახებ?

– დიახ, დიახ! – გულამოსკვნილი ვქვითინებდი იმ იმედით, რომ მოსამართლეებს ჩემს მიმართ მოწყალებით განვაწყობდი. თუმცა განაჩენი უკვე გამოტანილი იყო.

– ესე იგი იცი, რასაც გავაკეთებ, არა? – მკითხა მამამ.

– დიახ, – უხმოდ ვუპასუხე. ვიცოდი, რომ ეს უნდა გადამეტანა.

– წამოდი, დროულად მოვრჩეთ. მან თავისკენ მიმანიშნა.

ეს ნიშნავდა, რომ უცებ უნდა გადავსულიყავი ოთახის ვრცელ ნაწილში. ცოტა ხნით შევყოვნდი შუა გზაზე, რომ წინა კარიდან გავქცეულიყავი, რადგან თუ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამდი, უკან ვეღარ დავბრუნდებოდი. მამასთან ახლოს მივცოცდი, მის წინ დავდექი და მუხლებზე გადავწექი. მივიღე ჩემი წილი დარტყმები და როცა ის მორჩა ... ყველაფერი მორჩა.

მამამ მუხლებზე დამისვა, ხოლო დედამ მითხრა, როგორ მენდობოდა ყოველთვის და როგორ უნდოდა ჩემი ნდობა გაეგრძელებინა. შიშმა ჩემი მუცელი დატოვა და სისუფთავის გრძნობა გამიჩნდა. მივხვდი, რომ მშობლებს ვუყვარდი და მათგან მიღებული ვიყავი. ჩემი დანაშაულის შესახებ მეტად არასოდეს მომისმენია. მომდევნო ჯერზე, როცა ქუჩა გადავკვეთე, არც შიშის გრძნობას შევუწუხებივარ და არც სირცხვილი მიგრძვნია. *ჩემი შეცდომიდან ვისწავლე და ჩემი დანაშაულისთვის წვრთნა მივიღე. ბევრჯერ მინატრია, რომ ახლაც ასე მარტივად ყოფილიყო ყველაფერი.*

ჩემი შეცდომიდან ვისწავლე და ჩემი დანაშაულისთვის წვრთნა მივიღე. ბევრჯერ მინატრია, რომ ახლაც ასე მარტივად ყოფილიყო ყველაფერი.

სინანული მეტისმეტად ხშირად ჩადის სიღრმეში და უფრო დიდხანს რჩება ადამიანის შინაგანში, ვიდრე უბრალო მიზეზი და შედეგია. სინანული ექოდ გასდევს ჩვენს ცხოვრებას, სანამ მის პირისპირ არ დავდგებით. პატარა ბავშვისთვის სინანული წარმავალია: *ეს არ უნდა გამეკეთებინა ან არ უნდა მეთქვა* და

ხშირად მომხდარი ფაქტისთანავე ვლინდება. ზრდასრულობისას სინანული სხვაგვარად მოქმედებს, რადგან არ გვყავს მშობლები, რომლებიც რეგულარულად ჩაგვიტარებენ ძიება-გადარჩენის ოპერაციებს. ახალგაზრდობაში საიდუმლო ოპერაციების ჩატარების ექსპერტები ვხდებით და ოსტატურად ვმალავთ ჩადენილ საქმეებს. ასე ვფიქრობთ, *რაც არ იციან, ის ვერაფერს ავნებთ*. უგუნურებით გვგონია, რომ ვერავინ ვერასოდეს გაიგებს ჩვენს საიდუმლობებებს. ვერ ვაცნობიერებთ, რომ სინანულის თესლი უკვე ჩაითესა და იგი შეუმჩნევლად ამოიზრდება თქვენი ახალგაზრდობის ნიადაგზე. ის იცდის მცენარის სრულ მომძლავრებამდე, სანამ გზას გაიკვლევს თქვენი წარსულის ჩრდილებში და ღიად წარმოაჩენს თავს ყველაზე შეუფერებელ დროს.

ჩვენ, რომელნიც კარგად ვიცნობთ სინანულის გრძნობას, მისი მტკივნეული მარწუხებიც ვიცით. იგი ხელებს გვიკრავს და მანამ არ გვიშვებს, სანამ ჩვენს სიბრიყვეს ყველას თვალწინ არ გამოფენს. „გახსოვს მაშინ ...?“ ამის შემდეგ სინათლეზე გამოაქვს რაღაც ისეთი, რაც ჩრდილში მივჩქმალეთ ან თავად დრომ ჩამარხა წლების საფარველქვშ და შესაძლოა, ჩვენი მეხსიერებისთვისაც დაფარულია. ახლა ეს ყველასთვის გამჟღავნდა, თითქოს გუშინ მოხდაო. და ჩვენი გულის გმინვა გვესმის, „ნეტავ ...!“

სინანული შეიძლება მაშინვე მოჰყვეს ჩვენს შეცდომებს. გუშინ ნათქვამი ან ჩადენილი უცებ და მოულოდნელად გამოვა დღის სინათლეზე. დაუფიქრებელი სიტყვა, დაუდევარი მოქმედება, გამოთქმული შენიშვნა გაცილებით მეტს იწონის, როცა გამოშვებულია და ყოველი გამეორებისას უფრო მეტ ძალას იძენს. დღევანდელი დღის ფონზე ის უფრო მკაცრად ჟღერს და გუშინდელი განზრახვების შედარებით რბილი კონტექსტისგან განსხვავებით, სრულიად სხვა ელფერი აქვს. სურვილი გვიჩნდება, რომ ის როგორღაც დავიცვათ: *ეს სულაც არ მიგულისხმია. ვერ ვიგებ, რა ხდება. გუშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ყოველთვის განვიცდით სინანულის გრძნობას, როცა ერთი წამისთვის ვცხოვრობთ და არ ვწონით სიტყვებსა და მოქმედებებს, სანამ მათ სიცოცხლეს შთავბერავდეთ.*

კარგად ვიცი, რას ნიშნავს სინანული და არ მინდა, რომ მისი ნესტარი იგემოთ ცხოვრებაში. ჩემთვის ნაცნობია აწმყო ტკივი-

ლი იმის გამო, რომ გუშინ ბრიყვული გადაწყვეტილება მივიღე. არც კი მჯერა, რომ ამას ახლა თქვენ გიზიარებთ. ახალგაზრდობაში ძალიან ცოტას ან თითქმის არ ვფიქრობდი შედეგებზე და დარწმუნებული ვიყავი, რომ სიბნელეში გაკეთებული მოგვიანებით დიდად არ მავნებდა. როგორც თქვენს მეგობარს, არ მინდა, იგივე გზაზე მოსიარულე გნახოთ, რომელიც მე გავიარე.

~ ყოველთვის განვიცდით სინანულის გრძნობას, როცა ერთი წამისთვის ვცხოვრობთ და არ ვწონით სიტყვებსა და მოქმედებებს, სანამ მათ სიცოცხლეს შთავბერავდეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ თაობას აქვს თავისი შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა და მანდატი მომავალი თაობისთვის ჭეშმარიტების თქმის და გაფრთხილების მეშვეობით. ასულებს, რომლებიც დედები გახდნენ, გამოცდილების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა აქვთ, რომ შვილები უფრო მაღლა დადგნენ, უფრო ნათლად დაინახონ და აცდნენ მახეს, რის თავიდან არიდებაც დედებმა ვერ მოახერხეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი წარსულის საიდუმლოებები აწმყოში უნდა გამოვიტანოთ, რომ სხვებმა მოისმინონ და ისწავლონ.

ეს გახლავთ მოწვევა თქვენთვის, ქალებო, რომლებმაც კარგად იცით სექსუალური ცოდვების გამო განცდილი სინანული, რათა ჭეშმარიტების სინათლე მოჰფინოთ ბნელ ბილიკებს და სხვები გადაარჩინოთ ამ გზებით სიარულისგან. ეს გაფრთხილებაა გარყვნილების გზით მოსიარულეთათვის: *თავი შორს დაიჭირეთ. საფასური მეტისმეტად დიდია და დაინტერესება დროსთან არის გადახლართული.* ვინც სინათლის გზა, კურთხევა და მორჩილება აირჩიეთ, ეს თქვენს დაცვასა და გადაწყვეტილების განმტკიცებას მოემსახუროს. ასე იქნება თუ ისე, თუ საკმაო ხანს გიცხოვრიათ დედამიწაზე, ერთ რამეს მიხვდებოდით: რეალურად, არ არსებობს ისეთი რამ, რაც საიდუმლოდ რჩება.

> „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს და არ გაცხადდეს“. (ლუკა 8:17)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „*არ არსებობს*!“ აქ შეცდომის დაშვება გამორიცხულია. *არ არსებობს* ნიშნავს, რომ ასეთი რამ საერთოდ არ შეიძლება იყოს. მეტისმეტად ხშირად ხდება,

როცა უგუნურ ან ცოდვილ საქციელს საიდუმლოდ ჩავდივართ, ღმერთი კი არ გვაგდებს უხერხულ მდგომარეობაში, არამედ ჩვენ თავად ვართ დამნაშავე ამაში

როცა ანალოგიურ მონაკვეთებს ვკითხულობთ და წარმოვიდგენთ, რომ უფრო ჭკვიანები ვართ ან როგორღაც თავის დაძვრენას მოვახერხებთ, ამიტომ მათი სრული მნიშვნელობის გაცნობიერებაზე უარს ვამბობთ. ბიბლიის კითხვისას ამ მონაკვეთებს გადავახტებით და ვფიქრობთ, რომ ღმერთი არასოდეს ჩაგვაყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

როცა უგუნურ ან ცოდვილ საქციელს საიდუმლოდ ჩავდივართ, ღმერთი კი არ გვაგდებს უხერხულ მდგომარეობაში, არამედ ჩვენ თავად ვართ დამნაშავე ამაში. ეს იგივეა, რომ ჩუმად თესო მარცვლები და შემდეგ ღმერთი დაადანაშაულო, რატომ გაიზარდა მცენარეო. შესაძლოა, რაღაც დონეზე გვჯერა, რომ ყველაფრის კარგად დამალვას მოვახერხებთ და ეს მუხლი ჩვენს ვითარებას მაინცდამაინც არ ერგება. და მაინც, თუ წერილი ამბობს, რომ *არაფერი* არ დაიმალება, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი დაფარული ან დაბეჭდილი ამოითხრება და სინათლეზე გამოვა გამონაკლისის გარეშე.

ამ ჭეშმარიტების გაცნობიერების შემდეგ საკუთარ საქციელზე უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა ვიფიქროთ. ეფესელთა მიმართ წერილი ასე ცხოვრებას „ფრთხილად მოქცევას“(ინგ. *circumspectly* – მთარგმნელის შენიშვნა) უწოდებს.

> „და მაინც, ყველაფერი სინათლით მჟღავნდება, ვინაიდან რაც გამომჟღავნდა, უკვე ნათელია. ... მაშ, ფრთხილად მოიქეცით - არა როგორც უგუნურნი, არამედ როგორც ბრძენნი!“ (ეფეს. 5:13-15)

ფრთხილი ადამიანი აცნობიერებს, რომ მთელი მისი ცხოვრება ურთიერთდაკავშირებულია. დადგება დრო, როცა წარსულის ამბები მომავალში წამოგვეწევიან. შესაბამისი ინგლისური სიტყვა *circumspectly*-ის შემადგენელი პირველი ნაწილი „*circum*“, წრეზე სიარულს ნიშნავს, ხოლო მეორე „*spec*“ – დათვალიერებას ან რაიმეს ყურებას, როგორც მშენებელი ათვალიერებს სახლს, რომ პოტენციურმა მყიდველებმა მისი პროფესიონალიზმი და უნარიანობა შეაფასონ, სანამ სახლს იყიდიან. ანალოგიურად, ჩვენც გვავალებენ, რომ გონივრულად ვიცხოვროთ, ავწონ-

დავწონოთ საკუთარი გადაწყვეტილებები და მოქმედებები და ყველა კუთხიდან შევხედოთ. უნდა შემოვუაროთ მათ, ყველა ოთახს ვეწვიოთ და გული დავაჯეროთ, რომ მოგვწონს მისი გარეგნული იერი და სხვადასხვა კუთხის შეგრძნება, სანამ გრძელვადიან პერსპექტივაზე პასუხისმგებლობას ავიღებთ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლესი ჩვენგანი ამას საჭიროდ არ თვლის.

როცა კოლორადოში გადავედით, საოჯახო ოთახისთვის დივნის საყიდლად წავედი. მახსოვს, როგორ ვიპოვე ერთი, რომელიც ძალიან მომეწონა. ვიფიქრე, *აი, სრულყოფილი დივანი-მეთქი.* ის დიდებულად გამოიყურებოდა ავეჯის მაღაზიის კედელთან და გარშემო შემოწყობილი ლამაზი აქსესუარები და ფერწერული ტილოები კიდევ უფრო ამშვენებდა. გამახსენდა, რომ ჩემს დივანს უკან კედელი არ ექნებოდა, ამიტომ საკუთარი მყარი ფეხები უნდა ჰქონოდა, როგორც უკანა მხრიდან, ისე წინიდან. როცა ის დივანი გამოვწიე, მივხვდი, რომ არ გამომადგებოდა. მარტო წინა მხრით რომ დავკმაყოფილებულიყავი, სახლში წავიღებდი, დავჯდებოდი და საკუთარ თავს მივულოცავდი კომფორტული და ლამაზი დივნის შეძენას. ძალიან მომეწონებოდა ... სანამ სამზარეულოში გავიდოდი და მის კონსტრუქციას უკანა მხრიდან თვალს შევავლებდი.

> *ჩემი თავაწყვეტილი ცხოვრების დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოცის წლის შემდეგ საშინელ ტკივილს ვიგრძნობდი.*

მრავალი ჩვენგანი საგნის მხოლოდ მიმზიდველ მხარეს ხედავს. მოგვწონს მისი გარეგნული ეფექტი, თუ რა გრძნობებს იწვევს ჩვენში და საკუთარ თავს ვეუბნებით: *ბოლოს და ბოლოს, ვიმსახურებ ყველა იმ სიამოვნებასა და კმაყოფილებას, რის მოცემაც შეუძლია ... ავიღებ მას!* მხოლოდ მოგვიანებით ვამოწმებთ ჩვენს დაფარულ მხარეს და უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

როცა თავშეუკავებელი ახალგაზრდა ვიყავი, ვფიქრობდი, რომ შემეძლო თავისუფლად მეკეთებინა, რაც მინდოდა. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ კოლეჯის ზრდასრული სტუდენტი ვიყავი, ხმის და მართვის უფლების მქონე, რომელმაც საკუთარი პროფესია ამოირჩია ... ცხოვრება თავგადასავალი იყო, რომელიც ხმამაღლა მეძახდა. *ჩემი თავაწყვეტილი ცხოვრების დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოცის წლის შემდეგ საშინელ*

ტკივილს ვიგრძნობდი ჩემი ორი უფროსი ვაჟის წრფელი სახეების დანახვისას, როცა ასეთი კითხვა დამისვეს: „დედა, შენ ქალწული იყავი, მამას რომ წააჰყევი, ... არა?“ მათი ტკბილი ხმები მსჯავრს სულაც არ მდებდნენ, არამედ ამ სათნოების არსებობის დასტურს ეძებდნენ თავიანთი დედისგან, რაშიც ეჭვი სულაც არ ეპარებოდათ და რის უარყოფაც მომიწევდა გულწრფელად აღიარების შემთხვევაში.

კოლეჯის იმ ცხელი მომენტებისას ეჭვიც არ გამჩენია, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი კითხვა დაისმებოდა. საკმარისად გამჭრიახი რომ ვყოფილიყავი და მომავალზე უფრო მეტად მეფიქრა, ასე სულელურად არ ვიამაყებდი ჩემი სექსუალური გამარჯვებებით. ახლა კი სიამაყე ძალზე შორს იყო იმ გრძნობისგან, რასაც განვიცდიდი. რამდენიმე არჩევანს შორის ვიხლიჩებოდი. შემეძლო, მეცრუა, რომ ქალწული ვიყავი ქორწილის დღეს ან თავიდან მომეშორებინა და მეთქვა, რომ ეს მათი საქმე არ იყო. ამით შეკითხვას გავექცეოდი და გულწრფელობას თავს ავარიდებდი. ასევე მქონდა კლასიკური ქრისტიანული არჩევანი ჩემი ქცევის გასამართლებლად: მაშინ ქრისტიანი არ ვიყავი, როცა ქალიშვილობა დავკარგე. უკეთესი არაფერი ვიცოდი! ან შემეძლო ყველაზე მტკივნეული ვარიანტის, შიშველი სიმართლის არჩევა. ღრმად ჩავისუნთქე და სიმართლე ვაღიარე: „არა, არ ვიყავი და ამას დღემდე ვნანობ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მემკვიდრეობა ჩემისგან ძალზე განსხვავებული იქნება“.

გულწრფელ პასუხზე ნაკლები თქვენი შვილების ზნეობრივ სიწმიდეში სიარულის ძალასა და უნარს დაასამარებს. ჭეშმარიტება თავისუფლებას შობს, ისევე როგორც სირცხვილი – ტყუილს. აუცილებელი არ არის თქვენი გმირობების დეტალური აღწერა, რადგან შესაძლებელია სიმართლის თქმა მისი სრულად გამომზეურების გარეშეც.

ამ დროისთვის, ალბათ, არგუმენტს მოიყვანთ: *უფალმა მაპატია და ახალი ქმნილება ვარ.* ძველმა განვლო და ახლა ყველაფერი ახალია ჩემთვის. რასაკვირველია, ეს გახლავთ ღვთის სიტყვის საბოლოო ჭეშმარიტება. დარწმუნებული

> *— გულწრფელ პასუხზე ნაკლები თქვენი შვილების ზნეობრივ სიწმიდეში სიარულის ძალასა და უნარს დაასამარებს.*

ვარ, რომ მეპატია. ნამდვილად მწამს, რომ ცოდვები მომშორდა, როცა ვაღიარე. მჯერა, რომ ახალი ქმნილება ვარ და ქრისტეს უდიდესი მოწყალება გამოვცადე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი ადრინდელი არჩევანის გვერდითი მოვლენები გაქრა. ახლა დამნაშავე და მსჯავრდადებული აღარ ვარ, მაგრამ შედეგები დარჩა. თუ ჩემი შვილები ლარნაკს გატეხავენ, ვაპატიებ, მაგრამ ლარნაკი მაინც დამტვრეული იქნება.

შემდგომი მსჯელობისთვის განვიხილოთ ჰიპოთეზური ვითარება. რა მოხდებოდა, ჩემი მარტოხელობის წლებში რომ დავორსულებულიყავი? ალბათ, ეს ჩემთვის გამომაფხიზლებელი იქნებოდა. ვთქვათ, ორსულობის დროს გავხდი ქრისტიანი. ქრისტესმიერი სიყვარულისა და წყალობის განცდის შემდეგ ბავშვი გაქრებოდა? რასაკვირველია, არა! ჩვილის არსებობა ვერ უარყოფს ჩემი ცოდვების პატიებას, ისევე როგორც ცოდვების პატიება ვერ ამოშლის ბავშვის არსებობას. ჩემს მიერ ჩაგდებული თესლის ნაყოფი დარჩება და ჩემი გადაწყვეტილებების გვერდითი ეფექტებიც არ წაიშლება. თუმცა ამ ბავშვის სიცოცხლე გამახარებდა და მას შევიყვარებდი მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩასახვა ქორწინების გარეშე მოხდა.

ახლა რეალური ვითარების მაგალითი მოვიყვანოთ. როცა გავთხოვდი, ერთ-ერთი კოსმეტიკური ფირმის სარეკლამო წარმომადგენლის რანგში ვმოგზაურობდი. სამი წარმომადგენელი დალასში იყო, ხოლო სამი ჰიუსტონში. ამათგან რამდენიმე ქრისტიანები ვიყავით და ძალიან მოგვწონდა ერთობლივი მოგზაურობა და ლანჩისა და სადილის დროს მოზიარეობა.

ერთ-ერთ უფრო ლამაზ და მარტოხელა ქრისტიან წარმომადგენელს ჯანმრთელობის პრობლემები და საშინელი შფოთვის შეტევები ჰქონდა. ვშიშობდი, რომ ის სამუშაოს დაკარგავდა, რადგან გამუდმებით ავადმყოფობდა, ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას და არც სამუშაო ენერგია ყოფნიდა.

ერთ საღამოს რეკლამისთვის ერთად გაგვაგზავნეს და ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა, გველოცა. მეშინოდა, რომ სასოწარკვეთისა და ნგრევის დაღმავალი გზით მიექანებოდა და ლოცვის მეშვეობით ამ ხვედრისგან მისი დახსნის იმედი მქონდა. მას ყველაფრი ჰქონდა: საეკლესიო სახლი, კომპანიის მანქანა, კარგი ხელფასი, ბევრი სარგებელი, სასიამოვნო მოგზაურობები, მაგრამ არასოდეს იყო ბედნიერი. ვკითხე, რატომ ხდებოდა ასე

და ჩემთან გაიხსნა.

– შენ ვერ გაიგებ. გათხოვილი ხარ, მე კი – არა. ვერ მიხვდები, რას ნიშნავს გამუდმებული მარტოობა.

წავახალისე, რომ ეკლესიის საქმიანობაში ჩართულიყო, შეეწყვიტა წუწუნი და მადლიერი ყოფილიყო იმისთვის, რაც ჰქონდა.

– ეს ჩემთვის არ გამოდგება. ვცადე და თან ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. ისე დავიღალე, რომ სახლში დაბრუნებისას უქმეებზე აღდგენას ვუნდები, – მითხრა მან.

გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ რაც არ უნდა მეთქვა, იგი ასე თუ ისე თავს დაიძვრენდა. უკვე გვიანი იყო და ჩვენ ჯერ არც კი გველოცა. თავდაპირველი მხნეობა დავკარგე და წარმოვიდგინე, რომ მისი მდგომარეობა უსაშველო იყო.

– მოდი, ვილოცოთ ... შენ იწყებ! – ვუთხარი მე.

ჩვენ ხელები ჩავკიდეთ და ლოცვა დავიწყეთ. ლოცვისას არც კი გამიგონია, რას ამბობდა. სრულიად სხვა რამ დავინახე. სულიწმიდა ისე ნათლად მაჩვენებდა რაღაცას, რომ შევშინდი. მისთვის რომ მეთქვა, რასაც ვხედავდი და მერე ასე არ გამომდგარიყო, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

ღმერთს დავპირდი, რომ ამაზე დაველაპარაკებოდი, თუ შესაძლებლობა მომეცემოდა. სახება გაქრა და ისევ მეგობრის ლოცვას მივუგდე ყური. იგი ღმერთს შეჰღაღადებდა, „გთხოვ, გთხოვ, მაპატიე!“

– მან ეს უკვე გააკეთა, – უთხარი მე.

– არა, – შემეწინააღმდეგა იგი, – მას არ უპატიებია! ვთხოვ და არ მპატიობს!

ხელი მოვუჭირე, თვალები გავახილე და შევხედე.

– ვიცი, რატომაც გგონია, რომ ღმერთი არ გპატიებს.

– არა, შენ ვერ ხვდები. ვიცი, რომ ის არ მპატიებს!

ღრმად ჩავისუნთქე და გავაგრძელე:

– შენ გგონია, რომ ღმერთი არ გპატიებს, რადგან არ განგკურნა გენიტალური ჰერპესისგან.

მას ელდა ეცა და ჩაიჩურჩულა:

– საიდან იცი?

– არ ვიცოდი. ღმერთმა ახლახანს მაჩვენა. მას სურდა, გცოდნოდა, თუ რაოდენ უყვარხარ. თუ არ განიკურნე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ გაპატია.

ამის შემდეგ მან ნაღვლიანი, ტრაგიკული ამბავი მომიყვა

და ყველაფერი გასაგები გახდა. იგი ბავშვობიდანვე ქრისტიანად გაიზარდა, მაგრამ ერთ საღამოს ისეთ წვეულებაზე აღმოჩნდა, სადაც კარგად იცოდა, რომ არ უნდა ყოფილიყო. მან თავი უხერხულად იგრძნო და გადაწყვიტა ცოტა დაელია, რომ მოშვებულიყო ამ უცნობ გარემოში. ერთმა სიმპათიურმა ბიჭმა იგრძნო მისი დაძაბულობა, მოუახლოვდა, დაუმეგობრდა, დიდი ყურადღება გამოიჩინა და უთხრა, რა ლამაზი იყო. სანამ გააცნობიერებდა, რა ხდებოდა, იმ ბიჭთან მარტო აღმოჩნდა. სიტუაცია თანდათან კულმინაციას უახლოვდებოდა, მაგრამ გოგონამ იფიქრა, რომ ამასთან გამკლავებას შეძლებდა. მან ვერ გააცნობიერა, რომ შეუძლებელი იქნებოდა მდგომარეობის გაკონტროლება, როცა ორი ადამიანი ნაწილობრივ გახდილი, ცოტათი შეზარხოშებული და განმარტოებულია. გოგონა უარზე დადგა, მაგრამ ბიჭმა არ მოუსმინა და იქ არავინ იყო მათ შესაჩერებლად. იმ საღამოს მან ქალიშვილობა დაკარგა და განუკურნებელი ვენერიული დაავადება, გენიტალური ჰერპესი შეიძინა. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ იგი ისევ იტანჯებოდა დანაშაულის გრძნობითა და სირცხვილით.

> *მან იმდენი წელი იცხოვრა სინანულში, რომ მობრუნდა და ეს ყველაფერი ღმერთს დააბრალა.*

– პირველივე ჯერზე, სანამ საერთოდ რამეს მოვასწრებდი, ეს საშინელება დამემართა! ჩემი მეგობრები ყოველთვის ჩემს ირგვლივ ტრიალებდნენ და ყველა მათგანი მოსაწონი იყო. მათი უმრავლესობა ახლა ცოლიანია, – მოთქვამდა იგი.

– ღმერთს ეს შენს მსჯავრდასადებად არ უჩვენებია, არამედ იმისთვის, რომ გცოდნოდა, როგორ ესმის შენი ტირილი, განიცდის შენს ტკივილს და გპატიობს. სხვა რა მიზეზით მაჩვენებდა, შენთვის ამის გაგებინების გარდა? – დავუმოწმე მე.

იმ საღამოს მან შეწყვიტა ღმერთზე გაბრაზება და მისი პატიება მიიღო. *მან იმდენი წელი იცხოვრა სინანულში, რომ მობრუნდა და ეს ყველაფერი ღმერთს დააბრალა.* სნეულების ყოველი რეციდივის შემდეგ შიში იპყრობდა, რომ ღმერთი ცოდვებისთვის სჯიდა და იმ ძალადობას ხელახლა განიცდიდა. იმ საღამოს დანაშაულის გრძნობისგან გასათავისუფლებლად და მისი სულის, სამშვინველისა და სხეულის განსაკურნებლად ვილოცეთ.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მასთან თითქმის ოცი წელი

აღარ მილაპარაკია. არ ვიცი, ფიზიკურად განიკურნა თუ არა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მისი გულის განკურნება იმ ღამით დაიწყო. მჯერა, რომ ღმერთი ხორციელადაც განკურნავდა? დიახ, ღვთისთვის შეუძლებელი არაფერია, მაგრამ როცა ადამიანი გულგატეხილია, ეს ხდება მისი მთავარი საზრუნავი.

ახლა კიდევ ერთ მარტოსულ ადამიანს გადავხედოთ. ახალგაზრდა ქალი მრავალჭირნახული ნავმისადგომის ბოლოში ზის. ქარი შავ თმებს უფრიალებს და სახეში ურტყამს, ის კი ცდილობს, თმები ყურს უკან გადაიწიოს და ნამტირალევი თვალებიდან მოიშოროს. ფეხები მკერდამდე მიუტანია და მუხლებზე დადებული წიგნის ქარისგან დაცვა სურს, მაგრამ ფურცლები გაშმაგებით ფრიალებენ მის ყოველ შემობერვაზე. ქალი გამწარებით ფურცლავს წიგნს, რომ ნუგეშისცემა ან პასუხი იპოვოს, მაგრამ ამაოდ.

ქალი სირცხვილის ბურთიდან წამოიმართა და სახე ზევით აღაპყრო. აღარ ცდილობს ურჩი თმის მორჯულებას და ნებას აძლევს, რომ სასჯელის ნიშნად სახე დაუფაროს. ის ჯერ კიდევ ოცდაორი წლისაა, მაგრამ უკვე დაღალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალობამ. მას სწამს, რომ ღმერთი მოწყალეა, მაგრამ საკუთარი ცოდვები მეტისმეტად დიდად უჩანს. საღამოს პასუხი უნდა აგოს ისეთ საგნებზე, ზღვის სიღრმეში გადასროლილი რომ ეგონა.

შენიშნა, რომ მოსაღამოვდა. უკანასკნელი, სასაოწარკვეთილი ლოცვით ილოცა და წავიდა. მანქანისკენ მიმავალი საკუთარ თავს პირდება, რომ მამაცი და გულწრფელი იქნება. საღამოს საყვარელ ადამიანს უნდა შეხვდეს და დარწმუნებულია, რომ ის ხელს სთხოვს. სანამ ეს მოხდება, სიმართლე უნდა გაიგოს ქალის შესახებ. უკვე წარმოიდგინა მისი იმედგაცრუება ... რადგან ეს ახალგაზრდა კაცი თავს მომავალი ცოლისთვის ინახავდა. იგი უკეთეს ასულს იმსახურებს და საღამოს მისთვის სწორედ ამის თქმას აპირებს.

თავის ბნელ, ცარიელ ერთოთახიან ბინაში დაბრუნებული ქალი შხაპს იღებს და შეხვედრისთვის მზადებას იწყებს. წინა საღამოს ვაჟს უთხრა, რომ რაღაც ჰქონდა სათქმელი და სადილად წასვლის ნაცვლად სჯობდა, სადმე გაესეირნათ. ქალს უნდოდა, რომ ცნობისმოყვარე თვალისა და ყურისგან შორს ეთქვა სათქმელი.

მისი ბინა რამდენიმე სახლის იქითაა და მარტო გავლა სურს,

სანამ ერთად გაისეირნებენ. იგი თავის სევდიან ამბავს ქარს ხმამაღლა უყვება და თრთის, როცა სიტყვები მის ბაგეებს წყდება. იმაზე მალე აღმოჩნდა ვაჟის სახლთან, ვიდრე მოემზადებოდა.

ქალი ყოყმანით აკაკუნებს და ფიქრობს, ბოლო სტუმრობა ხომ არ არის, როცა აქ გულითადად ხვდებიან. შიგნიდან ხმა შემოსვლას სთხოვს და მის წინ წარდგება მისი საუკეთესო მეგობარი, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია. ვაჟი მაშინვე ხვდება ქალის შინაგან ბრძოლას, დგება და მკლავების შემოხვევას ცდილობს, მაგრამ ქალი ხელს წინ იწვდის, რომ მათ შორის გარკვეული მანძილი შეინარჩუნოს. ეშინია, რომ ვაჟის მოხვევა ჭეშმარიტების თქმისთვის საჭირო სიმამაცეს დააკარგვინებს.

ქალი ოთახს ნერვიულად ათვალიერებს:

– სად არის შენი ოთახის მეზობელი?

– ის გარეთაა, ბიჭებთან ... კარგად ხარ?

– არა, არ ვარ. უფრო კარგად ვიქნები, როცა დავილაპარაკებთ.

– კარგი, ფეხსაცმელებს ჩავიცვამ და წავიდეთ ... წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ბიბლიის ნაწყვეტი რომ წაგიკითხო? მინდოდა შენთვის გამეზიარებინა.

ქალი თავს უხმოდ უქნევს და კანკალი იტანს, როცა ვაჟი ბიბლიის ფურცვლას იწყებს. რა უნდა უთხრას მას ღმერთმა? მთელი დღე ერთ წაჩურჩულებას ეევედრებოდა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა საკუთარი სინდისის ხმაურში. ბოლოს და ბოლოს, თუ ის მსჯავრს დაადებს, განა ღმერთიც ასე არ მოექცა?

– აი, ვიპოვე. ეს მუხლი ცოტა უცნაურია. იმედი მაქვს, საწყენად არ მიიღებ.

– დაიწყე! – უთხრა ქალმა.

– კარგი. დარწმუნებული ვარ, წაკითხული გაქვს, მაგრამ დავიწყებ: „მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“ (2 კორ. 5:17). ვიცი, ეს ცოტა უხეხრულად ჟღერს, მაგრამ ღმერთმა მითხრა შენთვის მეთქვა, რომ ძველი განახლდა ახლა, ასე ვთქვათ, ... ქალწულივით ხარ.

ქალს ენა ებმის პასუხის გაცემისას და თვალები ცრემლებით ევსება:

– მე ქალწული *არ ვარ*! სწორედ ამის თქმა მინდოდა.

ვაჟი მის წინ დგება და ხელებს ადებს მთრთოლვარე მხრებზე:

– თუ ღმერთი ამბობს, რომ ხარ ... ვინ ვართ ჩვენ, რომ ვეკამათოთ მას?

ქალი თავს აქნევს დაუჯერებლობისა და შვებისგან და ქვითინს წიყებს. ვაჟი მკერდზე იკრავს მას და ტირილის ნებას აძლევს, სანამ ქარიშხალი გადაივლიდეს და თავს განწმედილად იგრძნობდეს.

– წამო, გავისეირნოთ!

– მადლობა! – პასუხობს ის.

წყვილმა იმ საღამოს საათები ისეირნა. ერთად უყურეს, როგორ ჩავიდა მზე ამ სამარცხვინო საიდუმლოზე, რომელიც მათ დაშორებით ემუქრებოდა. ღვთის მოწყალება მართლაც საუკუნოა. ეს თითქმის ოცი წლის წინ იყო და მე და ჯონი დღემდე ერთად ვართ.

> *~ ცოდვა მოინანიოთ! დაე, მან დაამსხვრიოს თქვენი გული და ნამსხვრევები პრინცს გადაეცით!*

ახლა უკვე იცით, მთელი გულით რატომ მინდოდა, რომ არასოდეს გამოგეცადათ წარსულის აჩრდილებთან ჭიდილი, როგორც მე მომიხდა. შესაძლოა, ზოგიერთი თქვენგანი უკვე აღმოჩნდა ჩემნაირ მდგომარეობაში. დროა ქარიშხალს დაუპირისპირდეთ და ჭეშმარიტების მხარეს დადგეთ. *დროა, ცოდვა მოინანიოთ! დაე, მან დაამსხვრიოს თქვენი გული და ნამსხვრევები პრინცს გადაეცით!* იგი მოწყალეა და დიდ თანაგრძნობას იჩენს უარყოფილი და ყველასგან ათვალწუნებული ქალების მიმართ.

მინდა ქალიშვილისადმი დედის მიწერილი ლამაზი წერილის ნაწყვეტი გაგიზიაროთ, რადგან მსურს, რომ ყოველგვარი სინანულის გარეშე შეხედოთ სქესობრივ სიწმინდეს.

ჩემი სურვილია, რომ ამ ჭეშმარიტებებმა სიწმიდეში დარჩენისკენ გიბიძგონ, როგორც ღვთისმოსავ ქალს შეეფერება ... მივხვდი, რომ მიზეზი, რის გამოც ასე მსიამოვნებს მამაშენთან ინტიმური ურთიერთობა, ერთ რამეში მდგომარეობს – სირცხვილის გრძნობა არ მტანჯავს. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში დამარიგეს და ზნეობრივი სიწმიდის ფასეულობა გავიგე. ვიცოდი, რომ ეს საგანძური იყო. ღმერთმა ისეთი მამაკაცი გამომიგზავნა, რომელიც თავადაც წმიდა იყო და ჩემი სიწმიდესაც პატივი მიაგო ნიშნობის დროს. როცა მამაშენთან ახლო ურთიერთობით ვტკბები, ჩვენი საწოლი ოთახის კედელზე მიკრული საქორწინო კაბა ჩვენი სიწმიდის სიმბოლოა და დღემდე ასე რჩება. უფალს ვაქებ

ამ საჩუქრისთვის, რომლითაც სრულიად უსასყიდლოდ ვხარობ.

მის სიტყვებში არავითარი სინანული არ არის – მხოლოდ სიხარული. იგივე მინდა თქვენთვისაც! თუ უკვე შესცოდეთ, თქვენი ცხოვრების ამ ჩრდილის მოშორების ერთადერთი გზა, მისთვის გულის ნებისმიერი სიმაგრის ღვთიური ნაღველით გამსჭვალვის უფლების მიცემაა, ხოლო ამის შემდეგ მონანიების ძალა გადარჩენისკენ წაგიძღვებათ.

„ვინაიდან ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად ყოველგვარი წუხილის გარეშე, ხოლო ქვეყნიერების ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“. (2 კორ. 7:10)

ღვთიური ნაღველი სცდება მხოლოდ შედეგების გამო დამწუხრებას და ყურადღებას ღმერთთან ურთიერთობაზე ამახვილებს.

რა არის ქვეყნიერების ნაღველი? ეს გახლავთ დამწუხრება ქვეყნიერების ფასეულობების დაკარგვის გამო რეპუტაციის, ფულის, ქონების, ურთიერთობებისა და სხვათა ჩათვლით. ის ყურადღებას ამახვილებს ადამიანის დანაკარგზე ისე, რომ საერთოდ არ ითვალისწინებს სხვების ან ღვთისთვის მიყენებულ ტკივილს. ქვეყნიური ნაღველი ცვლილებების მოტანას საკუთარი ძალის ხარჯზე ცდილობს რელიგიური ძალისხმევის მეშვეობით, თუმცა გულის ფარული მოტივების ფესვს არასოდეს ეძებს. ქვეყნიური ნაღველის საუკეთესო სულიერი მაგალითი იუდას შემთხვევა იქნებოდა.

ღვთიური ნაღველი სცდება მხოლოდ შედეგების გამო დამწუხრებას და ყურადღებას ღმერთთან ურთიერთობაზე ამახვილებს. ეს გახლავთ საბურველის გადაწევა, რომ საგნების რეალური სახე დავინახოთ. დავითი ამის საუკეთესო მაგალითს ფს. 51:1-ში გვაწვდის:

„შემიწყალე ღმერთო, შენი წყალობისამებრ; შენი მრავალი წყალობისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული“.

დავითი თვალებს ღვთისკენ აღაპყრობს და ღვთიურ მოწყალებას ივედრება მისი დანაშაულების მოსაშორებლად.

შემდეგ ის ცოდვას აღიარებს, როგორც ღვთის წინაშე ჩადენილ უმართლობას.

„შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და უმწიკვლო - შენს სამართალში“. (ფს. 51:4)

მის სიტყვებში არ არის თავდაცვა ან სხვების დადანაშაულება. იგი ღიად აღიარებს თავის ცოდვას. როცა ღიად ვაღიარებთ, ასევე ღიად ვიწმიდებით. როცა ღვთის მრავალი წყალობა გვჭირდება (და ჩვენს შორის ვის არ სჭირდება?), თავი უნდა დავიმდაბლოთ ღვთის წინაშე, რომ მან აგვამაღლოს ჩვენი გარემოებებიდან.

„მასხურე უსუპი და განვიწმიდები; განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები!“ (ფს. 51:7)

დავითი თავის ცოდვას შორდება განწმენდის მოთხოვნით. იგი აღიარებს, რომ განწმენდა თავად არ შეუძლია, მაგრამ უფალს მიმართავს არა მარტო ცოდვის მოსაშორებლად, არამედ მისი ყოველი ნაკვალევის ან მისგან დალაქავებული ადგილის ჩრდილის მოსაშორებლად.

„სუფთა გული შექმენი ჩემში, ღმერთო და წრფელი სული განმიახლე!“ (ფს. 51:10)

მისი ცოდვა განწმენდილია და იგი სუფთა გულის გამაძ-ლიერებელი მადლისა და მტკიცე სულის განახლების თხოვნას იწყებს. დავითი ხვდება, რომ ცოდვას გულის დაჩლუნგების და ღვთის სამსახურებლად ჩვენი სულის სიმტკიცის დასუსტების ხერხები აქვს. შემდეგ იგი კვლავ აღავლენს სათხოვარს:

„შენი ხსნის სიხარული დამიბრუნე და შენი დიდებული სულით გამამაგრე. მაშინ ვასწავლი შენს გზებს დამნაშავეთ და ცოდ-ვილნი დაბრუნდებიან შენთან“. (ფს. 51:12-13)

ბოლო სამი მუხლი, ალბათ, ჩემი ყველაზე საყვარელი ადგ-ილებია ბიბლიაში. მათში მოცემულია სიხარულის დაბრუნების დაპირება იქ, სადაც სინანული და მწუხარება იყო. ისინი ახალი

— დაე, ზეციერმა მამამ სინანულის ყველა ბნელი ადგილი მისი ერთგულებისა და ჭეშმარიტების გაბრწყინებულ შუქურებად გარდაქმნას!

საწყისის შესახებ გვამცნობენ, რომ სიმახინჯისგან მშვენიერება გამოვიდეს. მათში მოცემულია სხვა შემცოდე პილიგრიმებისთვის ღვთის ულევის წყალობისა და სიყვარულის სწავლების შესაძლებლობა, რაც მათ აღდგენას გვახილვინებს. *დაე, ზეციერმა მამამ სინანულის ყველა ბნელი ადგილი მისი ერთგულებისა და ჭეშმარიტების გაბრწყინებულ შუქურებად გარდაქმნას!* დაე, მან იზეიმოს თქვენი გამოსყიდვა! დაე, თქვენც შეცვალოთ ტკივილის ყველა ადგილი სილამაზისა და თავისუფლების მაგალითებით შემცოდეთათვის ღვთის სიტყვის შესახებ სწავლების მეშვეობით, რომელმაც თქვენს ცხოვრებაში ხორცი შეისხა.

მოდით, გადავხედოთ 51-ე ფსალმუნს:

1. ღმერთს შევღაღადებთ მის მოწყალებაზე დაყრდნობით და არა ჩვენი დამსახურების გამო;
2. ვაღიარებთ დანაშაულს, როგორც ღვთის წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვას;
3. მის განსჯას სამართლიანს ვუწოდებთ;
4. მას ვთხოვთ განწმედას და ვიღებთ, როგორც უკვე დასრულებულ საქმეს;
5. მას ვთხოვთ ნებისმიერი სიბილწისგან განწმენდას და ჩვენი სულების განახლებას;
6. მას ვთხოვთ მისი ხსნის სიხარულს;
7. პირობას ვდებთ, რომ სხვებს ვასწავლით ჩვენი შეცდომებიდან და თავმდაბლობაში ვივლით;

უკვე აღარ ვნატრობ, რომ სხვანაირი გადაწყვეტილებები მიმეღო, თუმცა ღვთის ყველა ასულს, ვისაც ეს წიგნი უჭირავს, სხვაგვარ გამოცდილებას ვუსურვებ. უხვად მივიღე ზეციერი მამის მოწყალება, რომელმაც ჩემს ცოდვებს თქვენი გაფრთხილების საშუალება მისცა, ჩემი აღდგენა თქვენს იმედად აქცია, ხოლო ჩემი თავისუფლება – თქვენთვის შვების მომტანად. დავითთან ერთად ვილოცოთ:

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

შემიწყალე ღმერთო, შენი წყალობისამებრ! შენი მრავალი წყალობისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული! სრულად განმბანე ჩემი ბრალისგან და გამასუფთავე ჩემი ცოდვისგან! ვინაიდან ვიცი ჩემი დანაშაული და მუდამ თვალწინ მიდგას ჩემი ცოდვა. შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და უმწიკვლო - შენს სამართალში ... აჰა, გულში დაფარული ჭეშმარიტება გსურს, დაფარულში მასწავლი სიბრძნეს. მასხურე უსუპი და განვიწმიდები! განმბანე და თოვლზე მეტად გავსპეტაკდები! ლხინისა და სიხარულის ხმა გამაგონე, სუფთა გული შექმენი ჩემში, ღმერთო და წრფელი სული განმიახლე. ნუ უკუმაგდებ შენგან და შენს წმიდა სულს ნუ წამართმევ! შენი ხსნის სიხარული დამიბრუნე და შენი დიდებული სულით გამამაგრე! მაშინ ვასწავლი შენს გზებს დამნაშავეთ და ცოდვილნი დაბრუნდებიან შენთან. ... ხოტბას შეასხამს ჩემი ენა შენს სიმართლეს. უფალო, გახსენი ჩემი ბაგეები და შენს ქებას იტყვის ჩემი პირი! ... შესაწირი ღვთისა – სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გულს არ დაამცირებ, ღმერთო! (ფს. 51:1-17)

15 რატომ ვმარცხდებით, როცა ვნებდებით?

უსამართლო, მახინჯი ფაქტი სასიყვარულო ცეკვის შესახებ ის გახლავთ, რომ ქალური სექსუალური ძალა მის თავშეკავებაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო მეტად ჭეშმარიტია იმ ასაკში, როცა ყველა სხვა გოგო ხელმისაწვდომია.

– ლიზა შიფრენი, ქალთა კვარტალური ჟურნალი

რაოდენ დამაფიქრებელია ამგვარი განწყობის პოვნა საერო ჟურნალის სტატიაში. ჩანს, რომ ყოველივე ძველი ისევ ახლდება და ღმერთი გაცილებით მეტად იცავს ქალებს, ვიდრე უნდათ, რომ დაგვაჯერონ. ქვეყნიერებაც კი ფხიზლდება იმედგაცრუებული ქალების თაობის მრისხანე ხმაზე. ისინი მიხვდნენ, რომ სქესობრივმა თავაშვებულობამ არ მოიტანა ის, რაც მათ სურდათ. ჩვენ, როგორც ქალები, გაცილებით მეტს ვკარგავთ დანებებისას, ვიდრე მამაკაცები.

აქ ლაპარაკია ქალების თაობისთვის ღირსების, პატივის, ძალისა და დიახ ... ძალაუფლების აღდგენაზე, იქნებიან ისინი ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები, რომელთაც მეტად აღარ სურთ დამარცხება.

რასაკვირველია, ეს ბრძენები ჩვენგან ზომიერ მიდგომას მოითხოვენ ნანატრი სურვილების მოპოვების გულისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ გახლავთ. ჩვენ უმაღლესი მოწოდება გვაქვს. მთავარი არ არის ჩვენი ქცევის შეცვლა იმისთვის, რომ სასურველი მივიღოთ. აქ ლაპარაკია ქალების თაობისთვის ღირსების, პატივის, ძალისა და დიახ ... ძალაუფლების აღდგენაზე, იქნებიან ისინი ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები, რომელთაც მეტად აღარ სურთ დამარცხება.

მოისმინეთ ეს მრავლისმეტყველი ნათქვამი დანიელ კრიტენდენის წიგნიდან, *What Our Mothers Didn't Tell Us* (*რაც ჩვენმა დედებმა არ გვითხრეს*):

> უნდა ითქვას, რომ ყველა იმ დაპირებათაგან, რომლებიც ქალებს მოგვეცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის უნართან დაკავშირებით, სექსუალური ემანსიპაციის დაპირება ყველაზე ილუზორული აღმოჩნდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ჩვენს დროში ძალზე სასტიკი მეთოდებით ისწავლება. ყოველგვარი სექსუალური სიყოჩაღე, რომელსაც გოგონა ფლობს, თვალის დახამხამებაში ქრება პირველივე ჯერზე, როცა საყვარელი ბიჭი ნათლად აგრძნობინებს, რომ მისთვის გამოუსადეგარი გახდა საკუთარი სხეულის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ. არანაირ ფემინისტურ პოზიციას, არანაირ დარწმუნებას, რომ ასეთი ბიჭი მას არაფერში სჭირდება, არ შეუძლია მისი წასვლის შემდეგ მარტო დარჩენილი გოგონას დაცვა ტკივილისა და დამცირების საშინელი განცდისგან, როცა თავს სექსუალური ძალით აღვსილად კი არა, უარყოფილად გრძნობს.

გამოყენებისა და შემდეგ გვერდზე გაწევის საშინელება განსაკუთრებით ამაფორიაქებელია, როცა ახალგაზრდები უარყოფის ამ უკიდურეს ფორმას გამოცდიან. ჩვენ არასოდეს შევქმნილვართ გადასაგდებად, არამედ მისაღებად, თანაც თუ სრულად გავიღეთ, ფარდა ავხადეთ და გამოვამჟღავნეთ საკუთარი თავი. არასოდეს არ უნდა მივეტოვებინეთ მას შემდეგ, რაც ჩვენი ყველაზე ღრმა შინაგანის შესასვლელი გავაღეთ. სქესობრივი ერთობა ორის ერთად გახდომის კულმინაციად, ზეიმად და შუდუღაბებად იყო ჩაფიქრებული. ის არასოდეს ყოფილა წვეულების დაშლამდე მოსამთავრებელი აქტი. რა საშინელებაა, როცა გესმის, „მივიღე, რაც მინდოდა; ახლა მივდივარ აქედან ... ჰო, მართლა, მადლობა."

ჩვენი წიაღი სიცოცხლის თესლის ფრთხილი და სიყვარულით სავსე ჩასახვისთვის შეიქმნა და არა ბნელეთში გასადაგდებ, მიგდებულ ორგანოდ. ჩვენი საშვილოსნოები ბაღებს გვანან და ისე უნდა მოპყრობოდნენ, რომ აეყვავებინათ. ღმერთი ახალ-დაქორწინებულ ისრაელიანს პირველ წელს სახლში დარჩენას უბრძანებდა, რომ ახალმოყვანილი ცოლი გაეხარებინა (2 რჯ. 24:5). იგი დაცულად უნდა დარგულიყო ბედნიერების ბაღში, სადაც აყვავდებოდა და სიცოცხლეს შობდა.

ჩვენ, ქალები, გაცილებით მეტისთვის დავიბადეთ, ვიდრე ეს არის კაცის სქესობრივი ჟინის დასაკმაყოფილებელი საშუალება. ჩვენ, ქალებს საკუთარი სექსუალური სურვილების დაკმაყოფილებაზე მეტი გვსურს და ვიმსახურებთ ... *ჩვენ გვწყურია ინტიმურობა, რომანტიკა და ვნება. გვინდა ვიცნობდეთ და შეცნობილი ვიყოთ.* ზედმეტია ინტიმურ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი იქ, სადაც არ არის ნდობა და არ შეიძლება ხანგრძლივი ნდობა იყოს იქ, სადაც არ არის აღთქმა. როგორ შეიძლება ენდო ადამიანს, რომელიც იმის დაჯერების საბაბსაც არ გაძლევს, რომ ხვალ შენს გვერდით იქნება? თუ ის დღეს არ დაგელოდება, რომ თავი შეიკავოს სქესობრივი დაკმაყოფილებისგან, არც ხვალ გააკეთებს ამას. მამაკაცები ბუნებით დამპყრობლები არიან: როცა ისინი ნადავლის სისრულით ისიამოვნებენ, სხვა გამოწვევის ძებნას იწყებენ.

> *ჩვენ გვწყურია ინტიმურობა, რომანტიკა და ვნება. გვინდა ვიცნობდეთ და შეცნობილი ვიყოთ.*

მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულებას კიდევ ერთი ჩახლართული მოსახვევი აქვს. შეუძლებელია სქესობრივი კავშირით დაწყება და შემდეგ სიახლოვის უფრო ღრმა საფეხურზე ასვლა. მამაკაცებს არ აინტერესებთ იმ ქალების შინაგანი სამყარო, ვინც ადვილი ხელმისაწვდომი გახდა, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ფილმში გინახავთ ამის საპირიპირო სცენა. რატომ უნდა დაკარგოს დრო იმ ბოთლის იარლიყის გამოკვლევაზე, რომლიდანაც ღვინო უკვე დალია?

მამაკაცს თავგადასავალი, ინტრიგა უყვარს და ქალი მას მეტის მისაღებად უნდა იწვევდეს, რადგან სჯერა, რომ მეტი მართლაც არსებობს. მამაკაცს სურს ერწმუნოს მას, ვისაც მისი სჯერა. მას სურს იცოდეს, რომ ქალს შეიძლება ანდოს თავისი გული, შვილები და ფული. გულის სიღრმეში კარგ მამაკაცს უნდა ბრწყინვალე აღჭურვილობაში შემოსილი პრინცი ან რაინდი იყოს. თუ თქვენ პრინცს ელოდებით, არ დაგავიწყდეთ, რომ ის პრინცესას ეძებს.

მოდით, დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რას ვკარგავთ სქესობრივი თავშეუკავებლობით:

ზარალი: პატივისცემა, ქალწულობა, ძალაუფლება, გამორჩეულობა, იდუმალება, უმწიკვლოება, ნდობა, კარგი რეპუტაცია, კონტროლი, სქესობრივი ჯანმრთელობა, ზნეობრივი სისპეტაკე,

ნაყოფიერება, თავისუფლება და ურთიერთობის მომავალი.

ბიოლოგიური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ქალი ორსულდება და არა კაცი. მას შეუძლია სისხლის დაუღვრელად გაშორდეს შვილს, მაგრამ ქალის შემთხვევაში სხვაგვარადაა. სწორედ ქალი ატარებს უმამო ბავშვს ან დაბადებამდე კლავს. ქალმა უნდა შვას ჩვილი, რომელიც შეიძლება გააშვილოს. ბავშვის დატოვების შემთხვევაში ქალს უწევს ერთ დღეს პატარასთვის იმის ახსნა, თუ რატომ არ ზრუნავდა მამამისი მასზე იმდენად, რომ დარჩენილიყო. ეს ყველაფერი რთულად მისაღებ გადაწყვეტილებებს უკავშირდება.

ბევრი ვენერიული (სქესობრივი გზით გადამცემი) დაავადება ქალის რეპროდუქციულ სისტემას მანამდე ემუქრება, სანამ მის აღმოჩენას შეძლებენ. ეს ნიშნავს, რომ ქალს დაფეხმძიმება გაუჭირდება თუ საერთოდ უნაყოფო არ დარჩა. ასევე არსებობს შიდსის ვირუსი, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს ამოკლებს. მამაკაცები ერთი სქესობრივი კავშირიდან მეორეზე უფრო სწრაფად გადადიან, ვიდრე ქალები და მათ არა მხოლოდ საკუთარი თესლის, არამედ საშიში დაავადებების გადატანა შეუძლიათ იქამდე, სანამ ამას გააცნობიერებენ.

ერთმა ახალგაზრდა კაცმა ერთ კვირაში ჩემი ნაცნობი გოგონა და საკუთარი მეჯვარის და ერთდროულად დააორსულა. მათ ბავშვები ერთი დღის შუალედით ეყოლათ. სად იყო ის ახალგაზრდა, როცა გოგონები მშობიარობის ტკივილებით იტანჯებოდნენ? მათი ხელები ეჭირა? არა, მან ქალაქი დატოვა.

ახლა, დავითვალოთ ქალის პოტენციური სარგებელი ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირებისგან:

სარგებელი: დროებითი სიამოვნება და სექსუალური გამოცდილების მიღება.

ახლა გადავხედოთ მამაკაცის სარგებელსა და ზარალს:

ზარალი: სქესობრივი უმანკოეების დაკარგვა და სქესობრივი ჯანმრთელობა.

სარგებელი: დროებითი სსიამოვნება, სქესობრივი გამოცდილება, დაპყრობის სიამოვნება, ვინმე სხვასთან გადასვლის თავისუფლება.

ამ დრამის ნახვა დღის ტელევიზიით ყოველ შუადღეს შეგიძლიათ. ამას წინათ ერთ თოქშოუს გადავაწყდი და შეშფოთებული თხუთმეტი წლის გოგონას გამოსახულების ქვეშ ბანერზე ეს იკითხებოდა: „ფიქრობს, რომ ის არის ბავშვის

მამა“. ჩანს, მამობის საკითხი ეჭვქვეშ დადგა. ბიჭი სისხლის ანალიზის გაკეთებაზე დათანხმდა საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად და თავისუფლებაზე იყო, სანამ დაიჭერდნენ ან გაამართლებდნენ. შედეგების კონვერტი ისე გახსნეს, თითქოს აკადემიის ლაურეატთა პრემია უნდა გადაეცათ. „და შედეგად მივიღეთ, რომ ... (ბარაბნების ხმა) ... თქვენ მამა არ ხართ!“ ახალგაზრდა კაცი სკამიდან წამოხტა და სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო! „სახლში თავისუფალი წავალ! თავისუფალი ვარ! ხომ გეუბნებოდი .... შენ –––––––, რომ ეს ჩემი ბავშვი არ იყო!“ აუდიტორიაში რამდენიმე მეგობრის ტაშისკვრის შემდეგ ბიჭმა ზეიმი კულისებს მიღმა გააგრძელა, ხოლო წამყვანისა და ახალგაზრდა გოგონას უკან დამონტაჟებული დიდი მონიტორი ყველაფერს აჩვენებდა.

ყველაზე მეტად გოგონას სახეზე აღბეჭდილმა შეძრწუნებამ ამაღელვა. იგი სრულიად გაოგნებული და უიმედო ჩანდა. წამყვანმაც კი შენიშნა მისი შიში, გადაიხარა, მისი ხელი დაიჭირა და უთხრა: „დაივიწყე. ჩვენ დაგეხმარებით.“ გოგონამ თავი უხმოდ დაუქნია, ამ დროს კი ახალგაზრდა კაცი თავისუფლებაში ხარობდა და ხტოდა მის ზურგს უკან.

უნდა აღვნიშნო, რომ დავინახე ეს და ცრემლებად დავიღვარე. როგორ შეიძლება, მისი ცხოვრება იგივე დარჩეს? მან თავისი ამბავი ქვეყნის მედიის წინაშე იმ იმედით გამოიტანა, რომ ბავშვს მამას შეუნარჩუნებდა, მაგრამ ამაოდ. რასაკვირველია, ეს კითხვას ბადებს, თუ რატომ არ მოიყვანა მან ყველა ბიჭი, ვისთანაც ჩასახვის დროის შუალედში იწვა? ალბათ იმიტომ, რომ ეს ერთადერთი იყო, ვისთანაც ცხოვრების დაკავშირება სურდა. ჭეშმარიტებამ, რომელსაც ის ეძებდა, დაცვა ვერ მოუტანა. იგი სირცხვილნაჭამი და სრულიად ძალაგამოცლილი დარჩა მილიონობით უცხო მაყურებლის წინაშე. სტუდიის აუდიტორიის სტუმრების მყისიერი რეაქცია არეული იყო. ზოგიერთი გაშეშდა, სხვები თავებს იქნევდნენ, ხოლო დანარჩენები დასცინოდნენ. მინდოდა იქ ვყოფილიყავი და მოვხვეოდი.

> *— მამაკაცის უწესრიგო სქესობრივი კავშირების საზღაური მინიმალურია ქალის დანაკარგთან შედარებით.*

მისთვის ამის გაკეთება ვერ შევძელი, მაგრამ თქვენ გაფრთხილებთ. *მამაკაცის უწესრიგო სქესობრივი კავშირების საზღაური მინიმალურია ქალის დანაკარგთან შედარებით.* დარწმუ-

ნებული ვარ, რომ ეს სატანჯველი ედემის ბაღის შეცოდების წილად გვერგო. ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ როგორ იტანჯებიან ქალები, როცა სიყვარულის კანონები იბილწება. ეს კანონები თქვენს დასაცავად შეიქმნა და არასოდეს ისახავდა მიზნად თქვენთვის სიხარულისა და სიამოვნების წართმევას. ცოდვას მართლაც მოაქვს დროებითი სიამოვნება. დარწმუნებული ვარ, რომ იმ გოგონამაც განიცადა წუთიერი სიამოვნება ახალგაზრდა ბიჭის მკლავებში, ისევე როგორც სხვათა მკლავებში, მაგრამ ეს წარმავალი ექსტაზი არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მან იმ დღეს გადაიტანა სატელევიზიო პროგრამაში.

როცა იწყებთ იმით, რაც ერთობის კულმინაცია უნდა ყოფილიყო, ყველაფერი დანარჩენი დაბლა ელვის სისწრაფით მიექანება. თუ კავშირის ყველაზე ინტენსიური (სექსუალური) დონე პირველად განვითარდება ურთიერთობის დანარჩენი ასპექტების უგულებელყოფით, მაშინ მას დააკლდება გამაერთიანებელი დულაბი. მამაკაცს დიდი ძალისხმევა და შორს წასვლა არ სჭირდება ისეთი ქალის სანახავად, რომელიც სექსუალურ კავშირზე დათანხმდება. დღევანდელ საზოგადოებაში ამგვარი მომსახურებისთვის ფულის გადახდაც კი არ არის საჭირო.

მინდა ერთი კარიკატურა გაგიზიაროთ, რომელიც დიდი ხნის წინ კოლეჯში წავიკითხე კაცების პორნოგრაფიულ ჟურნალში. კაცი და ქალი ლოგინში წვანან და მზად არიან გაგრძელებისთვის. ქალი ხელს მაღლა წევს კაცის მცდელობების შესაჩერებლად, სანამ ის ერთ კითხვას არ უპასუხებს: „დილასაც პატივისცემით მომეპყრობი?“ მომდევნო ჩარჩოში დაბნეული კაცი ჩანს: „დილას პატივი გცე? მე ახლაც არ გცემ პატივს!“

თუ პატივისცემას ეძებთ, ამას სექსუალურ კავშირებში ვერ იპოვით. მამაკაცები ახლაც იმ ქალებზე დაქორწინებას ამჯობინებენ, რომლებიც ლოგინში არავისთან წოლილან, განსაკუთრებით, მათ რომელიმე ნაცნობთან. კაცებს უყვართ თავშეუკავებელი ქალების საწოლში ჩაგორება, ფლირტაობა და ზოგჯერ პაემანზე წასვლაც კი, მაგრამ ასეთები, როგორც წესი, პირველები არასოდეს არიან ქორწინების ან დედობისთვის გათვალისწინებულთა სიაში.

ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირები ქალს სექსუალურად კაცივით მოქცევის თავისუფლებას აძლევს, მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი ქცევის

მიუხედავად, კაცი ვერასოდეს გახდებით ... მაშ, რტომ უნდა ვგავდეთ კაცებს? ქალები ყველაზ ძლიერები მაშინ არიან, როცა თავიანთ ქალურ იდუმალებას იღებენ.

რასაკვირველია, თანამედროვე კულტურამ ყველაფერი გააკეთა, რომ სიტყვა *ქალური* სუსტ და მოწუწუნე სახესთან დაეკავშირებინა. ვფიქრობ, რომ თქვენი ქალური მხარეების გამოყენების შემდეგ კაცები ვეღარ მოისვენებენ. თუმცა ქალურობა ქალისთვის არაბუნებრივი სულაც არ არის. როცა ქალი მტკიცედ დგას თავის, როგორც ქალის როლში, მამაკაცებს ახალ დონეზე თუ სტანდარტებზე ამაღლება უწევთ. მამაკაცებს პატივისცემა, სიყვარული და ყურადღება სწყურიათ მათგან, ვისაც ისინი თანასწორ, მაგრამ შემავსებელ მეორე ნახევრებად თვლიან. კაცისთვის კარგი არ არის მარტო ყოფნა, რადგან მათ შრომას და ცხოვრებას რეალური მიზანი არ აქვს ვინმესთან გაზიარების გარეშე. კაცებს არ აქვთ გაშიშვლებული ქალების დაცვის შთაგონება, მათი დაპყრობისა და ძალადობის გარდა; მათ შემოსილი ქალების დაცვის სურვილი უჩნდებათ.

თუ ინტიმურობის ხელახლა მოპოვება გვსურს, ჭეშმარიტებას უნდა შევურიგდეთ. თუ ღირსებისა და პატივისცემის უკან დაბრუნება გვინდა, ჩვენი სამოსლის დაბრუნებაც უნდა მოვისურვოთ. ყოველგვარი სექსუალური თავისუფლება ქალების იმიჯს კი არა ამაღლებს, არამედ აკნინებს. შეგიძლიათ, აცდუნოთ ქალურობის ზეგავლენის გარეშე, მაგრამ ქალურობა თავის თავში იდუმალების მომხიბლაობას მოიცავს.

> *~ ყოველგვარი სექსუალური თავისუფლება ქალების იმიჯს კი არა ამაღლებს, არამედ აკნინებს.*

ევას ასულები საუკუნეების განმავლობაში შეჰღაღადებდნენ ადამის ძეებს: *მომეცი მსხვერპლის გაღების უნარის მქონე სიყვარული! დამიხსენი და დამიცავი! დააკმაყოფილე ჩემი უსაფრთხოების და დაცვის უღრმესი საჭიროება!* როცა ადამის ძე პასუხობს, ისეთ განაცხადს აკეთებს, რომელსაც ვერ შეასრულებს იმ იმედით, რომ ქალი დააკმაყოფილებს მის გამოუთქმელ წყურვილს. ორივე მათგანი მარცხისთვის არის განწირული, რადგან მხოლოდ ღმერთს სურს თითოეული ჩვენგანის გულის სურვილების დაკმაყოფილება.

სასოწარკვეთილები ჩვენს სხეულებს ვყიდით, ვიბრძვით და ომს ვაწარმოებთ ადამის ძეებთან იმის მცდელობაში,

რომ მათგან კურთხევა და ჩვენი ფასეულობის დადასტურება მივიღოთ. ამ ჭიდილისგან, დიდი დიდი, გაღიზიანება მივიღოთ. მეტისმეტად ხშირად ვრჩებით იმედგაცრუებულები მტვერში: ღირსებაგათელილი, დაჭრილი და მარტოსული. საბოლოო ჯამში, ეს უაზრო და ქანცისგამწყვეტი პროცესია, რომელშიც ორივე მხარე აგებს. ეს ადამის ძეების დანაშაული არ გახლავთ. მათ არ შეუძლიათ იმ კურთხევის მოცემა, რაც გვჭირდება და ჩვენც შევაშინეთ ისინი ჩვენს სამშვინველზე ამხელა ძალაუფლების მიცემით. უნდა გავაცნობიეროთ, რომ საჭირო კურთხევა მხოლოდ ღვთისგან მოდის. ღმერთს ახალი სახელის წოდების საშუალება უნდა მივცეთ, რადგან ჩრდილში დამალული ევას ასულები აღარ ვართ, არამედ სინათლის და აღთქმის ასულები, მისი საპატარძლო.

ჯონ ელდრიჯი თავის შესანიშნავ წიგნში, *Wild at Heart* (თომას ნელსონის გამომცემლობა 2001 წელი), კაცებისთვის საერთო იმედგაცრუებას გვიზიარებს, რომელიც მათ ეუფლებათ სისრულის ძიებისას იმისგან, ვისაც ავტორი „ქერათმიან ქალწულს“ უწოდებს. რას ვიტყვით ჩვენზე, ქალებზე? განა ჩვენი დანაშაული უფრო დიდი არ არის? მეტისმეტად ხშირად ვუყურებდით ადამს მხოლოდ იმისთვის, რომ გვეღალატა. ადამი ევამდე იყო. ადამი ახლაც მის წინ არის. ადამი წარმოადგენს უპირატესობას, რომელსაც ქალი ვერ მიხვდება, რადგან კაცი პირველი იყო. ევასთვის ადამი ქმარზე გაცილებით მეტს წარმოადგენდა. იგი მისი ძმაც იყო და გარკვეულწილად, მამაც, რადგან კაცისგან შობილი ერთადერთი ქალი გახლდათ. იგი იმედგაცრუებული დარჩა ადამის არჩევანით, ისევე როგორ, საკუთარი გადაწყვეტილებით. ჩვენ ნამდვილად გვინდა ისეთი მამაკაცები, რომლებიც ძალას ჩვენზე დიდისგან მიიღებენ.

ადამი ვერასოდეს დაწყვეტს ჩვენს ბორკილებს. როცა მხოლოდ ადამს ვუყურებთ, ვიტანჯებით და იმედგაცრუებული ვრჩებით. როცა ღმერთს უყურებთ, აღარ ხართ შიშველი და შერცხვენილი ევას ასული, არამედ შემოსილი და გამოსყიდული აღთქმის ასული ... დიდებული საპატარძლო, რომელიც გალობს და ცეკვავს პრინცის მოლოდინში. შეგიძლიათ, გულმხურვალე იყოთ, რადგან რჯული წყურვ-

~ ადამი ვერასოდეს დაწყვეტს ჩვენს ბორკილებს. როცა მხოლოდ ადამს ვუყურებთ, ვიტანჯებით და იმედგაცრუებული ვრჩებით.

ილით შეცვალეთ, ბორკილი – თავისუფლებით, ხოლო წესები – ურთიერთობით. თქვენ ხართ კეთილშობილი ქალი. ზოგიერთ ქალს მხოლოდ სინანულის სიმწარე აქვს გამოცდილი, სანამ წყალობის სიხარულით სავსე ნიაღვარს იგემებდა. ეს გახლავთ დაჟინებული მოწოდება, რომ ქალები თავიანთი ძლიერების, ღირსებისა და პატივის საწყის პოზიციას დაუბრუნდნენ. მაღლა აწეული თავებით ვაღიარებთ თავისუფლებას ჩვენი დებისა და ასულებისთვის; დიახ, ჩვენ შეგვიძლია გავუშვათ ისინი, რომ წავიდნენ და აღარ შესცოდონ!

დასკვნა სიყვარულის ძალა

ახლა ჩემი ქორწინების მეოცე წელია, მაგრამ წარსულს რომ გადავხედავ, მახსოვს, რას ვგრძნობდი პატარძლობისას. არ ვლაპარაკობ ქორწილის დაგეგმვის შრომატევად საქმეებსა და ფინანსურ მოვალეობაზე – ეს ყველაფერი არასოდეს ყოფილა პატარძლის საზრუნავი – რადგან პატარძლები ყოველთვის უნდა გაეტაცებინათ. არა, მე სიყვარულის სიხარულზე ვლაპარაკობ, რომელსაც ყველა ელოდებოდა და ხარობდნენ. მახსოვს, როგორ ვითვლიდი დღეებს, როცა ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა და ოცნებების სამყაროში მოგზაურობას შევუდგებოდი. ისეთი იყო ჩემი ცხოვრება, როგორც წარმომედგინა? ვინაიდან ყველა ჩვენგანი მის საპატარძლოს წარმოვადგენთ, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, როგორ უნდა იფიქრონ პატარძლებმა?!

- პატარძალს თავის ნეფესთან ერთად გაქცევა სურს საიდუმლო და ლამაზ ადგილას, სხვათა ცნობისმოყვარე თვალისა და ხმაურისგან შორს. ამ წყნარ განმარტოებაში მას სიტყვებზე უფრო ძლიერი სიყვარულის განცდა სურს.

- პატარძალს ნეფის შეხება სწყურია. ასულის გაღვიძებულ გრძნობებსა და შინაგან ვნებას მხოლოდ მისი შეხება თუ დააკმაყოფილებს. მას სურს იყოს მიღებული და პატივისცემით უპასუხოს.

- პატარძალს სურს, განსაკუთრებული სიმღერა ჰქონდეს, რომელსაც მხოლოდ ნეფეს გაუზიარებს – მისი ტონალობა ამ ორის სიყვარულის ხორცშესხმაა და „მათ“ სიმღერად იქცევა.

- პატარძალს მოსწონს ნეფის ხმის ჟღერადობა, განსაკუთრებით, თუ ის ნაზად ჩასჩურჩულებს ყურში. მაშინ ასული ხვდება, რომ ეს მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი.

- პატარძალს სურს, რომ ლამაზად იყოს მორთული და როცა მზად იქნება ნაზად იქნას გახდილი.

- პატარძალს სურს, რომ ნეფის წინაშე შიშველი და შეურცხვენელი იდგეს. მას სურს შეიგრძნოს, რომ მისი სხეულის ყველა ნაწილი მშვენიერი და სასურველია ... მისი მოყვანილობა და ფორმა ზუსტად ისეთია, რის იმედიც ნეფეს ჰქონდა.

- პატარძალს სურს, რომ ნეფეს ყოველმხრივ ასიამოვნოს.

- პატარძალს სურს, რომ წმიდა და გულმხურვალე იყოს ყველაფერში, რასაც აკეთებს.

- პატარძალს სურს, ილაპარაკოს და შესმენილ იქნას, არა ამ ენის უბრალო სიტყვებით, არამედ გულის რთული ენით. მას სურს, რომ გაუგონ სიღრმისეულად, რის გამოთქმაც შეუძლებელია.

- პატარძალს სურს თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, როცა თავდაცვას თავს ანებებს.

- პატარძალს სურს შიშის გარეშე, თავისუფლად გამოთქვას სათქმელი.

- პატარძალს უყვარს სიურპრიზები და მოულოდნელი საჩუქრები.
- პატარძალს სურს, საიდუმლოებები გაანდოს თავის ნეფეს.

- პატარძალს მოსწონს, რომ მისი საყვარელი ადამიანი მოსდევდეს და შემდეგ თავადაც გაედევნოს მას.

- პატარძალს მოსწონს კუთვნილების სიხარულის განცდა.

- პატარძალს სურს იყოს მოვლილი, დაცული, ნახელმძღვანელები და შეცდომებზე სიყვარულით მითითების მიმღები, მაგრამ არასოდეს გაკრიტიკებული. როცა მას აკრიტიკებენ, აყვავებას წყვეტს და ჭკნება მისი საყვარელი ადამიანის შეხებით.

- პატარძალს აღარ აინტერესებს სხვა სიყვარული, რადგან მთლიანად მოცულია პირველი სიყვარულით.

თუ ეს აღწერილობა გულს გატკენს ... დაე, ასე იყოს. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი ყამირ და მაგარ ნიადაგს ტეხს და ამბობს, „ნება მიბოძე, მიყვარდე!“ ეს სწრაფვა ყველა ქალშია ... და არანაირ მიწიერ ადამიანს არ შეუძლია მისი დაკმაყოფილება. ადამის ძეებს, ზოგჯერ, შეუძლიათ რომელიღაც საჭიროების დაკმაყოფილება, მაგრამ სხვა სახის წყურვილები უარყოფილი რჩება. შესაძლოა, მიწიერი სიყვარული ხელიდან გაგისხლტეთ ან იმედი გაგიცრუოთ. სინამდვილეში, თქვენ სხვა რამ გინდათ. ეს ზეციერი პრინცი იმედს არასოდეს გაგიცრუებთ და არც გულს გატკენთ! მან წარმოქმნა თქვენი შინაგანი სურვილები და ყოველთვის თქვენს ოცნებას წარმოადგენდა, როგორც თქვენ – მისას.

> „როგორც ჭაბუკი ქორწინდება ქალწულზე, ასე იქორწინებენ შენზე შენი ძენი და როგორც ნეფე ხარობს პატარძალზე, ისე გაიხარებს შენზე შენი ღმერთი“. (ეს. 62:5)

ნეფისთვის გამზადება არასოდეს ყოფილა გადაცემის წყნარი, პასიური რიტუალი. ეს ყოველთვის ვნების დროა – პატარძლის სამყაროდან მისი საყვარელი ადამიანის სამყაროში გადასვლა. თქვენ უძველეს პროცესიას უერთდებით, რომელიც აღფრთოვანებით ხარობს და თრთის ... ზეცის ელიტურ ასულებს, რომლებსაც ღვთის ხმის გაგონება სწყურიათ და მის გულში ჩაკვრას მოელიან.

საკმაოდ გავისარჯე იმის საჩვენებლად, თუ რა მზრუნველობით არჩევს ღმერთი თავის საპატარძლოს. მინდა დაინახოთ მასშტაბის სიღრმე და სიგრძე, სანამდეც ღმერთი

წავა, რომ მისი ძისთვის შეგინახოთ. ნამდვილად მისი არასოდეს იქნებით, თუ მის უცვლელ სიყვარულს არ შეიმეცნებთ. მან ჩვენი გულები უნდა დაიპყროს, რომ ჩვენი გატაცება შეძლოს. ვინაიდან, სადაც ჩვენი საგანძურია, იქ იქნება ჩვენი გულიც.

> „სიხარულით ვილხენ უფალში, გაიხარებს ჩემი სული ჩემს ღმერთში, ვინაიდან მან შემმოსა ხსნის სამოსელით, სიმართლის მოსასხამი მომასხა, როგორც ნეფე იდგამს გვირგვინს და როგორც პატარძალი ირთვება სამკაულებით“. (ეს. 61:10)

დაფარეთ თქვენი სიშიშვლე მისი გადარჩენით! გაეხვიეთ მის სიმართლეში! შეიმკეთ მისი თაყვანისცემის ძვირფასეულობით! იზეიმეთ მისი გულში ჩაკვრა და გულს მის წინაშე ცეკვის საშუალება მიეცით!

~ ძვირფასო ზეციერო მამა,

ჩამაბრწყინე! შენი ვარ. ნება მომეცი, რომ შენი სიყვარულით ველვარებდე და ახლოს გიცნობდე. მინდა, გიყურო და დატყვევებული ვიქნე შენი მზერით! გულზე მიმიბნიე ბეჭედივით. ახლოს გყავდე და არასოდეს გამიშვა! მიყვარხარ, ჩემო მშვენიერო და დიდებულო პრინცო! გამალამაზე შენი ხსნით! მალე მოდი, უფალო იესო!

სიყვარულით,
შენი ასული

შენიშვნები

თავი 9

1. *Matthew Henry's Commentary on the Whole Bible: New Modern Edition, Electronic Database (Hendrickson Publishers, Inc., 1991).*
2. იგივე.

თავი 14

1. *Lisa Schriffen, The Women's Quarterly 1997, 97.*
2. *Danielle Crittenden, What Our Mothers Didn't Tell Us (New York: Touchstone, 1999), 31.*

ავტორის შესახებ

ლიზა ბევირი გახლავთ ბესტსელერების ავტორი *„კონტროლის დაკარგვა და მისი შეყვარება“; „ქალის ჭეშმარიტი საზომი“; „გაბრაზდი, მაგრამ ნუ გაანადგურებ“; „შენ ის არ ხარ, რასაც იწონი“.* პოპულარული მქადაგებელი და რადიოსა და ტელევიზიის ხშირი სტუმარი, ლიზა ბევირი კოლორადოში ცხოვრობს, სადაც ის მანქანით ჩამოარიგებს თავის შვილებს და ხარობს თავის ქმართან, ჯონთან გატარებული დროით, რომელიც ასევე ბესტსელერების ავტორია.

მადლიერება

ესო, ჩემო უპირველესო პრინცო და მხსნელო! შენ ჩემი სიშიშვლე ღირსებით შემოსე, ჩემი სირცხვილი – პატივით. ჩემი შეზღუდული სიტყვები და მოქმედებები შესაფერისად ვერასოდეს გამოხატავს ჩემი მადლიერების და სიყვარულის სიღრმეს. დაე, შენმა ძვირფასმა სიტყვამ ყოველთვის შეისხას ხორცი ჩემს ცხოვრებაში, რომ სხვებმა დაინახონ შენი სილამაზე!

ჩემს მეუღლეს, ჯონს! ოცი წლის წინ ჩემი სირცხვილის მიღმა სილამაზე დაინახე. შემდეგ ჩემი კოშმარიდან გამიტაცე და ოცნებაში გადამიყვანე ... მადლობა.

ჩემს ოთხ ვაჟს, ედისონს, ოსტინს, ალეკსა და არდენს! ... ყველა იმ დროისთვის, როცა ჩემი თავი სხვებს გაუზიარეთ წერისა და სიტყვით გამოსვლის მეშვეობით. დაე, ღმერთმა გაამრავლოს თქვენს მიერ დათესილი და მოგცეთ თქვენი გულის ოცნებები, რადგან თითოეული თქვენგანი ნამდვილი სიამოვნებაა ჩემთვის.

კრისტენ ლუკასს, შენი მომსმენი ყურისთვის, გამხნევების სიტყვებისა და ოსტატური რედაქტირებისთვის.

ვიქტორ ოლივერს! ... ჩემი სიღრმისეულად აღძვრის სიბრძნისთვის.

ბელინდა ბასს! ... იდეების გაცვლა-გამოცვლისთვის.

პამელა კლემენტს! ... შენი სიცილისთვის, როცა საქმეები ცუდად მიდიოდა.

მაიკ ჰიატს! ... „დიდი იდეის“ მოთხოვნისთვის.

ყველა ადამიანს! ... რომელთა სახელი აქ არ გვიხსენებია, მაგრამ თავიანთი ნიჭი და ტალანტი ჩადეს ამ პროექტში ... დაე, წინამდებარ წიგნმა გაათავისუფლოს ტყვეები.

კონკურენციის გარეშე

მიიღეთ თქვენი იდენტობა და მიზანი არეულობისა და

შეჯიბრების ეპოქაში!



არსებობს გარკვეული მიზეზი, რის გამოც სხვა ადამიანებს მოწინააღმდეგეებად აღვიქვამთ და საკუთარ თავს საზღვრებს ვუწესებთ მათთან შედარებისა და კონკურენციის სფეროებში. მტერი გვყავს, რომელიც ჩვენს გონებას, ნებასა და ემოციებს თავს ესხმის იმ იმედით, რომ საკუთარ თავს და ერთმანეთს დავუწყებთ ბრძოლას. ეს ის წრეა, რომელიც ახლო ურთიერთობებს გვაშორებს, ჩვენს შინაგან პიროვნებაში არეულობას იწვევს და დასახულ მიზანს ფარგლებს უწესებს.

ბესტსელერების ავტორი ლიზა ბევირი წიგნში *„კონკურენციის გარეშე“*, გაგიზიარებთ გამოცხადებას ღვთის სიყვარულის შესახებ, რომელიც ამ საზღვრებს ანგრევს. თქვენ შეწყვეტთ სხვა ადამიანების კონკურენტებად აღქმას და ღრმა ურთიერთობას დაამყარებთ თქვენს შემოქმედთან, რასაც დიდხანს ელოდით. ეს ის კავშირი იქნება, რომელიც ჭეშმარიტი იდენტობის გაცნობიერებისა და სიახლოვის აღთქმას იძლევა. ლიზა იუმორითა და ენთუზიაზმით გადმოგცემთ ბიბლიურ ჯანსაღ მოძღვრებას, რომელიც შევსებული იქნება ჩვენი დროისთვის საჭირო წინასწარმეტყველური ხედვით.

დროა, წინ გადადგათ ნაბიჯი და იცხოვროთ კონკურენციის გარეშე!

ხელმისაწვდომია: CloudLibrary.org

ანდამატი

ჭეშმარიტების მოძიება აზრების სამყაროში



თუ ოდესმე ყოფილა დრო, რომ სიყვარულისა და ჭეშმარიტების მიმართ ანდამატივით მტკიცე ვყოფილიყავით, ეს ახლაა. ღმერთი სიყვარულია. ღმერთი ჭეშმარიტებაა. სიყვარულიც და ჭეშმარიტებაც უსასრულოა და ჩვენს ამჟამინდელ ტენდენციებსა და მოსაზრებებს აღემატება. ზოგჯერ ყველაზე დიდი სიყვარულის გამოხატულება ჭეშმარიტების ლაპარაკია, თუმცა ჭეშმარიტების ლაპარაკი მასში ცხოვრებით უნდა იწყებოდეს.

ლიზა ბევირი, რომელიც ბესთსელერების ავტორი გახლავთ, წმიდა წერილისა და თხრობის მეშვეობით შეგიძღვებათ ისეთ მოგზაურობაში, სადაც ადამიანები არა მარტო მკვიდრობენ ღვთის ურყევ ჭეშმარიტებასა და სიყვარულში, არამედ თავად ხდებიან ანდამატები – ურყევი, შემართებული და მტკიცე ადამიანები.

ღვთის გეგმა მაშინ გაცხადდება, როცა მასში ვმკვიდრობთ. სწორედ აქ ვყალიბდებით. თუ დავრჩებით ქრისტეში, რომელიც ჩვენი ქვაკუთხედია, ანდამატის მსგავად გარდავიქმნებით.

ხელმისაწვდომია: CloudLibrary.org

ქორწინების ამბავი

რატომ არ არის საკმარისი, კარგი ღმერთის გარეშე

დიდი ხნის წინ... ქორწინება მარადიული იყო. ეს იყო აღთქმა, რომელიც ერთ კაცსა და ერთ ქალს ერთმანეთზე აქსოვდა. ეს კავშირი ორივეს უფრო ძლიერს, სულგრძელს და იმის უფრო მოძრავ გამოხატულებას ხდიდა თუ როგორებად იყვნენ შექმნილები. ისინი უკეთესები იყვნენ ერთად, ვიდრე ცალ-ცალკე. ქორწინების ცერემონიალი მხოლოდ დასაწყისი იყო. ეს იყო კარიბჭე მათი მომავალი ბედნიერების ასაშენებლად. თითოეული არჩევანი და მოქმედება იმ ცხოვრების ასაშენებლად იყო, რომელსაც მათი გაერთიანება წარმოადგენდა. ქმარი და ცოლი ერთმანეთზე გადაჯაჭვული გულებით, ხელებითა და ხმებით მიდიოდნენ უცნობ ადგილას, მათი შემოქმედის სიყვარულის გამოსახატად.

როგორ ვკარგავთ შეხებას ამ ძირითად სიყვარულის ამბავთან? წიგნში „ქორწინების ამბავი“ ჯონი და ლიზა ბევირები გვიწვევენ ღმერთის საწყისი გეგმის თავიდან აღმოსაჩენად. დაქორწინებული ხარ, მარტოხელა თუ დანიშნული, შენი ისტორია მისი ისტორიის ნაწილია.

ხელმისაწვდომია: CloudLibrary.org

Messenger International ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებს, ეკლესიებსა და ერებს ღვთის გარდამქმნელი ძალის გაცნობიერებასა და განცდაში ეხმარება. ამის გააზრებას შედეგად მოაქვს ძალმოსილი ცხოვრება, გარდაქმნილი საზოგადოებები და მთელს მსოფლიოში მოდებული უსამართლობის მიმართ დინამიური გამოხმაურება.

CLOUD LIBRARY

Cloud Library ონლაინ პლატფორმა გახლავთ, რომელიც პასტორებსა და წინამძღოლებს უფასო ციფრულ რესურსებთან წვდომის საშუალებას აძლევს მათ მშობლიურ ენაზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ეწვიეთ CloudLibrary.org -ს და ჩამოტვირთეთ რესურსები ჯონ და ლიზა ბევირებისგან თითქმის 100 ენაზე!

ელ. წიგნები, ვიდო და აუდიო გაკვეთილები, აუდიო წიგნები, ბიბლია...

გსურთ უფრო მეტი? დაასკანერეთ აქ:

CloudLibrary.org

CLOUD LIBRARY

გოგონები ხმლებით

როგორ ატარო ჯვარი, როგორც გმირმა

თუკი ოდესმე ყოფილა დრო ქალებისთვის, რომ შეიარაღებულიყვნენ, ეს ახლაა. მთელ მსოფლიოში, ქალები არიან სტერეოტიპების, სექსუალური ტრეფიკინგის, დამცირების და გენდერული უთანასწორობის მსხვერპლნი. ლიზა ბევირი წერს, რომ ეს თავდასხმები იმაზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, თუ ვინ უნდა იყვნენ ქალები მომავალში, ვიდრე იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი წარსულში.

წიგნში *„გოგონები ხმლებით“*, ის გვიხსნის, რომ მტერი ცდილობს განაიარაღოს ქალები ყველა დონეზე. დროა, ქალები გახდნენ ის გმირები, როგორებადაც ღმერთმა შექმნა და იყვნენ: მამაცები, შორსმჭვრეტელები, მპატიებლები და ბრძნენები.

ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბევირებისაგან სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინგერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:

CloudLibrary.org

რატომ მარცხდებიან ქალები დანებებისას

ქალები ბევრად მეტს წარმოვადგენთ, ვიდრე მამაკაცების სექსუალური სურვილების ობიექტებს. პატივის, ძლიერებისა – და დიახ, ძალაუფლების – აღდგენის დროა ყველა თაობის ქალისთვის, ახალგაზრდა იქნება თუ ხანდაზმული, ვისაც აღარ სურს მარცხის განცდა.

- აღმოაჩინეთ გულახდილი, ღვთის ძალით მოსილი პასუხები რთულ კითხვებზე
- მიაძინეთ ნაადრევად გაღვიძებული სურვილები
- მიიღეთ ღვთის დაუბრკოლებელი პატიება
- იარეთ თავისუფლებაში, ძალასა და ზნეობრივ სიწმიდეში

მგზნებარე, მახვილგონიერი, გამგები და თანამგრძნობი, ძლიერი, მხიარული. ეს სიტყვები კარგად აღწერს **ლიზა ბევირს** – საერთაშორისო მასშტაბის მქადაგებელს, ნიუ იორკ ტაიმსის ბესტსელერ ავტორს და სატელევიზიო პროგრამა *„მესინჯერის“* თანაწამყვანს, რომელიც 20-ზე მეტ სხვადასხვა ქვეყანაში გადაიცემა.

ლიზა მისთვის დამახასიათებელი გამჭვირვალობით გვიზიარებს საკუთარი გამოცდილებით შეზავებულ ღვთის სიტყვას, რომ ადამიანთა ცხოვრებაში თავისუფლება და გარდაქმნა მოიტანოს. მას გული სტივა სოციალური უსამართლობის გამო და როგორც ცვლილებების მომხრე, სხვებისგან მოელის, რომ გახდნენ პასუხი ადამიანთა გამოუვალ პრობლემებზე ახლოს თუ შორს.

Cloud Library

უფასოდ ჩამოსატვიტთად და ვიდეო რესურსებისათვის ეწვიეთ CloudLibrary.org

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი? დასკანირე.
CLOUD LIBRARY